

ეროვნული



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული თვითგამოცემა 31 წლისაა

(„საქართველოს მოამბე“ №1)

შემდგენელი და რედაქტორი
მანანა არჩვაძე-გამსახურდია

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი – 2007

ეროვნული
ბიბლიოთეკა

© მანანა არჩვაძე-გამსახურდია

ISBN 99940-66-16-1

საქართველოს
პლატონ ინგოროყვა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მოამბე №1

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ვაგრძელებთ ქართული თვითგამოცემის ბეჭდვას, ამჯერად ვაქვეყნებთ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ N1, 1976წ.

ჟურნალის რედაქტორის ანოტაცია გვამცნობს: „საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელია საზოგადოების დეზინფორმაცია, მოჩვენებითი (ყალბი) დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი, ინფორმაციის დამალვა, ქვეყანაში არსებული პრობლემების მიჩქმალვა, კონსტიტუციისადმი ყალბი დამოკიდებულება, ცრუ ინფორმაციის გავრცელება, ეროვნული იდეოლოგიის არარსებობა, არსებული რეჟიმისადმი დაპირისპირებული პიროვნებებისა ან ჯგუფებისადმი ფარული სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება.

გამოქვეყნებული მასალების გაცნობა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს ანალიზი გაუკეთოს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, სიმართლის მხილებისათვის მოქალაქეების უკანონო დასჯას (განურჩევლად სქესისა, ასაკისა, აღმსარებლობისა), დამნაშავეთა დაცვას თავის გადარჩენის მიზნით, სახელმწიფო მოხელეების უშუალო კავშირს კრიმინალებთან, რაც მათი ხელისუფლებაში ყოფნის გარანტია.

ჟურნალში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა ამხელს მაშინდელ ხელისუფლებას უმაღლესი ეშელონებიდან რიგითი ნომენკლატურის წარმომადგენლებით. არსებული სიძნელეების მიუხედავად, უშიშროების სამსახურისა და მისადმი დაქვემდებარებული ყველა სტრუქტურის აქტიური „ხადირობისა“ მოქალაქეებზე, მაინც ვახერხებდით ინფორმაციის შეკრებას, რომელთა საშკარაოზე გამოტანით ყოველდღიური ანგარიშწორების საფასურს ვიმკიდით. სამწუხაროა, რომ 30 წლის წინ მხილებული დანაშაული დღეს უფრო დახვეწილი ფორმებით შეიცავალა. ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის არაადამიანური ზეწოლის, დევნის, პატიმრობის, გადასახლების, ფიზიკური ანგარიშწორების, სამშობლოდან გაძევების, ფიზიკური ლიკვიდაციის მკაცრი განაჩენით დღესაც გრძელდება...

ჟურნალში ვეცნობით საქართველოს ისტორიის სწავლების პრობლემებს ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, თეიმურაზ ჯავარშეიშვილის ახსნა-განმარტებას საქართველოს სპპატრიარქოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, კიროვის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწის დავით ქორიძის დოკუმენტურ მასალას სპპატრიარქოს გაძარცვასთან დაკავშირებით.

მკითხველი გაეცნობა ათეისტ-კომუნისტების გვარებს, რომელნიც ქრისტიანობის დაუძინებელი მტრები იყვნენ, როგორ ებრძოდნენ მორწმუნეებს. სამწუხაროდ, დღეს მათ ეკლესიაში განსაკუთრებული ადგილი აქვთ „გამოყოფილი“, როგორც მაღალი ჩინისა და „ფენის“ წარმომადგენლებს. საეკლესიო დღესასწაულებზე ოჯახებით „სანახაობას“ აწყობენ. ასე იმკვიდრებენ ადგილს „ხელისუფლებასა“ და ეკლესიაში. ჟურნალში ძირითადად შევარდნაძისა და მისი თანაგუნდელების დანაშაულებრივი ქმედებაა მხილებული. სამწუხაროა —

საქართველოს დაუძინებელი მტერი, უზურპატორი, ჯალათი, ზვიად გამსახურდიას მკვლელი, თვითმარქვია დღევანდელი თანაპარტიელების მხრიდან სრული ხელშეუხებლობით სარგებლობს. ჟურნალში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები საკმარისია მისი ბრალეულობის დასამტკიცებლად. ლენინელი კომუნისტები წარმატებით განაგრძობენ თავიანთი ბელადის „დირსეულ“ გზას — იყენებენ ყოველად მიუღებელ მეთოდებს, გამდიდრებული ფანტაზიით, დახვეწილი სისასტიკით, დაუსჯელობის იმედით, დაწინაურებით წახალისებულნი. სახელშეკეცილი მრავალნიღბოსნები ამჯერად „მონათლულები“, „მორწმუნეები“, „სინანულსა და შენდობაში“ აგრძელებენ საქართველოს მოსახლეობის აბუჩად აგდებას, ძარცვას, სახელმწიფო ქონების დატაცებას (პირად საკუთრებაში გაფორმებას), ყოველგვარი სასჯელისა და შიშის გარეშე.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებით საბოლოოდ გადაწყდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბედი. ედ. შევარდნაძემ და მისმა ბანდებმა მიზნად დაისახეს მათი ფიზიკური ლიკვიდაცია. თუ როგორ განახორციელეს ეს ველოვიე საქართველოს უახლესი ისტორიაა ამის უტყუარი მემატიანე.

ზვიად გამსახურდია ჟურნალში უდიდეს ადგილს უთმობს საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვას, რომელიც დღეს ისევ პრობლემად რჩება (რედ. მიერ ჩამატებულია არქივებში მოძიებული მასალა, რომელიც პირველად იბეჭდება). ჟურნალში გამოქვეყნებულია (გვ. 100) მასალა ძეგლების საწყობებად, წისქვილებად, ბოსლად, ყველის სათავსოდ, სკოლის საწყობად გამოყენებისა. 1991-92 წწ. თბილისის რამდენიმე ეკლესიის იარაღის საწყობად და სნაიპერების სათარეშოდ იყენებდნენ, რომელნიც დამოუკიდებელ საქართველოს და ლეგიტიმურ ხელისუფლებას ესროდნენ. ორი განსხვავებული ფაქტიდან, რომელმა უფრო დააზარალა სახელმწიფო და მოქალაქეები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ერთ მოქალაქეს არ გაუჭირდება გარდა პუტჩისტებისა, ავტომატიანი სასულიერო პირებისა, ამჟამად ეკლესიას შეფარებული მხედრიონელებისა, კრიმინალებისა, წარსულში ქურდული ბიოგრაფიისა და ანაფორიანი მკვლელებისა.

დღეს ძველი ტაძრების აღდგენის ნაცვლად შენდება ახალი ტაძრები, რომელთა ნაწილი ბანდების მიერაა პრივატიზებული. ზოგ ეკლესიას „აშშვენებს“ მარმარილოს დფა გვარებით, რომელთაც სახელმწიფოსა და მოსახლეობის ქონების დატაცებით თავი ისახელეს. როგორ ჰგონიათ, უფალი ნაძარცვსა და ნაყაჩაღარს შეიწირავს? **ასეთია დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა, საქართველოს ისტორია ზომ მე-20 საუკუნის დასასრულიდან იწყება.**

ჟურადსაღებია ჟურნალში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა „პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში“ (შემდგენელი ზვიად გამსახურდია). საქმე ამოღებულია ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოდან, შევარდნაძის დანაშაულებრივი ქმედების მხილების მიზნით, რომელმაც საქართველოში შექმნა №1 საწამებელი იზოლატორი, სადაც ხდებოდა პატიმრების დამუშავება ინფორმაციის გამოძალვის ან ჩვენების შეცვლის მიზნით, ყოველად ამაზრზენი და ბინძური მეთოდებით. საქმე შემთხვევით გაიხსნა. შსს №1 საგამომძიებლო იზოლატორის აგენტ-პატიმრებმა იური გრიგოლის-ძე ცირეკიძემ და ვალიკო უსუპაანმა სასიკვდილოდ სცემეს პატიმარი ისმაილოვი, რომლის

„ჩამოწერა“ ვეღარ მოხერხდა. მასალა დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, გამოიცა ბროშურა „პატიმრების წამება საქართველოს ციხეებში“, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე და გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამგვარი საქმეებით სახელგანთქმული ედ. შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა აუცილებელი მახასიათებელი იყო საქართველოს გასანადგურებლად.

„კეთილმოსურნეებმა“ საქართველოს 15 წლით გაუგრძელეს განაჩენი, დამსჯელები შესანიშნავად გრძნობენ თავს, დასჯილი საქართველოს მოსახლეობა რამდენს გაუძლებს?..

P. S. 1977 წელს გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერი, რომელიც ნაწილობრივ ეძღვნებოდა „თურქ მესხთა დეპორტაციას“. მასალა უადრესად აქტუალური და მწვავე აყო. კრემლი და მისადმი ქვემდებარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აშკარად ცდილობდა ამ საკითხით ეროვნული მოძრაობის დაინტერესებას. ე.წ. თურქი მესხები მოძრაობდნენ შუა აზიასა და თბილისს შორის. მათ მხარს უჭერდნენ ცრუ პოლიტიკური პარტიები, აწ გარდაცვლილი გ. მამულია, ზ. ჭავჭავაძე, ე.წ. ილია ჭავჭავაძის თვითმარქვია საზოგადოება (ამ „საზოგადოებას“ პირდაპირი კავშირი აქვს მერაბ კოსტავას მკვლელობასთან).

არქივებში მოძიებული მასალებით ნათელი მოეფინა კრემლის ვერაგულ გეგმას. 500 000 თურქის შემოსახლება უდიდეს პრობლემებს უქმნიდა საქართველოს მოსახლეობას. თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიულ სიმცირეს, განსხვავებულ აღმსარებლობას, ბუნებრივ თუ შეკვეთილ კონფლიქტებს, საქართველოს მომავლისთვის საზიანო გეგმებს, საკითხი აშკარად მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც რედაქტორის მიერ ჟურნალი განადგურებულ იქნა (რედ. მ. ა.).

მანანა არჩვაძე-ბამსახურდია
2006. 21. XI.
თბილისი

www.nplg.gov.ge

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლებისათვის არასასურველი ინფორმაციის დამალვა ადმინისტრატიულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ მიზნად ისახავს ქართველი ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდებას როგორც საჭირბოროტო ეროვნული და სოციალური პრობლემებისა, ასევე საბჭოთა კავშირში შექმნილი საერთო ვითარების გამო. ქვეყნდება საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები, აგრეთვე ისეთი მასალები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სწორი შეფასებისათვის. სასამართლოს და პროკურატურის დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცულია დედნის სტილი და ორთოგრაფიაც კი. ჟურნალი არ ღებულობს შემოწირულებებს პოლიტიკური, მთავრობისმიერი და სხვა ოფიციალური ორგანიზაციებისაგან.

ჟურნალის გამოსვლას მიესალმენ ცნობილი რუსი დისიდენტები: ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ა. სახაროვი და მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ა. ამალრიკი. ა. სახაროვმა აღნიშნა, რომ ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროულია, ვინაიდან საქართველოს დღევანდელი ვითარების შესახებ ნამდვილი ინფორმაციის მიღება ფრიად საშუროა როგორც ჩვენში, ასევე მთელს მსოფლიოში.

შინაარსი

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო ღეკლარაცია.

7. ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრინციპები.

9. საქართველოს ისტორიის სწავლება ქართულ სკოლებში.

11. ნ. სამხარაძე, საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის.

16. თბილისის სახ. უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდები.

18. სამხატვრო აკადემიის ერთი ფაკულტეტის რუსიფიკაცია.

19.საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა (დოკუმენტები: კიროვის რაიონის პროკურორის დ. ქორიძის ცნობა, თ. ჯვარშვილის ახსნა-განმარტება, თანამედროვე ბალთაზარ კოსა, ქვაბავაზაკის მხილება, ბნელეთის ბრძოლა აღდგომის წინააღმდეგ).

66. თ. ჯანელიძე, „მაენე ჩვეულებებთან და ტრადიციებთან“ ბრძოლის ნიღბით (მთავრობა კრძალავს რელიგიურ დღესასწაულს).

70. ზ. გამსახურდია, ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობა (1. ძეგლთა დაცვა თუ ძეგლთა ძარცვა? 2. ძეგლები და პურმარილი, 3. „ჰეროსტრატეთა“ თარეში, 4. არტილერია ანადგურებს ფრესკებს, 5. ძეგლები და ახალგაზრდობა).

102. პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში (შემდგენელი ზ. გამსახურდია).

135. ყარამან ლაბაძე, უბრალო არითმეტიკა (შრომის ანაზღაურება და ფასები სსრკ-ში).

140. გედეონ თვალთვაძე, ხანძრები და დივერსიები საქართველოში 1976 წელს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასსამბლეამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ ქვეყნდება. ამ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღებისთანავე ასსამბლეამ მიმართა და მოუწოდა ორგანიზაციაში შემავალ ყველა სახელმწიფოს გამოექვეყნებინათ დეკლარაციის ტექსტი და გაეკეთებინათ ყველაფერი მისი გავრცელებისა, გაცხადებისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, განურჩეველად ქვეყნისა თუ ტერიტორიის პოლიტიკური სტატუტისა.

პრეამბულა

მხედველობაში ვიღებთ, რომ კაცობრიული ოჯახის ნებისმიერი წევრის ღირსებისა და თანასწორი, ხელშეუვალი უფლებების აღიარება თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველია; აგრეთვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და ათვალწუნებამ გამოიწვიე ბარბაროსული აქტები, რომელნიც ადამიანის სინდისს აღაშფოთებენ და რომ ადამიანთა მაღალ მისწრაფებადაა გამოცხადებული დამყარება იმგვარი მშვიდობისა, რომლის დროსაც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და შეხედულებათა თავისუფლება, ხოლო შიში და გაჭირვება ვეღარ ხელჰყოფს მათ. აგრეთვე მხედველობაში ვიღებთ, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებები დაცულ იქნას კანონის ძალით, რათა არ ვაიძულოთ ადამიანი ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ უკანასკნელ საშუალებად მიმართოს აჯანყებას; აგრეთვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ აუცილებელია ხელი შეეუწყოთ ხალხთა შორის მეგობრული დამოკიდებულების განვითარებას; აგრეთვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირეულ უფლებათა მიმართ პიროვნების ღირსების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის მიმართ და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესს და ფართო უფლებათა მეოხებით ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას.

მხედველობაში ვიღებთ, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს ითანამშრომლონ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციასთან, ხელი შეუწყონ საყოველთაო ურთიერთპატივისცემას, ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა განმტკიცებას; აგრეთვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ ამ უფლებათა და თავისუფლებათა ხასიათის საყოველთაო გაგებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მეტის სრულყოფით შესრულებისათვის,

გენერალური ასსამბლეა აცხადებს ადამიანის უფლებათა მოცემულ საყოველთაო დეკლარაციას, ვითარცა ამოცანას, რომლის განხორციელებას ნების-

მიერი ხალხი თუ სახელმწიფო უნდა მიელტვოდეს. ნებისმიერი ადამიანი თუ საზოგადოებრივი ორგანო ამ დეკლარაციის გათვალისწინებით ნიადაგ უნდა უწყობდეს ხელს ამ უფლებებისა თუ თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის გაღვივებას, ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებების მეთხებით მათი საყოველთაო და ეფექტური აღიარებისა და განხორციელების უზრუნველყოფას, როგორც ორგანიზაციაში შემავალ წევრ-სახელმწიფოებში, ასევე მათი იურისდიქციის ხელქვეით მყოფ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1. ყოველი ადამიანი თავისი ღირსებითა და უფლებებით თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იბადება. ადამიანები გონებითა და სინდისით არიან მომადლებულნი და ამის გამო ურთიერთთან ძმური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ.

მუხლი 2. ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა თუ თავისუფლებას განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ნაციონალური თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, არ უნდა იყოს რაიმე გამორჩევა ქვეყნებსა თუ ტერიტორიებს შორის, რომელთაც ადამიანი მიეკუთვნება პოლიტიკურ, უფლებრივ თუ საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენს თუ არა ეს ტერიტორია დამოუკიდებელს, მეურვეობაში მყოფს, არათვითგანმგებელს ან სუვერენულობაში სხვაგვარად შეზღუდულს.

მუხლი 3. ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრების, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4. არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან თავისუფლებააყრილ მდგომარეობაში. მონობის, მონით-ვაჭრობის ნებისმიერი სახეობა უნდა აღიკვეთოს.

მუხლი 5. ნებისმიერი ადამიანის მიმართ წამებისა და სისასტიკის გამოჩენა არაადამიანური, პიროვნული ღირსების ხელმყოფელი მოპყრობა და სასჯელი უნდა აღიკვეთოს.

მუხლი 6. ყოველ ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, აქვს თავისთავის უფლებრივ სუბიექტად აღიარების ნება.

მუხლი 7. ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად აქვს უფლება დაცულ იქნას კანონის მიერ. ყოველ ადამიანს გააჩნია თანაბარი უფლება დაცულ იქნას ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, რომელიც არღვევს ამ დეკლარაციას, აგრეთვე ჩამქეზებლისაგან, რომელიც აიძულებს მას ამ დეკლარაციის დარღვევას.

მუხლი 8. ყოველ ადამიანს აქვს უფლება უფლებათა ეფექტური აღდგენისა კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მეოხებით, თუ დარღვეულია კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული მისი ძირეული უფლება.

მუხლი 9. არავინ არ უნდა იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული, დაკავებული ან განდევნილი.

მუხლი 10. ნებისმიერი ადამიანი თავის უფლებათა და მოვალეობათა განსაზ-

ღვრისათვის, მისთვის წარდგენილი სისხლის სამართლის ბრალდების მართებულობის დადგენისათვის სრული თანასწორობის საფუძველზე უფლებამოსილია, რათა მისი საქმე განხილულ იქნას ცხადად, დამოუკიდებელი და მაუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანობის ყოველგვარ ძოთხოვნილებათა დაცვით.

მუხლი 11. ნებისმიერი, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ადამიანი უფლებამოსილია უდანაშაულოდ ჩაითვალოს მანამ, სანამ მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის მიერ ღია სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც იგი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყოველგვარი საშუალებებით.

არავინ არ უნდა იქნას გასამართლებული დანაშაულისათვის ისეთი მოქმედებისა თუ უმოქმედობის საფუძველზე, რომელნიც ჩადენის ჟამს არ წარმოადგენდნენ დანაშაულს ნაციონალური კანონისა თუ საერთაშორისო სამართლის მიხედვით. უნდა აღიკვეთოს იმაზე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ეკუთვნოდა ადამიანს მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადინა.

მუხლი 12. უნდა აღიკვეთოს თვითნებური ჩარევა ნებისმიერი ადამიანის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის, კორესპონდენციის საიდუმლოების თუ ღირსებისა და რეპუტაციის ხელშეუხებლობის თვითნებურად ხელყოფის ცდა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება კანონის მიერ დაცულ იქნას ამგვარი ჩარევისა თუ ცდისაგან.

მუხლი 13. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევისა ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში.

2) ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება დასტოვოს ნებისმიერი ქვეყანა საკუთარის ჩათვლით და ისევ დაბრუნდეს თავისსავე ქვეყანაში.

მუხლი 14. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება დევნის შემთხვევაში ეძიოს თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფარით.

2) ამ უფლების გამოყენება აღკვეთილ უნდა იქნას მხოლოდ იმგვარი დევნის შემთხვევაში, რომელიც არაპოლიტიკური დანაშაულის ჩადენისას ან იმგვარი ქმედებისას აღიძვრის, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15. 1) ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2) უნდა აღიკვეთოს ნებისმიერისათვის თვითნებურად აყრა მოქალაქეობისა ან საკუთარი მოქალაქეობის შეცვლის უფლებისა.

მუხლი 16. 1) სრულწლოვანებას მიღწეულ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ უფლება შეუზღუდველად, ყოველგვარი რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური სხვაობის მიუხედავად იქორწინონ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაქორწინების, ერთად ცხოვრებისა თუ გაყრის შემთხვევაში.

2) ქორწინება შეიძლება მხოლოდ მექორწინეთა ორთავე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობის შემთხვევაში.

3) ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივსა და ძირეულ უჯრედს და აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ დაცვის უფლება.

მუხლი 17. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება ქონების ფლობისა საკუთრივ

ან სხვებთან ერთად.

2) აიკრძალოს ნებისმიერისათვის ქონების თვითნებურად ჩამორთმევა.

მუხლი 18. ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება შეიცავს საკუთარი რელიგიისა თუ შეხედულებების გამოცვლის თავისუფლებას, საკუთარი რელიგიისა თუ შეხედულების აღმსარებლობის თავისუფლებას როგორც პირადად, ასევე სხვებთან ურთიერთობაში, საზოგადო თუ კერძო წესით: სწავლისას, ღმერთმსახურებისას, რელიგიური თუ რიტუალური წესების აღსრულებისას.

მუხლი 19. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას დაბრკოლების გარეშე დაეფუძნონ საკუთარ შეხედულებებს, აგრეთვე თავისუფლებას, ეძიო, მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20. 1) ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების მოწყობისა.

2) აღიკვეთოს იძულებით რომელიმე ასოციაციაში შეყვანა ნებისმიერი ადამიანისა.

მუხლი 21. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

2) ყოველ ადამიანს აქვს საშუალება იმყოფებოდეს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სამსახურში.

3) ნება ხალხისა უნდა იყოს მთავრობის განმგებლობის საფუძველი; ამგვარი ნება გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, რომელიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანაბარი საამომრჩეველო უფლებით, ფარული კენჭისყრით ან სხვა ტოლფასი ფორმებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22. ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფისა და მისი ღირსების დამკვიდრებისათვის, მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი უფლებების განხორციელების ნება ეკონომიკის, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ნაციონალურ ძალთა და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე ნებისმიერი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.

მუხლი 23. 1) ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების, უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2) ყოველ ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება თანაბარი ხელფასისა თანაბარი შრომის შესაბამისად.

3) ყოველ მომუშავეს აქვს უფლება სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი საზღაურისა, რომელიც ღირსეულად უზრუნველყოფს ადამიანის არსებობას პირადად და ოჯახითურთ, აგრეთვე აუცილებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს მას სოციალური უზრუნველყოფის სხვა დამატებითი საშუალებებით.

4) ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები ან შეეიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 24. ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება, რომელშიც შედის აგრეთვე სამუშაო დღის — გონივრული შეზღუდვისა და ფასიანი პერიოდული შვებულების უფლება.

მუხლი 25.1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ისეთი ცხოვრების დონე საკვებით, ტანსაცმლით, საცხოვრებელით, სამედიცინო მომსახურებით და სხვა სპეციალურ მომსახურებებითურთ, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, მას აქვს აგრეთვე უფლება იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, აკადმყოფობის, დაინვალიდების, დაქვრივეების, სიბერის ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევებში.

2) დედობა და ბალღობა განსაკუთრებული მზრუნველობისა და დახმარებისათვის იძლევა უფლებას. ნებისმიერი, ქორწინებით თუ ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი თანაბარი სოციალური დაცვით უნდა სარგებლობდეს.

მუხლი 26. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება განათლების მიღებისა. სწავლა უნდა იყოს უფასო, ყოველი შემთხვევისათვის დაწყებითი და ზოგადი განათლების ფარგლებში. დაწყებითი განათლება ყველასათვის აუცილებელი უნდა იყოს. აუცილებელია ტექნიკური და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, უმაღლესი განათლება ყველასათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თითოეულის უნარის შესაბამისად.

2) განათლება უნდა წარმართოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა პატივისცემის ზრდისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ყველა ხალხებს, რასობრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის, ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

3) მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება თავიანთი მცირეწლოვანი ბალღებისათვის განათლების სახეობის არჩევაში.

მუხლი 27. 1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფალი მონაწილეობისა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, უფლება ხელოვნებით ტკბობისა, მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობისა, მისი მიღწევებით სარგებლობისა.

2) ადამიანს აქვს უფლება თაიანი მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვისა, რაც წარმოადგენს მის მიერ შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული ან მხატვრული ქმნილებების შედეგს.

მუხლი 28. ნებისმიერ ადამიანს აქვს სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის მიხედვითაც ამ დეკლარაციაში წარმოდგენილი უფლებანი და თავისუფლებები სრულად იქნება განხორციელებული.

მუხლი 29. 1) ყოველ ადამიანს გააჩნია ვალდებულება საზოგადოების წინაშე, რომელიც მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარების ერთადერთ შესაძლებლობას იძლევა.

2) თავისი უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელებისას ნებისმიერი

ადამიანი შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმგვარ შეზღუდვებს, როგორსაც ადგენს კანონი, მხოლოდ და მხოლოდ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარებისა და პატივისცემის გამო, აგრეთვე მორალისა, საზოგადოებრივი წესრიგისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

3) ამ უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელება არაფრით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30. ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მიეცეს უფლება რომელიმე სახელმწიფოს, პიროვნებათა დაჯგუფებას თუ ცალკეულ პირებს აწარმოონ რაიმე საქმიანობა ან იმოქმედონ იმ უფლებათა და თავისუფლებათა გასანადგურებლად, რაც ჩამოყალიბა მოცემულმა დეკლარაციამ.

(1948 წელს ამ დეკლარაციას ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმა. რედ.)

1970 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრინციპები

გამომდინარე იმ რწმენიდან, რომ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის პრობლემა ერთობ მნიშვნელოვანია ცხოვრებისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, მშვიდობის გასამტკიცებლად და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განსავითარებლად, და რომ იგი ხელშეუვალი სფეროა თანამედროვე კულტურისა;

ცდილობენ რა ხელი შეუწყონ საერთაშორისო მისწრაფებებს ადამიანის უფლებათა იდეის პროპაგანდისათვის და უფლებათა უზრუნველსაყოფი კონსტრუქტიული გზების მოპოვებისათვის;

აღნიშნავენ რა სსრკ-ს მოქალაქეთა შორის უკანასკნელ წლებში გაზრდილ ინტერესს კულტურის ამ სფეროსადმი;

გამოთქვამენ რა კმაყოფილებას საბჭოთა კავშირში 1958 წლიდან უფლებათა სფეროში მიღწეულ წარმატებებზე და ისწრაფვიან რა კონსულტატიურად შეუწყონ ხელი სახელმწიფოს შემდგომ ცდებს უფლებათა დაცვის გარანტიის უზრუნველსაყოფად სოციალისტური წყობის შესაბამისი სპეციფიკისა და საბჭოურ ტრადიციათა სპეციფიკის გათვალისწინებით

ა. დ. სახაროვმა, ა. ნ. ტვერდოხლებოვმა და ვ. ნ. ჭალიძემ გადაწყვიტეს ერთად განაგრძონ მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა კომიტეტის სახელით ამ პრობლემის კონსტრუქტიული შესწავლისათვის შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი წარმოადგენს შემოქმედებით ასოციაციას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, კომიტეტის ნამდვილი პრინციპებითა და რეგლამენტით.

2. კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ პირები, რომელნიც ხელმძღვანელობენ კომიტეტის მიერ დაშვებული ნამდვილი პრინციპებითა და რეგლამენტით, ამავე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად,

რომელნიც არ ითვლებიან ისეთი პოლიტიკური პარტიების ან სხვა ორგანიზაციათა წევრებად, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფოს მართვის პრეტენზია, აგრეთვე იმ ორგანიზაციათა წევრებად, რომელთა პრინციპები უშვებენ ორთოდოქსალურ ან ოპოზიციონერულ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

რომელთაც არ განუზრახავთ კომიტეტში მოღვაწეობა პოლიტიკური მიზნებით.

3. კომიტეტის მოღვაწეობის მიზანია:

კონსულტატიური ხელის შეწყობა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისადმი ადამიანის უფლებათა გარანტიის შექმნისა და გამოყენებისათვის კომიტეტის ან თავრობის დაინტერესებული ორგანოების ინიციატივით.

შემოქმედებითი დახმარება იმ პირებისადმი, რომელნიც ადამიანის უფლებათა პრობლემის თეორიულ ასპექტთა კონსტრუქტიულ კვლევასა და სოციალ-

ისტურ საზოგადოებაში ამ პრობლემის სპეციფიკის შესწავლას ეუბნებ-
კანონმდებლობითი განმანათლებლობა, სახელდობრ, პროპაგანდა საერთა-
შორისო და საბჭოთა სამართლის დოკუმენტებისა ადამიანის უფლებებთან და-
კავშირებით.

4. თეორიული კვლევა და კონსტრუქტიული კრიტიკა საბჭოთა სამარ-
თალში პიროვნების თავისუფლებისა და უფლებრივი გარანტიებისა.

კომიტეტი ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარა-
ციის ჰუმანური პრინციპებით, გამომდინარეობს საბჭოთა სამართლის სპეციფი-
კის აღიარებიდან, ითვალისწინებს რა გამომუშავებულ ტრადიციებს და სახ-
ელმწიფოს რეალურ სიძნელეებს ამ სფეროში.

5. კომიტეტი მზადაა შემოქმედებითი კონტაქტი იქონიოს საზოგადოე-
ბრივ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო არამთავრობისმიერ
ორგანიზაციებთან, თუკი ისინი თავიანთ მოქმედებაში გამომდინარეობენ გაერ-
თიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებიდან და არ ისახავენ მიზნად საბ-
ჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენებას.

მოსკოვი, 4 ნოემბერი, 1970 წ.
აკადემიკოსი ა. დ. სახაროვი, ა. ნ. ტვერდოხლებოვი, ვ. ნ. ჭალიძე.

დაახლოებით იმავე პერიოდში მოსკოვში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომლის წევრები არიან ვ. ბორისოვი, ტ. ველიკანოვა, ა. ლავუტი, ს. კოვალევი, ტ. ხოდოროვიჩი და სხვანი. მოსკოვში 1968 წლიდან გამოდის არაოფიციალური ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა", რომელიც ასახავს ადამიანის უფლებების დასაცავად წარმოებული ბრძოლის სურათს საბჭოთა კავშირში.

ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში

ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში ჩამოყალიბდა 1974 წელს. ჯგუფი მიზნად ისახავს შესწავლას გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა განხორციელების სხვადასხვა ასპექტებისას ჩვენს ქვეყანაში. მისი მიზანია აგრეთვე ბრძოლა ამ უფლებათა დარღვევის ან დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ.

ჯგუფის წევრებია: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, მ. არჩვაძე-გამსახურდია, ლეო არჩვაძე, თეიმურაზ ჯანელიძე, ისაი და გრიგორი გოლდშტეინები, ნიკოლოზ სამხარაძე.

საქართველოს ისტორიის სწავლება ქართულ სკოლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, 1957-58 წლებში მოსკოვმა დასვა საკითხი წაკონწალურ რესპუბლიკათა სკოლებში ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების გაუქმებისათვის. ეროვნული ისტორია უნდა ესწავლებინათ სსრკ-ს ისტორიასთან ერთად, ფაქტიურად რუსეთის ისტორიას რომ წარმოადგენს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ასე რომ, ცხრილში, ჟურნალსა თუ დიპლომში აღარ აღინიშნებოდა საქართველოს ისტორია.

ამჟამად საქართველოს ისტორიას განკუთვნილი აქვს 65 საათი და მას ასწავლიან მაღალ კლასებში ოთხი წლის განმავლობაში სსრკ-ს ისტორიასთან ერთად.

განაწილება საათებისა კლასების მიხედვით ასეთია: VII კლასში საქართველოს ისტორიას ეთმობა 35 საათი, ერთიანი ოდენობის ნახევარზე მეტი და მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე (ამავე კლასში სსრკ-ს ისტორიას ეთმობა 70 საათი). VIII, IX და X კლასებისათვის რჩება მარტოოდენ ათ-ათი საათი და ამ სამი წლის მანძილზე სწავლობენ მხოლოდ XIX-XX საუკუნეების პერიოდს. აღსანიშნაია, რომ 1957-58 წლებამდე ამ პერიოდს საქართველოს ისტორიისას სკოლებში საერთოდ არ ასწავლიდნენ. მაშინ საქართველოს ისტორია ცალკე ისწავლებოდა საკმაოდ კარგად შედგენილი სახელმძღვანელოთი (ავტორები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია). ამ სახელმძღვანელოთი ძირითადათ ორი წლის მანძილზე, IX—X კლასებში ასწავლიდნენ და იგი მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. თითოეული კლასისათვის 1948-1952 წლებში განკუთვნილი იყო 66-66 წლიური საათი: სულ 132 საათი, ხოლო 1953-1958 წლებისათვის საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს ეთმობოდა 99 საათი (IX კლ. — 49 საათი, X კლ. — 50 საათი), მაშინ როდესაც ამჟამად ამ ძირეულ და უვრცესეს პერიოდს საქართველოს ისტორიისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთმობა მხოლოდ 35 საათი. გარდა ამისა, IV კლასში არის უფლება სსრკ-ს ისტორიის რთულად შედგენილი მასალებიდან, რომელიც 70 საათს მოიცავს, 15 საათი დაეთმოს საქართველოს ისტორიას. თანაც ამ სახელმძღვანელოს კურსი იქეთკენაა წარმართული, რომ მისი 2/3 დაეთმოს საბჭოთა პერიოდს, ხოლო 1/3 ვეებერთელა რევოლიუციამდელ პერიოდს. სასკოლო განათლების მესვეურებში არსებობს აზრი, რომ ფეოდალური პერიოდის ისტორია, მეფეთა და გარდასული დროის გმირთა ცხოვრებაზე ჟურადღების გამახვილება საჭირო არ არის, რომ ეს ხელს უშლის მარქსისტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ამ აზრებს მოსკოვის კარნახითა თუ საკუთარი ინიციატივით განსაკუთრებით ნერგავდა ამ ბოლო ხანებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ედუარდ შევარდნაძის ხელმძ-

ღვანლობით.[1] ამრიგად, ბალანსი სსრკ-ს (იმავე რუსეთის) და საქართველოს ისტორიის სწავლებას შორის თითოეულ კლასში ამგვარია: სსრკ-ს ისტორია 105 სთ., საქართველოს ისტორია დაახლოებით 15 საათი. თუკი პეტრე დიდის პერიოდს ხმარდება 8 საათი, ივანე III-ისას და IV-ისას ერთად — 10 სთ., დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ცალ-ცალკე — თითო საათი.

ISSN 2449-0339

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, სომხეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები უმაყოფილონი არიან თავიანთი ისტორიის სასწავლო საათების შემცირებითა და სსრკ-ს ისტორიასთან მისი შერწყმულად სწავლებით. უკრაინა სდუმს, რადგან რუსეთის ისტორია კიევის რუსეთით იწყება. უმაყოფილებას არ გამოთქვამენ აზერბაიჯანი და შუა აზიის ქვეყნები გარდა ტაჯიკეთისა, რომელსაც საკმაოდ მდიდარი ისტორია გააჩნია.

სკოლის პედაგოგ-ისტორიკოსთა ერთ-ერთ საკავშირო სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელმა დაასაბუთა საქართველოს ისტორიის შერწყმულად სწავლების უხერხულობა სსრკ-ს ისტორიასთან, ვინაიდან საქართველოს ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდელ პერიოდში იღებს დასაბამს, მაშინ როდესაც რუსეთის ისტორია IX საუკუნიდან იწყება.[2] „მაშ ამოვშალოთ მასალა IX საუკუნემდე", გამოსთქვა თავისი „კომპეტენტური" აზრი ერთ-ერთმა მოსკოველმა თანამდებობის პირმა განათლების სფეროში! ასეთი რამ თვით შოვინისტ პუროშკევიჩებსაც კი არ განუცხადებიათ.

ისტორიის სწავლების ახალი მეთოდი თითქოს მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ეროვნებებში „ნაციონალიზმის გაქარწყლებას" და „ადამიანის ახალი ტიპის ფორმირებას ინტერნაციონალური სულისკვეთებით". სინამდვილეში კი სსრკ-ს ისტორიის სახელწოდებით იგი ფაქტობრივად რუსეთის ისტორიას გვთავაზობს და ამით აკელენს რუსეთის „ობიექტურ მიდგომას სხვა ეროვნებათა ისტორიებისადმი".

---

1 სტალინის ტერორის პერიოდში, როდესაც ხალხში აზრიც კი აღარ ღიმღამებდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1946 წელს საშუალო სკოლის მუშაკთათვის დაწერილ მეთოდურ კრებულში ვიღაც დალოცვილმა ამგვარი აზრის გაპარება შეძლეს: „საქართველოს ისტორიის შესწავლისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეასწავლოს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს ის თავები და პარაგრაფები, რომლებშიც ასახულია საქართველოს მაღალი კულტურული განვითარება და ქართველი ხალხის სახელოვანი ბრძოლის ეპიზოდები. მოსწავლეების მეხსიერებაში ღრმად უნდა აღბეჭდოს თავისი საშობლოს მოლიანობისა, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის მებრძოლ პიროვნებათა და სახელოვან მთავარსარდალთა დიდებული სახეები. კონკრეტული და ცოცხალი მაგალითებით მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა უჩვენოს მოსწავლეებს, რომ ქართველი ხალხი უმძიმეს მომენტშიც კი არ იღებდა ხელს თავგამოდებულ ბრძოლაზე, არ კარგავდა გამბედაობას იმედს და ქედს არ იხრიდა უსახტიკეს მტრანალთა წინაშე". რაოდენ უპირისპირდება ამ აზრს დღევანდელი ოფიციალობის კარნახით დანერგილი აზრები.

2 ისტორიის შერწყმულად სწავლებას ამართლებენ იმით, თითქო უმჯობესი იყოს სოციალური ფორმაციების თანამიმდევრულობით გაკეთა მსოფლიო ისტორიის კურსისა, ეიდრე ეროვნებების მიხედვით. აქ მათ აკიწყდებათ ქვეყანათა განვითარების სხვადასხვა დონე და პრიორიტეტი თითოეული ეროვნების განვითარების ერთიანი ხაზისა, ერის სულიდან, ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე.

ნიკოლოზ სამხარაძე[3]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის

(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს განათლების სამინისტროში მოწვეული ისტორიკოსთა თათბირზე 1958 წლის 26 აგვისტოს)

ჩვენ მოვისმინეთ მინისტრ გ. ჯიბლაძის ინფორმაცია საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამადან საქართველოს ისტორიის ამოღებისათვის (სწავლების შეწყვეტისათვის). მინისტრმა აღნიშნა: „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, შედგენილი ივ. ჯავახიშვილის, ნიკ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით მეტად ვრცელ მასალას მოიცავს. ამის გამო ამ სახელმძღვანელოთი სწავლება დიდაქტიკურად გაუმართლებელია და ხელმძღვანელ წრეებში იშვა შემდეგი მოსაზრება: ვიდრე ახალი სახელმძღვანელო შედგებოდეს, საქართველოს ისტორიას საშუალო სკოლებში ახალგაზრდობა შეისწავლის სსრ კავშირის ისტორიის არსებული სახელმძღვანელობით“.

შემდეგ თქვენ მოისმინეთ პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგის ლ. ციხისთავის სიტყვა. იგი მთლიანად მიეძღვნა დასაბუთებას, რომ ფართე მოცულობის გამო არსებული სახელმძღვანელოთი საქართველოს ისტორიის სწავლება გაუმართლებელია. „...შემომაქვს წინადადება ახალი სახელმძღვანელოს შედგენამდე სასწავლო პროგრამიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ისტორიის სწავლება“. შემდეგ იგი დასძენს: „საქართველოს ისტორიას ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სსრ კავშირის არსებული სახელმძღვანელობით შეისწავლის“.

მინისტრ გ. ჯიბლაძისა და ლ. ციხისთავის ინფორმაცია, რომელიც აქ მოვისმინეთ, გამოწვეული არა იმით, რომ არსებული სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია, არამედ სულ სხვა განზრახვითა და მიზეზით. პარტიისა და მთავრობის მმართველ ზედაფენაში თავი იჩინა ველოკორუსულმა დიდმპყრობელურმა შოვინიზმმა. ველოკორუსთა ეს მმართველი ფენა ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს სამოცზე მეტი ნაციონალობისაგან შემდგარსა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის შემცველს, წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოახდინოს მათი ასიმილაცია.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ლენინი იმთავითვე მიუთითებდა ველოკორუსული დიდმპყრობელობის საშიშროებაზე და აღნიშნავდა: „არ არის

---

3 მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად I საშუალო სკოლაში, გაკვეთილებს ატარებდა ძლიერ გაბედულად, ამხელდა სოციალურ უსამართლობას და ველოკორუსულ შოვინიზმს. ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ 1958 წლის იანვარში მიესაჯა იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც განთავისუფლდა 1959 წლის 8 სექტემბერს. 10 წლის განმავლობაში არ აძლევდნენ საშსახურს, იყო ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე.

1969 წელს ნ. სამხარაძემ ერეკვლე დეკანოზი მიმართა ბრეჟნევს, უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე და მოითხოვა ოჯახითური სახლეკარეკილი წასვლა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1969 წლის აპრილს დანიშნეს თბილისში უბნის ექიმად (მას სამედიცინო განათლება აქვს). დანარჩენი მის შესახებ იხილეთ ქვემოთ, „მოკლე ცნობებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორიცხული ის ამბავი, რომ პარტიაში დროდადრო თავს იჩენს ეელიკორუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი. ამგვარი გამოვლენა მიუღებელ უნდა აღმოიფხვრას, თუ გვსურს, რომ დავიცვათ და შევინარჩუნოთ საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ერთიანობა". საბჭოთა კავშირი შეიქმნა 1922 წელს, მას საფუძვლად დაედო კავშირში შემავალ ერთა თანასწორუფლებიანობა და სუვერენულობა.

მილიონები იმისათვის როდი ვერიდნენ სისხლს, რომ სულ მალე წაართმევდნენ სისხლით მოპოვებულ ეროვნულ თუ სოციალურ თავისუფლებას, მათ შვილებსა და შვილიშვილებს მამა-პაპათა ისტორიის შესწავლასა და თავისუფალ აზროვნებას აუკრძალავდნენ. დღეს ასე ისმის საკითხი: უარყოფა, ხელის აღება ჩვენთა წინაპართა სახელოვანი წარსულის ხსოვნისა, ეს ნიშნავს აწმყოში და მომავალშიც ბრმად მივდიოთ და მივყვეთ მბრძანებლის ნებას, შევეთვისოთ და შევესისხლხორცოთ მას.

მოგეხსენებათ, რომ ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ათასწლეულების მანძილზე გაწეული შრომისა და ბრძოლის შედეგად ხდებოდა. ქართველმა ხალხმა თავის ისტორიას საფუძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასეულ წლებში ჩაუყარა. შექმნა რა დამოუკიდებლად ანბანი და დამწერლობა, საკაცობრიო ისტორიის ფურცლებზე მან ბევრი საინტერესო და სასახელო საქმე ჩაწერა.

ერის ისტორია მოგვითხრობს, თუ როდის აიდგა მან ფეხი, როგორ და როდის დაუდო საძირკველი თავის ეროვნულ შენობას, როგორ იღწოდა და იბრძოდა ამ შენობის აგებისათვის, მისი შენარჩუნება-განახლებისათვის.

მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობის განვლილი ისტორია აღნუსხვაა არა ერთი ხალხისა და ერის ნამოღვაწ-ნამოქმედარის, არამედ ყველა იმ ხალხებისა, ამჟამად რომ ცხოვრობენ და არსებობენ. მეტიც: იყვნენ ხალხები, რომელნიც იღწოდნენ, მოქმედებდნენ და რომელთაც ჩაიდინეს ღირსშესანიშნავი საქმენი; ზოგიერთი მათგანი დღეისათვის აღარ არსებობს. ჟამთა უკუღმართობამ, ბოროტმა ძალამ აღგავა ისინი პირისაგან მიწისა. დაგერჩა მარტოოდენ მათი ნამოღვაწარი, რასაც ისტორია აღნუსხავს და შეისწავლის, არა უბრალო ცნობადობისათვის, არამედ იმ აუცილებლობის გამო, რომ გავამდიდროთ გონება და ამით უფრო სწრაფად წავწიოთ ეროვნული და საკაცობრიო ცხოვრება.

ერი ცხოვრობს არა მარტო აწმყოთი, არამედ წარსულითა და მომავლით. წარსული არის საფუძველი და დიდი შემეცნებითი განძი, რომელიც გვაუწყებს, თუ რას იქმოდნენ ჩვენი მამა-პაპანი სასახელოსა და სასიქადულოს, ვინ ჩაყოლა ფუფე და უვარგისი ქვა ეროვნულ შენობას, ვინ იყო მამაცი და შეუპოვარი სამშობლოს ზღურბლთა დაცვისას. კარგისა და აკის შეცნობა ეროვნულის წიაღში ახალ თაობას საშუალებას მისცემს უკეთ გაიგოს და შეიმეცნოს აწმყო და მომავალი.

ერის თვითგამორკვევა შეუძლებელია ისტორიული წარსულის შესწავლის, დამოუკიდებელი სუვერენული უფლების განხორციელების გარეშე. ქართველი ხედავს, რომ არსებობს ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების იერარქია (წყობა). გარეგნულად ქართველი ხალხი თითქო თავად განაგებს საკუთარ

თავს და თავის ბედის ბატონ-პატრონია, მაგრამ არი სინამდვილისა მეტად მწვავეა და მტკივნეული. ყოველივე ეს ნომინალურია და არა არსის. ეროვნული არსობა. ნამდვილად არსებობს ეროვნული სახელმწიფოს მექანიზმი, მაგრამ ამ მექანიზმს არ გააჩნია ცხოველმყოფელი თვითმოქმედი ეროვნული სული. ეს ეროვნული სული ქართველ ხალხს რუსმა დამპყრობელმა ამოაცალა 1801 წელს. წარმოიდგინეთ სხეული უსულოთ საუკუნეთა მანძილზე, მუმიად ქცეული, მუზეუმში მისვენებული სანახაობა.

წარსულში მეფის რუსეთი დაუფარავად და დაჟინებით ახორციელებდა დაპყრობილი ხალხების შთანთქმასა და ასიმილაციას. ქართველი ხალხის მოწინავე შვილები დროდადრო ხმას იმაღლებდნენ და ებრძოდნენ მტერს. XIX საუკუნის I ნახევარში (1832 წ. შეთქმულების ჩაზშობის შემდეგ) ილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მეედროშენი იყვნენ ს. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი. სამოციანელები სწორედ მათ იდეებზე აღიზარდნენ. ჩამოყალიბდა ეროვნული დასი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით. შეიქმნა ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ეროვნული და სოციალური თავისუფლება. ისიც კარგად ვიცით, როგორ ებრძოდნენ ისინი ჩვენი ეროვნული ღირსების, ეროვნული ყოფადობის აღდგენისათვის.

ილია ამბობს: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოელის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოელის ცხოვრების აღმოფხერა ხსოვნიდან, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედის წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“. ეს სიტყვა კომენტარს არ საჭიროებს.

დღეს მტერი უმიზნებს და სპობს ეროვნული ყოფადობის დასაყრდენს. ველიკორუსმა კარგად იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობა, აღზრდილი თავის წინაპართა გმირულ ისტორიაზე, თავისი ერისადმი მაღალი გრძნობითა და სიყვარულით განიმსჭვალება. ერის წარსულის შესწავლით ახალი თაობა ადვილად გამოიცნობს მტერსა და მოყვარეს. თავის წინაპართა ღვაწლს სხვა ხალხების ნამოღვაწარს შეადარებს, რაიც მისცემს გაგების უნარს: ვინ ვიყავით, რა ვართ და ხვალისათვის რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ავმაღლდეთ და უზრუნველვყოთ ეროვნული ყოფადობა.

ველიკორუსი, შენიღბული და ინტერნაციონალიზმს ამოფარებული, ყოველგვარი ეროვნულ-სოციალური საღი აზრის ჩაკვლას ლამობს. იგი თანდათანობით და დაჟინებით ანხორციელებს დამორჩილებული ერების ასიმილაციას, გარუსებას. ამას დღეკანდელი დღე და ჩვენი არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ადასტურებს.

ველიკორუსს პირველი იერიში განვითარებულ ერებზე მიაქვს, რომელთაც მაღალი კულტურა და ხანგრძლივი ისტორიული წარსული გააჩნიათ. ქართველ ხალხზე დაწოლა მრავალმხრივია: გაზრდილი მიგრაცია, არაქართველთათვის

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უპირატესობის მინიჭება, ბინებისა და სამსახურის მიცემა ინტერნაციონალიზმის სარჩულით. ქართველთა დაწინაურებული მმართველი ფენა და ინტელიგენციის ოლიგარქია ხელს უწყობს ვლადიკორუსს ქართული ხალხის ასიმილაციის საქმეში.

ლენინის ჩამოყალიბებული პრინციპები ეროვნული სუვერენულობისა და თანასწორობისა არ სრულდება. შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირში ეროვნული დამოუკიდებლობის ცნებამ თავისი აზრი დაკარგა.

არ იფიქროთ, საკითხს გადავუხვიე. ჩვენი ეროვნული სხეული მრავალმხრივ არის დაიარებულ-დაწყლულებული. ვისაც გაგება და გული შერჩენია, მთელი სიმწვავით განიცდის ამ მდგომარეობას. იარას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ვაი, ჩვენი ბრალი: ტკივილების გამომჟღავნება და მკურნალობა აკრძალული გვაქვს.

გადავხედოთ დღევანდელი მსოფლიოს რუკას: მსოფლიო ის აღარ არის, რაც 30-50 წლის წინათ იყო. თითქმის ყველგან დაემხო კოლონიური ბატონობა. მსოფლიო რუკაზე გაჩნდა ათობით ახალი სახელმწიფო, რომელნიც ეს-ეს არის გამოვიდნენ მსოფლიო ასპარეზზე და იწყებენ ისტორიის შექმნას. თქვენთვის ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო სპეციალური დეკლარაცია დეკოლონიზაციისა და ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის დაცვის შესახებ.

საბჭოთა კავშირი პირველი შეუერთდა ამ დეკლარაციას, მაგრამ პრაქტიკულად მისი შესრულებისათვის არა თუ რაიმე გააკეთა, ყოველგვარ ეროვნულ და სოციალურ გამოვლენას სისხლში ახშობს. ამის მაგალითს დღევანდელი თათბირიც წარმოადგენს.

ამ თათბირის მიზანი ხელყოფს ერის არსებობას და აღშფოთებას იწვევს ყველა ქართველში. ეს აღშფოთება ბუნებრივია და მტერს არ უნდა გაუკვირდეს. მტერს ვუწოდებ ყველა იმას, რომელიც ძალის პოზიციიდან სხვის სულში აფათურებს ხელს, რათა სული ამოაცალოს მას და ცარიელი სხეული თავისი სულის სამყოფად აქციოს.

ვლადიკორუსობა მიეჩვია იმ აზრს, რომ სხვადასხვა ხერხითა და ხრიკებით ხალხები თავის ბატონობის ქვეშ იყოლიოს. მას ავიწყდება ის საშინელება, 1941-45 წლებში რომ დაატყდა თავს. რუსი ხალხი მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ჰიტლერულ გერმანიას, გვერდში რომ არ ამოდგომოდა უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თათარი და სხვა. რატომ არ მიიღო რუსმა ხალხმა და მისმა ინტელიგენციამ განვითარებული და ცივილიზებული გერმანელი ერის ხელმძღვანელობა, მისი წესრიგი და ბატონობა?!

ასევე მიუღებელია რუსის ბატონობა და მისი კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური წესრიგი სხვა ხალხებისათვის. დამპყრობელი, მოძალადე, ყველა ხალხს სძულს, განვითარების როგორ დონეზეც არ უნდა იდგეს იგი.

ქართველი ერი თავისი ისტორიული წარსულით, ნიჭის პოტენციითა და შემოქმედების უნარით რუს ხალხს არა თუ ჩამოუვარდება, წინ უსწრებს კიდეც. ქართველი ხალხის შემოქმედებასა და წინსვლას მუდამ მრავალრიცხოვან დამპყრობთა მუდმივი თარეში ქვეყნის აწიოკება-აოხრება აყოვნებდა. ჩვენი ამ-

ჟამინდელი ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ 1800 წლიდან რუსი მპყრობელის ხელში ვიმყოფებით. ორი საუკუნე სრულდება, რაც რომ ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეკუთვნის. ჩვენი ეროვნული სხეული უთავოდაა შთენილი და შინაგანად გამოცლილი.

მინისტრი გ. ჯიბლაძე და ლ. ციხისთავი მოქმედებენ არა საკუთარი სურვილითა და ნებით, არამედ მბრძანებლის მითითებით. ისინი გვარწმუნებენ, რომ უკეთესია საქართველოს ახალმა თაობამ თავის წინაპართა ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოთი შეისწავლოს, სადაც ქართველი ხალხის ვრცელ ისტორიას დათმობილი აქვს 10 ფურცელი.

სსრ კავშირის სამი წიგნი ფაქტიურად რუსი ხალხის ისტორიაა და არა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისა, რადგან სამოცდაათ ხალხს ამ წიგნებში დათმობილი აქვს წიგნის მოცულობის 5%, 95% კი რუს ხალხზე მოდის. თქვენ ხედავთ, თუ როგორი ფარდობაა რუს ხალხსა და სხვა ხალხებს შორის. იგივე ითქმის ცენტრალური მართვის სისტემაზე. ასეთია ველიკორუსის გაგებით თანასწორობა და ერთობა.

ქართველი ხალხის ისტორია თავისი წარსულითა და შინაარსით, მოცულობითაც აღემატება რუსეთისას. ქართველებს რუსებზე ათასი წლით ადრე ჰქონდათ ცივილიზაცია, სახელმწიფო წყობა და დამწერლობა. ქართველები რომ წიგნებს წერდნენ, რუსები მინდორ-ველად დაეხეტებოდნენ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. როდესაც ჩვენში „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, რუსთა ზედაფენაში ანბანს ძლივს კითხულობდნენ.

ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ვერ შეურიგდება იმ ფაქტს, რომ ქართველ ახალ თაობას თავის წინაპართა ისტორიის შესწავლის უფლება წაერთვას. არც ისაა სწორი, რომ არსებული სახელმძღვანელო, რომელმაც მეორე პრემია დაიმსახურა, უვარგისად გამოვაცხადოთ იმ მიზეზით, თითქოს იგი დიდ მასალას მოიცავს. პირიქით: წიგნში ზოგიერთი ძნიშნელოვანი მასალა შეკვეცილია, არ არის ფართედ განხილული. თუ ამ წიგნს გადავამუშავებთ და შეკვეცილ მასალას წესისამებრ გაეშლით, ერთი წიგნის ნაცვლად ორ წიგნს მივიღებთ.

ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ასედაც მოიქცეოდა, თავისი თავის განმგებელი რომ იყოს.

აქვე უნდა დავსძინო: საქართველოს ისტორიას სასწავლო გეგმით კვირაში ერთი საათი აქვს დათმობილი, რაც დიდაქტიკურად გაუმართლებელია. შემომაქვს წინადადება: ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიის შესწავლას კვირაში ორი საათი დაეთმოს.

1958 წელი, 27 აგვისტო.
ქ. თბილისი

თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1975 წლის მიწურულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის თანამშრომელმა მარიკა პირველმა დაიბარა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე,[4] პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე და უთხრა: ამას წინათ რექტორმა დ. ჩხიკვაშვილმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენს ფაკულტეტზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაიკითხოთო. მ. ლორთქიფანიძემ დიდად გაიოცა ასეთი წინადადება და აღშფოთება გამოსთქვა. თუ არ გგჯერათ, რექტორთან შეეიდეთ და თავად გეტყვითო, უთხრა მარიკა პირველმა. რექტორი მოსკოვში აღმოჩნდა წასული (როგორც ჩანს, რუსიფიკაციის ახალი ინსტრუქციების მისაღებად). რექტორმა ჩამოსვლისთანავე დაიბარა პროფ. მ. ლორთქიფანიძე და ჰკითხა, რად მიწყობთ ობსტრუქციას. მაშინ ლორთქიფანიძემ უთხრა: თუ მიგაჩნიათ, რომ სწორი არა ვარ, მოვიწვიოთ დიდი საბჭო და გამოჩენილთა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა, პროფესორებმა გადაწყვეტონ ეს საკითხიო. ჩხიკვაშვილმა უთხრა: ჭკუაში ნუ მატყუებთო. მე ის კი არ მითქვამს, სწავლა იყოს-მეთქი რუსულად, არამედ ვთქვი, რუსეთიდან მოვიწვიოთ-მეთქი გაცვლის წესით ლექტორები.

ამის შემდეგ ჩხიკვაშვილმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო სათიათაოდ დაბარება ფაკულტეტის დეკანებისა. 1976 წლის 15 იანვარს დაიბარა: ფიეიაშვილი (მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი), ლომსაძე (ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი), ჩანტლაძე (პოლიტეკონომიის კათედრის გამგე), ლეკვეიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის დეკანი), ა. სურგულაძე (ისტორიის ფაკულტეტის დეკანი), და განუცხადა მათ, რომ საჭიროა ზოგიერთი საგნის რუსულად წაკითხვა რუსული ენის უკეთ შესასწავლად. სტუდენტები რომ ამთავრებენ უნივერსიტეტს, ენის უცოდინარობის გამო ვერ მიდიან რუსეთში სამუშაოდ. თან ყველა ეს პირები გააფრთხილა: მ. ლორთქიფანიძეს არ შეატყობინონო, რომ მე დაგიბარეთო ამ საკითხზე.

რუსიფიკაციის ესოდენ დაურიდებელმა ცდამ განცვიფრება გამოიწვია ფაკულტეტის დეკანებსა და პროფესორებს შორის, თუმც ყველას რიდი ეყო მოქალაქეობრივი გაბედულება, რომ პროტესტი განეცხადებინა. აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელთაც მხარი დაუჭირეს რექტორის წინადადებას. ასეთნი იყვნენ: პრორექტორი ზ. ფორაქიშვილი და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ა. სურგულაძე. უმეტესობამ დუმილი არჩია. მხოლოდ ნაწილმა განაცხადა მტკიცე უარი. ასეთები იყვნენ მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ო. ბაქანიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მ. ლეკვეიშვილი. ამ უკანასკნელმა მთელი მგზნებარებით დაასაბუთა, რომ რუსულ ენაზე კითხვა ლექციებისა ეროვნულ

4 ჟურნალში დაბეჭდილი მასალა პროფესორ მარიკა ლორთქიფანიძესთან მიმართებაში მიუთითებს პიროვნების პრინციპულობაზე, რომელმაც უნივერსიტეტის მეცნიერების მხარდაჭერით დადებით შედეგს მიაღწია.
სამწუხაროდ, მარიკა ლორთქიფანიძემ 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეთავაზებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე „პრინციპული“ უარი განუცხადა: „ედუარდს შევპირდი, ზვიად გამსახურდიას შემოთავაზებას ნებისმიერ თანამდებობაზე უარს განვუცხადებდი“ (რედ. მ. ა.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში დაუშვებელია. მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ლ. ჟიჟიაშვილმა განუცხადა რექტორს: სიტყვა „ინტეგრალს“ რუსულად სიტყვით თუ ქართულად, მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ წინააღმდეგი ვარო ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვისა. პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ, ჩანტლაძემ განაცხადა: სანამ მე აქ ვარ, ეს არ მოხდება და თუ ენების შესწავლაზე მიდგება საქმე, მე მყავს სპეციალისტები, რომლებიც გერმანულად და ინგლისურადაც წაიკითხავენო ლექციებს. კატეგორიული წინააღმდეგი იყო აგრეთვე ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვის ლომსაძე (ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი), დათანხმდა მხოლოდ ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ა. სურგულაძე. ეს უკანასკნელი თავისმა მოადგილემ გასცა მარიკა ლორთქიფანიძესთან. მარიკა ლორთქიფანიძე შევიდა რექტორ დ. ჩხიკვიშვილთან და უთხრა: ან მე დავტოვებ უნივერსიტეტს ან თქვენო. ჩხიკვიშვილი ამშვიდებდა: ქ-ნო მარიკა, თქვენს კათედრას ხომ არ ეხება, თქვენ რა გაწუხებთო. ამაზე მ. ლორთქიფანიძემ მიუგო: ყველაფერი, რაც უნივერსიტეტში ხდება, მე მეხებაო. ჩხიკვიშვილი უკან დახვევის გზას დაადგა და დააშვიდა: კარგი, კარგი, რახან არ გინდათ, შევწყვეტოთ ამაზე საუბარიო.

აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე რუსულად წაიკითხა ლექცია დოცენტმა ტიკაძემ. მეორე დღეს სტუდენტები აღარ მოვიდნენ ლექციაზე. მ. ლორთქიფანიძემ გაიგო ეს და მიმართა ტიკაძეს, რათა აღკვეთილიყო ეს უმსგავსობა. მ. ფუთურიძემ (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი) დაიბარა დოც. ტიკაძე და მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რატომ ჩაიდინე ეს საქციელიო. ტიკაძემ უთხრა: რა ექნა, პარტკომში დამავალესო (პარტკომია რ. გორდეზიანი).

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წაწყდა რექტორი ჩხიკვიშვილი მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე. ამ კათედრის თანამშრომლებმა ერთხმად განუცხადეს მას პროტესტი ამ რუსოფიკატორული ღონისძიების წინააღმდეგ. მაშინ ჩხიკვიშვილმა შეკრიბა ამ კათედრის თანამშრომლები და უთხრა: რახან არ თანხმდებით, ცენტრალურ კომიტეტში წამოდით და იქ გავარკვიოთო. ცენტრალურ კომიტეტში კი განუცხადეს განცვიფრებულ რექტორს და პროფესორმასწავლებლებს, რომ ასეთი მითითება სულაც არ მიუციათ უნივერსიტეტისათვის; რომ ეს ნებაყოფლობითი ამბავია, თუ მოისურვებენ, შეუძლიათ ჩაკეთხონ რუსულ ენაზე ლექციები და ა.შ. ამის შემდეგ დ. ჩხიკვიშვილმა გაუქმებულად გამოაცხადა თავისი 15 ივნისის დავალება.

ცხადია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველივე ამით ნიადაგის ზონდირება მოახდინა და რა დაინახა ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა, ჯერჯერობით უკან დახვევის ტაქტიკა არჩია.

თბილისის სახ. უნივერსიტეტმა და ყველა იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა თუ სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, რომელთაც უფლება აქვთ სამეცნიერო ხარისხების მინიჭებისა, უკვე მიიღეს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 დეკემბრის „Постановление №1067 о положении и порядке присуждения ученых степеней и присвоения ученых звании“, რომელსაც ხელს აწერს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინი და სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი.

ახალი დებულების მიხედვით აიკრძალა სამეცნიერო ხარისხების ძალაპოეებლად დისერტაციების შედგენა მშობლიურ ენაზე, ის აუცილებლად შედგენილი უნდა იყოს რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე უნდა იქნეს აგრეთვე დაბეჭდილი წინასწარ გამოქვეყნებული დისერტაციის ძირითადი დებულებანი და რუსულ ენაზევე უნდა ჩატარდეს დისერტაციების დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო მაძიებელს ნებას დართავს დაცვის დროს ილაპარაკოს მისი რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ანუ მშობლიურ ენაზე.

elibrary.nplg.gov.ge

დებულების 83-ე მუხლში ნათქვამია: „Защита диссертаций при согласии членов совета и опонентов может проводится на родном языке соискателя, Все документы по присуждению ученых степеней: Диссертации, авторефераты, документы личного дела, стенограммы заседании советов и т. п. представляется в ВАК СССР на русском языке. Если основные положения диссертации опубликованны на других языках народов СССР или иностранных языках к диссертациям в виде приложении должны быть приобщены ссответствующие переводы на русском языке“.

რამდენიმე თვის წინათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს გამოეცხადათ სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები რომელ საგანშიც არ უნდა იყოს, თუნდაც მშობლიური ენის, ისტორიის, ლიტერატურის, — უნდა დაიწეროს მხოლოდ რუსულ ენაზე და ამ განკარგულების ძალით თბილისის სტამბებიდან მოხსნეს ქართულ ენაზე დაწერილი ყველა სახელმძღვანელო, რომელიც სტამბაში იყო ჩაშვებული დასაბეჭდად. ე.ი. საქართველოს ისტორია, ქართული ენა, ლიტერატურა, ხელოვნების ისტორია ამიერიდან უნდა დაიწეროს რუსულ ენაზე.

სამხატვრო აკადემიის ერთი ფაკულტეტის რუსიფიკაციის ცდა

უნივერსიტეტის მწარე გამოცდილებამ ხელისუფლება აიძულა უფრო ფრთხილ და თვალთმაქცურ მეთოდებზე გადასულიყო. დღემდე არსებული წესის მიხედვით, სამხატვრო აკადემიაში ქართულ ენაზე ხდებოდა ყველა საგნის ჩაბარება და ყველა ფაკულტეტზე ქართულად მიმდინარეობდა სწავლება. წელს კი ინტერიერის ფაკულტეტზე მოაწყეს რუსული გამოცდები სპეციალურად არაქართველი სტუდენტებისათვის, ბოლოს 35 ქართველი აბიტურიენტი აღარ ჩარიცხეს და მიიღეს მხოლოდ შემდეგნი: დავლეთბეგოვი, სიმონიანი, პაპანიანი, მარკაროვი, გავრილიდი, ზაკალაშვილი (გადაკეთებული გვარი). ამ ფაქტებთან დაკავშირებთან კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა განაცხადა პროტესტი თავის განცხადებაში ჩერქეზიას მიმართ და აღნიშნა, რომ ეს არის არსებული წესის დარღვევა. ჩერქეზიამ ვითომ დიდად „გაიოცა“ ეს ფაქტი და დაწერა: „შეისწავლეთ და წამოაყენეთ წინადადება“. თუმც ეს ფაქტი არავის შეუსწავ-

ლია, რექტორმა თოთიბაძემაც წაუყრუა და „უნებლიეთ“ შემზადდა რუსული ფაკულტეტი სამხატვრო აკადემიაში ო. ჩერქეზიას ფარული მითითებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა დაწესებულებათა რუსიფიკაცია

დაწესებულებათა რუსიფიკაცია განსაკუთრებით ეტყობა ქართველ მემანქანეთა შტატების სიმცირეს და რუს მემანქანეთა შტატების გაზრდას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რუსული მასალა გაცილებით მეტია საბჭდი, ვიდრე ქართული. ასე მაგალითად, სახელმწიფო ბანკში დგას ათი რუსული მანქანა და ორი ქართული, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მემანქანეთა ბიუროში დგას ხუთი რუსული მანქანა და ერთი ქართული, ფინანსთა სამინისტროში ქართველ მემანქანეთა თვრამეტი საშტატო ერთეულიდან დღეისათვის დარჩა მხოლოდ სამი საშტატო ერთეული, მაშინ როდესაც სამინისტროში დგას ექვსი რუსული მანქანა! დაახლოებით იგივე სურათია სხვა სამინისტროებში და უწყებებში, ცეკაზე და მინისტრთა საბჭოზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მოქალაქენო! მოგვაწოდეთ ამგვარი დოკუმენტური მონაცემები დაწესებულებათა რუსიფიკაციისა, ვინაიდან ბოროტების მხილება მისი დაძლევის საწინდარია!

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა

როგორც ცნობილია, საბჭოური კონსტიტუცია აცხადებს ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში, თავის მხრივ არც ეკლესიას აქვს უფლება სახელმწიფოს საქმეებში ჩარევისა. ეკლესიის მხრივ ეს წესი სავსებით დაცულია, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი არა მხოლოდ ერევა ეკლესიის საქმეებში, არამედ გადააქცია იგი თავისადმი ყველაზე უფრო დაქვემდებარებულ დაწესებულებად. კულტურული თუ სამეურნეო ცხოვრების არც ერთი სფერო არ იმყოფება ხელისუფლების ადმინისტრატიული ორგანოების ისეთი მკაცრი კონტროლის ქვეშ, როგორც ეკლესია. ეს კონტროლი არაოფიციალურია, ფარულია და მით უფრო ეფექტური.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია ზემოთქმულის დასადასტურებლად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე დაიწყო უსასტიკესი რეპრესიები სამღვდელო პირთა მიმართ. 1922 წელს დაატყვევეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), რადგანაც მან მისწერა წერილი გენუის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც ამხილა წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და საბჭოთა რუსეთისთვის ძალით შეერთება 1921 წელს. პატრიარქი მალე გარდაიცვალა ციხი-

დან გამოსვლის შემდეგ (1925 წელს). 1924 წელს ქუთაისში დაბეჭდეს ეპისკოპოსი ნაზარი (ლეჟავა), ავკანყებულთა თანადგომისათვის. 1924-37 წლებში განადგურებულ იქნა ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი, დაიკეტა და დანგრეულ იქნა მრავალი ეკლესია. იმხანად სახელმწიფოს მთავარი მიზანი იყო საეკლესიო ქონების მეტაცება და ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოების განადგურება. თუმც დიდხანს ვერ მოხერხდა ეს. 50-იან, თვით 60-იან წლებშიც შეიძლებოდა ნახვა სამღვდელოების რიგებში ჭეშმარტად რწმენისათვის თავდადებული, უანგარო ადამიანებისა, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქრისტიანულ იდეალს. ასეთები იყვნენ მაგალითად, პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), მღვდლები: ალექსანდრე (გაბუნია), პართენი და სხვანი. ისინი მტკიცედ იდგნენ რწმენაზე, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა და შევიწროებისა ხელისუფლების მხრივ (წამება, დაპატიმრება, შანტაჟი, თვალყურის დევნება, პროვოკაციები, ჭორის გავრცელება, ქადაგების აკრძალვა, მძიმე გადასახადები და სხვა). მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ეკლესიის შიგნიდან გახრწნა, მის რიგებში შენიღბული აგენტების შეგზავნა (ამ პროცესს ზოგიერთნი „წითელი სამღვდელოების“ შექმნასაც უწოდებენ).

„წითელი სამღვდელოების“ განსაკუთრებული აქტივობა საქართველოში იწყება პატრიარქ ეფრემ II-ის განმგებლობის წლებიდან (1960-1972 წლები), რომელმაც თავისი კომპრომისსული, ოპორტუნისტული ქმედებებით ხელი შეუწყო სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. „წითელი სამღვდელოების“ გააქტივებამ გამოიწვია არნახული მორალური გახრწნა სასულიერო პირთა რიგებში. თვით პატრიარქი ეფრემ II ეწეოდა სიმონიას, ე.ი. საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობას. ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი მისი „კადრების პოლიტიკისა“. მეორეს მხრივ, ამ პოლიტიკას განაპირობებდა უშიშროების კომიტეტი და მინისტრთა საბჭოს რწმუნებული რელიგიის საქმეებში დ. შალუტაშვილი, რომელიც 1974 წელს მოხსნილ იქნა თანამდებობიდან მექრთამეობისათვის („პენსიაზე გასვლის“ საბაბით). საერთოდ, რწმუნებული ერთგვარი ქრთამის შუამავალია მთავრობის წევრებსა და ეკლესიის მსახურთა შორის. შალუტაშვილი მოხსნილ იქნა იმის გამო, რომ მისი მექრთამეობა გახმაურდა, ხოლო მთავრობას ეშინოდა თავის თავის კომპრომეტირებისა. ამის გამო, შალუტაშვილს დაბრალდა ყოველივე. იგი აღმოჩნდა „ეაცი განტევებისა“, ხოლო მთავრობამ ისე წარმოსახა საქმე, თითქოს შალუტაშვილი თვითნებურად იღებდა ქრთამს, მთავრობის მითითების გარეშე. სინამდვილეში იგი მხოლოდ შუამავალი იყო და აკავშირებდა ჯავახიშვილს, სირაძესა და ტირისკვეიჩს (მჟავანაძის ცოლი) ეფრემ II-თან, დავით დევდარიანთან და გაიოზ კერკენაშვილთან. შალუტაშვილის მეშვეობით „სუკი“ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) ამტკიცებდა „ეფრემ II-ის კადრებს“, რომელთაც მოეთხოვებოდათ არა მარტო ქრთამი და პოლიტიკური მორჩილება, არამედ... ჰომოსექსუალიზმიც (ამის ნათელი დადასტურებაა ჰომოსექსუალისტი ეპისკოპოსების: რომანოზ პეტრიაშ-

ვილისა და გაიოზ კერატიშვილის[5] არნახული წინსვლა სასულიერო კარიერის თვალსაზრისით. დღეს ორივენი მიტროპოლიტები გახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, ჰომოსექსუალიზმი მოეთხოვებოდათ მხოლოდ განსაკუთრებით მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირებს (ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს), რომელთაც, როგორც ცნობილია, უნდა დაიცვან „ცელიბატი", ე. ი. არ უნდა შეირთონ ცოლი. რაც შეეხება უბრალო საეკლესიო თანამდებობებს: მნათეებს, დიაკონებს, მღვდლებს — მათთვის საკმარისი იყო გარკვეული თანხის გადახდა და პოლიტიკური მორჩილება. ასეთი პირობები დაუთქვა სამღვდელოებას უშიშროების კომიტეტმა საარსებო პირობად.

ასე რომ, ჰომოსექსუალიზმი მოეთხოვებოდა მხოლოდ „შავი" სამღვდელოების წარმომადგენლებს. ამ პირობის გარეშე ეფრემ II თითქმის ყველას უარს ეუბნებოდა ბერად აღკვეცაზე, ხოლო „თეთრი" სამღვდელოების წარმომადგენლებს არ უყენებდნენ ასეთ „მაღალ" მოთხოვნებს (თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „თეთრი", ისე „შავი" სამღვდელოების უმრავლესობა არსით „წითელია").

1969 წელს ეფრემ II-მ არ აღკვეცა ბერებად სემინარიის კურსდამთავრებულნი ბ. ჯალაღონია და ი. ქათამაძე, ვინაიდან ისინი ზემოხსენებულ პირობებს არ აკმაყოფილებდნენ, რამაც გამოიწვია მორწმუნეთა დიდი აღშფოთება.

5 გაიოზ კერატიშვილის აღვარახსნილი საქციელი მხილებულ იქნა ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწის ბ-ნ დ. ქორძის, ისტორიკოს თეიმურაზ ჯვარშვილის, საპატრიარქოს თანაშრომლების, ღვთისმსახურების, მგალობლების, მრევლისა და სხვათა მიერ.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გადარჩენის მიზნით კერატიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დოკუმენტური მასალები გავრცელდა ქართული თვითგამოცემით. სკანდალური ფაქტები გამოქვეყნდა მსოფლიოს მრავალ ენებზე ოფიციალურ პრესასა და თვითგამოცემის ჟურნალებში.

1977 წლის 7 აპრილს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დაპატიმრებულ იქნენ სუკ-ის მიერ. მათ წინააღმდეგ აღიძრა საქმე №131 საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 71 მუხლის I ნაწილი (ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა). ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას პატიმრობა მძიმე ტკივილად დაუწვა მამიდელ ხელისუფლებას. მსოფლიოს პროგრესული ძალები აქტიურად იცავდნენ პოლიტპატიმრებს, ცდილობდნენ მათთვის წაყენებული სასჯელის შემსუბუქებას. სუკ-ი დაადგა არარადიციულ გზას, ზვიად გამსახურდიას მოთხოვნების გათვალისწინება აუცილებელი პირობა გახდა. სუკ-ის თავმჯდომარე აღ. ინაური უშუალო მონაწილე იყო არსებული სიტუაციის განმუხტვაში.

1978 წლის 5 მაისს სუკ-ის მიერ დაპატიმრებულ იქნა გაიოზ კერატიშვილი, რომელსაც დაუმტკიცდა ყველა დანაშაული, რომელსაც წლების მანძილზე ჩაჰადიოდა.

კერატიშვილის დაპატიმრებამდე ზვიად გამსახურდიამ ამ. ინაურთან შეხვედრაზე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის არჩევის საკითხის გადაწყვეტაც მოითხოვა. ერთადერთ კანდიდატად მიტროპოლიტი ილია შთოლაშვილი დაასახელა. 1977 წლის 23 დეკემბერს (ახ. სტილით) სინოდის მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად არჩეულ იქნა ილია შთოლაშვილი. იმავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია. ზვიადისა და მერაბის პატიმრობის პერიოდში მრავალი მოთხოვნა დადებითად გადაწყდა: ქართული ენის სახელმწიფოებრიობის; აფხაზეთის სუპარტიტული მოძრაობის წინააღმდეგ; ქართული მოსახლეობის გააქტიურება შესაბამისი ქმედებით; საინგილოს მოსახლეობის დისკრიმინაციის; საქართველოს კულტურის ძეგლების რესტავრაციის; ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში შეგზავნილი მექრამეების, ჯაშუშების, არაპოფესიონალებისა და სხვ. გაწმენდა (რედ. მ. ა.).

შემდეგ ბ. ჯალაღონიას მოსკოვის სემინარიაში სწავლისას გაუგზავნეს აგენტი სემინარისტები, რომელთაც მას ჰომოსექსუალისტური აქტი შესთავაზეს. ბ. ჯალაღონიამ ასტეხა დიდი ხმაური, რის გამოც იგი გარიცხეს სემინარიიდან, ხოლო მამათმავალი სემინარისტები არც დაუსჯიათ. დაახლოებით იმავე ჰპროოდში ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი სოხუმში მხილებულ იქნა მამათმავლობაში, მას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს რწმენებულმა ა. ლაგვილავამ ფარულად გადაუღო 23 ფოტოსურათი მამათმავლური აქტისა (სჩანს, ლაგვილავა არ იყო ინფორმირებული „კაგებეს“ მიერ, თუ რაოდენ „საჭიროა“ სამღვდელო პირთა მამათმავლობა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის). ამ ფოტოების საფუძველზე გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ დაწერა წერილი ეპისკოპოსის მამათმავლობის შესახებ და მხოლოდ ამის მერე გახდა იძულებული ეფრემ II, გადაეყვანა რომანოზი სხვა ეპარქიაში. რაც შეეხება გაიოზ კერატიშვილის მამათმავლობას, ამის შესახებაც დაიწერა არა ერთი ცნობა პროკურატურაში, მილიციაში, მინისტრთა საბჭოში და ა.შ. მაგრამ იგი დღესაც ხელშეუხებელია. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობენ ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები.

ჰომოსექსუალიზმის ფარული კულტი ეკლესიაში — სავსებით გასაგები მოვლენაა. ერთი რომ, სახელმწიფოს უკიდურეს მორჩილებაში ჰყავს ამგვარი სამღვდელო პირები და უმცირესი თვითნებობის შემთხვევაში ძალუძს მათი გამოაშკარაება და პასუხგებაში მიცემა. მეორეც, ჰომოსექსუალისტების გამრავლება სამღვდელოების წრეებში საუკეთესო საშუალებაა ეკლესიისა და საერთოდ, რელიგიის დისკრედიტაციისათვის.

ეფრემ II-ის დროს დაარსებული მცხეთის „სასულიერო სემინარია“ (ან უფრო სწორად, კურსები სამღვდელო პირთა მოშზადებისათვის) ანალოგიურად ეკიდებოდა და ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევის საქმეს. მიმღები კომისია მუდამ ცდილობდა მიეღო მხოლოდ „შესაფერისი“ კადრები, ე. ი. გონებრივად განუვითარებელი, ზოგჯერ პათოლოგიური ახალგაზრდები, ან ყოფილი სისხლის სამართლის დანშაკვეები და ავანტიურისტები, რომელნიც სამღვდელო კარიერას უყურებენ როგორც შემოსავლის წყაროს. მეორეს მხრივ, კომისია ყოველნაირად ცდილობდა და ცდილობს გზა გადაუკეტოს ნიჭიერ, პატიოსან, ჭეშმარიტად მორწმუნე ახალგაზრდებს, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, „საშიშ“ ხალხს. ძირეული პრინციპია აგრეთვე უმთავრესად რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდების მიღება და ქალაქელთაგან უარის თქმა. ამის შედეგად, ეფრემ II-ის დროს ბევრჯერ მოხდა მღელვარება მორწმუნეთა შორის, რაც ზოგჯერ ამბოხის სახესაც ღებულობდა (მაგალითად, ამბოხი მოხდა ჯალაღონიას ინციდენტის გამო).

დღეს სემინარიის რექტორია „მიტრაპოლიტი“ გაიოზი (ბიძინა კერატიშვილი), რომელიც პროკურატურამ და მილიციამ არაერთხელ ამხილა მამათმავლობაში და ქურდობაში. იგი 1966 წელს გაირიცხა ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაერცელებისათვის და სემინარისტ გ. მაისურაძის მოწამვლისათვის იმავე სემინარიიდან, რომლის რექტორიცაა იგი დღეს. იმჟამად ეს ყოველივე დაადგინა მცხეთის პოლიკლინიკის საექმო კომისიამ და მაშინდელმა რექტორმა,

მიტროპოლიტმა ილია შიოლაშვილმა იგი გარიცხა როგორც კრიმინალური ელემენტი. თუმც უშიშროების კომიტეტმა ისე შეატრიალა საქმე, რომ რამდენიმე წელიწადში თავად ილიას მოუხდა დატოვება რექტორის თანამდებობისა და მის ნაცვლად რექტორად მოგვეკლინა გარიცხული გიორგი უშიშროების კომიტეტის დახმარებით (ყოველივე ამის შესახებ იხ. პროკურორის თანაშემწის, დ.ქორიძის ცნობა, თ. ჯვარშვიშვილის ჩვენება და სხვა).

ხელისუფლების ამგვარმა პოლიტიკამ გამოიღო სერიოზული შედეგები. ეკლესიას თანდათან შუამცირდა მრევლი, ეკლესიები იკეტებოდა ზედიზედ, 35 მოქმედი ეპარქიიდან დღეს დარჩა მხოლოდ 5. ამჟამად საქართველოში სულ 44 მოქმედი ეკლესიაა (მაშინ, როდესაც იყო 5 ათასზე მეტი), აქედან თბილისში 6 ქართული ეკლესიაა, 5 რუსული და 1 სომხური. დღეს მთელ საქართველოში 100-მდე საეკლესიო პირია (ყველა თანამდებობის), კურსებზე სწავლობს ყოველწლიურად 13 კაცი. საქართველოს ეკლესიის უკიდურეს ჩაგვრაზე და დისკრიმინაციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს საეკლესიო ჟურნალი, მაშინ როდესაც ასეთი ჟურნალები არსებობს რუსეთში, სომხეთში, ბალტიისპირეთსა და უკრაინაში. საქართველოს ეკლესიას არ აქვს არაკანონი პუბლიკაციების უფლება (გარდა კალენდრისა), არ არსებობს სასულიერო სემინარია, ხოლო ის კურსები, რომელნიც მის მაგივრობას სწევენ, ახალგაზრდებს არაფერს ასწავლიან გარდა საეკლესიო რიტუალისა და ხუცური ანბანისა (ფიქტიურად არსებობს დანარჩენი საგნები: ეკლესიის ისტორია, საღვთო წერილი და სხვა, თუმც ლექციები ამ საგნებში არ იკითხება). კურსებზე სწავლობს ყოველწლიურად 13-მდე კაცი, ხოლო თვითეული გამოშვება უდრის სამ სამღვდელო პირს, რომელთაც ზემოხსენებული „შერჩევისა" და „გამოცდების" შემდეგ აკურთხებენ ხოლმე მღვდლებად.

დღეს საქართველოს ეკლესიას ორმაგი საფრთხე ემუქრება. ერთი სახელმწიფოს მხრივ, რომელსაც სურს მისი მოსპობა და ყველა არსებული ტაძრების გადაქცევა მუზეუმებად ან რაიმე „სასარგებლო" შენობებად (ბიბლიოთეკებად, სასპორტო დარბაზებად, საწყობებად და ა.შ.), რისი მაგალითებიც მრავლად არის თბილისსა და მთელ საქართველოში. მეორეს მხრივ, საქართველოს ეკლესიას ემუქრება ავტოკეფალიის, ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვა. ეს საფრთხე მას ემუქრება დღეს რუსული ეკლესიის მხრივ.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში რუსეთმა საქართველოს წაართვა არა მარტო პოლიტიკური, არამედ საეკლესიო დამოუკიდებლობაც. იმჟამად საქართველოში ქართველი პატრიარქების ნაცვლად რუსი ეგზარქოსები განმგებლობდნენ. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა ავტოკეფალია, რომელიც განმტკიცდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-21 წწ.). ამჟამად კი, რუსული სამღვდელოების რეაქციონერი წარმომადგენლები, ხედავენ რა საქართველო ეკლესიის დაძაბუნებას და დაკნინებას, კვლავაც იმედოვნებენ მის ხელში ჩაგდებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ეფრემ II-ს მაინც გააჩნდა საეკლესიო საქმის ცოდნა და სასულიერო განათლება, მან გამოსცა ახალი აღიქმა და ლოცვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება დღევანდელ პატრიარქს, დავით V-ს, მას არ გააჩნია საშუალო განათლებაც კი, იგი არის ქვაბავაზაკი, სამღვდელო სამოსით შენიღბული. თუ რარიგ გაიკაფა მან გზა კათოლიკოსის ტახტისაკენ, ამაზე მოგვითხრობს პროკურორის თანაშემწის, დ. ქორძის ცნობა და ერთ-ერთი მოწმის თ. ჯვარშეიშვილის ჩვენება (იხ. ქვემოთ). უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დღეს საქართველოს ეკლესიას მართავს არა იმდენად პატრიარქი დავით V, რამელიც ძალზე მოხუცია, ავადმყოფი და გონებასუსტი, არამედ „მიტროპოლიტი გაიოზი“ (კერატაშვილი), ნამდვილი სისხლის სამართლის დამნაშავე, სამღვდელო სამოსით შენიღბული, „წითელი სამღვდელოების“ ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელი საქართველოში (მისი საქმეების შესახებ იხ. აგრეთვე ზემოხსენებული დოკუმენტები).

უშიშროების კომიტეტის ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი მოქმედებაა სამღვდელო პირთა ჩათრევა აგენტურულ საქმიანობაში. ამას ისინი აღწევენ შანტაჟით, დაპირებებით, კარიერაში დახმარებით და ა.შ.

უშიშროების აგენტ სამღვდელო პირებს მოეთხოვებათ:

1. ყოველნაირი გარყვნილება და ზნედაცვეული მოქმედება: აღვირახსნილი ლოთობა, ჰომოსექსუალიზმი, გამომძალვობა, ანგარება, სიხარბე, მრეველის წვერია ცემა (უმთავრესად მოხუცი ქალების), შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, რათა ამით ანტიპათია გამოიწვიონ ეკლესიაში მომსვლელი ხალხისა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების თვალში და ამით სახელი გაუტეხონ რელიგიას.

2. თვალყურის დევნება და აღრიცხვაზე აყვანა ყველა მორწმუნისა და ეკლესიაში მოსული მოქალაქისა, გამოვლენა მათი ვინაობისა, სამუშაო ან სასწავლო ადგილისა, მით უმეტეს, თუ ისინი ახალგაზრდებია. დაბეზღების წერა როგორც პატრიარქისადმი, ასევე ყველა ინსტანციებში.

3. მოქალაქეთა დეზინფორმირება ეკლესიის ნამდვილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ყოველი მოვლენის ნათელ ფერებში წარმოსახვა, მთავრობისადმი მადლიერების ხმამაღლა გამოთქმა, ლოცვაში მთავრობისა და მხედრობის ხშირი მოხსენიება, ყოველგვარი მაამებლობა და მლიქნელობა.

4. ეკლესიის ნამდვილ გულშემატკივარ მორწმუნეთა დევნა, შეურაცხყოფა, გაძევება, მათზე დანარჩენი მრეველის ამხედრება, მათთვის ცილის დაწამება, ინტრიგების მოწყობა, გაჭორვა, სახელის გატეხვა, ყოველგვარი პროვოკაციების მოწყობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში მათ რეპრესიაში მონაწილეობა.

5. მართლმადიდებლური რიტუალების შემოკლება, დამახინჯება და გამასხარავება, განსაკუთრებით კი ნათლობის რიტუალისა (ასე მაგალითად: დიდფუნის ეკლესიაში ეპისკოპოსი გიორგი ნათლობის დროს ყოველგვარ ტაკიმასხარაობას სჩადის, რათა არასერიოზული განწყობილება შეუქმნის ეკლესიაში მომსელელებს, ხოლო დიდუნის ეკლესიის მღვდელი რომანოზი (ბიბილაშვილი) უკიდურესად მთვრალი ატარებს რიტუალებს, თავშეუკავებლად ღრიალებს ხალხის თანდასწრებით, ეკლესიაში გახსნილი აქვს პრიტონი და ლოთების თავშესაყრელი ადგილი, რაზედაც მას არავინ სჯის).

6. ქადაგებაზე უარის თქმა, რელიგიის შესახებ საუბრისათვის თავის

არიდება, როდესაც ვინმე შეკითხვებს იძლევა. საერთოდ, არასერიოზული დამოკიდებულება რელიგიისადმი, საქმოსნური და ანგარებიანი გადაწყვეტილებების გაწბრად ჩვენება ხალხისათვის.

აა, „წითელი სამღვდელოების" ძირითადი ნიშან-თვისებანი.

როგორც ცნობილია, საბჭოურმა კონსტიტუციამ გამოაცხადა სინდისის თავისუფლება და აგრეთვე თავისუფლება როგორც რელიგიური, ისე ანტირელიგიური პროპაგანდისა. მიუხედავად ამისა, თბილისში აღდგომის დღესასწაულზე 1973, 74, 75, 76 წლებში მილიციისა და კომკავშრის მუშაკთა გაერთიანებული რეიდები აკავებდნენ სალოცავად მოსულ ახალგაზრდებს და მიჰყავდათ იქვე მახლობლად გახსნილ „შტაბებში" დასაკითხად (ამის შესახებ იხ. ქვემით წერილი: „ბნელეთის ბრძოლა აღდგომის წინააღმდეგ"). საქართველოში მორწმუნე ახალგაზრდობის დევნაზე წერდა აგრეთვე მოსკოვური არაოფიციალური ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა" N27, N32, N34.

მუხედავად საქართველოს სამღვდელოების არნახული მორალური გაბრწნისა, მაინც დარჩა რამდენიმე სამღვდელო პირი, რომელნიც დაუპირისპირდნენ „წითელი სამღვდელოების მოქმედებას, როგორც ჭეშმარიტი და ერთგული ქრისტიანები. მრევლშიც გეხვდება ასეთი ადამიანები. თუმც უშიშროების კომიტეტისა და „წითელი სამღვდელოების" მესვეურნი ყოველნაირად ცდილობენ მათ დაშინებასა და საზოგადოებისაგან იზოლირებას. მთავრობა ცდილობს აგრეთვე, რომ ისინი გაამეცვოს პერიფერიებში, მოაშოროს მცხეთის და თბილისის ტაძრებს.

ერთ-ერთი ასეთი მღვდელი, ეიმტრო შალამბერიძე 1974 წელს გახდა მსხვერპლი აუტოკატასტროფისა, რომელიც მას მოუწყეს უშიშროების თანამშრომლებმა ბახტაძეს, თვალჭრელიძეს და „მიტროპოლიტმა" კერატიშვილმა.

ამ არნახულმა დანაშაულებმა და გარყვნილებამ, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს ეკლესიაში, მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და მრავალი პირის მოთხოვნითა და განცხადებებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დამნაშავეთა წინააღმდეგ ჯერ კიროვის რაიონის პროკურატურაში, ხოლო შემდეგ გადავიდა ქალაქის პროკურატურაში, თუმც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ალ. ინაურისა და სხვების აქტიური ჩარევით ეს საქმე შეჩერებულ იქნა (საქმის ნომერია 10654).

დამნაშავენი ჯერაც არ არიან დაპატიმრებულნი, თუმც კერატიშვილის დაპატიმრებას დღესაც მოითხოვს თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი ლ. სამაგლიშვილი, ხოლო რესპუბლიკის პროკურორი ლ. თალაკვაძე არ აძლევდა სანქციას, უშიშროების კომიტეტის მიერ დაშინებული. ჩეკისტები ემუქრებიან აგრეთვე მოწმეებს და ურჩევენ გაჩუმებას.

1975 წელს დაუპატიმრეს ისტორიკოსი თ. ჯუარშეიშვილი. დანარჩენ ფაქტებს უშიშროების კომიტეტის „მოღვაწეობის" შესახებ ქართულ ეკლესიაში გვამცნობენ ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საქართველოს საპატრიარქოში მომხდარი დანაშაულების შესახებ)

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პროკურატურის წარმოებაში იმყოფება შემოწმების მასალები საქართველოს ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის და საპატრიარქოს მდგომარეობის შესახებ.

შემოწმებას საფუძვლად დაედო ქრისტეს მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი საჩივარი და განმარტებანი, რომლებშიც მითითებულია ქართული ქრისტიანული ეკლესიის გადაგვარების გზაზე დადგომისა და იმის შესახებ, რომ საპატრიარქოდან დატაცებულ იქნა დიდი ოქენობით ქონება, ძვირფასი საეკლესიო ნივთების: ხატების, ჯვრების, პანაღიების, ბარძიმ-ფეშხუმის, ბიბლიოთეკის, ფულის, ნახატი სურათების და სხვა სახით; მათ შორის ფასეულობისა, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ და საუკუნეების მანძილზე ინახებოდა, როგორც ერის კუთვნილი სიმდიდრე.

შემოწმების ჰერიოდში გამოკითხული იქნა მრავალი პირი, როგორც ეკლესიის მსახურნი, ასევე მორწმუნეები, დაინტერესებული ეკლესიის ბედით. გარდა ამისა, ამოღებულ იქნა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებსაც მტკიცებითი ძალა აქვთ.

აღნიშნულ პირთა განცხადებით, იმის შემდეგ რაც სრულიად საქართველოს პატრიარქი ეფრემ II გარდაიცვალა და მისი ადგილი დავით V-მ, ხარიტონ ჯიბრაელის ძე დევდარიანმა დაიკავა, ქართული ეკლესია გახრწნის გზას დაადგა, კერძოდ:

რიგ ეკლესიებში ახალი პატრიარქის მიერ დაბრუნებული იქნენ ანგარებითი ქმედობისათვის, გარყვნილებისათვის, ლოთობისათვის და სხვა დანაშაულობისათვის ეკლესიიდან ადრე განდევნილი პირები, რომლებიც განაგრძობენ აღნიშნულ საქციელს, რაც ღვთის მსახურისათვის განსაკუთრებით მიუღებელია.

წირვა და გალობა ეკლესიებში ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობს, რაც წარმოადგენს ცდას ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მისი კვლავ რუსეთის ეკლესიისადმი დამორჩილებისა.

ძველები სისტემატურად არღვევენ ღვთის მსახურების წესებს: წირვის, მონათვლის, ქორწინების და სხვა სახის რიტუალებს ატარებენ შემოკლებით; ხალხს დაწესებულზე მეტ ფულს ახდევინებენ. ზოგი მათგანი კი ეკლესიის შენობაში რჩება ღამის გასათევად, ეწევა გარყვნილებას და ლოთობას.

ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი:

მოქ. სონია ველთაური (55 წლის) ავადმყოფია და უპატრონო. პოლიკლინიკის მიერ აყვანილია პატრონაჟზე და თვიურად 21 მანეთს ღებულობს. ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე იგი ქაშუეთის ეკლესიაში მივიდა, სადაც სამი სეფისკვერი შეიძინა და ფულთან ერთად (10 კაპიკი) დაწყო მიჩნეულ ადგილზე,

რათა წირვის დროს მისი მიცვალებულიც ეხსენებინათ. სანთლის გამყიდველმა მას დავა დაუწყო იმაზე, რომ ფული ცოტა გაიღო. ველთაური თავის იმედი იქარ-თლებდა, რომ მეტის საშუალება არ ჰქონდა. კამათის დროს ადგილზე მივიდა ხარიტონ დევდარიანი, რომელიც მაშინ ქაშუეთის ეკლესიის მღვდელ-წინამძ-ღვარი იყო, და გაიგო რა კამათის მიზეზი, ველთაურს განუცხადა: ორი შაუ-რით შენი მკვდრები არ ცხონდებიანო. სანთლის გამყიდველს კი უთხრა, რომ ამისთანები გააგდეთ გარეთ და აქ აღარ შემოუშვაოთ. ველთაურმა ეკლესიიდან გამოძევების წინ დევდარიანს განუცხადა: ეს ეკლესიაა თუ სასპეკულაციოო და ამ შემთხვევის შემდეგ ქაშუეთის ეკლესიაში სიარული შეწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ სანთლის დასამზადებლად საპატრიარქოსთან სპეციალურად არის მოწყობილი საამქრო, მაგრამ ეკლესიის ზოგი მსახური თვითონაც ამზადებს სანთლებს და დამოუკიდებლად ახდენს მის რეალიზაციას, რითაც მკვეთრად მცირდება ეკლესიის და ასევე სახელმწიფოს ფულადი შემოსავალი.

აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს აგრეთვე ის, რომ მორწმუნეთა ნაწილ-მა შეწყვიტა ეკლესიებში სიარული და ლოცვას განაგრძობენ მათ მიერ ცალკე მოწყობილ სექტებში.

თვით ამჟამინდელ კათალიკოს-პატრიარქს დავითს, მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო დებულებაში (XX მუხლი) წერია: „საკათალიკოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მოძზადება“, არც საერო და არც სასულიერო განათლება არ გააჩნია; ეკლესიაში მოსვლამდე იგი რკინიგზის ხაშურის სადგურში ღვეზელე-ბით ვაჭრობდა. მისი კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე დადგომა არა-კანონიერ ვითარებაში მოხდა:

ეფრემ II სიცოცხლეში, მორწმუნეებთან პირადი საუბრის დროს და ასევე საჯაროდაც, ყოველთვის აცხადებდა, რომ ერთადერთი პირი, რომელმაც ის უნდა შეცვალოს, არის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი. ამ უკანასკნელს უმაღლესი საერო და სასულიერო განათლება აქვს, ამასთან ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის ახალგაზრდა, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით და პატივის-ცემით როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მორწმუნეთა შორის.

სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ეფრემ II დაწერა ანდერძი, რითაც სინოდის წინაშე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კანდიდა-ტად ილია შიოლაშვილს აყენებდა. ეს ანდერძი განადგურებულ იქნა ხარიტონ დევდარიანისა და მისი მომხრეების მიერ, რის მაგიერად დევდარიანის სახელზე შედგა ახალი ყალბი ანდერძი და სინოდზე ეს ანდერძი იქნა განხილული.

საეკლესიო დებულების თანახმად სინოდის წევრებად ითვლებიან ყველა მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, რომელთა უკლებლივ დასწრების გარეშე სინოდი უფლებამოსილი არ არის მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება. ეფრემ II-ის გარდაცვალების მომენტისათვის საქართველოს ორი მიტროპოლიტი ჰყავდა: ილია შიოლაშვილი და ხარიტონ დევდარიანი, ხოლო ეპისკოპოსები: რომანოზ პეტრიაშვილი, ბიძინა კერატიშვილი და ზინობი მაჟუგა (ალექსანდრე ნეველის

ეკლესიის წინამძღვარი).

სინოდის სხდომა 1972 წლის 7 აპრილს, ეფრემ II-ის გარდაცვალებიდან ორი საათის განმავლობაში იქნა მოწვეული ხარიტონ დევდარიანის მიერ. სხდომის ასე დაჩქარებით მოწვევა სხვა არაფრით არ იყო გამოწვეული, გარდა ხარიტონ დევდარიანის კათოლიკოსის მოსაყდრედ სასწრაფოდ გახდომისა. მიზეზი ამისა ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ კათოლიკოსის მოსაყდრედ (კანდიდატად) სინოდის სხდომაზე ილია შიოლაშვილი არ დაესახელებინა ვინმეს.

სინოდის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად არ იქნენ მოწვეული მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი და ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი, რაც დაუშვებელი იყო.

ამრიგად, აღნიშნულ დღეს სინოდის სხდომაზე, საქართველოს კათოლიკოსის კანდიდატის „არჩევნებში" მონაწილეობა მიიღეს: ხარიტონ დევდარიანმა, ბიძინა კერატიშვილმა და ზინობი მაჟუგამ. სხდომას აგრეთვე, როგორც ეკლესიის საქმეთა რწმუნებულ დ. შალუტაშვილს წარმომადგენელი, სათათბირო ხმით ესწრებოდა ილია ჭეიშვილი (მასზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი). ყოველივე ეს საეკლესიო დებულების აბუჩად აგდებას წარმოადგენდა, რადგან: ხარიტონ დევდარიანი თავისი კანდიდატური სასარგებლოდ ხმას ვერ მისცემდა და ამის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლებით დარჩა მხოლოდ ორი „ამომრჩევი"...

სინოდის სხდომის ოქმზე, როგორც გამოირკვა, ხელი შემდეგ მოაწერინეს ეპისკოპოს რომანოზ პეტრიაშვილს, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ზინობი მაჟუგას, ასევე რომანოზ პეტრიაშვილს, კათოლიკოსობის ცრუ კანდიდატმა დავითმა, საეკლესიო კრების მიერ კათოლიკოსად მის არჩევამდე ორიოვე თვითონ მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

ჩემს მიერ მასალებზე დასართავად, საპატრიარქოდან ოფიციალურად იქნა გამოთხოვილი სინოდის 1972 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმი, მაგრამ ეს დოკუმენტი არ გადმოგვიგზავნეს. პატრიარქმა დავით V-მ, მის მიერ ხელმოწერილ პასუხში მიუთითა, რომ:

„ ...სინოდის სხდომის ოქმს ვერ გაახლებთ, რადგან მისი დედანი სხვა საბუთებთან ერთად საპატრიარქო კანცელარიიდან მოიპარეს და ჩვენთან აღარაა..."

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის არჩევისას წესის მიხედვით უნდა დასწრებოდნენ სემინარიელები, მაგრამ დავითმა, რწმუნებულ დ. შალუტაშვილის დახმარებით არ დაუშვა ეს, რადგან სემინარიელები წინააღმდეგნი იყვნენ მისი კანდიდატურისა და ემხრობოდნენ ილია შიოლაშვილს.[6]

ილია ჭეიშვილი იურისტია, იგი ადრე ადვოკატად მუშაობდა და ქრთამის აღებისათვის სასამართლოს განაჩენით პატიმრობაში იმყოფებოდა. იგი ყოველთვის ძლიერ ახლო დამოკიდებულებაში იყო რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან დ. შალუტაშვილთან. უკანასკნელის დახმარებით იგი წლების მანძილზე ითვლებოდა საპატრიარქოს იურისკონსულტად, სინამდვილეში იქ ჯამაგირს

6 უფრო სავარაუდოა, რომ ეს არ დაუშვა უშიშროების კომიტეტმა, რათა არ გახმაურებულიყო დევდარიანის კურთხევის უკანონობა (რედ. შენ.).

ტყვილად ღებულობდა და სემინარიაში მუშაობდა მასწავლებლად. ჭეიშვილი ეფრემ II-ის და ილია შიოლაშვილის მოწინააღმდეგე იყო და მალულად ეკლესიადევდარიანის დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა.

1971 წელს ეფრემის ინიციატივით იგი ჩამოსცილდა ეკლესიას (სემინარიასაც და საპატრიარქოსაც), ე. ი. 1972 წლის აპრილში, როცა სინოდის სხდომას ესწრებოდა, არაფერი არ კაკავშირებდა ეკლესიასთან. მაგრამ ეფრემის გარდაცვალებისთანავე შალუტაშვილის წინადადებით დავითის მიერ იგი კვლავ დაინიშნა საპატრიარქოში იურისკონსულტად. ეფრემი დილის 7 სააზზე გარდაიცვალა. შეიტყო რა ამის შესახებ, ჭეიშვილი მაშინვე გამოცხადდა საპატრიარქოში და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საპატრიარქოს გაძარცვაში.

პატრიარქ დავით V-თან ახლო მდგომ პირთაგან აღსანიშნავი არიან მღვდლები: სიონის ეკლესიაში მომუშავე პახუმ ობოლაძე, ტერზიევი, პეტრე-პავლეს ეკლესიიდან და გიორგი ჩაჩუა. ღვთის მორწმუნეებში ისინი ცნობილი არიან როგორც ლოთები და გარყვნილი საქციელის მქონე პირები. ტერზიევი და ობოლაძე აქტიური მონაწილეები იყვნენ საპატრიარქოს და ეფრემ II-ის ქონების დატაცებისა. ხალხში გავრცელებულია ხმები, რომ ტერზიევი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მიცვალებულებს ძარცვავს.

რაც შეეხება გიორგი ჩაჩუას, იგი ლოთობდა და საყვარლები ჰყავდა. ამ ნიადაგზე სისტემატურად სცემდა თავის ცოლს. 1973 წლის 2 მარტს, როცა სახლში მთვრალი დაბრუნდა და ჩვეულებისამებრ ცოლს ცემა დაუწყო, დანით მოკლულ იქნა მისივე 17 წლის ვაჟის მიერ.

ამ პირთაგან, რომლებმაც თავიანთი ბნელი წარსულის შემდეგ მოახერხეს ეკლესიისათვის თავის შეფარება, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს სიონის ახლანდელი ეპისკოპოსი, წილკნის ეპარქიის მმართველად წოდებული, გაიოზი (ბიძინა ტატიკოს ძე კერატიშვილი). მისი წარსული ასეთია:

დაბადებულია 1945 წელს. დამთავრებული აქვს საგარეჯოს საშუალო სკოლა. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ 1968 წლამდე მარტო II კურსზე გადასვლა შეძლო და იმავე წელს გაირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, თუმცა მრავალი პირის განცხადებით უნივერსიტეტიდან გარიცხვის მიზეზს ფაქტიურად წარმოადგენდა მისი პასიური მამათმავლობისადმი მიდრეკილების მხილება.

1969 წლის იანვარში ბიძინა კერატიშვილი მსჯავრდადებულ იქნა საგარეჯოს რაიონის სახ. სასამართლოს მიერ საქართველოს სსრკ 209 მუხლის II ნაწილით იმისათვის, რომ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს შეუკარდა სამუშაო ოთახში და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

1969 წელს კერატიშვილი მცხეთის სასულიერო სემინარიაში მოეწყო, მაგრამ იმავე წელს სემინარიის რექტორის ბრძანებით გაირიცხა სემინარიიდან ნარკოტიკული ნივთიერების მიღებისა და გაურცელებისათვის. ამის შემდეგ ბიძინა კერატიშვილმა მოახერხა შეცდომაში შეეყვანა აწ განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი და იმავე 1969 წელს საპატრიარქოში დაიწყო მუშაობა უბრალო თანამდებობაზე (უმცროს მდივნად).

ჯერჯერობით გარკვეული არ არის, როგორ შეძლო კერატიშვილმა ეფრემ

II-ის დაყოლიება ყველაფერზე, მაგრამ დადგენილია, რომ ეფრემმა იგი 1971 წლის ნოემბერში ბერად აღკვეცა, იმავე წლის დეკემბერში ჯერ დიაკვნად და შემდეგ მღვდელ-მონაზვნად აკურთხა, ხოლო 1972 წლის 26 მარტს მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ლოგინდან ადგა, თვითონ ჩაატარა წირვა და ბიძინა კერატიშვილი ეპისკოპოსად აკურთხა. ამის შემდეგ იგი სრული ბატონ-პატრონი გახდა საქართველოს საპატრიარქოსი, ვინაიდან 1971 წლის ბოლო თვეებიდან ეფრემი მძიმე ავადმყოფობის გამო, ლოგინზე იყო მიჯაჭვული და საქმეებს ვერ განაგებდა.

მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი ეფრემ II-ის სიკვდილამდე, ზემოთ ხსენებული ილია შიოლაშვილი იყო, მაგრამ იგი აიძულეს დაეტოვებინა სემინარია და სამუშაოდ აფხაზეთის საეპარქიოში გადასულიყო, სემინარიას კი ამჟამად რექტორობს ხარიტონ დევდარიანი, რომელსაც სასულიერო განათლება არა აქვს.

ამ საკითხზე გამოკითხული პირები თავიანთ ახსნა-განმარტებებში მიუთითებენ, რომ სემინარიაში სწავლება ძალიან დაბალ დონეზე დგას; დევდარიანმა პირველ რიგში სემინარიიდან განდევნა ყველა ის პირი, რომელსაც თავისი აზრი ჰქონდა გამოთქმული მისი პიროვნების შეუფერებლობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობისათვის.

აღნიშნული პირები აცხადებენ აგრეთვე, რომ ამჟამად სემინარიაში მიმდინარეობს სწავლება ძირითადად იმ მიმართულებით, რომ მსმენელები დაეუფლონ ნათლობას, წესის აგებისა და სხვა მსგავსი რიტუალების შესრულებას, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა საგნების სწავლებას, რაც სემინარიის მოსწავლეთ ზოგად განათლებას მისცემს, ნაკლები ყურადღება ექცევა.

თვით სემინარია დაკომპლექტებულია პედაგოგებით, რომელთაც სათანდო განათლება არ გააჩნიათ, ზოგი მათგანი წარსულში იმყოფებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა.შ.

საპატრიარქოს გაძარცვა ძირითადად ეფრემ II-ის გარდაცვალების დღეებში მოხდა. დატაცებულ იქნა არა მარტო საპატრიარქოს დიდძალი ქონება, რაც სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა, არამედ თვით ეფრემ II-ის კუთვნილი ძვირფასი ნივთები, ბიბლიოთეკა, ნაშრომები, დიდი ოდენობით ფული და სხვა. გაძარცვის წინ სინოდმა გადაწყვეტილება მიიღო აღეწერათ საპატრიარქოს ქონება და ამ მიზნით თხოვნით მიმართეს მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულს დ. ა. შალუტაშვილს, მაგრამ მას ამ მიმართულებით რაიმე რეაგირება არ მოუხდენია. გარდა ამისა, იმასთან დაკავშირებით, რომ საპატრიარქოდან წმინდა ნინოს პანაღია დაიკარგა, მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილის განკარგულებით დაილუქა საპატრიარქოს რამდენიმე ოთახი და სეიფები, მაგრამ კერატიშვილმა შეძლო დაეყოლიებინა ეფრემ II ლუქების ახსნაზე.[7]

იმის გამო, რომ საპატრიარქოს ქონება აღრიცხული არ იყო და კონკრეტულ პირს არ ჰქონდა ჩაბარებული, შეუძლებელი გახდა იმის გარკვევა, თუ

7 ეს პანაღია ერთი წლის შემდეგ ვითომდაც „იპოვნა" საპატრიარქოს ოთახების დამლაგებელმა ნიხლის ქვეშ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პროკურატურამ დაეინებით მოითხოვა პანაღია (რედ. შენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა რაოდენობის ქონება იქნა დატაცებული. დადგენილია მარტო ის, რომ საპატრიარქოში ყველაფერი ბიძინა კერატიშვილის ხელში იყო მოქცეული და მისი შეკითხვის გარეშე საპატრიარქოში ავადმყოფ ეფრემთან მისი ნახვასვებიც კი ვერ შედიოდნენ. როგორც ნათესავები, ასევე სხვა პირებიც ადასტურებენ, რომ ეფრემს ბალაშის ქვეშ შენახული ჰქონდა თავისი სამარხი 25 ათას მანეთამდე ფული (ახალი კურსით), რაც მისი სიკვდილის წინ აღარ აღმოჩნდა ადგილზე.

რა რაოდენობის ქონება დაიტაცა საპატრიარქოდან პირადად ბიძინა კერატიშვილმა, როდის ან სად წაიღო იგი, დადგენილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ: ბიძინა კერატიშვილი საპატრიარქოში მისვლისას ძლიერ ხელმოკლედ ცხოვრობდა, იგი ღამეს ათევდა სიონის სამრეკლოში და პატრიარქის ნაწყალობევი (ნარჩენი) პროდუქტებით იკვებებოდა.

ეფრემ II-ის გარდაცვალებისთანავე კერატიშვილმა ქ. თბილისში ჭიორეხის ქ. N7-ში მოქ. გაიკ ჯანიანისაგან შეისყიდა რამოდენიმე ოთახისაგან შემდგარი ბინა ყოველგვარი სათავსოებით, რაშიც მისი განცხადების მიხედვით 10 ათასი მანეთი გადაიხადა. ბინა აგრეთვე მოწყობილია კარგი ახალი აივნებით.

ეფრემ II-ის გარდაცვალებისთანავე კერატიშვილის ხელმძღვანელობით დეტალურად გაჩხრეკილ იქნა მთელი საპატრიარქო, საიდანაც ეზოში როგორც ნაგავი, დასაწვავად გადმოყრილ იქნა ეფრემ II-ის კუთვნილი საბუთები და ნივთები, რაც მათთვის რაიმე **ინტერესს არ წარმოადგენდა**. გადაყრილ საბუთებს შორის აღმოჩნდა ეფრემ II-ის ხელით შევსებული ჟურნალი მისი იმ პირადი ქონების აღრიცხვისა, რაც საპატრიარქოში ინახებოდა. ჟურნალიდან, რაც ამჟამად მასალებზეა დართული, მთლიანად ამოჭრილია 15 ფურცელი, რომლებზეც აღნუსხული იყო ფასეულობათა დასახელება და რაოდენობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეფრემ II გარდაიცვალა 1972 წლის 7 აპრილს. მეორე დღესვე ბიძინა კერატიშვილმა საგარეჯოს რაიონიდან სასწრაფო დეპეშით თბილისში გამოიძახა თავისი ძმა, გივი კერატიშვილი (დეპეშის დედანი ამოღებულია და მასალებს ერთვის). ამ საკითხზე გამოკითხულმა პირებმა მიუთითეს, რომ კერატიშვილმა თავისი ძმა სპეციალურად მოიწვია თბილისში იმ მიზნით, რომ გაეტანებინა მისთვის საპატრიარქოდან დატაცებული ქონება, მაგრამ კონკრეტულად რა გაატანა, რამდენი და როდის, ეს ჯერ დადგენილი არ არის.

ერთ-ერთმა მლოცავმა ქალმა თავისი ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებაში დაადასტურა, რომ ეფრემის დაკრძალვიდან რამოდენიმე დღის შემდეგ კერატიშვილმა პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელს, ტერზიევს საპატრიარქოდან ორი დიდი ჩემოდნით გაატანა რაღაც ქონება, რაც უკანასკნელმა მსუბუქი ავტომანქანით წაიღო სიონის ეკლესიიდან. მან აგრეთვე ჩაიწერა ამ ავტომანქანის ნომერი.

აღსანიშნაცია, რომ კათოლიკოს-პატრიარქ დავითს ამჟამად მიუხედავად იმისა, რომ პირად სარგებლობაში ჰყავს საპატრიარქოს კუთვნილი ავტომანქანა „ვოლგა“ (უკანასკნელი გამოშვება), პირადად მასზე 1971 წლის 9 დეკემბრიდან ირიცხება მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“, ხოლო მის შვილზე, გიორგი ხარატონის ძე დევდარიანზე 1971 წლის 21 სექტემბრიდან ირიცხება ავტომანქანა „ვოლგა“; იგი აგრეთვე სარგებლობს მეორე ავტომანქანა „ვოლგით“, რაც

თბილისში მცხოვრების, გრიგოლ ჭკადუას სახელზეა გაფორმებული. საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული ავტომანქანების შეძენა ემთხვევა ეფრემ II-ის მძიმედ ავად გახდომას და საპატრიარქოს საქმიანობის ბიძინა კურატაშვილის მიერ ხელში ჩაგდების პერიოდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჭკადუა ეფრემ II-ის დროს მანგლისის ეკლესიაში მუშაობდა მღვდლად, შემდეგ კი მიატოვა ეკლესია. ახალმა პატრიარქმა დავითმა იგი მოიწვია და ქაშუეთის მღვდელ-წინამძღვრად დააყენა. მანგლისის ეკლესიაში კი ჭკადუას ადგილზე დავითმა გაგზავნა თბილისის დიდი ბარბარეს ეკლესიის მღვდელი, საშუალო საერო განათლების მქონე და სასულიერო სემინარია დამთავრებული, გულიაშვილი. ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ გულიაშვილი არ მიეკუთვნებოდა მის მომხრეთა წრეს და განცხადებული ჰქონდა, რომ არ სცნობს დავითს, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. გულიაშვილის ადგილზე, თბილისის დიდი ბარბარეს ეკლესიის მღვდლად, დავითმა დანიშნა გიორგი კალასოვსკი, რომელიც ეფრემ II-ის მიერ განდევნილი იყო ეკლესიიდან გარყვნილებისა და სხვა ბოროტებათა ჩადენისათვის.

გამოკითხული პირები თავიანთ ახსნა-განმარტებებში ერთნაირი თანამიმდევრობით და დამაჯერებლობით ირწმუნებიან, რომ ყოველი ბოროტება, რაც მოხდა, დაწყებული საპატრიარქოს გაძარცვიდან და დავითის უკანონოდ პატრიარქად გახდომიდან, დამთავრებული იმ უკანონობით, რაც დავითის დროს კეთდება, მოხდა და ხდება ეკლესიის საქმეთა რწმენებულის დ. ა. შალუტაშვილის ნებართვითა და ხელის შეწყობით, რაშიც მას, ილია ჭეიშვილის ხელით ფულისა და საჩუქრების სახით, დიდი რაოდენობით ქრთამი აქვს მიღებული.

არაოფიციალური მონაცემების მიხედვით, ზემოთ მოყვანილ ვითარებათა წარმართვაზე გარკვეული გავლენა მოახდინა რესპუბლიკის სახ. უშიშროების კომიტეტის ზოგიერთი წარმომადგენლის ჩარევამ, კერძოდ:

ეფრემ II-ის გარდაცვალების წინ სიონში გამოცხადდა კომიტეტის წარმომადგენელი და მღვდელ პახუმ ობოლაძესთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ილია შიოლაშვილის კანდიდატურა არ დასახელდეს და კათოლიკოს-პატრიარქად დავითი გავიდესო.

პატრიარქის არჩევნების წინ მცხეთის სასულიერო სემინარიაში გამოცხადდა კომიტეტის სამი მუშაკი და სემინარიის მაშინდელი რექტორი შიოლაშვილი კატეგორიულად გააფრთხილეს, არჩევნებზე არც ერთი სემინარიელი არ დაინახოთო.

კომიტეტის მუშაკმა ბახტაძემ სიონის ეკლესიის მუშაკს ავთანდილ სამხარაძეს დავა დაუწყო იმის შესახებ, რომ უკანასკნელმა უკმაყოფილება გამოთქვა კათოლიკოსად დავითის კანდიდატად წამოყენებასთან დაკავშირებით.

როცა სამხარაძემ საქართველოს კპ ცკ-ში, მინისტრთა საბჭოში და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საჩივრები შეიტანა დავითის კათოლიკოსად გახდომაზე, საპატრიარქოს გაძარცვაზე, ბახტაძემ იგი კომიტეტში გამოიძახა და დამუქრება დაუწყო, ხოლო დავითმა სამხარაძე გააძევა საპატრიარქოდან.

კომიტეტის განყოფილების უფროსმა თვალჭრელიძემ საპატრიარქოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საპატრიარქოს საგანძურიდან საჩუქრად

ძვირფასი ნივთი მიიღო.

ქუთაისის ეკლესიის გუნდის მომღერალი პაშა ლანდია, პარტიის ცკ-ის ყოფილი მდივნის, ცხაკაიას ნათესავი. მისი მეშვეობით დევდარიანი, შალუტაშვილი და მათი მომხრეები დაუკავშირდნენ ცკ-ის ყოფილი მდივნის, მჟავანაძის ცოლს, რომელმაც გარკვეული დახმარება აღმოუჩინა მათ რიგი საკითხების მოგვარებაში და გასამრჯელოდ ძვირფასი ნივთები მიიღო.

ეფრემ II-ის საკვდილის შემდეგ მისმა ერთადერთმა ძმამ, ვლადიმერ სიდამონიძემ საპატრიარქოს წინაშე საკითხი დააყენა მიეცათ მისთვის ეფრემის კუთვნილი ნივთები და ფული. საპატრიარქოში, როგორც ამას რამდენიმე პირი ადასტურებს, ინახება ეფრემის სახელზე გაფორმებული 6 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი, დიდი ოდენობის თანხაზე. გარდა ამისა, ეფრემი მრავალი წლის განმავლობაში ბუღალტერიაში ხელფასიდან (200 მანეთი თვეში) შესანახად ყოველთვიურად ტოვებდა გარკვეულ თანხას (40-60 მან.). მას აგრეთვე ჰყავდა საკუთარი ავტომანქანა და ჰქონდა ძვირფასი ნივთები. მაგრამ დავითმა ბიძინა კერატიშვილის მიერ შედგენილი წერილით უარი განუცხადა ეფრემის ძმას ქონების გაცემაზე, მოიშველია რა XVI საუკუნეში კონსტანტინეპოლის წმინდა კრების დადგენილება, რომლის ძალით ბერის ქონება მისი საკვდილის შემდეგ ეკლესიას რჩება.

ამ დღეებში ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის შალუტაშვილის ინიციატივით საპატრიარქოში და თბილისის ეკლესიებში განხრახულია რევიზიის ჩატარება, რაც გამიზნულია საპატრიარქოდან ქონების დატაცების კვალის წაშლისათვის. ამიტომ მიზანშეწონილია რევიზიის სხვა უწყების მიერ ჩატარება, შსს-ს სოც. საკუთრების დატაცებასთან მებრძოლი განყოფილების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დანაშაულებრივ ქმედობათა კონკრეტული ფაქტების დადგენის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და გამოძიების ჩატარება დაევალოს გამოცდილ, კვალიფიციურ გამომძიებელს, რომელსაც გამოძიების ინტენსიურად და ხარისხიანად ჩატარების მიზნით, უნდა მიემაგროს რამდენიმე გამომძიებელი (გამოძიება უნდა ჩატარდეს ბრიგადული წესით).

2. გამოძიების დაწყებისთანავე საქმეში ჩართული უნდა იქნენ სახ. უშიშროების კომიტეტის ან შსს-ს სათანადო განყოფილებების მუშაკები, რომლებმაც გამომძიებელთან ან უშუალო კონტაქტში უნდა ჩაატარონ რიგი საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა.

3. საპატრიარქოში, საეპარქიოებში, ეკლესიებში და სხვა მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში (წარმოებებში და სხვა) დაუყოვნებლივ ერთდროულად უნდა ჩატარდეს მოულოდნელი, დოკუმენტური რევიზია მათი სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობისა. უნდა მოხდეს ამჟამად არსებულ მატერიალურ ფასეულობათა სრული ინვენტარიზაცია და აღწერილი ქონება ჩაბარდეს სათანადო პირს.

4. შესწავლილი უნდა იქნეს ეკლესიის მსახურთა პიროვნება, მათი წარსული და დაისვას საკითხი ეკლესიიდან იმ პირების განდევნის შესახებ, რომელთაც

სარწმუნოებასთან, ღვთის ან ხალხის ნამდვილ მსახურებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ და ეკლესიასთან მიტმასნებულნი არიან მხოლოდ ანგარებით ან სხვა ბოროტი მიზნით.

5. აუცილებლად დეტალურ შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს საქმიანობა სსრკ მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულისა საქართველოში. შემოწმების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მასთან თავმოყრილია უამრავი საჩივარი საპატრიარქოს ეხლანდელი ხელმძღვანელობის, თვით მისი და სხვა პირების დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ. ეს საჩივრები მის მიერ ყოველგვარი ყურადღების გარეშეა დატოვებული. სამაგიეროდ გასული წლის 29 მაისს მან მოიშველია რა საპატრიარქოს ქორეპისკოპოს კერატიშვილის ხელით შედგენილი ცალმხრივი არარეალური დოკუმენტები, თვალის ახვევის მიზნით, ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს სსრ შს მინისტრის მოადგილეს იმის შესახებ, თითქოს საპატრიარქოს ქონება ეფრემ II-ის ნათესავებმა დაიტაცეს.

6. შემოწმებულ უნდა იქნეს მცხეთის სასულიერო სემინარიის მდგომარეობა, მისი პედაგოგიური პერსონალი და სწავლების საკითხი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცნობაში მოყვანილი ზოგი საკითხი არ არის ბოლომდე შემოწმებული და დადასტურებული. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯერ ყველა მონაცემი დადგენილია მხოლოდ შემოწმების გზით და არა გამოძიების და ოპერატიულ ღონისძიებათა გატარების შედეგად; ყველაფერი გამოძიებით უნდა დაზუსტდეს.

ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის პროკურორის
თანაშემწე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი — დ. ქორიძე*
/ხელმოწერა/

19 მარტი, 1973 წ.
ქ. თბილისი

---

* ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი პენსიაზე გასვლის საბაბით განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, რომელმაც საქ. ცენტრალური კომიტეტის სახელზე მოამზადა დოკუმენტი საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვასთან დაკავშირებით (მ. ა.).

ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის პროკურორის თანაშემწეს,
ამხ. დ. ქორიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ აკაკის-ძე ჯვარშეშვილის
/მცხ. წერეთლის გამზ. 79, ბინა 51,
განათლებით ისტორიკოსი/
ახსნა-განმარტება (საპატრიარქოს გაძარცვის გამო)

1972 წლის 6 აპრილს გვიან ღამით სიონის ტაძართან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის რეზიდენციაში, წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსის გაიორზის (ბიძინა კერატაშვილის) მეთაურობით იდუმალად შეიკრიბა ქრისტიანულ ტაძრებს შეკედლებული ანაფორიანი ბოროტმოქმედების და მათი დამქაშების: პახომ ობოლაძის, გიორგი ტერზიევის, გიორგი ჩაჩუას, გივი კერატაშვილის, ნინო ჯალიაშვილის და რამდენიმე დაუდგენელი პიროვნების ხროვა, რომელთაც შორიდან დიდ დახმარებას უწევდნენ: ალ. ნველის ეკლესიის მიტროპოლიტი ზინონი მაჟუგა, სასულიერო სემინარიის ყოფილი ლექტორი, ყოფილი იურისტი ილია ჭეიშვილი, საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებულის დ. შალუტაშვილისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ პაველს-ძე მჟავანაძის ცოლის ვიქტორია ტარიელ კვეიჩის მიერ საგანგებოდ შერჩეული უშიშროების აგენტები, რომელთაც მთავრობის დაცვის უფროსი თვალჭრელიძე მეთაურობდა.

ხალხისათვის თვალის ასახვევად ბიძინა კერატაშვილმა თავს იდვა მისივე ბოროტმოქმედების შედეგად სასიკეთილოდ განწირული სულთმობრძავი კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის „მოვლა-პატრონობა“, სინამდვილეში კი ათასგვარი დანაშაულებრივი ხრიკების გამოყენებით მან თავიდან მოიშორა ყველა მისთვის არა საიმედო სასულიერო და საერო პიროვნება და თავისი დამქაშების დახმარებით მიაღწია რა მოქმედების მთლიან თავისუფლებას, ზემოთ ჩამოთვლილ ნაძარცვებთან ერთად გატეხა რა საპატრიარქო საგანძურის სეიფი, გაიტაცა და მითვისა უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონე ფასდაუდებელი განძი. იმ ღამეს ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმძიმესი, უსაშინლესი და უსაზიზღრესი დანაშაული მოხდა. გატაცებული, მითვისებული და დამსხვრეულ-დანაწილებული იქნა ქართული ხელოვნების ის უძვირფასესი ნიმუშები, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე მილიონობით ქართველი მამულიშვილის სიცოცხლის ფასად დაცული და გადარჩენილი იქნა თვით სისხლისმსმელი მურვან-ყრუს, თემურ-ლენგის, შაპ-აბასის, აღა-მაჰმადხანის და ჩვენი ერის სხვა მრავალი დაუძინებელი მტრის ხელყოფისაგან. ასე განადგურდა წმ. ნინოს, მირიან მეფის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, ერეკლე II-ის და სხვა მრავალი სახელოვანი ქართველი მამულიშვილის მიერ საპატრიარქოს საგანძურისადმი შეწირული ფასდაუდებელი პატიოსანი თვლებით შემკული და ოქრო-ვერცხლით შეჭედილი ხატები, სამკაულები, ნივთები, ტანსაცმელი, ხელსაწყოები, წიგნები და სხვა მრავალი ძვირფასეულობა.

ამ გაუგონარი დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ბიძინა კერატიშვილმა საპატრიარქო ქონების აღმნუსხველი ისტორიული წიგნი დავთრიდან ამოხია და გაანადგურა ის ფურცლები, რომლებზეც ჩამოთვლილი იყო მის მიერ გატაცებული განძეულობა, ამის შემდეგ მან გატეხა დალუქული საანდერძო სეიფი, რომელშიც მდებარე ანდერძი დახია და მის მაგივრად საკუთარი ხელით შეადგინა „პატრიარქის“ ანდერძი, რომლის თანახმად პატრიარქის თანამესაყდრე გახდა მისთვის სასურველი პიროვნება, მიტროპოლიტი დავით დევდარიანი, რომლის კანდიდატურა დიდ იმედებს აძლევდა მის შორსგამიზნულ ვერაგულ გეგმებს. ამ წინასწარ მოფიქრებულ და კარგად მოშზადებულ დანაშაულთ ბიძინა კერატიშვილმა შეგნებულად დაუსვა წერტილი 1972 წლის 7 აპრილს დილის 6.30 წთ-ზე, როცა შეგნებულად ამოხადა სული კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს, რომლის სიცოცხლე მისთვის უკვე დამდუპველი იყო.

ბიძინა კერატიშვილი, ეს ყოველად ზნედაცემული ნაძირალა მე გავიცანი 1968 წელს გმირთა მოედანზე, დაახლოებით ღამის 2-3 საათზე, სახ. ცირკის კიბეებთან ახლოს საკმაოდ დიდხანს ამაოდ ეუცადე ისეთი მანქანის გამოჩენას, რომელიც სახლამდე მიმიყვანდა. იქვე ჩემს გვერდზე იდგა ვიღაც უცნობი, რომელზეც მე მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურადღებაც კი არ მიმიქცევია. მოულოდნელად ეს პიროვნება ჩემთან მოვიდა და თავზედურად, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე დამიწყო ლაპარაკი, რომლის დროს იგი ვითომ „შემთხვევით“ ასოზე ხელს მიფათურებდა. მე ხელად მივხვდი, რომ ამ პიროვნების სახით, რომელიც ბიძინა კერატიშვილი აღმოჩნდა, უგარყვნილეს მამათმავალთან მქონდა საქმე და მაშინ, როცა ამ ზნედაცემულმა საოცარი ოსტატობით, მოხერხებითა და სისწრაფით გამიხსნა შარვლის უბის ფოლაქები და ასოზე ხელი მტაცა, საშინლად გაგბრაზდი და მის საცემრად გავიწიე. შეშინებულმა ბიძინა კერატიშვილმა არტისტობა იხმარა, საცოდავად მოიკრუნჩხა და კისერი მომიდრიკა, ჰა, მომკალი, ყელი გამიმჭერი თუ გინდაო. მე ჩემდამი დიდ შეურაცხყოფად მივიჩნიე ამ ბილწი ადამიანისადმი ხელის ხლებაც კი და სასწრაფოდ გავეკეთე მას. მაგრამ აქმუენებული ბიძინა კერატიშვილი მაინც არ მომეშვა და სულ უკან მომდევდა, სანამ კინოსტუდიამდე არ მივედი. იქ მე იგი დავიფრინე და რის ვაი-ვაგლახით მოვიშორე თავიდან. ამის შემდეგ მე მას რამდენჯერმე მოვკარი თვალი უნივერსიტეტსა და საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც იგი მასავით წყალწაღებულ კაცუნებს ეძებდა და ხვდებოდა ხოლმე. თქვენ თვითონ ადვილად წარმოიდგენთ ჩემს უდიდეს გაოცებას, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ უნივერსიტეტიდან გაგდებული ბიძინა კერატიშვილი ჯერ მცხეთის სასულიერო სემინარიაში მოსწავლედ, ხოლო იქიდან გარიცხვის შემდეგ პატრიარქ ეფრემ II-ის პირად მდივნად ვიხილე. მალე საონის ტაძარი მამათმავლების საკრებულოდ გადაიქცა. ბიძინა კერატიშვილის გარშემო შემოკრებილი ეს არამზადები და სხვა დაქირავებული ნაძირალები ყოველგვარი ხერხებით რეკლამას უკეთებდნენ მას: ქება-დიდებას ასხამდნენ მის ნიჭიერებას, „სიწმინდეს“, საქრისტიანოსადმი ერთგულებას და „ამომავალ მზედ“ ასაღებდნენ მას. მათ რიგებს თანდათანობით შეემატნენ კარიერისტები, მომხეჭელები, მექრთამეები და ათასი ჯურის არამზადები. მათმა ხროვამ თანდათანობით მაფიის მსგავსი ბანდის სახე მიიღო.

ვიცოდი, თუ რა „წმინდანსაც“ წარმოადგენდა ბიძინა კერატიშვილი, მოვალეობად მიეჩნიე პატრიარქ ეფრემ II-თვის შემეტყობინებინა მასთან საქმენი საგმირონი“. ჩემდა გასაკვირად ეფრემ II-მ მიპასუხა: „შვილო ჩემო, უნდა იცოდე, ქვეყნად არავინ არ არის უცოდველი, ბიძინა კერატიშვილმა ჩემს წინაშე მოინანია ძველი ცოდვები, მე მას შევუნდე ისინი. ამიტომ არავის არა აქვს უფლება მისი განკითხვისა და განსჯისა“. მისი მოქმედებიდან მე მალე მიეხვედი, რომ მასთან ამ თემაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და არც არავითარი აზრი არ ჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბიძინა კერატიშვილმა განმიცხადა: „მე მეგობრულად გირჩევ დაივიწყო ჩემი წარსული და გთხოვ, კრინტი არ დაძრა არავისთან ამის შესახებ, განსაკუთრებით კი გია მაჩაბელთან არ წამოგცდეს არაფერი და შენი პატივისცემა ჩემზე იყოს“.

მალე ბიძინა კერატიშვილს ახალი, ძლიერი, თითქმის ყოვლისშემძლე და ყველაფრის მკისრებელი მფარველები გაუჩნდა, რის გამოც იგი სანშილ ურჩხულად, ნამდვილად ბალთაზარ კოსას ორეულად გადაიქცა. შედეგმაც არ დააყოვნა, ნაძარალების ამ ბანდამ ბევრი შავბნელი და უმძიმესი დანშაული ჩაიდინა ეკლესიის შიგნით და გარეთ. ამასთან მათ ეკლესიის გარშემო ისეთი ატმოსფერო და პირობები შექმნეს, რომ თითქმის შეუძლებელი იყო მათდამი რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი იყო გაჩუმება და მათ დანშაულებათა შესახებ მასალების, მამხილებელი ფაქტების შეგროვება, რათა მომავალში მაინც არ გაქცეოდნენ ისინი მართლმსაჯულების კანონიერ სასჯელს.

როგორც მოწმეები გადმოგვცემენ, თავისი „მოღვაწეობა“ ამ „წმინდა მამამ“ დაიწყო საგარეჯოში, თავისი საშინელი რეპუტაციის მქონე ოჯახის ნაძარალა წევრებისა და მათი ბოროტმოქმედი მეგობრების წრეში, რომელთაგან „მემკეცდრეობად“ მან ნაძარალობა, ბოროტმოქმედება და მამათამავლობა მიიღო. ბავშვობაში იგი თავს აფარებდა საგარეჯოს წმინდა დოდოს სახ. ეკლესიის წინამძღვარ არქიმანდრიტს, ევაგრი დიასამიძეს, რომელიც მას მფარველობას უწევდა და იცავდა ბოროტი დედინაცვლის დევნისაგან. მისი და რამდენიმე ფანატიკოსის დახმარებით იგი დაუახლოვდა და საცხოვრებლად გადმოვიდა ჭოროწის ქ. №7-ში მცხოვრები საეჭვო რეპუტაციის მქონე ბნელი ფანატიკოსების ბარბარე და ელზა ჩეჩელაშვილების ოჯახში; მალე ბარბარე დარწმუნდა მის აღვირახსნილ მამათამავლობაში: საეჭვო პიროვნებებთან კავშირისა და ბევრჯერ სპერმით უკანა მხარეს გასვრილი შარვლის და საცვლების დანახვის გამო. მათი ოჯახის მეგობრებმა მას შეატყობინეს აგრეთვე ის, რომ იგი მრავალჯერ უნახავთ საპორფარეშოებში მამაკაცებთან გარყვნილი მოქმედების წამოწყების ცდის დროს. აღშფოთებულმა ბარბარე ჩეჩელაშვილმა ქვეყანას მოსდო ეს საზიზღარი ამბები, მაგრამ აქ საქმეში ენერგიულად ჩაერია მისი ქალიშვილი ელზა, რომელმაც განსაკუთრებული „ღვთისმოსაობა“ გამოიჩინა, არ დართო დედას ბიძინას ოჯახიდან გაგდების ნება და „ღვთის მიერ მისდამი მიძღვნილ შვილად“ გამოაცხადა. მოგვიანებით იგი დაეხმარა გამდიდრებულ და გაბობოლებულ ბიძინას ჭოროწის ქ. N7-შივე გაიკ ჯანიანისაგან რამდენიმე ოთახიანი ბინის შეძენაში. თვით ელზა ჩეჩელაშვილს მოწმეებისათვის მრავალჯერ უთქვამს ხოლმე,

რომ ბიძინა კერატიშვილის ოჯახში ხშირად იკრიბებიან ალიარებნილი და ზნეადაცემული მამათმავლები და მეტად საეჭვო პიროვნებები.

ჩეჩელაშვილების ოჯახიდან ბიძინა კერატიშვილი წაყვანილ იქნა ჯარში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა 6-8 თვეში მისი თქმით „მორწმუნეობის“ გამო, რისთვისაც იგი ისე საშინლად სცემეს, რომ საავადმყოფოში მოხვდა, საიდანაც როგორც დაავადმყოფებული გამოწერეს და გაათავისუფლეს სამხედრო ვალდებულებიდან.

ჯარიდან დაბრუნებისთანავე „მორწმუნეების“ ხელშეწყობით იგი ძლიერ დაუახლოვდა კათოლიკოს ეფრემ II-ს, რომელსაც სთხოვა სასულიერო სემინარიაში მოწყობა, მაგრამ თავდაპირველად ამაზე მან მისგან უარი მიიღო, რადგან მისი რჩევით ბიძინასთვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ჯერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, შემდეგ კი სასულიერო გზაზე წასვლა.

მართლაც, ბიძინა კერატიშვილი მალე მოეწყო სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიულ ფაკულტეტზე, მაგრამ იქიდან მალე იქნა გამოგდებული ჯერ ერთი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, იგი 1968 წლამდე II კურსზე ძლივს გადავიდა (თსუ-ში იგი 1964 წელს მოეწყო). არაფიციალური ცნობით იგი გარიცხულ იქნა აგრეთვე მამათმავლობისათვისაც. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ სემინარიაში მისვლის დროს, სემინარიის მოსწავლეებთან ბიძინა კერატიშვილის კურსელებმა თსუ-ში განაცხადეს: „ჩვენ გვიკვირს, რა უნდა სასულიერო სემინარიაში საერო სასწავლებლიდან გარყვნილებისათვის გაგდებულ მამათმავალსო“. სემინარისტმა უშანგი ჩარკვიანმა მთელ სემინარიას მოსდო ეს სენსაციური ამბავი (თუმც იგი ახლა ყოველნაირად ცდილობს დამალოს ეს ამბავი, რადგან ამჟამად ბიძინა კერატიშვილის ბევრი შავბნელი საქმეების თანამონაწილეა და ყოველნაირად იცავს თავის „გულუხე“ მფარველს).

ბიძინა კერატიშვილმა თსუ-დან მისი გამოგდების ჭეშმარიტი მიზეზები გაასაიდუმლოვა ხალხისაგან და არაფერს იშურებს ამ ამბის მისაჩქმალავად. დახმარებისთვის მან ისევ ეფრემ II-ს მიმართა, რომელმაც არ დააყოვნა და მისი თქმით ეს „საკათალიკოსო“ კაცი, პირდაპირ III კურსზე დასვა სასულიერო სემინარიაში. ეფრემ II-თან საზიზღარი ინტიმური კავშირის წყალობით, როგორც ამბობდა აწ განსვენებული ერთ-ერთი მთავარი მოწმე ვიქტორ შალამბერიძე: „ეს ყოელად ზნეადაცემული პიროვნება უეცრად გადაიქცა „წმინდანად“ და სემინარიის მოსწავლეთა შორის ყველაზე უფრო „დიდი მომავლის საეკლესიო მოღვაწედ“ მოინათლა. ეფრემ II-მ სემინარიაში მას დაავალა ჯაშუშობა ილია შიოლაშვილის საწინააღმდეგოდ, რომელიც მაშინ სემინარიის რექტორი იყო და თავისი დიდი სახელითა და ძლიერებით ეფრემ II-ს პატივმოყვარეობას უღიზიანებდა. ვიქტორ შალამბერიძის ჩვენების თანახმად, ბიძინა კერატიშვილი თავისი პირადული მიზნების განსახორციელებლად უფრო იყენებდა ეფრემ II-ის მხარდაჭერას. იგი მეტად გამომწვევად, თავხედურად და უზრდელადაც ექცეოდა ყველას სემინარიაში. ყოველნაირად ცდილობდა მიეღწია ყველასგან აღიარებისათვის, თუნდაც არაპატიოსანი ხერხების გამოყენებით. მის მიერ დგებული ინტრიგები და გავრცელებული მოწამლული ჭორები და ცილისწამებანი დიდ შეხლა-შემოხლას, ჩხუბს და არეულობას იწვევდა სემინარიაში.

ამავე დროს იგი თავს აბეზრებდა ზოგიერთ სემინარისტს თავისი მამათავლობით, რომლებიც ეფრემ II-ის რისხვის შიშით ხმას ვერ იღებდნენ მის დანაშაულობებზე. ბოლოს სემინარიის რექტორი და ლექტორები ნაწყენებულნი გახდნენ გამოეგდოთ იგი სემინარიიდან. რექტორის ბრძანებით და სამედიცინო კომისიის სპეციალური დასკვნის საფუძველზე მას ოფიციალურად და არაოფიციალურად ბრალი დასდეს და დაუმტკიცეს მამათავლობა, სტუდენტების, კერძოდ, გია მაისურაძის ტაბლეტებით მოწამვლა, ენტანიობა-მაბეზრობა-ჯაშუშობა და ფსიქონერვიოზული აშლილობა. ეს ბრძანება და საექმო კომისიის დასკვნა ბიძინა კერატიშვილის ქორეპისკოპოსად გახდომამდე სემინარიის კანცელარიაში ინახებოდა, ხოლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მან თავისივე ხელით მოსპო იგი. მაგრამ მან ამით კვალი მაინც ვერ წაშალა. ყველა მისმა კურსელმა სემინარიელმა, რექტორმა და ლექტორებმა, მღვდლებმა და მორწმუნეებმა კარგად იციან ეს ისტორია და მათთვის უსაშიშრო პირობების შექმნის შემთხვევაში გაბედულად იტყვიან, რაც კი იციან ამ ამბის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ეფრემ II „ვერ შეელია“ ამდენი მძიმე დანაშაულის ჩამდენ ბორტმოქმედს და ყველას გასაოცრად ქრისტიანული სიზოგადოებიდან განკვეთისა და შეჩვენების მაგივრად, საპატრიარქოში პირად მდივნად მიიღო, რაც ერთგულებისათვის პატივისცემას ნიშნავდა და არა შეწყალებას. ეფრემ II-ს ძლიერ აწყობდა ასეთი „იშვიათი“ პიროვნების მდივნობა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სურდა ეს „საპატრიარქო კაცი“ დაეპირისპირებინა მიტროპოლიტ ილია შოლაშვილისადმი, რომლის სულ უფრო მზარდი დიდება, სახელი და ძალაუფლება დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა პატიმოყვარე და ამაყ პატრიარქს, მეორეც, მას მუდამ ეყოლებოდა გვერდზე მამათმავალი, რომელსაც სხვებივით არ ეთაკილებოდა და არ ეზიზღებოდა მასთან ინტიმური კავშირი.

ეფრემ II ყოველგვარი ხრიკებითა და ბოროტმოქმედებითაც კი გააფთრებულ წინააღმდეგობას და ზოგჯერ აშკარა მტრობასაც კი უწევდა მიტროპოლიტ ილია შოლაშვილს მის მიერ წამოწყებულ ყველა საქმეში და ხშირად ახერხებდა კიდევაც მათ ვერაგულად ჩაშლას. საეჭვო წარმოშობის და ბიოგრაფიის ეფრემ II დაუნდობლად ავიწროვებდა და სდევნიდა ყველა მის თანამოღვაწეთ და იქამდეც კი მიდიოდა, რომ ყველაზე ნიჭიერი სემინარიელების გარეკვით იღწვოდა სემინარიის დახურვისათვის, ამავე მიზნებისათვის მან შეზღუდა ქართული ეკლესიები, დამახინჯა და შეკვეცა წირვა-ლოცვები, სემინარიაში სწავლა ძირითადად დამახინჯებული ლიტურღიის შესწავლისკენ წარმართა, სხვა საგნები მეტად დაბალ დონეზე დაიყენა. ეფრემ II-მ თავის გარშემო შემდეგი დამნაშავეები, ბოროტმოქმედები და მამათმავლები შემოიკრიბა:

1. ქუთაის-გაენათის ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი, რომელიც აღვირახსნილი მამათმავლობისათვის ჩვენი პრესის ფურცლებზე, კერძოდ, „საბჭოთა აფხაზეთში“ იყო სახალხოდ მხილებული და განკიცხული.

2. პაზომი ობოლაძე — სიონის ეკლესიის მღვდელმსახური, გამოუსწორებელი მამათმავალი, მექრთამე, ჯაშუში და ხალხის მომტყუებელ-გამყვლეფავი ავაზაკი.

3. გიორგი ტერზიევი — პეტრე-პავლეს ეკლესიაში, სომხეთის კათალიკოს

ვაზგენის ფარული აგენტი, საქართველოს დაუძინებელი მტერი, მამამავალი, ეფრემ II-ს საყვარლობდა, ბიძინა კერატიშვილთან და მის ამფიტონებთან საზიზღარი ორგიების აქტიური წევრი, ყაჩაღი-მყვლეფავი, მექრთამე-მომხეططეველი, ავაზაკი და ენატანია ჯაშუში, საპატრიარქოს განძის გატაცების ერთ-ერთი მთავარი წევრი, 1972 წლის 6-7 აპრილის დროს მომხდარი ყველა ბოროტმოქმედების მონაწილე. ხალხის გადმოცემით, იგი პეტრე-პავლეში საფლავებსაც კი სძარცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გიორგი ჩაჩუა — სიონის ყოფილი (აწ გარდაცვლილი — შვილმა მოკლა დანით მიყენებული რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობით) მღვდელმსახური, მამათმავალი (აქტიური). მან და პახომი ობოლაძემ სიონის ეკლესიის საკურთხეველში ძალით გააუპატიურეს ვინმე რუსი ფანატიკოსი ნიკოლაი. ეფრემ II-თან რომ იჩივლა ნიკოლაიმ, მან იგი გიჟად გამოაცხადა. გიორგი ჩაჩუა ბნელ პიროვნებებთან დაკავშირებული ყაჩაღი-ყომარბაზი, ნაძირალა „დონ-ჟუანია", ფულით და ეშმაკობით გარყვნა ბევრი ფანატიკოსი და სიონის ხშირი სტუმარი ქალი. იგი თავზეხელაღებული ჩხუბისთავი და 1972 წლის 6-7 აპრილს საპატრიარქოს გაძარცვის შავბნელი საქმეების იდუმალი წევრი იყო.

5. შეფოდი აიეაზოვი — სომხეთის კათოლიკოს ვაზგენის იდუმალი ჯაშუში. ქაშვეთის ეკლესიაში მომსახურე ვანუშა მკრტიჩიანთან ერთად წარმოადგენს საქართველოს დაუძინებელ მტერს. წმ. ბარბარეს ეკლესიის ეს მღვდელი მამათმავალი, ჯაშუში, მექრთამე, მყვლეფავი-ყაჩაღი.

6. ანზორ გულიევი — თათარი, აღვირახსნილი მამათმავალი. მანგლისის ეკლესიაში მუშაობს.

7. გაბრიელ ჩოჩოშვილი — მან თავი ისახელა მრავალი ქალისა და ქალიშვილის გარყვნითა და გაუპატიურებით. მაგ. მოატყუა, გააუპატიურა და გააუბედურა ფ. ა. ამ ამბის მოწმეა ლამზირა კალანდაძე, მცხ. კალანდაძის ქ. N20-ში. გ. ჩოჩოშვილი საეჭვო ბნელ პიროვნებებთან დაკავშირებული არაშზადაა, ბერობას პირად მიზნებისათვის იყენებს, მესამე მასივში ჩუმად ჰყავს ცოლ-შვილი, მექრთამე, ყომარბაზი და ბნელი პიროვნებაა. ეფრემ II იძულებული იყო იგი გაეკეთა ეკლესიის რიგებიდან, აშკამად აღდგენილია ბ. კერატიშვილის მიერ და მის ერთგულ დამქაშადაა გადაქცეული.

ამ „წმინდა მამებით" „საიმედოდ თავდაცული" ეფრემ II-ის არაადამიანობას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ნათესავებმა ტომრებით გადამალული უთვალავი ფულიდან, რომელიც ორი დღე და ღამე ძლივს დათვალეს, საკმაოდ ბევრი გადაყარეს, როგორც ხმარებისათვის უვარგისი და დაობებული. ეს ხდება მაშინ, როცა სემინარიის უპატრონო და უსახსრო სტუდენტებისათვის ეფრემ II თვეში 10 მანეთის ძლივს იმეტებდა მათი დახმარება-სტიპენდიის სახით. ანდა ის რად ღირს მაგალითის მოსაყვანად, რომ „გაურკვეველ" საეჭვო მიზეზების გამო საძარკვლამდე გადაბუგულ-დამწვარი სემინარიის განახლებაზე „სახსრების უქონლობის" მომიზეზებით ამ „ხალხისათვის მზრუნველმა სულიერმა მამამ" სასტიკი და კატეგორიული უარი განუცხადა საზოგადოებას, რომელმაც მისგან დამოუკიდებლად, ძლივს შეკოწიწებული სახსრების წყალობით ითავა ამ საქმის წამოწყება და ბოლომდეც

მიიყვანა იგი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაძირალა „წმინდა მამებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც უფრო თავის თავისათვის ზრუნავდნენ, ვიდრე ეფრემ II-ის საქმეებისათვის, ბ. კერატიშვილმა ხელად გამოიჩინა მისდამი „დიდი მზრუნველობა“ და ძალიან ენერგიულად დაიწყო ბრძოლა ყველა მისი მოწინააღმდეგის, განსაკუთრებით კი ილია შიოლაშვილის წინააღმდეგ, რომლებთანაც თვითონაც ჰქონდა პირადი ანგარიში, მათი დაუძინებელი მტერი იყო და ოცნებობდა მათ განადგურებაზე. ოროგრაც ვიქტორ შალამბერიძემ გადმომცა, ბიძინა კერატიშვილმა შესანიშნავად გამოიყენა ეფრემ II-თან საზიზღარი ინტიმური კავშირის შედეგად მიღწეული მდგომარეობა. თანდათანობით დააგროვა მრეველისა და ეკლესიების, კერძოდ, ნინოწმინდის ძარცვით, დიდი თანხა და თავისი კარიერისათვის უფრო სასარგებლო გზას მიაგნო. ბიძინა კერატიშვილი თავიდანვე ოცნებობდა კათოლიკოს-პატრიარქად გახდომას და ყოველგვარი ხერხების გამოყენებით თავიდანვე დანაშაულებრივ გზას დაადგა ამ დიდი მიზნის მისაღწევად, როგორც მეტად ეშმაკმა, მიხვედრილმა და „განათლებულმა“ ბოროტმოქმედმა, მან სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას და დროზე მიხვდა, რომ მარტო ეფრემ II-ის მხარდაჭერა მას შორს ვერ წაიყვანდა. საპატრიარქო და საეკლესიო ბნელი საქმეებისა და საიდუმლოებების გაცემითა და ენის მიტანით მან თავიდანვე მიიქცია საქართველოს საეკლესიო საქმეების რწმუნებულის დ. შალუტაშვილის ყურადღება. ალექსანდრე (გია) მაჩაბელი ჩვენებით დ. შალუტაშვილი თბილისის აშკენაზების სინაგოგის იდუმალი, მაგრამ სინამდვილეში აქტიური წევრი იყო. ამ სინაგოგის მესვეურთა დავალებით იგი შენიღბულად, გააფთრებით ებრძოდა საქართველოს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას და რადგანაც რჯულით ქრისტიანთა მტერი იყო, აქედან გამომდინარე ყოველნაირად ცდილობდა მათ განადგურებას. ა. მაჩაბელი თბილისის სინაგოგების ხშირი სტუმარი იყო, პირადად იცნობს სინაგოგის მესვეურებს და წევრებს, სწორედ აქ გაიგო მან, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში დ. შალუტაშვილი და მისი ბოროტმოქმედით აღშფოთებული, სპეციალური წერილით მივიდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-თან, რათა შეეტყობინებინა მისთვის ეს საშინელი ამბავი. სწორედ ამიტომ იყო, რომ დ. შალუტაშვილი ხელად მიუხვდა, გაუგო და დაუახლოვდა ბიძინა კერატიშვილს, რომლის გამოყენებით მას თავისი ბნელი და ავი მიზნების განხორციელება სურდა. „ხელი ხელს ჰბანს, ორივე კი პირსაო“. კათოლიკოსად გახდომისთვის მებრძოლი ბ. კერატიშვილი და ქრისტიანობის რჯულიერი მტერი დ. შალუტაშვილი შეიკრნენ და ერთად, მაგრამ იდუმალად თავთავისი მიზნების განსახორციელებლად დაიწყეს მოქმედება და ბრძოლა. მათ შორის ეს კარგი დამოკიდებულება, ვიქტორ შალამბერიძის თქმით, ბ. კერატიშვილმა ძლიერ განამტკიცა სამი წლის განმავლობაში უზვად გაღებული ნაქურდალი ძეირფასი ძღვენითა და მოზრდილი ქრთამებით. ამან უკვალოდ და უქმად არ ჩაიარა. ბოლოს დ. შალუტაშვილმა ბ. კერატიშვილს უზვი ძღვენითა და ქრთამებით „საქმე ჩაუწყო“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძის ცოლთან. ამაში ბიძინა კერატიშვილს აგრეთვე დიდი დახმარება გაუწია

სიონში მომუშავე პაპა ლანდიამ, რომელიც ცკ-ს მდივნის ცხოვრაია ნთესავია, რომელმაც თავის მხრივ პროტექციია გაუწია ბ. კერატიშვილს და დაამხილოვა ვ. პ. მჟავანაძის ცოლთან, რომლის ყურადღება ქართული ეკლესიის ამ „ბალთაზარ კოსამ“ ხელად მიიქცია. შედეგმაც არ დაყოვნა, და მჟავანაძის ცოლმა საგანგებოდ დაავალა სახ. უშიშროების აგენტებს, თვალჭრელიძის, ბახტაძისა და ბაკურაძის მეთაურობით მისთვის ყოველგვარი დახმარების, მხარდაჭერისა და მფარველობის აღმოჩენა. ამ უდიდესი მიღწევის შემდეგ ბიძინა კერატიშვილი წელში მოლიანად გასწორდა და გამაგრდა. მან ერთი დარტყმით, ელვის სისწრაფით ჩაიგდო ხელში საპატრიარქოს ძალაუფლება და შანტაჟით, საზოგადოების წინაშე ჩადენილი ძრავალი ძმიმე დანაშაულის გამჟღავნების მუქარით დაიწყო ეფრემ II-ის დამუშავება. წინდაუხედავი პატრიარქი არ მოელოდა ბიძინა კერატიშვილისგან ასეთ ვაუგონარ ვერაგობასა და ღალატს, ამიტომ უსუსური ბაბრძოლების შემდეგ შიშისაგან წამხდარი მალე მთლიანად გადაიქცა მისი ბრძანებებისა და ნება-სურვილების უხმოდ შემსრულებელ მარionეტად. ეფრემ II მალე დაარწმუნეს, რომ მისი სიცოცხლე ბიძინა კერატიშვილის ხელში იყო, ამიტომ გონიერული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მის მონა-მორჩილებაში ყოფნა. წინდაუხედულმა ბ. კერატიშვილმა ისის შიშით, რომ ეფრემ II-ს რაიმე გამოსავალი არ ეპოვა, იმთავითვე დაიწყო იმისათვის ზრუნვა, რომ მისი რაც შეიძლება მალე გამოყენების შემდეგ შესძლებოდა „კანონიერების“ ფარგლებში თავიდან მოშორება. ამ მიზნის მისაღწევად მან საგანგებოდ მიუჩინა „ექიმები“ ღვიძლით დაავადებულ ეფრემ II-ს, რომელმაც მალე დაიწყო ძმიმე ავადმყოფობა. დ. შალუტაშვილის, თვალჭრელიძის, ბახტაძის, ბაკურაძის და კერატიშვილის შანტაჟმა, მუქარამ და ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ თავისი გაიტანა. 1971 წლის ბოლოს ეფრემ II აიძულეს ბ. კერატიშვილი ბერად ეკურთხებინა. მღვდელ-აკადემიკოს ვიქტორ შალამბერიძის ჩვენებით „ექიმების“ ჩარევის გამო ეფრემ II-ის სიცოცხლე მალე ბეწვზე დაეკიდა, რამაც ძალიან შეაშფოთა ბ. კერატიშვილი, მას აწყობდა მხოლოდ ის, რომ ეფრემ II „თავის დრობზე“ მომკვდარიყო, მომკვდარიყო ისე, რომ ბოლომდე ჰქონოდა მის წინაშე „მოხდილი ვალი“, ამიტომ მან რჩეული მკურნალები დაახვია მას თავზე. ეფრემ II რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და ბოლოს ოდნავ მომჯობინდა და მოკეთდა, ეს მომენტი ბიძინა კერატიშვილმა ხელიდან არ გაუშვა და შემოიკრბა რა თავის გარშემო მოქრთამული და თავის ძალაუფლებით აყვანილი არამზადები: პახონი ობოლაძე, გიორგი ტერზიევი, გიორგი ჩაჩუა, ზინობი მაჟუგა, დავით მაკარიძე, ნინო ჯალიაშვილი, ექიმი მირიანაშვილი, პაპა ლანდია, ილია ჭეიშვილი, ტაისა ტორონჯაძე და სხვა. ილია ჭეიშვილი, ილია შიოლაშვილის დაუძინებელი მტერი თავიდანვე უდიდეს დახმარებას უწევდა ბ. კერატიშვილს ყველაზე მძიმე ბროტმოქმედებებშიც კი. ილია ჭეიშვილი ადრე ადეოკატად მუშაობდა, მაგრამ იგი არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა და მექრთამეობის გულისათვის გასამართლებული და პატიმრობაში აყვანილ იქნა. შემდეგ იგი უეცრად გადაიქცა „წმინდა“ ადამიანად, მოახერხა ეკლესიაში შეძრომა, გაზდა საპატრიარქოს იურისკონსულტი და ისევე როგორც საერო ცხოვრებაში, აქაც დანაშაულებრივ გზას დაადგა, იმ განსხვავებით, რომ არამზადების მიერ შექმ-

ნილ მისთვის ხელსაყრელ ატმოსფეროში მან ძველთან შედარებით გაცილებით უფრო ძმიმე ბოროტმოქმედებანი ჩაიდინა. იგი ბ. კერატიშვილის ძარცვაზე ხელად, მისი ყველა დანაშაულის უაქტიურეს წევრად გადაიქცა. ამ საქმიანობის გულისთვის 1971 წელს ეფრემ II-მ მოიცალა იგი თავიდან და გააგდო ეკლესიიდან, მაგრამ ბ. კერატიშვილმა შეიკედლა და შეიფარა თავის ბანდაში ეს გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი.

მალე გააფთრებული ბ. კერატიშვილის თავხედობამ, ბოროტებამ და სადიზმმა ყველა საზღვარს გადააჭარბა; ეფრემ II-ის ძმის, ვლადიმერ სიდამონიძის ჩვენების თანახმად პატრიარქის ძმიმე ავადმყოფობის დროს იგი მოწმე გახდა ბ. კერატიშვილის წრეგადასული შანტაჟისა. იგი არც კი მორიდებია პატრიარქის ძმას და მისი თანდასწრებით დაემუქრა ეფრემ II-ს: „პატრიარქო, თქვენ მე ეპისკოპოსად მაკურთხებთ თუ არაო“, ეფრემ II-მ დუმილით უპასუხა მას; ამის გამო გამძვინვარებულმა ბ. კერატიშვილმა მას თავხედურად შეჰყვირა: „თუ თქვენ ხვალვე არ მაკურთხებთ ეპისკოპოსად, თქვენი სიცოცხლე საფრთხის წინაშე დადგებაო“. პატრიარქის ძმა წინ აღუდგა გაბოროტებული კერატიშვილის საშინელ მუქარას, მაგრამ ეფრემ II-მ შეაჩერა იგი და უთხრა: „ნუ ღელავ, ძმაო, რას იზამ, ძლიერნი ამა ქვეყნისანნი მაიძულებენ უკანონოდ ვაკურთხო იგი ეპისკოპოსად, მაგრამ იცოდეს მაგ იუდამ, ჩემი სიკვდილის შემდეგ მოვა ჟამი, როცა ყველა გაიგებს ამ ამბავს და პასუხს მოსთხოვენ მას ამ ბოროტმოქმედებისათვისო. მალე, 1972 წლის 2 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე ავადმყოფობისაგან ძმიმე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ეფრემ II გადაიყვანეს სიონის ეკლესიაში და სკამზე მისვენებულს აიძულეს ეკურთხებინა ბ. კერატიშვილი ეპისკოპოსად. ამ კომედიას ესწრებოდნენ მისი თავარი მომწყობი პირები: შალუტაშვილი, უშიშროების აგენტები: პახომი ობოლაძე, გიორგი ტერზიევი, ილია ჭეიშვილი, გიორგი ჩაჩუა და სხვა მრავალი ნაძარალა.

ახლად გამომცხვარ „წმინდა მამას“, გაიოზს უკვე აღარ სჭირდებოდა ეფრემ II. პირიქით, იგი მისთვის საშიში გახდა, რადგან მას შეეძლო ხალხისათვის გაემეღავნებინა მისი დანაშაული და ამიტომ მან სასწრაფოდ მოწვეული თანაშრახველი „ექიმების“ დახმარებით სასიკვდილო სარეცელზე მიაჯაჭვა იგი. მან ოსტატურად მოახერხა ამა სასურველ პირთაგან მისი სრული, საიმედო იზოლაცია. არავის არ გვიშვებდა 1972 წლის 2 აპრილიდან 7 აპრილამდე ეფრემ II-თან, თვით დაახლოებულ პირებსაც კი. იგი ეფრემ II-თან უშვებდა მხოლოდ უახლოეს ნათესავებს, რომელთა მისვლა-მოსვლას განუწყვეტლივ უწევდა კონტროლს. უშვებდა „ექიმებს“ და თავის ხალხს, რომლებიც მას ეხმარებოდნენ. სხვებს კი საპატრიარქოს ეზოშიც კი არ უშვებდნენ. ვიქტორ შალამბერაიძის თქმით, ბ. კერატიშვილის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ილია შოილაშვილმა და სინოდის სხვა წევრებმა მიმართეს დ. შალუტაშვილს დასწრებოდა საპატრიარქოს განძეულის აღწერას და დალუქვას, მაგრამ მან წაიყრუა თავი. მაშინ ილია შოილაშვილმა მაინც შეადგინა სინოდთან არსებული კომისია, რომელმაც სასწრაფოდ აღწერა და დალუქა-დაბეჭდა საპატრიარქოს საგანძური. ამის საპასუხოდ ბ. კერატიშვილმა გადაწყვიტა თავისი დამქაშების დახმარებით გაეტეხა პატრიარქის საანდერძო სეიფი, რათა გაეგო, თუ ვინ იყო

თანამოსაყდრედ დატოვებული. ამ საქმეში მან გადაწყვეტა მოქრდაშვით ჩაეთრია ეფრემ II-ის ძმისშვილი კარლო სიდამონიძე, რომლის ჩვენების მიხედვით ბ. კერატიშვილმა და პ. ობოლაძემ მას სთხოვეს მონაწილეობა შეეღო საანდერძო სეიფის გატეხვაში და იმ შემთხვევაში, თუ ანდერძის თანახმად თანამესაყდრედ დატოვებული იქნებოდა მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი, დაეხიათ და სხვა შეედგინათ. კარლო სიდამონიძე წინ აღუდგა ამ უმძიმეს დანაშაულს და მტკიცედ განაცხადა, რომ მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო ამ სამარცხვინო ამბავში, რადგან კანონის თანახმად მხოლოდ სინოდის წევრებს აქვთ იმის უფლება, ერთად გახსნან საანდერძო სეიფი და ხალხს თანამესაყდრის ვინაობა აცნობონო. ამის საპასუხოდ მათ თავხედურად მიუგეს: „ჩვენ ხელს არ გვაძლევეს ეს ამბავი, რადგან თუ თანამესაყდრედ და შემდეგ პატრიარქად ილია შიოლაშვილი გავიდა, იგი ჩვენ ყველას გამოგვრეკავს ეკლესიებიდან, რაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაწყობს, თუ დავით დეკდარიანია დატოვებული, ჩვენ მას ადვილად მოვუელით, გამოვიყენებთ და მერე მოვიშორებთ თავიდან და თუ ბოლოს არავისზე არ არის დატოვებული ანდერძი, მაშინ თანამესაყდრედ ბ. კერატიშვილი უნდა გავიყვანოთო“. ამის გარდა, ბ. კერატიშვილი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე შეეცადა კარლო სიდამონიძე დაეყოლიებინა და მოექრთამა იმისათვის, რომ მოწმედ დასდგომოდა მას იმ ამბავში, თითქოს პატრიარქის მიერ იყო მისთვის ნაჩუქარი, სინამდვილეში კი მის მიერ მოპარული ფასდაუდებელი, პატიოსანი ქვებით შემკული და ოქრო-ვერცხლით მოჭედილი საპატრიარქო კვერთხი, მიტრა, ოქროს დიდი ჯვარი და სხვა უძვირფასესი ნივთები. ეფრემ II-ის ძმისშვილი ძლიერ აღაშფოთა ამ თავხედურმა, გაუგონარმა მოთხოვნამ და კისრისტეხით გამორეკა ისინი თავისი სახლიდან ქუჩაში. „შეურაცხყოფილი წმინდა მამები“ საშინელი ლანძღვა-გინებითა და მუქარით გაშორდნენ იქაურობას.

ამ ჩაკარნით შეშფოთებულმა ბ. კერატიშვილმა სასწრაფოდ მოიწვია ზემოთ ჩამოთვლილი ნაძირალები, დამცველებად უშიშროების აგენტები და შალუტაშვილი მოიხმო, ერთად შეიმუშავეს მოქმედების გეგმა და მოახდინეს ეფრემ II-ისა და მთელი მისი რეზიდენციის არასასურველ პირთაგან იზოლაცია. მან ხელში ჩაიგდო საპატრიარქოს ყველა ოთახებისა და სეიფების გასაღებები, კონტროლი და მეთვალყურეობა დაიწესა ეფრემ II-ის ყველა ნათესავზე და როდესაც მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი გახდა, საგანგებოდ მოიწვია ექიმი მირიანაშვილი და შეუდგა პატრიარქის „გადარჩენას“. ღვიძლის უმძიმესი სნეულებით დაავადებული ეფრემ II ამ მდგომარეობამდე მივიდა, ამ ქართველი „ბალთაზარ კოსას“ მიერ ჯერ კიდევ ადრე მიღებული „ზომების“ წყალობით. ამ ავადმყოფობას კერატიშვილი იმიტომ დაიწვა, რომ ამით კაცის სულის ამოხდა გაცილებით უფრო ადვილად შეიძლება. თანაც ეს ისედაც შეიძლება მოახერხოს კაცმა, რომ არავინ დაიჭვოს და კვალიც კარგად დფაროს. პატრიარქის მდგომარეობა იმხანად იმდენად კრიზისული იყო, რომ მისთვის სულის ამოხდა სულ იოლად შეიძლებოდა, ღვიძლის არეში მძიმე დარტყმით ანდა „მოსარჩენად“ მიწოდებული წამლის გადიდებული დოზით, თუ საქმე გაჭირდებოდა, შეიძლებოდა უკიდურესი „ზომების“ მიღებაც. მისთვის ახლა ყველაზე უფრო მთავარი იყო

„არამკითხუ“ მოწმეების თავიდან მოშორება და კვალის პირწმინდად დაფარვა. საბედნიეროდ როგორც ყველა უმძიმესი დანაშაულის ჩადენის დროს, ისაც ისე მოხდა, რომ მიუხედავად ბ. კერატიშვილის ყველა ცდისა, მაინც დარჩა ბევრი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო და შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ ბევრისმეტყველი და ამ დანაშაულის გამხსნელი ბევრი ფაქტი. ბ. კერატიშვილმა ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტმოქმედთა დახმარებით გატეხა საპატრიარქო განძეულის სეიფი, ეფრემ II-ის სიკვდილის ღამეს. პატრიარქის ძმისშვილმა ამის შესახებ ეფრემ II-ის გარდაცვალების გამო „ივერიაში“ მოწყობილი ბანკეტის შემდეგ მე და გაგი მოსეშვილს გვითხრა, რომ ბ. კერატიშვილი 1972 წლის 2 აპრილიდან და განსაკუთრებით ეფრემ II-ის სიკვდილის წინ გამწარებული ეძებდა ეტყობა ფულს და ძვირფასეულობასო, ყველაფერს სინჯავდა, ათვალიერებდა, ხშირად ვითომ „შემთხვევით“ კედელს კვერთს ურტყამდა, ეტყობა განძის საიდუმლო სეიფს ეძებდაო.

საგანძურის გატეხვასთან დაკავშირებით ბ. კერატიშვილმა სასწრაფო დეპეშით საგარეჯოდან გამოიძახა ძმა, რომელიც უმალვე ჩამოვიდა მანქანით თბილისში ამ დანაშაულში დახმარების გასაწევად. მოწმეების დაკითხვის დროს ერთ-ერთმა (კერძოდ ვალენტინა ფაილოძემ) განაცხადა, რომ ეს დეპეშა კიროვის რაიონის პროკურორის მოადგილე დავით ქორიძესთან არის, რომელმაც ძიების დროს აღმოაჩინა იგი ფოსტა-ტელეგრაფში. ამ მოწმის თქმით, მზილეგულ იქნა ბ. კერატიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამონაწილე, ბოროტმოქმედი ნინო ჯალიაშვილი; ვალენტინა ფაილოძემ პირადი ინიციატივით, ხელზე გატანებული უწყებით მოახერხა კახეთის შორეული სოფლიდან, ბოდბეფანიადან ნინო ჯალიაშვილის ჩამოყვანა და მახვილგონიერული მოქმედებით დავით ქორიძის წინაშე გამოტეხა. ამ მოწმის თქმით: ნინო ჯალიაშვილმა აღიარა, რომ სეიფის გატეხვის შემდეგ ბ. კერატიშვილის ბრძანების თანახმად საპატრიარქოდან პირველად ორი ჩემოდანი განძი გაატანეს „მისთვის უცნობ“ რუსებს, რომლებიც ვიქტორ შალამბერიძისა და ავთო სამხარაძის თქმით სინამდვილეში შალუტაშვილის და თვალჭრელიძის მიერ გამოგზავნილი აგენტები იყვნენ. მოწმეების თქმით, ნინო ჯალიაშვილმა „ყოველი შემთხვევისათვის“ ჩაიწერა და დაიმახსოვრა ამ მანქანის ნომერი. მეორეჯერ, ორი ჩემოდანი განძი, რომელიც ბოროტმოქმედი მღვდლების წილი იყო, ბიძინა კერატიშვილის ბრძანებით გამოიტანა გიორგი ტერზიევმა, რომელმაც გაიტაცა და გადაძალა იგი.

ვიქტორ შალამბერიძისა და ავთანდილ სამხარაძის ჩვენებით განძის გატაცების შემდეგ ბ. კერატიშვილმა ხელში ჩაიგდო ილია შიოლაშვილის მიერ მოწვეული სინოდის წევრთაგან შემდგარი განძის აღმწერი კომისიის დასკვნა-აღწერილობა და ამოიღო იქიდან ი. შიოლაშვილისა და ვ. შალამბერიძის გვარები, რითაც მოუსპო მათ საშუალება დაემტკიცებინათ, რომელი ნივთები იყო გატაცებული სეიფიდან. ამის შემდეგ ბიძინა კერატიშვილმა თავისი ხელით ამოხია განძის აღმნუსხველი ისტორიული დავთრის ის ფურცლები, რომლებშიც აღნიშნული იყო მის მიერ გატაცებული ძვირფასეულობა. ამით იგი შეეცადა მთლიანად წაეშალა დანაშაულის კვალი, მაგრამ საბედნიეროდ მოწმეებმა, მათ შორის ავთანდილ სამხარაძემ, რომელიც შეუმჩნეველად თვალყურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადევნებდა მათ ბორორტმოქმედულ საქმიანობას, ნახა ამ ამორეული ფერცლების ნახევები და ნარჩენები. ავთო სამხარაძემ გულმოდგინედ გამოიძია ეს ამბავი და მეტად ძვირფასი მასალები შეაგროვა ბორორტმოქმედთა სამხელად.

შემდეგ ბ. კერატიშვილმა გატეხა საანდერძო სეიფი, დახია პატრიარქის ანდერძი, რომლის თანახმად, როგორც მოწმეები ვარაუდობენ, თანამოსაყდრე ილია შიოლაშვილი უნდა ყოფილიყო და თავისი ხელით შეადგინა ყალბი ანდერძი, რომელსაც ხელი მოაწერა ეფრემ II-ის მაგივრად, მის ხელწერას მიმსგავსებული კალიგრაფიით და თავის ხელთ მქონი ბეჭედი დაარტყა. ამ ყალბი ანდერძის თანახმად თანამოსაყდრე გახდა პატივმოყვარე და ეშმაკი, ორი კლასის განათლების მქონე, ბნელი და მშიშარა პიროვნება, რომელსაც საერო და სასულიერო უმაღლესი განათლების უქონლობის გამო, თვით საკლესიო დებულების თანახმად (მუხლი XX), არა აქვს უფლება პატრიარქობისა. რადგანაც „ანდერძში“ საკუთარი თავის ჩაწერა თავის თავის გაყიდვასა და ხალხის აჯანყებას გამოიწვევდა, ბ. კერატიშვილმა საგანგებოდ შეაჩერა არჩევანი ამ სუსტ პიროვნებაზე, რომლის თავის ნება-სურვილზე თამამი და გამოყენება მისთვის უადვილესი საქმე იქნებოდა. ამ ოპერაციის წარმატებით მოგვარების შემდეგ ბ. კერატიშვილმა დილის შვიდის ნახევარზე სრულიად იოლად, სადისტურად ამოხადა სული ეფრემ II-ს, რომელიც მისთვის უკვე ზედმეტ ბარგად ქცეულ, საშიშ მსხვერპლს წარმოადგენდა. პირველი სიტყვა, რაც კი გავიგონე მღვდელ-აკადემიკოს ვიქტორ შალამბერიძისაგან ამის შესახებ იყო: „ეფრემი კი არ მოკვდა, მოკლეს...“ მე რომ ვკითხე, ვიზე ჰქონდა ეჭვი, მითხრა, რომ არ არის საჭირო ამ ამბის გახმაურება, თორემ გაგვიგებენ და მოგკლავენო. როცა მე არ მოვეშვი და ჩავაჯინდი, მომიყვა ეს ზემოთ აღწერილი ამბავი. ეფრემ II-ის სიკვდილისთანავე ბ. კერატიშვილი დაუკავშირდა წინდაწინეე გაფრთხილებულ და მოსყიდულ, ქართველი ერის დაუნიბელელ და შენიღბულ მტერს, რუსეთის პატრიარქის მიერ საგანგებოდ დარიგებულ აგენტს ზინობი მაკუგას, რომელიც უმალ განნდა სპპატრიარქოში და ბ. კერატიშვილის, დავით დევდარიანისა და მათი დამქაშების: თვალჭრელიძის, ბახტაძის და ბაკურაძის აგენტების დახმარებით „გახსნეს“ საანდერძო სეიფი და „ეფრემ II-ის ანდერძის“ თანახმად თანამესაყდრედ დავით დევდარიანი აღიარეს. დავით დევდარიანმა მადლიერების ნიშნად ამ „ოპერაციის“ მონაწილე ყველა დიდი თუ პატარა ბორორტმოქმედი გულუხვად დააჯილდოდა ძვირფასი ძღვენითა და უთვალავი ფულით.

ამის შემდეგ, ბორორტმოქმედებმა განზრახ ატეხეს პანიკა: ვიღაცას საპატრიარქო საგანძური გაუტეხია და გაუძარცვავსო და მეისე ეს ძმიმე დანაშაული თავიანთ მოწინააღმდეგე მღვდლებს დაბრალეს. ბ. კერატიშვილმა სასწრაფოდ აცნობა ამის შესახებ მის ფარულ თანამონაწილეს, საეკლესიო საქმეთა რწმუნებულს, დ. შალუტაშვილს. იგი სასწრაფოდ გამოცხადდა საპატრიარქოში და ამ უმაგალითო დანაშაულით „აღშფოთებული და გაოცებული“, „საქმიანად დატრიალდა“: სასწრაფოდ აღწერა სეიფში დარჩენილი ძვირფასეულობა და დალუქა. ვიქტორ შალამბერიძის თქმით, როცა მან საგანძური ნახა, გულზე შემოეყარა; ყველა უძვირფასესი განძი ეტყობა სპეციალურად გადაარჩინეს, შეაფასეს და გაიტაცესო. ხოლო სეიფში შედარებით უმნიშვნელო ღირებულების

ძვირფასეულობა ჰქონდათ დატოვებული მძარცველებს. მისი თქმით, განძის აღმნუსხველ დავთარში სწორედ ის ფურცლები იყო შერჩეული და ამოხეული, რომლებზეც ყველაზე უძვირფასესი განძი იყო აღნაშნული. 1972 წლის 6 აპრილს ღამით და 7 აპრილს დილით ყველა ამ უმძიმეს დანაშაულს მარტო ერთი კაცი ვერ ჩაიდენდა. აშკარა იყო, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობდა წინასწარ კარგად მომზადებული არამზადების მთელი ბანდა. რაც შეეხება დ. შალუტაშვილისა და მისი აგენტების ამ „მოღვაწეობას", გატეხილი და გაძარცული სეიფის „შემოწმების" შემდეგ მან შეგნებულად ყოველნაირად მიაფუჩეჩა და მიჩქმალა ეს საქმე და ზემოთჩამოთვლილი დახელოვნებული აგენტების დახმარებით მოსპო ბევრი მატერიალური დამამტკიცებელი მასალები, ფაქტები და კვალის პირწმინდად წაშლას შეეცადა, წაშალა კიდეც, მაგრამ კვალი მაინც დარჩა. დარჩენ მოწმეებიც, სწორედ ამიტომ თვალჭრელიძემ, ბახტაძემ, ბაკურაძემ და შალუტაშვილმა, ბ. კერატიშვილს დასაცველად უმალ მიგვარეს თავის დაგეშილი აგენტები, რომელთა დახმარებით ხელად მიაჩუმეს და გარეკეს „არამზადა და ფანატიკოსი" მოქალაქეები და მორწმუნეები. რამდენჯერმე მოხდა ისე, რომ აგენტებმა მეც გამაგდეს სიონის ტერიტორიიდან.

„სულიერი მამის" სიკვდილით „დამგლოვიარებულმა" ბ. კერატიშვილმა თანამონაწილეების, მფარველებისა და აგენტების დახმარებით „თავს იდვა პატრიარქის უკანასკნელი პატივისცემა" და „მშვიდობიანად" მიაბარა იგი მიწას. ხალხის თვალების ასახვეად და კვალის დასაფარავად მან მილიციაშიც მოითხოვა წესრიგის დამცველები დაკრძალვის ცერემონიალის დროს ხალხის დასაწყნარებლად და წესრიგისაკენ მოსაწოდებლად. ვიქტორ შალამბერიძის თქმით ბიძინა კერატიშვილი უმალ დაუკავშირდა და დაუხლოვდა სამგლოვიარო ცერემონიალზე ჩამოსულ სომხეთის პატრიარქ ვაზგენ I-ს, უკრაინის ეგზარხოსისა და რუსეთის პატრიარქის, პიმენის წარმომადგენლებს. მან მოახერხა მათთვის დაეახლოვებინა დავით დევდარიანი, რომელიც მათ გაცნო, როგორც მშვავალი პატრიარქი. ამ ეშმაკმა და გაქნილმა დიპლომატებმა ხელად აუღეს ალღო ამ სიტუაციას და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს და გაუწიეს კიდევაც მათი ვერგული მიზნებისათვის ზედგამჭრილ დევდარიანს საპატრიარქო ტახტზე ასვლაში. დავით დევდარიანმა არ დაყოვნა და მადლობის ნიშნად ვაზგენ I-ს თანხმობა განუცხადა და შეჰპირდა საქართველოში ოთხი სომხური ეკლესიის გახსნას, პიმენის ხალხს კი ავტოკეფალიის უარყოფისა და ქვეშევრდომობაში შესვლის იმედი მისცა.

ამ მძიმე და რთულ სიტუაციაში პატრიოტი მორწმუნეები და მოქალაქეები მიხვდნენ, თუ რა დიდი საფრთხე შეექმნა ქართულ ეკლესიას და ენერგიულად წინ აღუდგნენ ბ. კერატიშვილსა და დ. დევდარიანს. ამ კრიტიკულ სიტუაციაში ცკ-ს პირველი მდივნის ვასილ პაკელს-ძე ჭავანაძის ცოლის უმკაცრესი ბრძანებითა და საგანგებო დავალებით დაცვის უფროსი თვალჭრელიძე, ბახტაძე, ბაკურაძე და შალუტაშვილი პირადად ხელმძღვანელობდნენ ბ. კერატიშვილისა და დ. დევდარიანის დაცვის უზრუნველყოფას, მათმა აგენტებმა ადვილად მოახერხეს ხალხის დაშინება, გაჩუმება, დასჯა და გარეკვა: შანტაჟითა და სამსახურიდან გაგდების შიშით, ეკლესიებში შესვლისათვის დაჭერით და პრესაში, რადიოსა

და ტელევიზიაში გამოჭვნებით, რაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 137-ე სტატიის უხეში და მოძალადეობრივი დარღვევაა. ეს ხდება მაშინ, როდესაც თვითონ უხეშად არღვევენ კონსტიტუციის 136, 140, 144-ე სტატიებს და ჩასხლის სამართლის 186, 187, 189, 205, 206, 94, 96 და 194-ე მუხლებს, რისთვისაც საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე განურჩევლად თანამდებობისა და წოდებისა, ერთიაირად აგებს პასუხს მართლმსაჯულების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილი ხალხის დახმარებით ბ. კერატიშვილმა და დ. დევდარიანმა თავიანთი დამქაში ბორიტმოქმედებისაგან შეადგინეს „წმინდა სინოდი“ და 1972 წლის 2 ივლისს მოაწყეს მეთერთმეტე საეკლესიო კრება, რომელზედაც კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა მიტროპოლიტი დავით V დევდარიანი. ეს სამარცხვინო კრება, როგორც უნდოდათ, ისე წარმართეს დამნაშავეებმა და მათმა მფარველმა თვალჭრელიძემ, ბახტაძემ, ბაკურაძემ და შალუტაშვილმა, რომელთაც თავის მხრივ ხელმძღვანელობდა და უზენაესი ძალაუფლებით მფარველობდა ცკ-ს I მდივანი, ვასილ პავლეს-ძე შევანაძის ცოლი.

გათამამებულმა ბ. კერატიშვილმა და მისმა დამქაშებმა და მფარველებმა აბუჩად, მასხრად აიგდეს მთელი ქართველი ერი, რაც მოეპრიანებოდათ და როგორც აწყობდათ, ისე იქცეოდნენ და მოქმედებდნენ. ბორიტმოქმედთა ამ ბანდის, მაფიის ყველა წევრი ორგანულად ვერ იტანდა პატიოსან, კეთილშობილ, კეთილსინდისიერ და პატრიოტ ადამიანებს. მათ სურდათ ეკლესიებში, სემინარიაში, მრევლში და მორწმუნეებში ყოფილიყვნენ მათი მსგავსი არამზადები, რომელნიც სიამოვნებით დათანხმდებოდნენ მათთან თანამშრომლობას და მათი ნება-სურვილების უხმოდ და უყოყმანოდ შესრულებას. რაც შეეხება პატიოსან მღვდლებს, სემინარისტებს, მრევლს, მორწმუნეებს და ეკლესიაში მოსიარულე მოქალაქეებს, ზოგიერთ მათგანს ნამდვილი რბევა და შანტაჟი, ფარული და აშკარა მუქარა და დევნა დაუწყეს, სხვები კი აიძულეს გარეულიყვნენ ჭუჭყიან საქმეებში და გააჩუმეს. ფანატიკოს-მორწმუნეებს ისინი დღე და ღამ უჩიჩინებდნენ: სახარებაში „სწერია“ ცოდვებისათვის ნუ განიკითხავ სხვას, ანდა: არა აღუდგე ბოროტებასო. ისინი როგორც აწყობდათ, ისე განმარტავდნენ სახარების ციტატებს და ღვთის სასჯელის შიშით ჩაუნერგეს მათ, რომ მთავარია მუდამ ლოცულობდე, მარხულობდე და ზიარებას ღებულობდე, რაც შეეხება ამქვეყნიურ ცხოვრებას, ბორიტმოქმედებს და მათ ცოდვა-დანაშაულებს, მათ წინაალმდეგ აღდგომას, განკითხვას და განსჯას, ღვთის სასჯელის შიშით უკრძალავდნენ მსგავს მოქმედებას. მათ შეგნებულად გახადეს ისინი ყოველივე ამქვეყნიერისადმი გულგრილნი, უინიციატივონი, მხოლოდ ლოცვა-კურთხევაზე გადამკვდარნი, ეგოისტური და მონური სულის ადამიანებად.

რაც შეეხება ძველი სინოდის პატიოსან წევრებს, მათ ნამდვილი ომი გამოუცხადეს. ბ. კერატიშვილმა ყველაფერი გააკეთა ილია შიოლაშვილის გასანადგურებლად. დავით დევდარიანთან ერთად მან მოხსნა იგი სემინარიის რექტორობიდან და აიძულა გაქცეულიყო და თავის გადასარჩენად თავი შეეფარებინა თავისი ეპარქიისათვის. შემდეგ მისდგა ყველა მის მომხრეებსა და მოსწავლეებს და შავი დღე დააყენა. მე, როგორც ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ისტორიკოსი, ხშირად დავდიოდი ზოლე სვეტიცხოვლის ტაძარში და ხშირად

შევსწრებივარ თუ რა საშინელ მდგომარეობაში აყენებდნენ ხოლმე სვეტიცხოველის მღვდელ-აკადემიკოს ვიქტორ შალამბერიძეს ბ. კერატიშვილის მიერ შეჩენილი უშიშროების აგენტები, ჯაშუშები და ბნელი პიროვნებები. ზოგჯერ წინასწორობიდან გამოსული ვიქტორ შალამბერიძე იქამდე იყო იმ ჯალათებისაგან ნერვებმოშლილი და გამძვინვარებული, რომ მართლაც საქმეზე მისულ მოქალაქეებსაც უყვიროდა ხოლმე: „მოშშორდით თავიდან თუ არადა მოდით ბარედამ სულმთლად გამომწოვეთ სისხლი და მომკალითო". თავდაპირველად ვიქტორ შალამბერიძე ვაკაცურად, ენერგიულად და უშიშრად ებრძოდა ამ ბოროტმოქმედებს, მაგრამ ბოლოს, როცა ბ. კერატიშვილმა ყველა შემოაცალა ერთგული და თავის დამქაშთა გარემოცვაში და იზოლაციაში მოახვედრა იგი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების, შანტაჟის, მუქარის და წვალების გამოყენებით თანდათან მოტეხა, დაანშა, დაიმორჩილა და დაიმონა იგი. მალე აიძულა იგი მომზეჯველობა, მექრთამეობა და მაქინაციებში მონაწილეობა მიეღო და მოგებული თანხის დიდი წილი მისთვის მუდმივად ეხადა ხოლმე. ბოლოს იქამდე მიიყვანა იგი, რომ აიძულებდა ზარ-ზეიმით შეხვედრას და მარიონეტივით როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა მას. ხანდახან იგი უმწეოდ გაიბრძოლებდა, მაგრამ ისე ჰყავდა გამოჭერილი მას, რომ ისევ ეფლობოდა ბ. კერატიშვილის დანაშაულებრივ ჭაობში. ბოლოს ვ. შალამბერიძემ სულ მიატოვა სემინარიის ლექტორობა, თბილისში ბინა იყიდა და იქ გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო სვეტიცხოველის პატრონობა, შემოსავალი და მრევლის მბრძანებლობა ბ. კერატიშვილის ხელში გადავიდა. რადგანაც გაჭირვების დროს ხშირად ვამხნევებდი და მხარში ვუდგებოდი ხოლმე ვ. შალამბერიძეს, მას ძალიან ვუყვარდი და ყველაზე მეტად მენდობოდა აბქეყეყნად. იგი გრძნობდა თავის სისუსტის გამო მტერთან ქედის მოხრით დანაშაულს რომ სჩადიოდა და ხშირად მეუბნებოდა; „ეე უკვე წყალწაღებული, დამრცხებული კაცი ვარ, მე მაიძულეს ასეთად გახდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლშვილიანად ამოშწყვეტდნენ და გამანადგურებდნენ, იცოდე, მე თუ რამე მომთვიდა, ბ. კერატიშვილის და მისი ხალხის გაკეთებული იქნება ეგ საქმე და დროება თუ შეიცვალა, არ შეარჩინო იცოდე მათ ჩემი სისხლი". ვ. შალამბერიძემ დაწერილებით მიამბო ბ. კერატიშვილისა და მისი დამქაშების ყველა ბოროტმოქმედებათა საიდუმლო. მე დიპლომი სვეტიცხოველის ხუროთმოძღვრების ისტორიის შესახებ დავწერე და დავიცავი, ამიტომ 1972-73 წლებში თვეობით ვცხოვრობდი ანდა სტუმრად ჩავდიოდი ვ. შალამბერიძესა და ზურაბ ცხვარიძესთან. ამ ხნის განმავლობაში ვ. შალამბერიძემ თანდათანობით შემაგროვებინა და გადმომცა ბ. კერატიშვილისა და მისი თანამონაწილეების დანაშაულობათა ფარდის ამხდელი და მამხილებელი ფაქტები.

ბ. კერატიშვილს აშკარად არ სიამოვნებდა ჩვენი ასეთი დაახლოება. მას მუდამ ეშინოდა ჩემი, ალბათ გრძნობდა, რომ მისი მომხრე არ ვიყავი, ამიტომ პატრიარქს აკრძალვინა ჩემი სემინარიაში გამოჩენა-სტუმრობა. იგი მუდამ თვალყურს მადევნებდა და ხან ერთ, ხან მეორე ჯაშუშს მიგზავნიდა ხოლმე. ოფიციალურად იგი ყოველთვის ჩემდამი „კეთილგანწყობილის" ნიღაბს იკეთებდა. ვიქტორ შალამბერიძისგან მასალების, ჩვენებების შეგროვებისა და ჩაწერის გარდა, ვიწერდი და ეკრეფდი მოწმეების ჩვენებებს და განუწყვეტლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალყურს ვადევნებდი მის ყოველ მოქმედებასა და ფეხის ნაბიჯს, რის გამოც შემდეგი დავადგინე: გარეგნულად მას მეტად დინჯად, დარბაისლურად და ამაყად უჭირავს თავი, ახალგაცნობილებზე ყოველთვის ცდილობს, ფსიქოლოგიურ განათლებული და საქართველოზე გადამკვდარი პატრიოტის შთაბეჭდილება, ამავე მიზნით იგი თითქმის ყველა დღესასწაულზე გამოდის აშკარად ურა-პატრიოტული ქადაგებებით. ასეთია მისი გარეგნული ნიღაბი. სინამდვილეში იგი უკიდურესად თავხედი, პატივმოყვარე, ვერაგი, ავადმყოფურად გარყვნილი, დაუნდობელი და რაღაც მანიაკურ-დემონიური ბოროტი ადამიანია. იგი საშინლად ზნედაცვეფული მამამთავალია, ბოლო დროს ძლიერ შეშინებულია, რომ გარყვნილების დროს არ დაიჭირონ, მხოლოდ ვიწრო წრეში, ძველ ნაცნობ მამათმავლებთან დადის ხოლმე ჩუმად. ძალიან უყვარს ხოლმე ღამით წანწალი. ხშირად მინახია დიდუბიდან მომავალი ტრამვაით ჩამოსული დინამოსთან და გვიან ღამით მუშტაიდის ბაღის მიმართულებით გამქრალა.

საეჭვო პიროვნებებს ხშირად მოქრთამვით იახლოებს და თანამონაწილედ იხდის. ქვეშევრდომებთან მეტად თავხედურად უჭირავს თავი. მაგალითად, მე მოწმე ვარ იმისა, თუ როგორ აუკრძალა სვეტიცხოვლის მღვდელს ზურაბ ცხვარაძეს გაჭირვებული ხალხისათვის მოწყალების გაცემა: აქაოდა ფულებს უთავბოლოდ ფანტავო. იქვე „სთხოვა", „ურჩია", რომ სჯობდა ყოველივე მისთვის „შეეწირა", სულ მცირე წილი მაინც მიეცა თავისი დიდი შემოსავლიდან.

მფარველები მას ხშირად ახსენებდნენ თავს, ისინი ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ მას, ზრუნავდნენ მისი კარიერისა და უშიშროებისათვის. ამასვე ჩადიან ამჟამადაც. თუ ვინმემ შებრძოლება გაუბედა ძველი შეცოდებისათვის, თვითონაც რომ არ გაიყიდონ, მთელ თავიანთ ძალაუფლებასა და ნაცნობობას იყენებენ იმ ადამიანის მოქმედების ჩასაშლელად და ამიტომ იგი ყოველთვის შშრალად გამოჰყავთ წყლიდან.

მადლიერების ნიშნად ეს ბოროტმომქმედი თავის მფარველ სახელმწიფო დამნაშავეებს, ქართველი ერის კუთვნილ, ისტორიული ღირებულების მქონე საეკლესიო განძის ძვირფასეულობას მიართმევს ძღვნად.

დავით V დეედარიანი, პატრიარქობის პირველი ღღიდანვე ამ სახელმწიფო დამნაშავეებს, ქართველი ერის მოღალატეებისა და ვერაგ ბოროტმოქმედთა სათამაშო მარionეტი გახდა. მალე იგი იმდენად შეავიწროვეს, დაამცირეს და მასხრად აიგდეს, რომ შალუტაშვილმა ისიც კი აიძულა საკუთარი ჯამაგირის უმეტესი ნაწილი ეძლია მისთვის. ბ. კერატიშვილმა კი პირწმინდად გაყვლიფა იგი და მთლიანად იგდო ხელთ ძალაუფლება. მალე იგი პატრიარქის ქორ-ეპისკოპოსი გახდა. ამით მან ნიადაგი შეიმზადა მიტროპოლიტად კურთხევისათვის, რის შემდეგ იგი, ბუნებრივია, გზიდან მოიშორებდა დავით V-ს და პატრიარქად აკურთხებინებდა თავს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. მაგრამ მოულოდნელად მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ, მისთვის ერთი შეხედვით უნიშვნელო პიროვნებამ, საინის თანამშრომელმა ავთანდილ სამხარაძემ საარაკო გაბედულება გამოიჩინა და ბ. კერატიშვილის მრავალ ბოროტმოქმედების შესახებ შეგრავილი მასალები განცხადების სახით შეიტანა საქართველოს კომპარტიის ცკ-ში განსახილველად. ამ სენსაციურმა სკანდალმა ბევრ ადამიანს აუხილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი მომხდარ დანაშაულზე, მაგრამ იგი სამწუხაროდ „დროზე“ იქნა ბახზობილი ვ. პ. მჟავანაძის ცოლის მიერ, რომელმაც ეს საქმე გასარჩევად შალუტაშვილს, ბახტაძეს, თვალჭრელიძეს და ბაკურაძეს გადასცა. ეს „ბაბაო“ ანეკდოტს ჰგავს. მგლებს ცხვრის გასამარილება დაავალესო, ისე მოხდა ზუსტად. ავთო სამხარაძე ერთის ამბით დაიბარეს უშიშროების კომიტეტში და ყოველგვარი ხერხები, თვით შანტაჟი და უკიდურესი ზომების მიღების მუქარაც კი გამოიყენეს მის დასაშინებლად. როგორც ჩვენ ვიცით, უშიშროების კომიტეტში სახელმწიფო დანაშაულებსა და ანტისაბჭოთა ელემენტებს ამუშავებენ ასე მკაცრად. ბუნებრივია, ყველას დაგვებადება კითხვა: რატომ დაამუშავეს ასე მკაცრად უშიშროების კომიტეტში ავთანდილ სამხარაძე, რომელმაც გაბედულად ამხილა ბნელეთის მოცავული ბოროტმოქმედები, ანტისაზოგადოებრივი დამნაშაველები და არამზადები?!! იმის მაგივრად, რომ ვაჟკაცურად ამოდგომოდნენ მხარში მას და ბოლომდე აეხადათ ფარდა ეკლესიებში მომხდარი საშინელი დანაშაულებისათვის, რატომ მოხდა, რომ მართალი ადამიანი დასაჯეს, აქაოდა როგორ გაბედე ეკლესიას თავშეფარებულ ბოროტმოქმედთა მხილებაო? აქ შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ: ვ. პ. მჟავანაძის ცოლი, შალუტაშვილი, ბახტაძე და ბაკურაძე ამ ბოროტმოქმედთა აშკარა მფარველები და ხელისშემწყობნი იყვნენ, ისინი რომ დაესაჯათ, მთელ დანაშაულს ფარდა აეხდებოდა, გაირკვეოდა მათი მონაწილეობაც ამ ბოროტმოქმედებებში და თავის თავს თვითონ ხომ არ დაისჯიდნენ ეს თავს დაიღუპავდნენ. ამიტომ მათ დამნაშაველებს ხელი დააფარეს, ხოლო ალალმართალი და პატიოსანი ვაჟკაცი კი საშინელი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამოყენებით დაამუშავეს და აწამეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე, 93-ე, 94-ე, 96-ე, 186-ე, 187-ე, 189-ე, 190-ე, 9-ე, 20-ე, 21-ე, 73-ე, 135-ე, 136-ე, 138-ე, 194-ე, 205-ე, 206-ე, 220-ე მუხლების და საქართველოს კონსტიტუციის 136-ე, 137-ე, 140-ე, 143-ე და 144-ე სტატიების თანახმად ვ. პ. მჟავანაძის ცოლი, შალუტაშვილი, ბახტაძე, ბაკურაძე სისხლის სამართლის დამნაშაველებს და ხალხის მტრებს წარმოადგენენ. პასაცილო და სატირელიცაა ის აღმაშფოთებელი ამბავი, რომ ამ ადამიანებმა, რომელთაც ხალხმა და პარტიამ ანდო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და ზემდგომ ინსტანციებში განსაკუთრებულად პასუხსაგები თანამდებობები, მოულოდნელად დანაშაულებრივი კავშირი დაამყარეს მოწინააღმდეგე იდეოლოგიის წარმომადგენელ ბოროტმოქმედ ბნელეთის მოცაქულებთან და მათთან ბრძოლის მაგივრად შექმნეს არამზადების მთელი ბანდა, რომელთა მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთ ხელს შეგნებულად უწყობდნენ ხელმძღვანელობდნენ, რათა ხელში ჩაგდოთ და მიეთვისებინათ ქართველი ხალხის კუთვნილი ის განძეულობა, რომელიც ჩვენი მამულიშვილების სისხლის ფასად გადაურჩა თემურ-ლენგსა და მურვან-ყრუს, შაპ-აბასსა და საქართველოს სხვა მრავალ დაუძინებელ მტერს. ამას გარდა, მათი ხარბი სული მოხიბლა იმ უუდმივმა უზარმაზარმა შემოსავალმა — ქრთამმა, რომელსაც ბ. კერატიშვილი და მისი თანამონაწილეები გულუხვად უგზავნიან თავიანთ ყოვლისშემძლე მფარველებს. სწორედ ამ პირადი ინტერესებისათვის, გამდიდრებისათვის, ოქრო-ვერცხლისა და პატიოსანი თვლების მოხვეჭისათვის და მილ-

ირონბით ფულის დასტების ჩასაჯიბავად გაყიდეს მათ თავიანთი ადამიანობა, სინდისი და ნამუსი, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობები, უხეშად დარღვიეს კონსტიტუციის სტატიები და სისხლის სამართლის კოდექსის წესები. შეარცხვინეს და უდალატეს პარტიას და ხალხს და ბორტმოქმედების სამარცხვინო და მოლიპულ გზას დაადგნენ. აი, რატომ დაისაჯა აკუთნდილ სამხარაძე, აი რისთვის არ მიაქციეს ყურადღება მის მიერ დამნაშავეების მხილებას და აი რის გამო დაადანაშაულეს იგი პირიქით და ემუქრებოდნენ კიდეც მას. ამას დაემატა ისიც, რომ ბორტმოქმედებმა დაიწყეს მისი ძლიერი შეეწროვება, დევნა და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ბოლოს იგი მიხვდა, რომ ამა ქვეყნის ძლიერთა მიმართ არაფერი გაუვიდოდა და ბუნებრივია, გაწუმება, „შეკედლება“ და „შერიგება“ არჩია. სხვა გამოსავალი მას არ ჰქონდა, რადგან ისიც კი საკვირველია, ასე იოლად როგორ გადაურჩა იგი მათ. ასე დაემართა ყველა სხვა მოწმე მომჩივანს, რომელთა მიმართ გამოყენებულმა რეპრესიებმა შეაშინა ყველა, ვინც კი იცოდა ამ ბორტმოქმედებათა შესახებ. ყველა იძულებული იყო პირში წყალი დაგუბებინა და ენისათვის კბილი დაეჭირა. კერატაშვილი და დ. დვედრიანი არაკეთილი ქრთამის წინაშე არ იხევდნენ, ოღონდაც თავი გადაერჩინათ ხალხის სამართლიანი სამსჯავროსაგან. ბოლოს ყველას „მიაეწეენ“ და „ზურგი შეაქციენეს“ ამ საქმისადმი. მოსპობილ იქნა ყველა უმნიშვნელოვანესი დამტკიცებელი მასალა, დაამშინეს ყველა მოწმე, მღვდელი და ერისკაცი, დაამშინეს ისე ძლიერად, რომ ეხლაც ვერ იღებენ ხმას ამ საქმეზე მათი შიშით.

ჩვენ, ამ საშინელი ბორტმოქმედების რამდენიმე მოწმე, იძულებული ვიყავით ჩუმად, წინდახედულად და ფრთხილად მოგვეგროვებინა ბ. კერატაშვილისა და მისი თანამონაწილეების ზროვნის მამხილებელი მასალები და ფაქტები. ამის გაკეთება ყველას ცალ-ცალკე გვიხდებოდა უმძიმეს პირობებში, რადგან ბორტმოქმედთაგან ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ტერორი, მოწამვლა, „შემთხვევითი ავარია“ ან „უბედური შემთხვევა“. მაგალითისთვის მარტო ის რად ღირს, რომ მოწმეების ჩვენების მიხედვით, ერთ-ერთი თავარი მოწმე და ბრალმდებელი ვალენტინა ფაილოძე[8] მრავალჯერ სასწაულებრივად გადაურჩა ბ. კერატაშვილის მიერ საგანგებოდ დანიშნულ ტერორსა და მოწამვლას. ბორტმოქმედები და მათი დამქაში უშიშოობის აგენტები, აგრეთვე მილიციის თანამშრომლები მოწმეთა თქმით მოტყუებით აგროვებდნენ ან სპობდნენ მამხილებელ მასალებს. ისინი იქცეოდნენ ისე, როგორც სურდათ და სჭირდებოდათ „ზეკით“, ვიქტორიაა ტორისკვეიჩს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ძველ ცოდვებს გამოუჩხრეკდნენ, ზედ ახალს დაამატებდნენ და უმკაცრესი სასჯელით წაშინ დაუკარგავდნენ ყველაფერს, რაც კი ჰქონდათ ცხოვრებაში მიღწეული. რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ დაიცვან დანაშაულში მათი თანამონაწილეები, რომელთა საქმეების გამოაშკარავებაც მათ დაღუპვას უდრის. ზოგიერთი სხვაზე დამოკიდებული არაპატიოსანი პიროვნება ერიდება სხვისი დანაშაულის გახსნას, რადგან ამ დამნაშავის დამქაშებმა მისი ცოდვების გამოშეურებითაც არ იძიონ მასზე შური. ამას ემატება ისიც, რომ უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანებიც

8 სამწუხაროდ, ვალენტინა ფაილოძე შეინიღბა, ორმაგი თამაში დაიწყო — ექლესიაში აღარ ჩხუბობდა, სახალხო მხილებას მოეშვა, რისთვისაც შუსაფერი დაფასება მიიღო (რედ.).

სიმხდალის, ეგოიზმის, ანდა სხვა სისუსტის გამო ერიდებიან ბობოლა ბორტ-მოქმედთა მხელას. ისინი ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად და სხვამ ქვეყანა რომ დაიქცეს, რა ჩემი საქმეაო, გაიძახიან. ზოგიერთი ნაძირალას ფარ-ხმალ-ულ-ვილი, მტრობა და ზიზღი ქართველი ხალხისადმი, სხვათა ავადმყოფური პა-ტივმოყვარეობა, კარიერიზმი, ძოძხვეჭელობა და სხვა ზნედაცემულობა ბორტ-მოქმედთა უნებურ დამცველ და თანამონაწილე, დანაშაულის ხელისშემწყობ ბრბოდ აქცევს მათ. სწორედ ასეთმა ატმოსფერომ იხსნა დღემდე ბ. კერატიშვილი და მისი დამქაშები ხალხის სამართლიანი სამსჯავროსაგან. სამწუხაროდ, ვისაც შეუძლია ისინი ამხილოს, მათ ჯერ კიდევ არ დავიწყნიათ, რაც მოხდათ მისი მფარველებისაგან და სხვათაგან ელიან საქმის წამოწყებას.

ამას დაემატა ისიც, რომ შეშინებულმა შალუტაშვილმა, ბახტაძემ, ბაკურაძემ და თვალჭრელიძემ, აგენტებმა, გამტაცებლებმა და მათმა ხელისშემწყობმა ნა-ძირალებმა მოსპეს ბევრი მამხილებელი ბრალდება-დოკუმენტი, ჩვენება, საჩი-ვარი და მასალა და თითო-ოროლა უმნიშვნელო „საბუთის გამომზეურებით“ ამ საქმის აღძერა არამზანშეწონილად გამოაცხადეს, მაგრამ ისინი მწარედ შეცდ-ნენ, რადგან რაც არ უნდა ეცადონ, ახალ პირობებში მათი ამ უმძიმესი დანა-შაულის დაფარვა შეუძლებელია. ამ საქმის მიფუჩეჩვას ისინი ყოველთვის ვერ შეძლებენ, რადგან ჩვენ, ამ საქმის მოწმეები ყოველნაირ მსხვერპლს გავიღებთ ამისათვის, რომ ეს საქმე გაიხსნას და ყველა დამნაშავემ ღირსეული სასჯელი მიიღოს ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ამ უდიდესი დანაშაულის გამო.

1974 წლის 27 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულზე ბ. კერატიშვილისა და მისი დამქაშების მრავალი მძიმე დანაშაულის მოწმეებს მრევლთან ერთად უნდა მოეწყოთ მათთვის ქრისტიანული სასამართლო, წაეყვნებინთ ბრალდებები, დაემტკიცებინათ მათი დანაშაული და განეკვეთათ ისინი ეკლესიებიდან. მე მი-ვედი იმ დღეს სიონში, რათა როგორც ერთ-ერთ მთავარ მოწმეს, მემხილებინა ისინი მათ მიერ ჩადენილ ბორტმოქმედებებში და მონაწილეობა მიმეღო მათ გასამართლებაში — ეკლესიიდან განკვეთაში. სამწუხაროდ, ეს ამბავი წინასწარ ვიღაცამ გაყიდა ბ. კერატიშვილმა, შალუტაშვილმა, ბახტაძემ, ბაკურაძემ, თვალჭრელიძემ და მჭავაანძემ ჩუმი, ეშმაკური და ენეგრიული მოქმედებით ჩა-შალეს მრეველის ეს კრება. მათ გაიფრთხილეს დამნაშავე მღვდლები, რომელთა-გან უმრავლესობა შეშინდა და საერთოდ არ გამოცხადდა სიონში. შემდეგ მათ მრეველის უმრავლესობა შეაშინეს და მიმოფანტეს. სიონი მათ სპეციალურად გაავსეს თავიანთი დამქაშებითა და ფანატიკოსებით, რათა სასამართლოს მოწ-ყობის შემთხვევაში ხმების უმრავლესობა აჰყოლოდათ. სიონში მისვლისთანავე მე მიეხვედი, რომ ყოველგვარ სახალხო სასამართლოს მოწყობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ჩემი შესვლისთანავე ბ. კერატიშვილს, რომელიც კათედრიდან „ურა-პატრიოტულ“ თემაზე ქადაგებდა, მკვდრის ფერი დაედო, შეშინდა და ხმა წაუვიდა. მე მიეხვედი, რომ მას ჩემი აქ მოსვლის მიზანზე უკვე წინასწარ მოახ-სენეს. ჩემს დანახვაზე სიონში აწრიალდნენ და დაფაცურდნენ ბ. კერატიშვილის დამქაშები და აგენტები. მე მათთვის ყურადღებაც კი არ მიმიქცევია, ეუსმენდი მის „ქადაგებას“. მოსმენის დროს მე გამახსენდა მისი ის ბორტმოქმედებანი, რომელმაც კატასტროფული ზიანი მიაყენა მთელ ქართულ ქრისტიანულ ეკლე-

ნიას და საერთოდ მთელ ერს, და საშინლად აღმაშფოთა ამ ქართველი „ბალთა-ზარ კოსას“ თვალთმაქცობამ, უსვინდისობამ, თავზედობამ, არაკადაბიანობამ და გაუგონარმა ბოროტებამ. ჩემს „დანაშაულის ჩადენის ადგილზე“ დასაჭერად მილიციაში დასარეკად გიაქცენ ბ. კერატიშვილის მაბეზღარა ჯაშუშები, მაგრამ მე ყურადღებაც კი არ მიმიქცევია მათი მოქმედებისათვის, თავი ხელში ავიყვანე და ბოლოძდე მოვისმინე რა „წირვა-ლოცვა“, მშვიდობიანად გაეშორდი სიონის ტაძარს. ბ. კერატიშვილმა და მისმა დამქაშებმა იმ დღესვე მთელ თბილისს მოსდვა ამბავი, რომ ჩვენი „დანაშაულებრივი ბანდა“ შეეცადა პატრიარქისა და ბ. კერატიშვილის გადატრიალებას, მაგრამ ყველაფერი ჩაგვეშალა, რადგან მილიციის ძალით სულ ყველა თითქოს გაგვრეკეს სიონიდან.

ბ. კერატიშვილმა ხელად შეადგინა „თავდამსხმელთა“ სია და გადასცა თავის მფარველ უშიშროების აგენტებს. მან მუქარა შემოგვითვალა, რომ ათივე „დამნაშავეს“ ეკლესიებიდან განგაკვეთდა და ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის უშიშროების კომიტეტში გადაგვცემდა დასაპატიმრებლად. მორწმუნეებისა და ავთანდილ სამხარაძის თქმით, ბ. კერატიშვილთან და დ. დევდარიანთან საპატრიარქოში თითქმის ყოველდღე იდუმალად იკრიბებოდნენ და თათბირობდნენ, როგორ მოვეშორებინეთ თავიდან: ბახტაძე, შალუტაშვილი, თვალჭრელიძე და ბაკურაძე.

27 იანვრის შემდეგ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით ბ. კერატიშვილი საგანგებოდ გადავიდა მცხეთაში და ტაძრის „მოწესრიგება-დასუფთავების“ დროს გაძარცვა სვეტიცხოვლის საგანძური, რომელიც მან გამოიყენა ახალი დამქაშების მოსასყიდად. შემდეგ მან ჩემი გულისათვის საშინლად გალანძღა სვეტიცხოველის მღვდლები და თან დაემუქრა (ზურაბ ცხვარაძეს და ვიქტორ შალამბერიძეს): „თქვენ გამოზარდეთ მაგ ბანდიტი, რომელმაც თვით „უწმინდეს-უნეტარესი“ პატრიარქისა და ჩემი გადატრიალება მოინდომაო“. ზურაბ ცხვარაძე, როგორც სუსტი პიროვნება, დიდხანს არ აწუალეს და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ჩემი მიღება აუკრძალეს. რაც შეეხება მისი დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ მოწმეს და თვითმხილველს, მღვდელ-აკადემიკოს ე. შალამბერიძეს, ჩუმად მოუწყვეს ნამდვილი შეთქმულება.

მე იმ ხანად ამადგენეს თავიანთი აგენტები, პროვოკატორები და დამბეზღებლები, რომლებიც ფეხდაფეხ დამდევდნენ უკან, ისმენდნენ ჩემს ლაპარაკს მეგობრებთან, ქუჩაშიც და ტელეფონზეც. რამდენჯერმე განგებ წამოიწყეს ჩემთან ჩხუბი და აყალმაყალი, მაგრამ მათ ანკესზე არ წამოვეგე და მოხერხებულად მოვიშორე ისინი თავიდან. ამასობაში ავთო სამხარაძემ შემატყობინა, ფრთხილად იყავი, დიდ შეთქმულებას გიმზადებენო ბახტაძე და კერატიშვილი. მაშინ მე დავწერე ჩვენება ორ ეგზემპლიარად ბ. კერატიშვილისა და მისი მფარველების ბოროტმოქმედებათა შესახებ. ერთი ჩვენება მივუტანე ჩემს ყოფილ მეზობელს გაგა არაბულს, ლენინის რაი-მილიციაში, სადაც იგი მუშაობს. მან დახმარება აღმითქვა ამ საქმეში და ოთხშაბათისათვის დამიბარა, საიდუმლო განყოფილებაში მდივანს გადავაბეჭდინებო ჩვენებას და რომ მოხვალ, დავიწყებთ ძიებასო. ჩვენების მეორე ეგზემპლიარი მივიტანე საქართველოს ცკ-ს I მდივნის ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილ, ნუგზარ შევარდნაძესთან, რომელიც მამამისის დახმარებით უნებლად გადასცემდა ჩვენებას ე. შევარდნაძეს.

ოთხშაბათს მილიციაში გაგა არაბულთან რომ მივედი, მოულოდნელად განმიცხადა, მდივანს უამრავი საქმეები ჰქონდა და ჩვენების გადაბეჭდვაზე უარი მითხრა; მე არ წამიკითხავს ჯერ ჩვენება, კვირას გამოიარე ჩემთან სახლში და ამ საქმის შესახებ მოვილაპარაკოთო. ნ. შევარდნაძესთან მისვლის შემდეგ მოგზავნილებმა შეწყვიტეს ჩემი დევნა, ითვიათად თუ მოვკრავდი მათ თვალს. მაგრამ ამ დღეებში ჩემი კარადიდან გაქრა მოწმეების ჩვენებები და ვ. შალამბერიძის მიერ ჩემთან გადმოცემული მასალები, ფაქტები და დოკუმენტები. ბევრი ვეძებე ისინი, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე. რამდენიმე დღის შემდეგ ვერცხლის ქუჩაზე ავთანდილ სამხარაძე შემხვდა და შემატყობინა, რომ ვ. შალამბერიძე იგოეთთან ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ძმასთან და სიმამრთან ერთად დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ მისი რძალი, მაგრამ მას ტვინის მძიმე შერყევა აქვს და მის ჩვენებაზე დაყრდნობა არასწორი იქნება. მე გადავფრინდი ქუთაისში, ვიყავი ვ. შალამბერიძის გასვენებაში, მოვისმინე ახლობლების აზრები და ჩვენებები და უკვე ღრმად დავეჭვდი, რომ ეს ავარია მოწყობილი იყო ბ. კერატიშვილისა და მისი დამქაშების მიერ. ჩემი დაეჭვების მიზეზია:

1. 27 იანვრის სასამართლოს ჩაშლის შემდეგ ვ. შალამბერიძესთან და ზ. ცხვარაძესთან ჩემს თაობაზე ბ. კერატიშვილის ჩხუბი, მუქარა და შანტაჟი.

2. ბ. კერატიშვილის საგანგებო გადასვლა მცხეთაში, ეკლესიის განძის ხელში ჩაგდება ახალი დამქაშების მოსაქრთამად.

3. მის მიერ ვ. შალამბერიძის ყოველი ნაბიჯის თვალთვალი.

4. ჩემი უკან დევნის შეჩერება და ვ. შალამბერიძის ხელნაწერების, მასალების და მამხილებელი დოკუმენტების გაქრობა ჩემი კარადიდან.

5. ბ. კერატიშვილის, ბახტაძის, თვალჭრელიძის, ბაკურაძის და შალუტაშვილის ხშირი იდუალი თათბირი.

6. ბ. კერატიშვილმა ზუსტად იცოდა საითკენ, რა მიმართულებით და როდის გაიყიდა ვ. შალამბერიძის მანქანა.

7. წინა ღამით ვ. შალამბერიძეს თავისი „ფიატი“ სვეტიცხოვლის ეზოში ჰქონდა დატოვებული (მთელი ღამით).

8. ავარია მოხდა ბუნდოვნად, გაურკვეველ სიტუაციაში, მაშინ როდესაც მანქანა საკალი გზის მარჯვენა ნაწილში იმყოფებოდა და ატარებდა მარცხენა მხრიდან გასასწრებად წამოწეულ ტაქსს. როგორ მოხვდა მანქანა გზის მარცხენა მხარეს, ჯერჯერობით გაურკვეველია.

9. 16 მარტს მან სრულიად უმიზეზოდ, აყალ-მაყალში ჩემი ჩათრევის ამაოცდის შემდეგ მცხეთის რაი-მილიციის მუშაკებს დააპატიმრებინა ჩემი თავი სამსახურეობრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მუშაობის შესრულების დროს. მათთან მან წამიყვანა ხულიგნებთან ერთად თავდასხმის, შანტაჟის, მუშაობაში ხელის შეშლის ბრალდება. განუცხადა აგრეთვე, რომ მე ვითომ უნივერსიტეტიდან გაგდებული უსაქმური და ბნელი პიროვნება ვარ, და თვით პატრიარქის და მისი გადატრიალების ცდის გამო პატრიარქის სპეციალური ბრძანებით განკვეთილი ვარ ქრისტიანობიდან. გამომძიებელმა ჭაეჭაკაძემ და უშიშროების თანამშრომელმა მიმიყვანეს მილიციაში და დამკითხეს, რის შემდეგაც მე განცხადება დავწერე კ. დ. სინჯაშვილის სახელზე ბ. კერატიშვილის წინააღმდეგ. ჭაეჭაკაძემ მილიციის

უფროსთან, ვ. სინჯაშვილთან ამიყვანა, რომელმაც წაიკითხა ჩემი განცხადება, დამკითხა, გამჩხრიკა და ორშაბათისთვის დამიბარა. ჭავჭავაძემ ხელფასიანი დამაწერინა, რომ დავტოვებდი მცხეთას და თბილისში ჩამოვედი.

ამიტომ მე მოვითხოვე, დადგინდეს ავტოკატასტროფის ჭეშმარიტი მიზეზები და შემოწმდეს, თუ რა კავშირი აქვს მასთან ბ. კერატიშვილს, მის მფარველებსა და დამქაშებს. მოვითხოვე შემოწმდეს ვ. შალამბერიძის უკან მომავალი ტაქსის მძღოლისა და დაჯაჩებული სატვრთიო მანქანის მძღოლის ვინაობა. რაიმე კავშირი ხომ არა აქვთ მათ ბ. კერატიშვილთან და მის ხალხთან. გამოირკვეს და დადგინეს.

მე მთელი ქართველი ერის წინაშე ბ. კერატიშვილს ბრალს ვდებ:

1. შანტაჟით, ძალმომრეობით და ქრთამით მღვდელმთავრობის ტიტულის ხელში ჩაგდებისათვის.

2. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის სულის ამოხდისათვის, რის დასამტკიცებლადაც მოვითხოვე მისი გვამის ამოღებას და ექსპერტის მიერ განხილვას.

3. საპატრიარქოს განძის გატაცებისა და მითვისებისათვის.

4. პატრიარქის ანდერძის დახვევისა და ყალბი ანდერძით პატრიარქად დაკით V-ის, დევდარიანის გაყვანისათვის.

5. მისი მფარველი აგენტების დახმარებით უდანაშაულო ადამიანების დაბეზღების, შანტაჟისა და დევნისათვის.

6. ეკლესიების უმაგალითო ძარცვისა და ანაფორიან ბოროტმოქმედთა ბანდის შექმნისათვის.

7. აღვირახსნილი მამათმავლობისა და საზიზღარი ორგიებისათვის.

8. ახალგაზრდა ქალ-ვაჟების გაუკუღმართებული გარყვნისა და გახრწნისათვის.

9. ეკლესიების, საკურთხეველების ღრეობებით, მამათმავლური ორგიებით, ფულის გაყოფის დროს ატეხილი ლანძღვა-გინებითა და მუშტი-კრივით წაბილწვისათვის.

10. ნათლობის, ჯვარის წერის, წესის აგების, ზიარების და სხვა საეკლესიო რიტუალების გაზრახ დამახინჯებისა და შებილწვისათვის. ამ რიტუალებში მონაწილეობის დროს თავის დამქაშებთან ერთად ხალხის მოტყუებისა და ყვლეფისათვის.

11. ეკლესიებში თავის გარშემო ბნელ ფანატიკოსთა დანაშაულებრივი, ბოროტმოქმედი ბრბოს შემოკრებისათვის.

12. პატიოსანი მღვდელმსახურების, სემინარისტებისა და მორწმუნე პატრიოტების დაუნდობელი და სასტიკი დევნისათვის.

13. მისი დანაშაულების მოწმე და მისი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების შანტაჟისათვის, მათი მოკვლისა და მოწამვლის ცდისთვის.

პატრიარქ დავით დევდარიანს ბრალს ვდებ:

1. უკანონოდ, ყალბი ანდერძით თანამესაყდრედ და პატრიარქად თვითკურთხევისათვის, ამ მიზნის მისაღწევად ამ ბოროტმოქმედთა ბანდასთან კავშირის დამყარებისათვის, ქრთამის გაღებისათვის.

2. ბ. კერატიშვილის მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულის დაფარვისათვის, თანამონაწილეობისა და ფულადი სახსრებით დახმარებისათვის.

3. პატრიარქობის მისაღწევად ეკლესიის მრევლისა და მოქალაქეების მოტყუების, ღალატისა და დევნისათვის.

4. მისი არჩევის მოწინააღმდეგეთა დაუნდობელი წვალება-დევნისათვის, ძალის გამოყენებით, დანაშაულებრივი გზით პატრიარქად თვითკურთხევისათვის.

5. საპატრიარქოს ქონებისა და ძვირფასეულობის მის პატრიარქად ამრჩევ ბოროტმოქმედთათვის განკუთვნილ ქრთამ-ძღვენებში გაფლანგვა-განაავებისათვის.

6. ბ. კერატიშვილისა და მისი დამქაშებისათვის „მოქმედების“ სრული თავისუფლების მინიჭებისათვის, მათი მფარველობისათვის და მათდამი დამონებისა და დანაშაულებრივი სურვილების აღსრულებისათვის.

7. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბოროტმოქმედთა და მამათმავალთა საკრებულოდ გადაქცევისა და კატასტროფულ მდგომარეობამდე მიყვანისათვის.

ამ საქმეში მოწმეებად გამოდგებიან:

1. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი, რომელიც ხანგრძლივი და დაუნდობელი დევნისაგან ძლიერ არის დაშინებული. მას ფანატიკურად სწამს, რომ თვით დამნაშავის მართლმსაჯულების წინაშე გამოცხადება დიდი ცოდვაა, რითაც ძალაუნებურად ხდება მისი თანამონაწილე, რაც თვით ქრისტიანული მორალის უხეში დამახინჯება და დარღვევაა. ბ. კერატიშვილი და დავით V თავიანთი დანაშაულებრივი საქციელით თვით ქრისტიანობის შემბილწველი და გამანადგურებელი მტრები გამოდიან და ამიტომ მათ დანაშაულთა დაფარვა ი. შიოლაშვილის მხრიდან თვით ქრისტიანობის მტრობას ნიშნავს. იგი განაღლებული კაცია და უშიშროების უზრუნველყოფის შემთხვევაში და ამგვარი შეგონების წყალობით ბევრ უმნიშვნელოვანეს ფაქტსა და მასალას მიაწვდის გამოძიებას.

2. სიონის მღვდელი ავთანდილ სამხარაძე, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი მოწმეა ამ მძიმე დანაშაულისა. მან პირველმა აღძრა საქმე ამ ბოროტმოქმედების გასახსნელად, მაგრამ იძულებული გახდეს გაჩუმებულიყო. იგი ამჟამად „შერიგებულია“ დანაშაववებთან, მაგრამ უშიშროების უზრუნველყოფის შემთხვევაში დაუფარავად გაამხელს მათ მრავალ ბოროტმოქმედებას.

3. ცეზარ ანანიაშვილი, იგი პირადად ბ. კერატიშვილის, დავით V-ის, უშიშროების აგენტებისა და მათი დამქაშების დიდ დევნას განიცდიდა, მათ მიერ გაგდებულ იქნა სემინარიიდან და დიდხანს მოსვენებას არ აძლევდნენ. ამიტომ საჭიროა უშიშროების უზრუნველყოფა, რომ თავისუფლად შეძლოს ჩვენების მიცემა.

4. გურამ შალამბერიძე, ვ. შალამბერიძის ძმა — შეკეწროვებული და დევნილი, აკადემიკოსი-მღვდელი, რომელსაც შეუძლია მრავალ საიდუმლოს ახადოს ფარდა.

5. ზურაბ ცხვარაძე — ამა წლის 24 იანვარს ნათელა ოგანოვა-ტიჟოვევას ოჯახში მან განმიცხადა, რომ საპატრიარქოს საგანძურის გატეხვაში, ანდერძის დახვევაში და ყალბი ანდერძის შედგენაში, სინოდის სხდომის და XI საეკლესიო

კრების წევრთა შერჩევაში უდიდესი როლი ითამაშეს ბახტაძემ, ბაკურაძემ, თვალჭრელიძემ და შალუტაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ქეთევან ქალიფთარი — სიონის სარეველიზიო კომისიის თავმჯდომარე. იგი ამ ბოროტმოქმედთა ყველა უსმენელი დანაშაულის მოწმეა; ამ რამდენიმე დღის წინ უშიშროების კომიტეტში იგი დაიბარა ბახტაძემ და ცინიკურად განუცხადა: საპატრიარქოში არაფერი არ დაკარგულა ერთი ოქროს საათის გარდა, რომელიც ეფრემ II-ის ნათესავებმა წაიღესო. ბახტაძემ მხოლოდ ამისთვის არ დაიბარა ეს ერთ-ერთი მთავარი მოწმე. ეს იყო მისი ერთგვარი გაფრთხილება, მუქარა და მინიშნება: თუ ეცდებით განძის გატაცების მტკიცებას, ოქროს საათის დაკარგვის მეტს ვერაფერს დამტკიცებთ და ცილისწამება გამოგივათო. ამ გათავხედებულ, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელს ერთი რამე აეიწყება, ის, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დაფარული და როგორც არ უნდა შეინიღბოს იგი და წაშალოს კვალი, მის ბოროტმქმედებას მაინც აეხდება ფარდა და იგი მთელის სიმკაცრით დასჯება მართლმსაჯულების მიერ. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ქეთევან ქალიფთარის ამ გამოძახება-დაკითხვით მან ერთხელ კიდევ თვითონვე დაუმტკიცა თავის თავს, რომ უდიდესი ბოროტმოქმედი და ხალხის დაუძინებელი მტერია.

7. ვაჟა ჯინორია — სოხუმში მოღვაწე ბერი, იგი დ. დევდარიანის მიერ საგანგებოდ იყო მიხმობილი მდინარდ, მაგრამ იგი მალე გაექცა მათ, რადგან აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღო ი. შიოლაშვილის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

8. ვლადიმერ და კარლო სიდამონიძეები — პატრიარქ ეფრემ II-ის ძმა და ძმისშვილი, ბ. კერატიშვილისა და მისი დამქაშების ბოროტმოქმედებათა უშუალო მოწმენი და თვითმხილველნი არიან. ისინი ერიდებიან ლაპარაკს ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი დანაშაულის გამომჟღავნებით ფარდა აეხდება ეფრემ II-ის ბევრ მძიმე დანაშაულს და ცოდვას, რაც სახელს გაუტეხს მას და რაც მათ, რა თქმა უნდა, არ აწყობთ, მეორეც იმიტომ, რომ ძალიან დაშინებულნი არიან. ასევე იქცევიან მათი ბნელი წარსულის მქონე ნათესავები ვახტანგ ვათიაშვილი და ვენერა ბუკია (ჯავის ქ. N76).

9. გია მაჩაბელი[9] — ეფრემ II-თან დაახლოებული პირი, რომლის თვალწინ დატრიალდა ამ დანაშაულის ბევრი სურათი. მან დაადგინა, რომ დ. შალუტაშვილი აშკენაზების სინაგოგის იდუმალი და აქტიური წევრია.

10. გაგი მოსეშვილი გუდაუთიდან, ელგუჯა და არსენა ბერუაშვილები სოხუმიდან, კლიმენტი მოწამეთადან, ანდრია ჩახუაშვილი ქუთაისიდან; მათ ბევრი მამხილებელი საბუთი და ფაქტები იციან ამ დანაშაულის შესახებ.

ბ. კერატიშვილს ჰყავს კიდევ რამდენიმე წვრილფეხა ნაძირალა, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ მას ბნელ საქმეებში ჯაშუშობით, დევნა-დაბეზღებითა და ცილისწამებით. ესენი არიან:

1. დავით მაკარიძე მცხ. ბაქრაძის ქ. N7-ში, აღვირახსნილი მამათმავალი, ბევრჯერ ბნელ საქმეებში გარეული ჯაშუში, რომელიც ერობის წარმომადგენლად გამოვიდა დავით V-ის პატრიარქად არჩევის დროს.

9 გია მაჩაბელი — გაურკვეველ ვითარებაში მოხდა მისი ფიზიკური ლიკვიდაცია.

2. ერასტი და ლუსიკი ვაჩნაძეები, მცხ. ძერჟინსკის ქ. N14-ში, გარეგნილებით განთქმული ნაძირალები, რომლებიც ჯერ მეგობრობდნენ ბ. კერატიშვილთან, შემდეგ კი განხუთქილება მოუეიდათ. მათ ბევრი რამ იციან მის დანაშაულთა შესახებ.

3. ტაია ტორონჯაძე — დიდუბის ტაძრის მგალობელთა ხელმძღვანელი, ბ. კერატიშვილის გარყვნილი დამქაში.

4. უშანგი ჩარკვიანი — სემინარიელი ჯაშუში, საეჭვო, ბნელი პიროვნება, რომელიც ბოლო დროს ბ. კერატიშვილის მარჯვენა ხელად და წილკნის საეპარქოს საქმეთა წარმმართველად გადაიქცა მცხეთაში.

5. ილია სამჭკუაშვილი — საპატრიარქოს ბუღალტერი, ბევრი ფინანსური დანაშაულის თანამონაწილე, მათი პირწავარდნილი დამქაში.

6. ბაბულინა ბასილაშვილი — დავთი მაკარიძესთან ერთად ჯაშუშობდა და აბეზღებდა ხალხს ბ. კერატიშვილთან. ბევრი ბნელი საქმის აქტიური მონაწილეა, რისთვისაც კარგ გასამრჯელოს ღებულობს დამნაშავეთაგან.

7. თამაზ კოჭლამაზაშვილი — სიონის მგალობელი, წყალწაღებული მამამთავალი, ჯაშუში.

8. ხუტა მახარაძე — სემინარიელი მამამთავალი, გათახსირებული პატივმოყვარე პიროვნება, ბიძინას ერთგული ჯაშუში და მაბეზღარა.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ზედავენ რა დ. შალუტაშვილი, ბახტაძე, ბაკურაძე და თვალჭრელიძე, რომ დღეს თუ ხვალ მათი ბოროტმოქმედება დამტკიცდება, გააფთრებულნი ყოველნაირი ხერხების გამოყენებით იბრძვიან საკუთარი თავისა და ბ. კერატიშვილის გადასარჩენად. რადგანაც მათ თითქმის ყოვლის შეძლეობის მმნიჭებელი თანამდებობები გააჩნიათ, ამიტომ განსაკუთრებულად საშიშ ბოროტმოქმედებს წარმოადგენენ. ამ თანამდებობების ბოროტად გამოყენებით ჩვენ უბრალო მოკვდავთ ადვილად გვიგებენ ბრძოლას ეს არაშზადები, ამიტომ თვითონ მართლები გამოდიან, ჩვენ კი აქეთ გვიპირებენ დანაშაულის დამტკიცებას და განადგურებას. ამიტომ გთხოვთ მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანოთ და შეზღუდოთ ამ ბოროტმოქმედთა თავისუფლება.

ისინი არაფერს თაკილობენ ჩვენს წინააღმდეგ, ოღონდ როგორმე თავი დაიძვრინონ ბრალდებიდან და აქეთ დგებდნენ ბრალი, მაგრამ მათ ერთი რამ ავიწყდებათ, რომ ჩვენ, ჭეშმარიტ ქართველებს სიცოცხლის უყოყმანოდ შეწირვა შეგვიძლია სამშობლოს კეთილდღეობისა და ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის და ამიტომ ისინი ვერაფერს გახდებიან ჩვენთან ვერც შანტაჟით, ვერც მუქარით, ვერც მოქრთამვით, ვერც ცილისწამებით, ვერც თავდასხმით და ვერც ეშმაკობა-ვერაგობით. ჩვენს მხარეზეა სიმართლე, სიმართლეს კი ისინი ვერ სძლევენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი ჩვენი ერის ისტორიაში შეეიდნენ როგორც მურვან-ყრუს, შაჰ-აბასისა და თემურ-ლენგის მსგავსი დაუძინებელი, სისხლისმსმელი მტრები და მათ მთელი ჩვენი ერის საშინელი რისხვა და სამსჯავრო არ ასცდებათ.

მე ამ უმძიმესი დანაშაულის მოწმეებთან და გამომაშკარავებლებთან ერთად სრულ პასუხისმგებლობას ვკისრულობ ჩემი ჩვენების ყოველ სიტყვაზე და თანახმა ვარ, ღირსეული სასჯელით დავისაჯო, თუ დამტკიცდა ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ ბრალდებათა რაიმე სიყალბე, სიცრუე ან გაზვიადება.

1974 წლის მარტი

ვის სურს გახდეს საქართველოს ეკლესიის მომავალი „საჭეთმპყრობელი“

(თანამედროვე ბალთაზარ კოსა)

როდესაც ქართული სამართლის ისტორიის დოკუმენტებს ვათვალიერებთ, ვრწმუნდებით, რომ მამათმავლობა, ჰომოსექსუალიზმი არ იყო გავრცელებული ძველ საქართველოში. ეს არ გახლდათ ტიპიური მოვლენა ქართული ყოფისათვის. მართალია, უმძიმესი სასჯელი იყო დაწესებული: ორი ცხენის ძუაზე გამობმა კაცისა, ძელზე გასმა და სხვა, მაგრამ ასეთ ფაქტებს მრავლად როდი ვხვდებით. არსებობს განჩინება ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოსის მიერ ხელმოწერილი, სადაც ერეკლე და ანტონი უმძიმესი სასჯელით ემუქრებიან მამათმავლობის ჩამდენთ. ეს განჩინება გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ მამათმავლობა განსაკუთრებით გაზშირდა საქართველოში XVIII საუკუნიდან. ეს ყოველივე გამოიწვია აღმოსავლური ყოფის მახინჯი მოვლენების მოძალებამ ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ამის გადმონაშთია მაგალითად, მამათმავლური ცეკვა „კინტაური“, სადაც მამაკაცები უკანალს ათამაშებენ (ცნობილია კინტორების და მუსულმანების მამათმავლობა).

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ დღეს რატომღაც მამათმავლების პარპაშის უმთავრესი არენა ქართული ეკლესია. მართალია, ეკლესია „გამოყოფილია“ სახელმწიფოსაგან, მაგრამ საეკლესიო პირიც ხომ ისეთივე მოქალაქეა, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ამიტომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულიც ისევე უნდა იწვევდეს სასჯელს და საზოგადოებრივ განაცხვარს, როგორც ყოველი სხვა მოქალაქისა, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ არის ასე. ასე მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ ეპისკოპოსი რომანოზი (პეტრიაშვილი) გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ ამხილა მამათმავლობაში, მაგრამ იგი არავის დაუსჯია; ეს იმიტომ ხდება, რომ „კგბ“ ჩუმად მფარველობს მამათმავლებს, რისთვისაც ისინი ერთგულად ემსახურებიან მას.

მრავალი პირის განცხადებით ბიძინა კერატიშვილი (მიტროპოლიტი „გაიოზი“), აშკარად, თავხედურად ეწევა პასიურ მამათმავლობას და რყვნის ახალგაზრდობას, რისთვისაც დღემდე მას არავინ მიაგო სასჯელი. ჯვარშეიშვილის გარდა მის მამათმავლობას ადასტურებენ: სამების ეკლესიის ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე), ცხაკაიას რაიონში შობანიების მონასტერში მომუშავე მღვდელი იოანე (ანანიაშვილი), გია მაჩაბელი („იმელის“ თანამშრომელი, მცხ. პაელოვის ქ. N47-ა), ქეთევან ქილიფთარი (სიონის სარეკვიზიო საბჭოს წევრი, მცხ. გორგასლის III შეს. N6), ალექსანდრა ნანაძე (სამების ეკლესიაში მომუშავე) და სხვ.

თემურ ქვათაძემ (სამხატვრო ტექნიკუმის სტუდენტი) სთქვა, რომ მას ჰქონდა სქესობრივი მამათმავლური კავშირი კერატიშვილთან, რისთვისაც ფულს ართმევდა მას. მან დაასახელა თავისი ამხანაგი, რომელსაც ასეთივე კავშირი ჰქონდა კერატიშვილთან (თ. ქვათაძე ამჟამად საბჭოთა არმიაში მსახურობს, საჭირო შემთხვევაში შეიძლება დადგენა მისი ზუსტი კოორდინატებისა).

ორივენი აღნიშნავენ, რომ კერატიშვილი პასიური მამათავალია. ეროვნულ მამათმავლური კავშირი შესთავაზა კერატიშვილმა ხარაგაულის რაიონის სოფ. ლელვანში მცხოვრებ ახალგაზრდას ბონდო ბენდიაშვილს, რისაკენაც კერატიშვილი მას პირდებოდა ოქროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. მაჩაბელმა თავად მოისმინა საუბარი კერატიშვილსა და სიონის ეკლესიის მღვდელს პაზომ ობოლაძეს შორის, რომელიც ურჩევდა კერატიშვილს ჰყოლოდა მხოლოდ ერთი მამაკაცი-საყვარელი, ვინაიდან მრავლის ყოლა საფრთხესთანაა დაკავშირებული (თავად ობოლაძე უფრო „გამბრძძედელი“ მამათავალია). საინტერესოა აგრეთვე, რომ კერატიშვილი ეპისკოპოსობამდე ერთხელ პირველი მაისის რაინულ მილიციაშიც კი მოხვდა მამათმავლობისათვის, სადაც მას დაჰკითხავდა პოლკოვნიკი მურუსიძე. ამ დაკითხვას ესწრებოდა გ. მაჩაბელი.

სიონის სარეკიზიო საბჭოს წევრი და მგალობელი ქეთევან ქილიფთარი ერთხელ სახლში ესტუმრა კერატიშვილს, როდესაც იგი საპატრიარქოს გვერდით, სამრეკლოს შენობაში ცხოვრობდა. კერატიშვილის ოთახიდან მას მოესმა ხვნეშა და გმინვა. მან დააკაკუნა კარზე, მაგრამ კარი არავინ გაუღო. შემდეგ მოესმა კერატიშვილის ხმა, რომელიც ავადმყოფის გმინვას უფრო ჰგავდა: „ავადა ვარ, სიცხიანი, კარს ვერ გაგიღებო“. ქეთევან ქილიფთარი ტაძარში დაბრუნდა, შემდეგ სხვა პიროვნება გამოვიდა ტაძრიდან და გასწია საპატრიარქოსაკენ და ამ დროს დაინახა ჩასკვენი ახალგაზრდა კაცი (ალბათ სპორტსმენი), რომელიც ქუდდულად გამოვიდა კერატიშვილის ოთახიდან და გაუდგა გზას. იმ დღეს ისიც გაიარკვა, რომ კერატიშვილი ავად არ ყოფილა (ეს სპორტსმენი არა ერთხელ უნახავთ კერატიშვილთან, მას სიონის ტაძრის მსახურნი კარგად იცნობენ. მეც მინახავს იგი, მაგრამ სამწუხაროდ მისი გვარი არ ვიცი).

სიონში კერატიშვილმა შექმნა მამათმავლების ბანდა, რომლის „მოღვაწეობის“ აღწერაც დეტალურად ძალუძს გია მაჩაბელს. ამ ბანდის აქტიური წევრია მგალობელი თამაზ კოჭლამაზაშვილი, რომელიც ხშირად „ეარშიყებოდა“ იქვე, ეკლესიაში ბგდლარ (ლაშა) მძებნიაურს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს. ხოლო მღვდელმა პაზომ ობოლაძემ მამათმავლური კავშირი შესთავაზა გ. მაჩაბელს, მღვდელ ილარიონს (სამხარაძეს), მღვდელ იოანეს (ანანიაშვილს) და მღვდელ ანდრიას (ჩახვაშვილს). კერატიშვილის „საყვარელია“ აგრეთვე ვინმე ლეონიდე, „ბუდისტი“ ულან-უდედან ჩამოსული, რომელიც დადის ეკლესიაში.

ამჟამად კერატიშვილი მცხეთის „სემინარიის“ „რექტორია“. „სემინარიაშიც“ შექმნა მან მამათმავლების ბანდა (ხუტა მახარაძე, თ. კოჭლამაზაშვილი და სხვ.), რომლის შესახებაც დეტალური ცნობების მოწოდება შეუძლიათ ბიბ მაჩაბელს, ალექსანდრა ნანაძეს, სერგო თორელს („სემინარიის“ ლექტორს) და სხვ. ასე რომ, ეს „სემინარია“ უფრო მამათმავლობის სკოლაა, ვიდრე საღვთო რჯულისა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ღამღამობით კერატიშვილი, საერო ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე ბერეტით, „მოღვაწეობს“ 26 კომისრის ქვედა ბაღში, ბ. ძნელაძის ძეგლთან, რომელიც თურმე მამათმავლების ცნობილი თავშესაყრელი

ადგილია („ბირჟაა“). იგი არაერთხელ უნახავთ აგრეთვე ღამით 11-12 საათზე, ხან დიღომში, ხან შაუმიანის ქუჩაზე, ხან პეკინის ქუჩაზე, როგორც ეჩვენებს მანქანებს და მძღოლებთან ეწევა მამათმავლურ პროსტიტუციას. ყველაზე ალმაშფოთებელი მაინც ის არის, რომ იგი რჟენის ახალგაზრდობას, მამათმავლობის გარდა აჩვევს ანგარებას და ყოველგვარ ზნედაცვმულობას. ყოველივე ამასთან ერთად ბალთაზარ კოსას ეს ნამდვილი ორეული ოცნებობს საპატრიარქო ტახტზე და ტრაბახობს, რომ უკვე ჯიბეში აქვს აწინდელი პატრიარქის ანდერძი თავის სახელზე. უკანასკნელ ხანებში მან გაძარცვა აგრეთვე საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, რომელიც ქართველი ხალხის საკუთრებაა და მიითვისა ბევრი ძვირფასი წიგნი. კერატიშვილთან ხშირად დადის სპეკულანტი, ვინმე ავთო (წარმოშობით ქუთაისიდან), რომელსაც ზოგჯერ ქალის თავსაბურავი უკეთია. ეს ავთო ვაჭრობს ხატებით, რომლებსაც მას აძლევს კერატიშვილი. მის შესახებ იცის კონსერვატორიის საკომპოზიციო განყოფილების სტუდენტმა რუსიკო ჩხაიძემ. ამ რუსიკოს შესთავაზა ავთომ კერატიშვილის მიერ მოპარული ხატები. ამ მოპარული ხატებისათვის, რომლებიც უპოვნეს ქურდებს: ბაკუზოვს, ბადაგიანს და შაქარიანს, ოქტომბრის რაიონის პროკურორმა ლ. სამაგლიშვილმა 1976 წ. თებერვალში მოითხოვა კერატიშვილის დაპატიმრება, მაგრამ რესპ. პროკურორის მოადგილე ლ. თალაკვაძემ არ გასცა სანქცია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოს აწინდელმა „პატრიარქმა“ დავით V-მ, არაერთხელ ამხილა სახალხოდ კერატიშვილი მამათმავლობაში. ამჟამად პატრიარქი ხედავს, თუ რაოდენ დისკრედიტირებული „ქორ-ეპისკოპოსი“ ჰყავს და საკუთარი თავის რეაბილიტაციის მიზნით ცდილობს მისგან გამიჯვნას. ასე მაგალითად, 1975 წლის 27 იანვარს ნინოობის დღესასწაულზე სხვა სამღვდელო პირთა თანდასწრებით მან მამათმავლობაში ამხილა კერატიშვილი, რომელმაც წამსვე დასტოვა საპატრიარქო და მიიმალა.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებში კერატიშვილი მიტროპოლიტად აკურთხეს, რაც იმაზე მოწმობს, რომ უშიშროების კომიტეტი კვლავ ოცნებობს იგი საქართველოს ეკლესიის „საჭეთმპყრობელად“ იხილოს დავით V-ის სიკვდილის შემდეგ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ V-Ს

ᲐᲡᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

დიდის აღშფოთებით შევიტყეთ, რომ თქვენ ა.წ. 10 ივნისს, მამადავითობას მიტროპოლიტად აკურთხეთ „ეპისკოპოსი“ გაიოზი, რომელიც თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხდა და უტეხს ქართულ ეკლესიას. არა მარტო მრევლისა და სამღვდელოებისათვის, არამედ მილიციისა და პროკურატურის ორგანოებისათვისაც კარგად არის ცნობილი მისი მამათმავლობა, მძარცველობა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებანი; ყველასათვის ცნობილია, რომ იგი არის აგრეთვე უშიშრობის კომიტეტის აგენტი, ხოლო საიდუმლო პოლიციის აგენტობა დაუშვებელია სამღვდელო პირისათვის; ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენი მაცხოვრის, ქრისტეს მოძღვრების არსს. გაიოზის მონაწილეობა საპატრიარქოს ძარცვაში 1972 წელს დაამტკიცა კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწემ, დავით ქორძიამ; მის მამათმავლობას და ქურდობას ადასტურებენ აგრეთვე ქალაქის მილიციის სამმართველოს გამომძიებელი სილაგაძე, თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი ლ. სამაგლიშვილი, რომელმაც ამას წინათ მოითხოვა კიდეც მისი დაპატიმრების ორდერი, მაგრამ „ძლიერნი ამა ქვეყნისანნი“ გაიოზის მფარველნი და მისგან უზეი ძღვენით მომადლიერებულნი ხელს აფარებენ მას..., მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა გამორნდეს“ (მათე 10, 26). და როგორც უფალი იტყვის, „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“ (რომ. 12, 19). გაიოზი ადრე თუ გვიან დაისჯება თავის დანაშაულებისათვის თავის ყველა დამქაშებთან და მფარველებთან ერთად. თქვენ კი უფალი და ერი არ გაპატიებთ ბოროტმოქმედთა გამრავლებას საქართველოს ეკლესიის წიაღში, აგრეთვე იმას, რომ თქვენ დაუშვით „ბილწი იგი მოოხრებისად წმიდასა მას ადგილსა“ (მათე 24., 15), (თარგმნა ზ. გამსახურდიამ).

ვაცხადებთ პროტესტს გაიოზის კურთხევის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მის გაკრეჭას და განკვეთას, როგორც უღირსი სამღვდელო პირისას.

ზვიად გამსახურდია
მერაბ კოსტავა

ᲥᲕᲐᲑᲐᲕᲐᲨᲙᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐ

1976 წლის 11 აპრილს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, წირვის დროს, მღვდელმა ივანე ჭკადუამ მონათლა ბაკშები ზერელედ და წესების დარღვევით, რასაც შემთხვევით ესწრებოდა ყოფილი პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე.[10]

10 ამჟამად ხანდაზმული ამბროსი დაკკანი, შესანიშნავი აღმსრულებელი ლიტურგიისა, გულაგის ყოფილი წამებულია. იგი დააპატიმრეს 1937 წელს, როდესაც საბჭოთა პოლიციური რეჟიმი საერთო რეპრესიების დროში სამღვდელოებასაც უმოწყალოდ არბევდა და 7 წელი ჰყავდათ ტაიგაში ხვერდლოვსკის მხარის საკონცენტრაციო ბანაკში. დაკითხვაზე ამბროსი სასტიკად აწამეს, ფეხებით სცემდნენ საზეში, გაზურებულ რკინას ადებდნენ შიშველ სხეულზე, რის შედეგადაც ძმამედ დაუზიანდა მარცხენა ხელი და დაემართა ეპილეპსია. იგი ამჟამადაც დაავადებულია.

ამბროსის უწინაც ხშირად ჰყავდა შემჩნეული და გაფრთხილებული ქუდელი ივანე ამგვარი დარღვევებისათვის. ახლაც, აღშფოთებული შეეიდა ეგი. სამკვეთ-ლოში და მოუწოდა ივანე მღვდელს შემდგომში აღარ დაერღვიო ნათლობისა თუ სხვა საეკლესიო წესები, რადგან ამგვარი საქციელით იგი რწმენას უკარგავს ხალხს. ივანემ უპასუხა: „შენ ვინ გეკითხება, თუ როგორ ვნათლავ. ამისთვის მე პატრიარქი არაფერს მეუბნებაო". ამბროსიმ იგი ხელმეორედ გააფრთხილა, რის შემდეგაც სქემაშემოსილმა ივანემ წირვის დროს (წირვას სხვა მღვდელი ატარებდა), საკურთხეველში მას დედა შეაგინა და სკამს წამოაყარა ხელი. ამ-ბროსი გარეთ გამოიყვანეს წირვაზე დამსწრე მორწმუნეებმა. მღვდელმა ივა-ნემ ესეც არ აკმარა, გამოეკიდა ქუჩაში და მოუხმო მილიციის თანაშშრომელს ამბროსის დასაკავებლად. ქუჩაში ხალხი მოგროვდა. როდესაც ივანეს დავა-ლებით მილიციის მუშაკი მოუწოდებდა ამბროსის მანქანაში ჩამჯდარიყო განა-ყოფილებაში წასაყოლად, ანაზდად ეკლესიიდან გამოვიდა ერთ-ერთი მოწმე (კ. ა. და სხვ.), ხალხს სიმართლე ამცნო, მღვდელი ამხილა და ანაფორის გაზდით დაემუქრა. აღშფოთებულმა ხალხმა ამბროსის დაუჭირა მხარი და მილიციის თანაშშრომელს მიმართა: „ხელი არ გაგვასვრევინო ამ გარეწარზე, უთხარი თა-ვად ჩამოვიდეს მანქანიდანო". მილიციის მუშაკმა ივანე მანქანიდან ჩამოიყვანა, რომელიც იქაურობას გაეცალა. ამბროსიმ ხალხის წინაშე ამხილა მიმავალი მღვდელი: „შენგან რას უნდა მოელოდეს კაცი, ყოფილი მოწამლული ჩეკისტი ხარ, ოცდაოთხ წელში ბუზივით ელეტდი ქრისტიანებს, დღეს კი ანაფორას შეაფარე თავი."

მრავალმა ივანეს მაგვარმა მთავრობის ხელშეწყობით დღეს თავი შეაფარა მართლმადიდებლურ ეკლესიას, რათა წინასწარმოფიქრებული მოქმედებით რწმენა შეურყიოს ხალხს. ამგვარი ქმედებანი ოფიციოზის ხელში ანტირელი-გიური პროპაგანდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ესენია: სიმონია, სარი-ტუალო თუ სხვა წესების (ნათლობის, ჯვარისწერის, საპანაშვიდო და ა.შ.) განგებისი დარღვევა, მზრობა, ჯვარისწერისას და ნათლობისას გვარების ჩაწერა საპოლიციო ინსტანციებში წარსდგენად, თავრობისაგან დაპროგრ-ამებული ქადაგება, აღსარების ბოროტად გამოყენება და გაცემა, ხულიგნობა, ლოთობა და ათასგვარი გარყვნილება დავალებით და ა.შ. ცხადია, ეს ამბავი პატრიარქმა დავით V-მაც (დეკდარიანმა) იცის, რაზედაც თვალებს ხუჭავს.

ჭეშმარიტად აღსრულდა ლენინის გეგმა, მაქსიმ გორკისადმი 1912 წელს კუნ-ძულ კაპრზე მიწერილი წერილიდან: „რელიგიის რადიკალური განადგურება-სათვის აუცილებელია შიგნიდან შევუტიოთ მას, გამოვიწვიოთ შინა ომი, შუელ-ი და განდგომილება თავად მორწმუნეებს შორის. აუცილებელია შფოთისა და ეჭვის დათესვა, რაც რწმენის განქარვებასა და სარწმუნოებიდან განდგომას გამოიწვევს".

როგორც ხედავთ, გულმოდგინედ აღუსრულეს ანდერძი თავიანთ ბელადს მისმა მომდევრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე სამი წელია, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრები საქართველოში ამხელენ ადმინისტრატიულ ღონისძიებებს ისეთი რელიგიური დღესასწაულის წინააღმდეგ წამოწყებულს, როგორიცაა აღდგომა.

აღდგომა მართლმადიდებელური ქრისტიანობის ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში უმთავრესი რელიგიური დღესასწაულია. იგი ძირეული მომენტია თავად ქრისტიანული აღმსარებლობისა. სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე, ნათლისა — ბნელზე, აი რა ამართლებს იმედსა და ამკვიდრებს ოპტიმიზმს როგორც სახარებაში, ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ დიდებულ ეპოპეაში, ასევე კაცობრიობის მთელს ეფოლიუციაში. ქართველი კაცისათვის სწორედ რომ შშობლიურია აღდგომის დღესასწაული, რადგან მის გაგებაში, მის მსოფლხედვაში სიცოცხლე და ცხოვრება განუყოფელია კაცის ბუნებასთან. ქართული ჯვარი ხომ ვაზის ლერწისაგანაა გაკეთებული, ლერწისაგან, რომელნიც „ტოტებს აიყრიან მეტის გახელებით, როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით" (გრ. რობაქიძე). ქართული ჯვარი ნიადაგ იფოთლება, როგორც ცხოვრების დაუკეტელ ძალთა მატარებელი.[11] ამ ძალების გარდამოსვლას ქვეცნობიერად გრძნობს ქართველი ახალგაზრდობა ამ დღესასწაულზე და ამიტომაც აღდგომისას ეძალება იგი განსაკუთრებით ეკლესიებს. ეს ამბავი კარგად უწყიან ჩვენში ბნელეთის მოციქულებმა და რელიგიის მტრებმა და სწორედ ამ დღეისთვის ძაბავენ ენერგიას.

როგორც წინა წლებში, ამჟამადაც სააღდგომო „დამსჯელ" ოპერაციაში უმთავრესად კომკავშირლები და გადაცმული მილიციის მუშაკები მონაწილეობდნენ. ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიას ისინი წელსაც (24 აპრილს) წირვაზე მომსვლელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დასაშინებლად ეწვივნენ.

კომკავშირლები იდგნენ ყველგან: ეკლესიაშიც, ეზოშიც, ქუჩაზეც და გარეთ გამოსულ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც სანთელი დაანთო, რაზმელთა შტაბში სთხოვდნენ გაყოლას, რომელიც წელსაც რუსთაველის სახელობის კინთეატრში, ადმინისტრატორის კაბინეტში იყო საგანგებოდ მოწყობილი. მათ იქ ელოდებოდნენ კომკავშირისა და მილიციის პასუხისმგებელი მუშაკები და ფოტოგრაფი. მიყვანილებს უსინჯავდნენ საბუთებს, იწერდნენ მათ გვარსა და სახელს, სამსახურის ადგილს, უღებდნენ სურათს, ემუქრებოდნენ კომკავშირიდან გარიცხვით, სამსახურეობრივ-ადმინისტრატიული სასჯელით.

სააღდგომო „დამსჯელ" ოპერაციაში მონაწილეობდნენ კალინინის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ივანე ჭელიძე, ტეკა-ს მუშაკი გურამ მამუ-

11 ნიშანდობლივია წმინდა ნინოს მიერ ვაზის ლერწისაგან ჯვარის გამოთლა. ესაა სიმბოლო, თუ უძველესი დინისური კულტურა წარმართული საქართველოსი რა ორგანიულად შეეზარდა ქრისტიანობას, წინააღმდეგ იმ ანტაგონიზმისა, რასაც დანარჩენ ულლინურ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. შეფოთლილ ჯვარს, ქართველი ოსტატების მაგლიანი ხელით ქვაში ამოჭრეთილს, თუ პაროვანი ფუნჯით შესრულებულს, ხშირად შეხვდებით ჩვენი ეკლესიების ბარელიეფებსა თუ ფრესკებზე.

ლაშვილი, კალინინის რაიმილიციის მოადგილე თეიმურაზ ბაბაშვილი და სხვ.[12] პუნქტში მოყვანილი მოქალაქეებიდან მოხერხდა მხოლოდ რამოდენიმეს გვარის დადგენა. ესენია: ბიდბუნოვა ნელი და ბიდჟამოვა ნათელა, ფასანელი ალექსანდრეს ასული, ეროვნებით ასირიელები, თეატრალური ინსტიტუტის აბითურიენტი თეიმურაზ წითლიძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი მარინე მღვდლიაშვილი, აწკარუნაშვილი მანანა, 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლე კალაჩავი კარენი.[13]

ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრები საქართველოში, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა აფრთხილებდნენ მოქალაქეებს არ გაჰყოლოდნენ კომკავშირის მუშაკებს რაზმელთა შტაბში, რადგან მათ არ ჰქონდათ მოქალაქეთა დაკავების არც მორალური, არც იურიდიული უფლება. ამით ისინი უხეშად არღვევდნენ საბჭოთა კონსტიტუციისა და სამართლის წესდებებს და ხელყოფდნენ ადამიანის სინდისის თავისუფლებას.

ზვიად გამსახურდია შევიდა კიდეც რაზმელთა შტაბში და იქ მსხდომ კომკავშირისა და მილიციის მუშაკებს სთხოვა როგორც მწერალთა კავშირის წევრი დაესწროთ დაკავებული მოქალაქეების დაკითხვაზე. ისინი დაეთანხმნენ, მაგრამ როდესაც ზ. გამსახურდიამ დაიწყო დასაკითხთა გვარების ჩაწერა, მოსთხოვეს შტაბის დატოვება. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ამყოფებდა კალინინის რაიმილიციის უფროსის მოადგილე თეიმურაზ ბაბაშვილი. იგი მივიდა მერაბ კოსტავასთან, რომელიც იწერდა შტაბიდან გამოსული აღშფოთებული სტუდენტების გვარებს და უბრძანა მისთვის მიეცა ქაღალდი კომკავშირელებისაგან შეურაცხყოფილი მოქალაქეების გვარებით. კოსტავამ უპასუხა: „ქაღალდი ჩემია და არავის აქვს უფლება დამიშალოს ის, რასაც ვაკეთებ“, და განაგრძო მოქალაქეებთან საუბარი და გვარების ჩაწერა, ხოლო ბაბაშვილი უკუქცევის გზას დაადგა.

კალინინის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ივანე ჭელიძემ, მოქ.

---

12 1974 წლის საადგომო „დამსჯელ“ ოპერაციაში აქტიურობდნენ: ნ. ლეკიშვილი — საქ. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის III მდივანი, ნ. ბიჭიაშვილი — კიროვის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი, ც. კოროშია — ორჯონიკიძის რ-ნის კომკავშირის რაიკომის მდივანი, ო. ბარათაშვილი — თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის სპორტული განყოფილების უფროსი, ბ. ქადაგიძე — ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაიკომის II მდივანი და ა.შ. 1975 წლის კი რეიდში ქაშეფოს ეკლესიასთან მონაწილეობდნენ: კომკავშირის ქალაქკომის I მდივანი წულაძე, კალინინის რ-ნის კომკავშირის რაიკომის I მდივანი ი. ჭელიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ვ. მანგაშვილი, აქტივისტი კომკავშირელი ხარაბაძე, კალინინის რაიმილიციის უფროსის I მოადგილე თ. ჯიბლაძე, ზონის პროკურორი მეშვილდაშვილი და ა.შ. შტაბის უფროსი კინოოპერატორ რუსთაველში იყო კინოოპერატორ დირექტორი ვ. ლუკოვიცკი. ხოლო საინის ტაძართან რეიდში მონაწილეობდნენ: კიროვის რაიონის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. რუხაძე, კომკავშირის რაიკომის II მდივანი გიორგაძე, კომკავშირელ რაზმელთა ჯგუფის უფროსი მამარდაშვილი, პარტკომის ინსტრუქტორი ლ. მეიფარიანი, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი მ. კაზიანაშვილი, მილიციის თანამშრომლები ცოფაია და კარნაული, უბნის ინსპექტორი ბოდოკია, მილიციის თანამშრომელი არეკაძე. რაზმელთა შტაბი საინის ტაძართან მოწყობილი იყო სანეპიდსადგურში.

13 1974 და 1975 წლის აღდგომა ღამით, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მრავალი დაკავებულის გვარი დადგინეს, რომელნიც გამოაქვეყნეს თვითგამოცემისეულ მასალებში.

მ. კოსტავასთან პირად საუბარში შეკითხვაზე: თუ რატომ არღვევენ ისინი კონსტიტუციის წესდებას და ხომ არ სთხოვენ ამის გაკეთებას ზემდგომი ორგანოები, მიუგო: „ეკლესიაში მოსულები შტაბში დასაკითხად მხოლოდ ამიტომ მოგვყავს, რომ მასსების ფსიქოლოგია და იდეოლოგიური განწყობა გავიგოთ". ამით მან არ დამალა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც იდეოლოგიური ცენზორის როლი და მისი ტოტალიტარული სულისკვეთება. შეკითხვის მეორე პუნქტზე ჭელიძემ ამგვარი პასუხი გასცა: ამის გაკეთებას ზემდგომი ორგანოები როდი გავალებენ. ეს მხოლოდ ახალგაზრდა კომკავშირლების ინიციატივაა. განა ლოგიკურ მთლიანობაშია პასუხის მეორე ნაწილთან პირველი? მასსების ფსიქოლოგიასა და იდეოლოგიურ განწყობილებაზე ახალგაზრდა კომკავშირლები ფიქრობენ უფრო თუ ზემდგომი ორგანოები: პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სახ. უშიშროების კომიტეტი და ა.შ. მით უმეტეს შარშანწინ, აღდგომა ღამით, კომკავშირის ზოგიერთმა მუშაკმა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან კერძო საუბარში აღიარა, რომ თავადაც არ არიან კმაყოფილნი საკუთარი მოქმედებით, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ, რადგან ასე უბრძანეს „ზემოდან".

ოფიციოზი აღდგომის რელიგიური დღესასწაულის წინააღმდეგ თავის პოლიციურ მოქმედებას სხვაგვარადაც ამართლებს. ქართულ გაზეთ „თბილისში", 1974 წლის 15 აპრილის ნომერში, სწორედ აღდგომის მეორე თუ მესამე დღეს გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ანთებული სანთლები და მივიწყებული მოვალეობა". სტატიის ავტორებია საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის III მდივანი, ნ. ლეკიშვილი,[14] რომელიც იმ წელს განსაკუთრებით აქტიურობდა ქაშვეთის ეკლესიასთან სააღდგომო „დამსჯელ" ოპერაციაში და გაზეთის კორესპონდენტი ა. შენგელია. გაზეთში ფიგურირებდა აღდგომა ღამით დაკავებულთა თითქმის ყველა გვარი. მასში აღნიშნული იყო აგრეთვე შემდეგი: თუმცა საბჭოთა კონსტიტუცია აცხადებს სინდისის თავისუფლებას, მაგრამ შეუძლებელია შეურიგდე იმ ფაქტს, რომ რელიგიურ დღესასწაულებში ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი კომკავშირლები მონაწილეობენ. როგორც ირკვევა, წერილის ავტორებს შესწორების შეტანა სურთ საბჭოურ კონსტიტუციაში, რომელიც სინდისის თავისუფლებას აცხადებს უკლებლივ ყველასათვის. მათი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სინდისის თავისუფლებით ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ხანში შესული მოქალაქენი უნდა სარგებლობდნენ, ხოლო ახალგაზრდები კი არა; მით უმეტეს, რომ ახალგაზრდების თითქმის ასივე პროცენტი ჩვენში კომკავშირელია. აქვე გავახსენებთ სააღდგომო „დამსჯელი" ოპერაციის ორგანიზატორებს ინსტრუქციის კულტების შესახებ კანონმდებლობის გატარებაზე, რომელიც დაადგინა სსრკ-ს მინისტრთა საბ-

14 იმ აღდგომა ღამით ნ. ლეკიშვილი სხვა კომკავშირის მუშაკებთან ერთად იდგა ქაშვეთის ეკლესიაში და ახალგაზრდებს აკვირდებოდა. მათ ინტერესებდათ ის ახალგაზრდები, რომელნიც ლოცულობდნენ და სანთლებს ანთებდნენ. შესანიღბავად კომკავშირელი მზირები თავად ანთებდნენ სანთლებს, თითქო „ლოცულობდნენ" და აღშფოთებას იწვევდნენ მორწმუნეებში. ლეკიშვილმაც დანთო სანთელი და პირჯვარი გადაისახა, რაზედაც სიცილი ასტეხეს იქვე მდგომმა კომკავშირელმა ქალიშვილებმა, მისმა ქვეშევრდომებმა, რომელნიც ასევე ლოცვის სიმულაციას ეწეოდნენ (მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად).

ჭოსთან არსებულმა, რელიგიური კულტების საქმიანობასთან დაკავშირებულმა საბჭომ (მოსკოვი, 1961 წელი, მხოლოდ სამსახურეობრივი გამოყენებისათვის, გვ. 4/5), მთავრობის ადგილობრივ ორგანოთა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიური კულტების საქმიანობასთან დაკავშირებულმა საბჭომ, აგრეთვე მათმა რწმუნებულებმა ადგილებზე მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური, რათა ნებისმიერი მოქალაქე ნამდვილად იქნას უზრუნველყოფილი სსრკ-ს კონსტიტუციაში გამოცხადებული სინდისის თავისუფლებით; არ უნდა დაუშვან რელიგიასთან ბრძოლის ადმინისტრატიული საშუალებები (სამლოცველოების უკანონოდ დახურვა და ა.შ.), რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობაში ადმინისტრატიული ჩარევა, სასულიერო პირთადმი უხეში მოპყრობა და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა.“

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ რაოდენ სამართლიანია ამბვარი თვალყურის დევნება ეკლესიაში მოსიარულე კომკავშირლებზე, ანუ ეგრეთწოდებული „კომკავშირული სიწმინდის“ დაცვაზე. ერთის შეხედვით სამართლიანად უნდა გვეჩვენოს მათდამი თთავრობის ასეთი უკმაყოფილება. კომკავშირელი, რომელიც ეკლესიაში სანთელს ანთებს და ლოცულობს, ორ წისქვილზე ასხამს წყალს, თითქოს უპრინციპობას იჩენს, არ არის წრფელი, რადგან ანტირელიგიურ ორგანიზაციაში სამსახურს ღვთისმსახურებას უთავსებს. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ და რანაირად ხდება კომკავშირში მიღება, ასეთ უკმაყოფილებას ზედმეტად მიეჩნევთ.

დავიწყოთ შორიდან. უკვე ახლად ფეხადგმულ ბავშვებს, დაახლოებით 4-5 წლის ასაკისას რაღაც ორგანიზაციის მაგვარს ახვევენ თავს: „ოქტომბრელებად“ რაცხავენ. 9-10 წლის ასაკში სკოლის ყველა მოსწავლეს უკლებლივ პიონერულ ორგანიზაციაში ღებულობენ და ესეც ბავშვების ინიციატივისა და ცნობიერების გარეშე ხდება. ბავშვმა რა იცის ოქტომბრის რევოლიუციისა, რომ ოქტომბრელობა მოინდომოს. არც პიონერული ორგანიზაცია მის მიერ გააზრებული, თორემ პიონერხელმძღვანელებად უფროსი ასაკის ადამიანებს რად დაუყენებდნენ. ან როდის აუარჩევიათ თავად ბავშვებს პიონერხელმძღვანელი? აქედანვე აჩვევენ ბავშვებს საბჭოური „არჩევნების“ წესებს, ხელმძღვანელის არა ქვევიდან, არამედ ზევიდან არჩევის წესს. აბა განაცხადოს ბავშვმა მორწმუნე მშობლის ხათრით, ან წამხედურობით უარი პიონერობაზე, სხვებივით ხუ გაიკეთებს წითელ ყელსახვევს!? ასეთ მშობლებს ბავშვს ჩამოართმევენ, ბავშვსაც და მშობლებსაც ყოველმხრივ შეავიწროვებენ. სახელმწიფო იდეოლოგიური კონტროლი აკენდანვე მტაცებელივით გადმოეფოფრება ხოლმე ძუძუწოვარას და მშობელთა ფუნქციებში უტიფრად ჩარევასაც არ ერიდება, მშობელთა ოდიოგან დადგენილ სკრალურ უფლებებსაც უგულველჰყოფს, თუკი დასჭირდა.[15] 14-15 წლის ასაკში სკოლის თითქმის ყველა

15 ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ. ორი წლის წინათ, საადდგომო რატუალის დროს სოინის ტაძრიდან გამოვიდა ახალგაზრდა ქალი ერთი წლის ბავშვით ხელში. სახალხო რაზმელების შეაბთან მას გზა გადაუღობა ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაკომის მდივანმა ციური კორშუნმ სხვა კომკავშირლებთან ერთად. მათ ქალს შტაბში გაყოლა შესთავაზეს. ქალი არ გაჰყვა. მაშინ მათ ბავშვი გამოსტაცეს ხელიდან და ძალით შეაინრიეს შტაბში, ქალმა კივილი ასტეხა. მაშინ მას ერთი მოქალაქე გამოექომაგა, რომელსაც შტაბში შესვლა შესთავაზეს. მოქალაქემ ამაზე უარი განაცხადა და მათი ბიროტმოქმედების მხილება დაიწყო. სასოწარკვეთილმა, ბრაზით შეპყრობილმა კომკავშირელმა მუშაკებმა დაუბარნეს დედას ბავშვი

მოსწავლეს კომკავშირში ღებულობენ. მოზარდები კომკავშირის რაიკომებს თავად როდი აწყდებიან. კომკავშირის რაიკომებიდან იგზავნება დირექტივები და გეგმები სკოლების პარტიულ და კომკავშირულ აქტივებში და ეს აქტივები [illegible] მოზარდებს განცხადებებს კომკავშირში მიღების თაობაზე. მათვე მიჰყავთ ისინი რაიკომებში კომკავშირში მიღების ცერემონიალზე. ამ ასაკშიც როდი ღვიძავს ცნობიერებასა და ნებელობას. ადამიანი შედარებით დამოუკიდებელ აზროვნებას 18-20 წლის ასაკში იწყებს და 28-29 წლის ასაკისათვის უკვე მოშწიფდებული. ასე, რომ ნებისმიერ ზემოხსენებულ შემთხვევაში უმართებულოდ იქცევიან, შეურაცხყოფენ ადამიანის წმიდათა-წმინდას, მის თავისუფალ ნებას, რადგან უასაკო, ცნობაგაუფურჩქნელ ადამიანს გარედან ახვევენ იდეოლოგიას, არ აცლიან თავად არჩევას მისს შესაფერის ასაკში. მხოლოდ დამოუკიდებელი აზროვნებიდან გამომდინარე მოქმედებას შეესატყვისება თავისუფალი ნება. ამგვარ ნებელობას კი როგორც ხედავთ, ძირშივე სპობენ და ამასთან გგმაზობიერადაც. უნებურად გველისა და ჰპელის ამბავი გვახსენდება.

ასე რომ, ეკლესიაში სალოცავად მისულ კომკავშირლებზე უკმაყოფილების გამოთქმა მხოლოდ მაშინ იქნებოდა სამართლიანი, მათი მე-ს, მათი ინდივიდუალური ცნობიერების გაღვიძებისათვის რომ დაეცადათ, ბავშვობიდანვე რომ არ მოეზვიათ მათთვის თავზე თავიანთი ნება, თავიანთი იდეოლოგია. ასეთია ერთპარტიულობის საეალალო შედეგი. იგი სიყრმიდანვე შეშხუთავ ყალიბში ამწყვდევს ადამიანთა უმრავლესობას, რადგან თავისუფალი ინიციატივა ამგვარ ყალიბს ვეღარ ჰგუობს.

აღდგომის მადლი მუდამ დაჰნათოდა საქართველოს. მისი შეწევნით მრავალი წყვდიადით მოცული საუკუნე გამოვლო იბერიამ, რამდენიმეჯერმე მკვდრეთითაც აღდგა თითქმის მკვდარი და ქრისტიანობისათვის ჯვარზე ენებული. მისი მადლი ამჟამადაც უნათებს მას ათეიზმისა და ტოტალიტარიზმის არნახულ ყიანეთში. ბნელეთთან მოციქულთა განწირული ცდა პოლიციური ხერხებით გადაუკეტონ ახალგაზრდობას გზა აღდგომის ნათლისაკენ, მათივე იდეოლოგიის სიმწირესა და უსუსურობაზე მეტყველებს. იმთავითვე მკვდარია იდეოლოგია, რომელიც თვითდამკვიდრებისათვის ძალმომრეობას იშველიებს. ასეთი მკვდარი თავად განელტვის მარადიულობისა და უკვდაეების იმპულსს და სხვებსაც აბრკოლებს. მაგრამ სიკეთეს ვერვის მოუტანს „წიხნაი დეზისაი". ბნელეთის შეთქმულების ფიასკო გარდუვალია, რამეთუ „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია".

ლეო ჯიქური

და იგი იქაურობას გაეცალა. მოქალაქემაც გზა განაგრძო. მას არ ესმოდა, თუ როგორ ამკობდა ქომკავშირული მუშაკი უეცნზური ხიტყვებით. ბავშვიან ქალს ძალი არ შეუეეფს, *ყაჩაღიც თვანიერდება მის ნინაშე. ძოელი მსოფლიო თთავანა* დედის და ჩვილის მარადიულმა ხატებამ, დედა ღვთისმშობელმა იესოთი. სწორედ მისდამი ქვეცნობიერი ანტიპატია წარმოაჩინეს კომკავშირლებმა ანაზდეულად. ისინი ბავშვის ტაძრად შეყვანამ გააცოფა განსაკუთრებით. მათი ამგვარი საქციელი გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო იდეოლოგიის კონტროლი ნეოპერფიდიანული აქტია, რომელიც მეფობის დაკარგვის შიშით ფიზიკურად როდი ჰკლავს ბავშვებს, არამედ აკენიდანვე იდეურად აკაბალებს და ამაბინძურებს მათ.

თეიმურაზ ჯანელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მავნე ჩვეულებებთან და ტრადიციებთან ბრძოლის ნიღაბით
(მთავრობა კრძალავს რელიგიურ დღესასწაულებს)

1976 წლის 24 ივლისს, მე და ჩემი მეგობარი ჩავედით სვანეთში, მესტიაში, რათა 29 ივლისს დავსწრებოდით რელიგიურ დღესასწაულს, კვირიკობას (სვანურად ლაგურკობას), რომელიც ტარდება ყოველწლიურად სოფელ კალაში, მესტიიდან 30 კილომეტრის დაშორებით. ეს დღესასწაული პოპულარულია არა მარტო სვანეთში, არამედ მთელ საქართველოში, შესაძლოა მის ფარგლებს გარეთაც. ამაში დავრწმუნდი, როდესაც ვნახე საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, ამ დღესასწაულით დაინტერესებული ადამიანები. ცხადია, ყველას ერთი შეხების წერტილი არ ექნებოდა წმინდა კვირიკეს და ივლიტას დღესასწაულთან. მაგრამ დაკვირვებული თვალი და ყური შეამჩნევდა იმასაც, რომ ხალხს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდი ამოძრავებდა, თუმცა, ცხადია, ასეთებიც იქნებოდნენ.

28 ივლისს შევიტყეთ, რომ მესტიიდან კალაში მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა გადაკეტილია ხერგილით, სადაც სადარაჯოდ ჩაეყენებინათ მილიციის თანამშრომლები. ჩვენ, ე.ი. მე, რევაზ ჩიტაშვილმა (ობილისის კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტმა), როლანდ ჩხეტიანმა (ერთ-ერთი გეოლოგიური პარტიის უფროსი სვანეთში), ნუგზარ ჩხეტიანმა (მესტიის მთავარი არქიტექტორი), გივი გეგეშიძემ (ასპირანტი არქიტექტორი) და თბილისის კონსერვატორიის დოცენტის, ოთარ ჩიჯავაძის ექსპედიციის ჯგუფის ოთხმა წევრმა, რომელნიც ძოვლინებულნი იყვნენ აქ ქართული სვანური ხალხური სიმღერების შესაგროვებლად, სულ ცხრა კაცმა, გადავწყვიტეთ მიგვემართნა თხოვნით მესტიის პარტიის რაიკომის პირველი მდივნისათვის, სარალიძისათვის, რათა მას ნება დაერთო რომელიმე ავტომანქანის მძღოლისათვის გადაეყვანეთ მესტიიდან კალაში. როდესაც მან შეიტყო ჩვენი, ე.ი. ზემოხსენებული ცხრა კაცის მასთან კაბინეტში მისვლის მიზეზი, უარყოფითი პასუხი შეგვაგება. მან გვითხრა: „მე თქვენი გულისათვის ვერ შევცვლი ჩემს განკარგულებას იმის შესახებ, რომ 28-29 ივლისს აიკრძალოს ავტომანქანებით გასვლა მესტიიდან კალაში“. თანაც დასძინა: „ჩვენ ვართ ათეისტები, ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ცრურწმენას, რომელიც მივიღეთ წარსულიდან. ასეთი რელიგიური დღესასწაულების ხალხმრავლობა კი სტიმულს აძლევს ცრუმორწმუნეებს. ამიტომ ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ, რათა ხალხში აღმოვფხვრათ მაგნე გადმონაშთები“. როდესაც მე შევეახლენე, რომ საბჭოთა კონსტიტუციით ადამიანს აქვს მინიჭებული სინდისის სრული თავისუფლება, მან მიპასუხა: „ვის გაუგია უსინდისოების სინდისიო“. იგი გულისხმობდა მორწმუნეებს. შემდეგ მან აგვიწერა, თუ რა ვითარებაში ტარდება ეს დღესასწაული. თითქოს ადგილი აქვს ურთიერთის დანით დაზიანებას, ღრეობას და ა.შ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დაჟინებით ვთხოვდით სარალიძეს დაგვხმარებოდა,

რადგან ჩვენი ძირითადი მიზანი იყო მოგვესმინა და ჩაგვეწერა სვანური სიმღერები ხალხის თავყრილობის ბუნებრივ გარემოში და უფრო ახლოს გავცნობოდით ხალხის ხასიათს. და ბოლოს, მართლაც გვეწადა თავადვე დავრწმუნებულიყავით სარალიძის მონათხრობის სისწორეში. ნუთუ ისე გადაგვარდა ეს ამაყი და ვაჟკაცური ხალხი, რომ უაზრობად აქციეს ჩვენი წინაპრების სათაყვანებელი დღესასწაული. უფრო მეტიც, ნუთუ ჩხუბის, გინების, აყალმაყალის, შურისძიების პოლიგონად აქციეს მამა-პაპათა სალოცავი ადგილი?.. ყოველივე ამან უფრო გაგვიღვივა სურვილი მოვხვედრილიყავით კვირიკობაზე.

სარალიძემ გვითხრა ბოლოს: „თუ რომელიმე ძმღოლი თავისი ინიციატივით წაგიყვანთ, მე მას არ დავსჯიო“. მართლაც ვნახეთ ავტომანქანა, რომლის ძმღოლმაც იკისრა ჩვენი წაყვანა. ხერგილის მოდარაჯე მილიციელთა უფროსმა კი, ერთი საათის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ხერგილი გაგვიხსნა; მხოლოდ ძმღოლი გააფრთხილა მკაცრად, რომ იმავე საღამოს დაბრუნებულიყო, თორემ ვინმემ რომ გნახოს, უსიამოვნება შეგვემთხვევა მეცა და შენცო.

კვირიკობაზე ჩვენ გავხდით მოწმე უმაგალითო წესრიგისა. საყდრის გალავანში ცალ-ცალკე ისხდნენ სვანეთის სხვადასხვა საზოგადოების წევრები: „უშგულის საზოგადოება“, „მულახის საზოგადოება“, „კალის საზოგადოება“, „მესტიის საზოგადოება“ და ა.შ. ისხდნენ დარბაისლურად, ამაყად მზირალნი და ძღეროდნენ შესანიშნავ, ასევე ამაყ და ვაჟკაცურ, სვანურ სიმღერებს. ძღეროდნენ ზედმიწევნით ზუსტად, შეთანხმებულად, ზვიადად. აქ მართლაც იყო „ქიშპობა“, თუ ვინ უკეთესად იძღერებდა, ვინ უკეთ იცეკვებდა, ვინ ვის აჯობებდა უზარმაზარი ლოდების აწევაში, ვინ ვის აჯობებდა თავაზიანობაში, სტუმრების პატივისცემაში, კაცურ კაცობაში და არა გინებაში, ჩხუბში, ლაზღანდარობასა და დანის ტრიალში, როგორც ეს სარალიძემ წარმოგვისახა.

წმინდა კვირაკეს, ლაგურკას სახელზე შეწირული ფული დიდი ნაწილი ხმარდება საყდრისა და მისი გალავანის შეკეთებასა და რესტავრაციას, ნაწილი კი მომავალი წლის დღესასწაულის მოწყობას.

ადგილობრივ ხალხთან საუბარში შევიტყვეთ, რომ ამ დღეს ხდება ერთმანეთზე გადამტერებული ადამიანების შერიგება. თუ აქ მოსული ადგილობრივი კაცი ურიგოდ მოიქცევა, იჩხუბებს ან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებს სხვას, მას აჯარიმებენ ფულით ან საქონლით, რომელიც ხმარდება ლაგურკის დღესასწაულს. თუ ჩამოსული სტუმარი დაარღვევს წესრიგს, მას აძევებენ კალიდან.

არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი ერთ მომენტს, რომელმაც ჩვენში ირონიული ღიმილი გამოიწვია. როდესაც დაიწყო საეკლესიო დროშის გამოტანის ცერემონია, ჩვენ დავინახეთ წითელი ფერის ბაიალი ჯვრით. წმინდა კვირაკეს დღესასწაული, წითელი ფერის ბაიალი და ჯვარი. მართლაც და საოცარი პარადოქსია. თურმე ნუ იტყვით, ამ სამი, ოთხი წლის წინათ მთავრობის წარმომადგენლებმა იძულებით შეაცვლევინეს ტრადიციული თეთრი ფერის ბაიალი წითელით. ასეთია ის რეალური სურათი, რისი მოწმენიც ჩვენ გავხდით.

იმ კარგსა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რაც ჩვენ მივიღეთ ამ დღესასწაულზე ყოფნისას, ჩრდილად გასდევს ის ხელოვნური დაბრკოლებები და

უსიამოვნო საუბარი, რომელიც გვქონდა მესტიის პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან, რადგან ეს იყო ცდა ცხოვრებაში გაეტარებინათ საქართველოს მთავრობის ის დადგენილებები, რომელთაც ეწოდებათ „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა", „წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა" და ა.შ. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო, რომ დაინახო, თუ რას გამოეცხადა ბრძოლა. მავნე ტრადიციებთან ბრძოლის ნიღაბით, ახალი ძალით შეუტიეს რელიგიას. იმ რელიგიას, რომელმაც დაგვიფარა და დღემდე გაგვაძლებინა. შეუტიეს იმ სარწმუნოებას, რომელიც ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართველ მამულიშვილებს. შეუტიეს ქრისტეს და ქრისტიანობას, რომლის სახელითაც 14 საუკუნე იცავდნენ ქართველი ვაჟკაცები თავიანთ ეროვნულობას, თავიანთ კულტურას, თავიანთ მიწა-წყალს. ნუთუ ცრუმორწმუნეები იყვნენ ისინი, რომელნიც ქმნიდნენ სვეტიცხოველს, ჯვარს, ალავერდს, ყინწვისს, ნიკორწმინდას, ვინც ქმნიდა ვარძიისა თუ დავით-გარეჯის უნიკალურ ფრესკებს. ვინც ქმნიდა ჩვენს უმდიდრეს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, დიდებულ ქართულ საგალობლებს?

ნუთუ ცრუმორწმუნე იყო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი? თუ ეს ასე არ არის, მაშ რად ეძახიან დღეს ჩვენში იგივე მრწამსს ცრურწმენას და ებრძვიან მას? რატომ ისწრაფვიან ამოძირკვონ ადამიანში ის, რამაც ესოდენ განუმეორებელი კულტურა ააღორძინა?

ებრძოლო რელიგიას, ეს ნიშნავს ებრძოლო კულტურასაც, რომლის ბეჭედიც მას აზის, ებრძოლო წარსულს, რადგან კულტურა გარდასული ჟამიდან იღებს დასაბამს. წარსულის გარეშე კი არ არსებობს არც აწმყო, არც მყოობადი.

ზვიად გამსახურდია

ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობა

შესავალი

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ცნობილმა დასავლეთ გერმანელმა მეცნიერმა ჰანს ზედლმაირმა გამოაქვეყნა ერცელი გამოკვლევა (Hans Sedlmayr, Osticho Romanik, Universitat von Salzburg, 1969[16]), რომელიც შეეხებოდა ამიერკავკასიის ხალხთა არქიტექტურულ ხელოვნებას. მან მაღალი შეფასება მისცა საქართველოს არქიტექტურას და შეიმუშავა მის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინი „აღმოსავლური რომანიკა". მან დაამტკიცა მაგალითად, რომ ესპანეთში, კატალონიაში არსებობს რომანული სტილის ტაძრები, რომელნიც წარმოადგენენ ასლებს 4-5 საუკუნით უფრო ადრინდელი ქართული ტაძრებისას. ამასთან, ავტორის თქმით, ქართული დედნები გაცილებით უფრო სრულყოფილნი არიან. ავტორი მრავალრიცხოვანი მაგალითების საფუძველზე ამტკიცებს ქართულ ძეგლთა უპირატესობას ევროპიულ, ბიზანტიურ და სხვა ძეგლებთან

16 ამ ნაშრომის თარგმანი იხ. „ცნობობა", 1974, №12.

შედარებით. ზედლმაირის გარდა მრავალ სხვა გამოჩენილ სპეციალისტებს აღუნიშნავთ ქართული არქიტექტურის დიდმნიშვნელოვანება. საკმარისია დავასახელოთ ჩუბინაშვილი, სვეტიცხოველი, ალპაგო ნოველლო, ნიკელი და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამის საფუძველზე გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ქართული კულტურის ძეგლები: ჯვარი, ბოლნისის ხაინი, სვეტიცხოველი, სამთავრო, გელათი, ზარზმა, საფარა, კუმურდო, ვაჩნაძიანი, დავით გარეჯა, უფლისციხე, ყინწვისი, წუდრუღაშენი, ნიკორწმინდა, თიღვა, იკორთა, წრომი და სხვანი არქიტექტურული ხელოვნების მსოფლიო საგანძურს ეკუთვნიან და წარმოადგენენ განუმეორებელ შედევრებს, მათ ეროვნულ მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ქართველმა ერმა ბრძოლითა და ტანჯვით მოიპოვა იმის უფლება, რომ იამაყოს თავისი ძეგლებით, რომელნიც მან იხსნა ბარბაროსთაგან თავისი ისტორიის უბნელეს და უძნელეს ეპოქებში.

თუმცა უნდა ითქვას, რომ არასდროს, არც ერთ ეპოქაში ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობა არ ყოფილა ესოდენ სავალალო, როგორც დღეს. ქვეყოთ გამოქვეყნებული მასალები ფაქტებით ადასტურებენ ამას. აქ მოცემულია სურათი მათი დღევანდელი მდგომარეობისა. მითითებულია აგრეთვე ყოველივე ამის გამომწვევ მიზეზებზე. ირკვევა აგრეთვე, რომ არც ერთი ეპოქის ბარბაროსებს არ შეუქმნიათ ისეთი დიდი საფრთხე ჩვენი კულტურის ძეგლებისათვის, როგორც დღევანდელთ.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გასაბჭოებულ საქართველოში ათეისტური კამპანიის თუ ფსიქოზის დაწყებისას ხელისუფლებამ ნგრევის გარდა დაკეტა და გააუქმა დიდი უმრავლესობა მომქმედი ეკლესიებისა, რამაც გამოიწვია მათი დღევანდელი საფალალო მდგომარეობა, ვინაიდან ე.წ. „სახელმწიფო დაცვას“ არ ძალუძს და არც სურს იხსნას მათი უმრავლესობა დაზიანებისა და განადგურებისაგან. ათეისტური პროპაგანდა იწყევს აგრეთვე აგდებულ, ზერელე დამოკიდებულებას კულტურის ძეგლთა მიმართ მოსახლეობის უკულტურო, შეუგნებელ მასსაში, რისი შედეგიც გახლავთ ის დანაშაულები, რომელთაც ჩადიან ძეგლთა მიმართ (წარწერები, ნგრევა, აფეთქება, დაწვა და სხვა). ჯერ კიდევ ჩვენი დიდი ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ: „1922-23 წლებში მთელ საქართველოში მასსებს სტიქიურად მოედო ანტირელიგიური ტალღა, რის შედეგადაც ხონში, ახმეტაში, ჯუმათში და ა.შ. დაიღუპა ცალკეული საეკლესიო სიძველენი“ (იხ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ჭედური ხელოვნება, ტფილისი, 1959, გვ. 7).

ამ სტრიქონების ავტორი მრავალი წელია, რაც დაინტერესებულია ამგვარი საკითხებით. უკვე სამი წელია, რაც იგი მუშაობს კულტურის სამინისტროში, ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდურ საბჭოში (ამჟამად საზოგადოებრივ საწყისებზე). მან თავად აღნუსხა იმ ფაქტების უმრავლესობა, რომელსაც ქვემოთ ვიხილავთ, გარდა ამისა, მას ამარაგებდნენ მასალებით ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და სპეციალური სარესტავრაციო სახელოსნოს ზოგიერთი მუშაკები, რომელთა გვარებსაც იგი არ ასახელებს გასაგები მიზეზების გამო.

ქვემოთ დახასიათებულია კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველოს მუშაობა, სპეციალური სამეცნიერო სარესტავრა-

ციო სახელოსნოს მუშაობა და აგრეთვე ამ მუშაობის შედეგები. აქ აღწერილია აგრეთვე ზოგიერთი დამნაშავე ოფიციალური და არაოფიციალური პირის პარპაში ამ სფეროში, რაზედაც თვალს ხუჭავს ხელისუფლება. ვფიქრობ, ეროვნულ-ბლად და გულდასმით განიხილავს ჩვენს მიერ მოთხრობილ ფაქტებს, მისთვის სადაო აღარ იქნება ის დასკვნები, რომელთაც ვაკეთებთ ჩვენი ნაშრომის ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ძეგლთა დაცვა თუ ძეგლთა ძარცვა?

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მიერ საქართველოს კულტურის ძეგლთა სარესტავრაციოდ გამოყოფილი თანხა მეტად მცირეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში 5 000-ზე მეტი კულტურის ძეგლია და უმეტესობა მოითხოვს საფუძვლიან შეკეთებას. 1975 წელს ეს თანხა უდრიდა 900 000 მანეთს, 1972 წელს — 500 000 მანეთს, ხოლო 1973 წელს — 700 000 მანეთს (მაშინ როდესაც რსფსრ-ში მხოლოდ სუზდალის რესტავრაციაზე დაიხარჯა 4 300 000 მანეთი).

ახლა დავუკვირდეთ, როგორ იხარჯება ეს თანხები, დანამდვილებით ხმარდება თუ არა ისინი ძეგლთა კეთილდღეობას?

კულტურის სამინისტროში ძეგლთა დაცვის საკითხებს უშუალოდ განაგებს კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილი. ჩვენი წერილი მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, თუ როგორ გადააქცია ვ. იაკაშვილმა ძეგლთა დაცვის სამმართველო პირადი შემოსავლის წყაროდ.

წერილში აღწერილი ფაქტები დადგენილ იქნა ჩემს მიერ ძეგლთა დაცვის სამმართველოში მუშაობისას (1973-74 წლებში), საჭიროების შემთხვევაში მე ძალმიძს დავასახელო აგრეთვე სამმართველოს და სახელოსნოს სხვა მუშაკები, რომელნიც დაადასტურებენ იგივეს.

ამ სისტემაში ვ. იაკაშვილის შემოსავლის მთავარი წყაროა სპეციალური სარესტაურაციო სახელოსნო. გადავხედოთ მის ისტორიას. 1967 წელს სახელოსნოს დირექტორად დაინიშნა გ. მუჯირი, რომელიც ასე თუ ისე ასრულებდა სახელოსნოს გეგმას (დაახლოებით 150 000 მანეთი). ამ დროს სახელოსნოს არ ჰქონდა არავითარი მექანიზაცია. სულ ირიცხებოდა დაახლოებით რვა სატვირთო მანქანა, რომელთაგან მხოლოდ ორი ვარგოდა ძეგლებზე სასიარულოდ. სახელოსნოს ბაზა ყოველნაირად სუსტი იყო და განუვითარებელი, არ იყო კადრები, არ იყო თანხა.

1968 წელს თანხა უეცრად გაიზარდა 700 000 მანეთამდე. გეგმამ მოიმატა და ბუნებრივია, ბაზაც გაძლიერდა. ამ დროს უეცრად ერთ-ერთ თათბირზე მინისტრის მოადგილემ ვ. იაკაშვილმა ყოველგვარი საბაბის გარეშე განაცხადა, რომ გ. მუჯირი ეს ყოველად უუნარო და უნიათო პიროვნება, ვერ შეასრულებსო ასეთ გეგმას. თათბირზე ალაპარაკეს მხოლოდ სახელოსნოს პარტკომი ვ. ვაჭარაძე, გ. მუჯირის პირადი მტერი და დადგინეს, რომ გ. მუჯირი გადაიყვანონ ძეგლთა დაცვის სამმართველოში უფროსის მოადგილედ, **რაც უდაოდ დაწინაურება იყო!**_ასე რომ, „უუნარო“ და მათი თქმით „უვარგისი“ კაცი **დაწინაურეს**. გ.

მუჯირის ნაცვლად სახელოსნოს უფროსად ვ. იაკაშვილმა დანიშნა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მებუფეტე, „მილიონერი“ გ. გოცირიძე. ფერისცვალებისავით ნათელია, რომ ვ. მუჯირის გადაყვანა მოხდა იმის გამო, რომ მან კარგად ვერ „მოამარაგა“ იაკაშვილი, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით, გ. გოცირიძის „ოღოვაწეობის“ განხილვისას.

გ. გოცირიძეს გაზარდა ნორმები დაახლოებით 2-3-ჯერ, რადგან თანხაც გაზრდილი იყო, მაგრამ ყოველივე ამან ვერ უშველა საქმეს, ვინაიდან გასარმონტებელი ძეგლების რაოდენობა იგივე დარჩა, ასე რომ საქმე იგივე კეთდებოდა, თანხა კი გაცილებით მეტი ტრაილებად და ბუნებრივია ეს ხელს აძლევდა ვ. იაკაშვილს. მაგალითად შედგენილ იქნა ფანტასტიურად გაბერილი ხარჯთაღრიცხვები: რკონის მონასტერზე 240 000 მანეთი, კუმურდოზე 140 000 მან., სატიტულო სიაში კი შესაკეთებელი ძეგლების რაოდენობა საოცრად მცირე იყო: დაახლ. 20-25 ძეგლი, მაშინ როდესაც საქართველოში გვაქვს 5 000-ზე მეტი შესაკეთებელი ძეგლი. შესაძლოა ვინმეს დავადოს კითხვა: რაღა რკონზე და კუმურდოზე გაბერეს ხარჯთაღრიცხვები? **იმის გამო, რომ ეს ძეგლები ძნელად მისაგდომ ადგილზე მდებარეობენ და მათი შემოწმებაც არ გახლავთ იოლი! აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სახელოსნოს დღეკანდელმა ხელმძღვანელობამაც არ შეამოწმა ეს ხარჯთაღრიცხვები და უცვლელად დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ავტორი გოცირიძე უკვე აღარ არის სახელოსნოში.**

ჩამოვთვალოთ გოცირიძე-იაკაშვილის „გმირობანი“. 1971 წელს სახელოსნოს ბუღალტერმა ლ. თურქიამ თავისი ნებით დასტოვა სამსახური დაპატიმრების შიშით, ვინაიდან გ. გოცირიძე მას აიძულებდა არ აღენიშნა მოგების რაოდენობა გეგმის შესრულებისას (ცხადია, მოგება გოცირიძე-იაკაშვილის ჯიბეში უნდა წასულიყო). გ. გოცირიძემ შეიძუშავა აგრეთვე შემდეგი „ნოვატორული“ მეთოდი. ცნობილია, რომ სამუშაოთა მწარმოებელმა **თავად** უნდა შეადგინოს სამუშაოს განრიგი, რომელზედაც უშუალოდაა დამოკიდებული ხელფასის გამოწერა. ამით უფრო გარანტირებულია მისი პირადი პასუხისმგებლობა. გ. გოცირიძემ კი ეს პრივილეგიაც ხელში ჩაიგდო; მოიყვანა სპეციალური თანაშრომელი ა. სხირტლაძე, რომელიც ადგენდა განრიგებს მწარმოებელთა მაგიერ, რათა ამ უკანასკნელთ არ სცოდნოდათ, თუ რა რაოდენობის თანხაა გამოწერილი და ბრმად მოეწერათ ხელი უზომოდ გაბერილ განრიგებზე. ამით ხდებოდა აგრეთვე მოგებული თანხის „ცენტრალიზაცია“ გოცირიძე-იაკაშვილის ჯიბეში.

1968 წელს ვარძიაზე უნდა ჩატარებულიყო სამუშაოები სამუშაოთა მწარმოებლის ტყეშელაშვილის მიერ. გამოყოფილი იყო დიდი თანხა (რაოდენობის დადგენა შეიძლება სახელოსნოს საბუთებით). ტყეშელაშვილს ყალბ საბუთებზე მოუწერეს ხელი სამმართველოს ინჟინერმა მ. ხარაიძემ და გ. გოცირიძემ, **ხოლო ვარძიაში იმ წელს არაფერი გაკეთებულა.** თუმცა გ. გოცირიძემ აქაც „ეშმაკობა“ იხმარა. მეორე წელს მიაელინა ვარძიაში სამუშაოთა მწარმოებელი ალ. ღონღაძე და ახლად გამოყოფილი თანხით შეასრულებინა მას ტყეშელაშვილის მიერ ვითომდაც შესრულებული სამუშაოები.

შესაძლოა ვინმემ შეგვნიშნოს: ჰო, მაგრამ განა შეიძლება ასეთი ამბების დოკუმენტური შემოწმება დღეს? რა საბუთი გვაქვს ყოველივე ამის მტკიცებისა?

ჩვენ მივუგებთ: ენერგიულ და კეთილსინდისიერ კონტროლს ძალუძს ამგვარი ფაქტების შემოწმებაც, მაგრამ ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო ხელშესახები ფაქტები. **მაგალითისათვის, ფაქტი, რომელიც გახდა მიზეზი გ. გოცირიძის სამუშაოდან გადაყვანისა.**

Digitized by Sakartvelo

გ. გოცირიძე დიდხანს ვერ იითმენდა ხოლმე სამუშაოთა ისეთ მწარმოებლებს, რომელნიც კარგად ვერ „ამარაგებდნენ“ მას და იაკაშვილს. ასეთად მას მიაჩნდა მაგალითად, ჯიმშერ სოხაძე, რომელიც მან ერთხელ, 1973 წ. დაიბარა და რაღაც მიკიბ-მოკიბული საბაბით შესთავაზა განცხადების დაწერა და სამუშაოს დატოვება. მაშინ ჯ. სოხაძემ უთხრა მას სიტყვა-სიტყვით: „არა, გივი, მე კი არა, შენ დაწერ ეხლავე განცხადებას და წახვალ სამუშაოდან“. გ. გოცირიძე სახტად დარჩა. მაშინ ჯ. სოხაძემ გახსნა პორტფელი და ამოალაგა მასალები, **რომელთა გაცნობის შემდეგ გ. გოცირიძემ დაწერა განცხადება და დატოვა სამუშაო.** ეს მასალები მოგვითხრობენ შემდეგს. 1973 წ. სახელოსნოს საქმიან **ეზოში** უნდა დაგებულიყო ასფალტი უზარმაზარ ტერიტორიაზე. ეს სამუშაო ვითომ „შეასრულა“ გ. გოცირიძემ, შეადგინა „ხარჯთაღრიცხვა“, სამუშაოს შესრულების აქტი, ათვისებულ იქნა თანხა (დაახლ. 100 000 მანეთი), ეზო კი კვლავ უასფალტო იყო. ეს ამბავი დაასაბუთა სამუშაოთა მწარმოებელმა ჯ. სოხაძემ და გ. გოცირიძეც მოხსნილი იქნა სამუშაოდან (თუმცა მან ვითომდაც თავისი ნებით „დაწერა“ განცხადება აკადემიოობის გამო).

თუმც, ნუ დავივიწყებთ, რომ მადლიერმა ვ. იაკაშვილმა იგი გადაიყვანა არანაკლებ „ძოძგებიან“ სამუშაოზე კინოფიკაციის სისტემაში ისევ დირექტორად. მოხსნის წინ გ. გოცირიძე შევიდა მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილთან და უეცრად კაბინეტიდან მოისმა მისი ღრიალი და იაკაშვილის ლანძღვა-გინება, რაც გაიგონეს თანამშრომლებმა. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ როდესაც ხელქვეითი უყვირის მინისტრის მოადგილეს, იქ ყველაფერი სუფთად როდია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. გოცირიძის მოსვლამდე სახელოსნოს სამექანიზაციო ბაზა ფრიად სუსტი იყო. გოცირიძის მოსვლისთანავე სახელოსნოს უამრავი მანქანები გაუჩნდა. ვ. იაკაშვილი არ იშურებდა მისთვის მანქანებს, მასალას, შტატებს, პირადად მიამაგრა მას „ვოლგა“ და ა.შ. თუმც ეს ყოველივე ძვლებს როდი ხმარდებოდა, არამედ ისევ გოცირიძე-იაკაშვილის ინტერესებს. მაგალითად, 1968 წელს გ. გოცირიძემ სახელოსნოს გარაჟისათვის მოიყვანა მექანიკოსი **ზადირეი** თავისი ვაჟითურთ. თითოეულ მათგანს დიდი ხელფასი დაუნიშნა (დაახლ. 400 მან.). **სინამდვილეში კი ხელოსნები სახელოსნოს მანქანებს როდი აკეთებდნენ, არამედ კერძო მანქანებს. სახელოსნოს, როგორც ცნობილია, უმეტესობა სატვირთო მანქანები ჰყავს, ეს ხელოსნები კი აცხადებდნენ: არა, ჩვენ მხოლოდ მსუბუქი მანქანების სპეციალისტები ვართ, სატვირთოები არ გვეხებიან.** ასე გახსნეს გოცირიძე-იაკაშვილმა კერძო ფეტოსარემონტო სახელოსნო (ძვლების ხარჯზე).

აღსანიშნავია, რომ დღეს სახელოსნოს საავტოტრანსპორტო ბაზა კვლავ საგალალო მდგომარეობაშია. სახელოსნოს კვლავ ენატრება კარგი მანქანა ობიექტზე გასასვლელად, მას არ მიუღია არცერთი ახალი მანქანა. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ სახელოსნოს ახალი დირექტორი **დიდიძე** კარგად ვერ

„ამარაგებს“ ვ. იაკაშვილს.

შესაძლოა უტყუარად შემოწმდეს მაგ. შემდეგი ფაქტი. ანანურის საკრებულო უბნის უფროსად მუშაობდა მწარმოებელი ჯ. სოხაძე. ოფიციალურად გამოყოფილი იყო დაახლ. 2 000 მან. გ. გოცირიძეს დაწერინა მას სამუშაოს აქტები, შეასრულებინა სამუშაო, **თუმც სოხაძეს არ მიუღია ამ თანხიდან არც ერთი მანეთი და ზოგიერთი მუშისათვის დღესაც ვერ გაუსწორებია ანგარიში.**

ადვილად შესამოწმებელია კიდევ შემდეგი ფაქტი. 1972 წელს გოცირიძე-იაკაშვილმა შეიძინეს **კომკურა ამწე,** რომელიც დღესაც უსარგებლოდ გდია დაშლილი სახელოსნოს ეზოს გარეთ (ყიფშიძის 34). ცნობილია ასეთი ამწეს დეფიციტურობა. **ვ. იაკაშვილი აცხადებდა, თითქოს ეს ამწე ძეგლებისათვის შეიძინა, სინამდვილეში კი იგი სჭირდებოდათ ცაგერის ქ. №4-ში საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, სადაც თვით ვ. იაკაშვილმა მიიღო ბინა. ცნობილია, რომ კულტურის არცერთ ძეგლზე არავის არასოდეს გამოუყენებია ამწე, იგი დღესაც გამოუყენებელია. ტყუილად ცდება და იფანგება, მაშინ როდესაც მშენებლობაზე ეძებენ ასეთ ამწეს.**

1970 წელს გ. გოცირიძემ ვითომ „შეაკეთებინა“ ჩეჩენ-ინგუშეთში მდებარე ქართული ძეგლი ტყობაერდი. **თანხა გაიღო ქ. გროზნოს კულტგანყოფილებამ. გ. გოცირიძემ დაწერინა აქტები, სამუშაო კი შეუსრულებელი დაფოლა. ამრიგად მიითვისეს „ქართველებმა“ ჩეჩენ-ინგუშეთის მიერ ჩვენი ძეგლის სარესტავრაციოდ გამოყოფილი თანხა და „ასახელეს“ ჩვენი ქვეყანა.** 1971 წელს იგივე ძეგლზე გაგზავნილ იქნა მწარმოებელი ჯ. სოხაძე, რომელმაც ხელახლა გამოყოფილი თანხით შეაკეთა ძეგლი, რომელიც, ვითომდაც, „ქარიშხალმა დაზიანა“, სინამდვილეში კი გოცირიძე-იაკაშვილმა მიითვისეს გროზნოს კულტგანყოფილების მიერ გამოყოფილი თანხა, დაახლ. 6 000 მან. (როგორც სახელოსნოს მუშაკები ერთხმად ამბობენ, ვ. იაკაშვილი გოცირიძისაგან რეგულარულად ღებულობდა ყოველთვიურად დაახლ. 600 მანეთს).

გოცირიძე-იაკაშვილის ცინიზმს ზოგჯერ მართლაც არ ჰქონდა საზღვარი. მაგალითად, 1972 წელს აშენდა სახელოსნოს თანამშრომლებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი სახლი ცაგერის №6-ში. ამ სახლის V სართულის დაშენების დროს დაშვებულ იქნა ტექნიკური დარღვევა. ნაცვლად იმისა, რომ გოცირიძისათვის გამოეცხადებინათ საყვედური, იაკაშვილმა საყვედური გამოუცხადა გ. მუჯირს, რომელიც უკვე 4 წლის გადასული იყო სხვა სამუშაოზე და არავითარი კავშირი არ ჰქონდა სახლის შენებლობასთან!

გ. გოცირიძეს ჰქონდა ასეთი „ფანდიც“. უცერად გამოუცხადებდა სამუშაოს მწარმოებლებს: „არიქა, ბიჭებო, ობეხესი მოდის, რევიზია მოდის, ფული მოიტაო, თორემ ვერ გადავრჩებითო“. მართლაც, რევიზია რევიზიაზე მოდიოდა, ვიღაც უცნობი პირები განმარტოვდებოდნენ ხოლმე მასთან კაბინეტში, შიში დათესილი იყო და ფულიც გროვდებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ პირთაგან ნახევარი მაინც „ფიქტიური“ რევიზორები იყვნენ.

საინტერესოა აგრეთვე, რომ გოცირიძის წასვლის შემდეგ რევიზია და ყოველგვარი კონტროლი ჩამოეხსნა სახელოსნოს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ამ სახელოსნოში მომუშავე ზოგიერთი არქიტექ-

ტორთა არაკეთილსინდისიერება. ასეთი არაკეთილსინდისიერებით გამოირჩევა, სამწუხაროდ, არქიტექტორი რ. გვერდწითელი. 1966 წლიდან 1972 წლამდე იგი აკეთებდა არქიტექტორ თ. ნემსაძესთან ერთად ატენის სიონის სახურავის ლორფინებისათვის შაბლონების ნახაზებს სახელოსნოში, მაშინ როდესაც ეს შაბლონები ადგილზეევე უნდა გაკეთებულიყო. ამ შაბლონებისთვის იგი ღებულობდა ხელფასს, დაახლ. 200-300 მანეთს. თუმც ეს შაბლონები არავის გამოსდგომია, ისინი დახია ბრიგადირმა ბოსტანჯიევმა და თავისი ხელით გამოთალა ლორფინები და გადახურა ატენის სიონის გუმბათი.

1972 წელს გვერდწითელმა შეცდომით აზომა გერგეთის სამების მინაშენის „საბჭოს“ კედლები. მის მიერ მიცემულ შაბლონებით დამზადდა თაღის ქვები და კედლავ ადგილზე ხელახლა გასაკეთებელი გახდა მწარმოებელი ჯ. სოხაძის მიერ, ასე რომ თანხა კვლავ წყალში გადაიყარა.

1974 წელს კიანეთის ძეგლზე მიცემული პროექტის მიხედვით დამზადდა კედლების შესამოსი საპირე ქვები. გვერდწითელის მიერ არ იქნა მიცემული პროექტი კონქის სამუშაოებზე, რამაც გაართულა მუშაობა, გააძვირა მუშების ხელფასი. სამუშაო კვლავ გაკეთდა უპროექტოდ ჯ. სოხაძის მიერ. **რ. გვერდწითელმა კი გადაიღო ასული და ეს ჩაეთვალა სამუშაოს შესრულებად.**

საერთოდ, გოცირიძე-იაკაშვილს ჰქონდათ ტენდენცია კეთილსინდისიერი, კარგი მუშაკების გაძევებისა და არაკეთილსინდისიერ პირთა მოწვევისა. ასე აიძულეს მათ სამუშაოს დატოვება რესტავრატორ ბ. ჭეიშვილს, მწარმოებელ ზ. კვაჟინაძეს და ა. შ. სამაგიეროდ მათ ხელში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა და სარგებლობს გ. ტყეშელაშვილი, ნამდვილი მძარცველი, რომელსაც პირველ რიგში მიართვეს ბინა და ყოველგვარი პრივილეგიები. **იგი დღესაც დაუსჯელად განაგრძობს „ეოღვაწეობას“.**

როგორც ითქვა, გოცირიძე-იაკაშვილმა გააძევეს სამუშაოთა მწარმოებელი ზ. კვაჟინაძე, რომელმაც შესანიშნავად შეაკეთა კასპის მეტეხი (უმცირესი თანხით) და აგრეთვე ნოსტე, რაზედაც მას უკიჟინებდა ტყეშელაშვილი: „ამ სამუშაოდან კაცი 100 000 მანეთს გამორჩებოდა, შენ კი 19 000 იკმარეო“. ამ ზ. კვაჟინაძეს ინჟინერმა შ. ხარაიძემ სახალხოდ აუტეხა ჩხუბი სამმართველოში 1970 წელს: ქრთამი რატომ არ მომეცი, ლორფინები რომ გამოგიწერეო (სინამდვილეში ეს ლორფინები უხარისხო იყო).

ძეგლთა ძარცვაში აქტიურობს სამმართველოს სამეცნიერო მეთოდური „საბჭოს“ თავმჯდომარე დ. მამისაშვილი (მის შესახებ იხ. ჩემი წერილი „ძეგლები და პურმარილი“). იგი ამჟამად იმავე სამმართველოში არქეოლოგიის განყოფილებას განაგებს.

1972-73 წლებში „საბჭოში“ კერძოდ დაქირავებულ ფოტოგრაფებზე (სიმონიშვილი, ე. გიგილაშვილი — „ახალი ამბების სააგენტოს“ ფოტოკორესპონდენტი) გაფორმებული იყო ხელშეკრულება (ნახევრად ყალბი) — ეძლეოდათ ფული ხელზე, რითაც ირღვეოდა ფინანსური კანონი: მათზე გაცემულია 2 400 მან., მაშინ როდესაც ხელზე ფულის გამოტანა უხალხო ფონდიდან ჩვენში ათ მანეთზე ზევით აკრძალულია. მამისაშვილს კი გამოჰქონდა ზოგჯერ თვეში 700 და ზოგჯერ მეტიც.

ხშირი შემთხვევებია ყალად გაფორმებული მივლინებების. 1974 წელს ასეთი მივლინებები იყო წითელწყაროს რაიონში ნოემბრის თვეში, ვარძიაში დეკემბრის თვეში (სინამდვილეში იყო მხოლოდ ექსკურსია). აგვისტოში გაფორმდა ყალბი მივლინება ლ. მჭედლიშვილზე აჭარაში (სინამდვილეში კი იგი ამ დროს ისვენებდა წნორში). მახარაძეში ნოემბერში ვითომ წავიდნენ მივლინებაში მამისაშვილი, კობახიძე და მესხი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ისინი არსად არ წასულან. მივლინებული ყალბად დამოწმებული ფურცელი მოვიდა 1975 წ. იანვრის პირველ რიცხვებში (აბარია ბუღალტერს). ამ „მივლინებებს" არ ახლავს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ ან ახლავს მხოლოდ ორსტრიქონიანი ანგარიში.

„საბჭოში" სამი წლის მანძილზე არ ჩატარებულა არცერთი ანგარიში, საავადმყოფო ფურცელზე არ გასულა არცერთი კაცი, სამსახურს აცდენენ ყველანი არასაპატიო მიზეზით.

ფოტომაქინაციების შემოწმების მასალები, რომელთა გამოძიებაც უნდა დაწყებულიყო სამმართველოს უფროსის, უჩა ბაკრაძის მიერ, ინახებოდა საბჭოში. ამის შესახებ ბრძანება, მინისტრის მოადგილის მიერ ხელმოწერილი, იქვე იყო. ამ ბრძანების დახვეა შესთავაზა „ინსპექტორმა" ზ. ძნელაძემ საბჭოს მეცნიერ-თანამშრომელს ვ. ჯავახიშვილს 1974 წ. მაისში. **უ. ბაკრაძემ კი ეს საქმე არ შეისწავლა და მიჩქმალა.** სარევიზიო ჯგუფმაც ვერ შეისწავლა კარგად ეს საქმე, მათ ვერ შეამოწმეს უწყისებზე ყალბი ხელმოწერები მ. მესხისა, სიმონიშვილის სახელით. საჭიროა ამ უწყისების ხელახალი შემოწმება გრაფოლოგიური ექსპერტიზით. მოლარე ვ. ჯავახიშვილი ადასტურებს, რომ სიმონიშვილის ხელმოწერილ უწყისზე ფულს მუდამ იღებდა მ. მესხი. სიმონიშვილი საერთოდ არ გამოჩენილა.

ვ. იაკაშვილმა აიძულა სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელი ტაბატაძე ამოშალა ყალბი მივლინებების საკითხი, ხოლო ფოტომაქინაციების საქმე მიაფუჩეჩინა მასვე.

„საბჭოში" ადგილი აქვს შრომის კანონმდებლობის დარღვევასაც. 1974 წ. ნოემბრიდან ბრძანებით გაფორმებულია უმცროს მეცნიერ-მუშაკად (ჯამაგირი 90 მან.) მარინე ლევანის ასული აბაშიძე, საშუალოდამთავრებული, თეატრმცოდნეობის I კურსის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი... კიდევ მრავალი უმსგავსოების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ზემოთქმულს დავჯერდებით.

ყოველივე ზემოთქმულის გამო დღეს კატასტროფის პირადაა ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. დანგრევისა და განადგურების პირასაა დაკით გარეჯის უნიკალური ფრესკებით მოხატული გამოქვაბულები, ინგრევა უმნიშვნელოვანესი ძეგლი ვაჩნაძიანი, რომელიც მართალია არის სატიტულო სიაში, მაგრამ იგი შესაძლოა მანამ დაინგრეს, ვიდრე სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყებოდეს. გელათის დიდებული მოზაიკა საფრთხეშია, ვინაიდან სახურავი დაძველებულია და წყალი იპარება მასში, მოუელელობით ნადგურდება[17]:

17 უკანასკნელი ცნობების მიხედვით გელათის მახლობლად კალაკ ამოქმედდა ქვის კარიერი და დაიწყო აფეთქებები, რომლებიც ძლივს შეაჩერა ჩვენი საზოგადოების აღშფოთებამ 1972 წელს.

ზარზმის, გიორგისეულის, გიორგი კალოუბნელის სამთავისის, ატენის სიონის და სხვა ტაძრების ფრესკები. 1974 წლის 14 ნოემბრის „კომუნისტში“ წერდა ყოველივე ამის შესახებ, მაგრამ ჯერ არაეითარი ზომები არაა მიღებული. ინტერვენციებები: ქსნის ციხე — ქართლის მშვენება, საცაა ჩამოინგრევა, ასევეა თბილისის ციხე ნარიყალა და ა.შ. ძეგლთა დაცვის ზოგი მუშაკნი კი ხელს ითბობენ და ჯიბეს ისქელებენ წინაპართა მონაგარზე. ისინი ხელოვნურად ბერავენ ხარჯთაღრიცხვას, სამუშაოთა მწარმოებლებს ხელს უწერენ ყალბ დოკუმენტებზე, ხელოვნურად აჭიანურებენ სარესტავრაცო მშენებლობებს, რათა უკეთ შენიღბონ თავიანთი დანაშაული, ნიშნავენ ფიქტიურ მცველებს, ხელს უშლიან ძეგლთა ინსპექციას, ხელოვნურად აფერხებენ ძეგლთა აღრიცხვას და პასპორტიზაციას, რაიონული კულტგანყოფილებების გამგეებისაგან ღებულობენ ქრთამს ათასგვარი სახით და ხელს აფარებენ მათ ინდიფერენტიზმს და ბოროტმოქმედებებს. ხოლო პრესაში და ტრიბუნადან ატყუებენ ხალხს, თითქოს ჩვენი ძეგლების უმრავლესობა კარგადაა მოვლილი და მხოლოდ კანტი-კუნტად აღნიშნავენ ნაკლს (ისიც უმნიშვნელოს), მაშინ როდესაც მთელ საქართველოში მხოლოდ ერთი ძეგლია კარგად მოვლილი (ეს ძეგლია ბოლნისის სიონი, თუმც ეკლესიაში და მის ეზოში ქვეწარმავლები მომრავლდა, რომელთაც არავინ ებრძვის).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლთა დაცვის ზოგიერთ მუშაკს სავაჭრო დარგისათვის უფრო აქვს მონაცემები. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გ. გოცირიძემ ოფიციალურად განუცხადა მწარმოებელ ჯ. სოხაძეს: „შენ არ ვარგიხარ ჩვენი დარგისათვის, შენ ვაჭარი არა ხარო“. ჯ. სოხაძემ კი მიუგო: „მართალია, მე ვაჭარი არა ვარ, მაგრამ მშენებელი ვარო სამაგიეროდ“ (აღსანიშნავია, რომ იგი მაინც ჩამოაშორეს ძეგლთა საქმეს, მიუხედავად გოცირიძეზე გამარჯვებისა).

დამნაშავე პირებს მფარველობს აგრეთვე ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ო. სანებლიძე. ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის წინ, რომელიც 1974 წ. 15 ნოემბერს ჩატარდა, მას ტელეფონით ურეკავდა კულტურის სამინისტროდან მცხეთის კულტ. განყოფილების გამგე, ბოროტმოქმედი გ. ხუტაშვილი და სახალხო ეკითხებოდა, მიიღე თუ არა ჩემი გამოგზავნილი კონიაკები და ფორთოხლიო (გ. ხუტაშვილის შესახებ იხ. ჩემს წერილში: „ძეგლები და პურმარილი“). შედეგი ის გახლდათ, რომ თაღლით და ბოროტმოქმედ გ. ხუტაშვილს უბოძეს სიტყვა ყრილობაზე, სადაც ის ყოველნაირად ჩქმალავდა მცხეთის რ-ის ძეგლთა საეალალო მდგომარეობას.

ო. სანებლიძე 1974 წელს 15 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ აცხადებდა, რომ სამთავისი შესანიშნავ მდგომარეობაშია. სინამდვილეში კი სახურავში წყალი ჩადის და ფრესკები ზიანდება. ყრილობაზე თავის გამოსვლაში სანებლიძე ჩქმალავდა ყოველგვარ დარღვევებს ძეგლთა დაცვის სფეროში (ცხადია, მან კარგად იცის ყოველივე ის, რაც აღნიშნულია ჩემს წერილში „ძეგლები და პურმარილი“ და, აგრეთვე, მოცემულ წერილში). მან იმ დღეს ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში დასვა მამათმავალი და ქურდი „ეპისკოპოსი“ გაიოზი (კერატიშვილი), უშიშროების კომიტეტის პროტეჟე, რითაც წაბილწა ეს პრე-

ზიდიუში. ამ „ეპისკოპოსის“ რეზიდენციაა სვეტიცხოველი, სადაც დაბარჯა მილიონები, მაგრამ შუშები მაინც ჩამტვრეულია და მტრედებისა და ღამურების სკორე აზიანებს ფრესკებს. ო. სანებლიძისა და კერატიშვილის ალბომი ნიმ3-ტომატურია.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს აწინდელი ცრუ-პატრიარქი დაკითი (დეკდარიანი) დანაშაულებრივ ინდიფერენტიზმს იჩენს თვითმოქმედი ეკლესიების მიმართ. ასე მაგალითად, ხახულისოს არქიტექტორმა კ. დვალმა და სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. მუჯირმა მას სთხოვეს თანხა გამოეყო IV საუკუნის უნიკალური ძეგლის მანგალისის ეკლესიის სარესტავრაციოდ, რომელიც დღესაც მოქმედია, მან კი უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ეკლესია ფუღს ინახავს, რათა მომავალი ომის დროს მოახმაროს იგი საბჭოთა არმიას! სამების ტაძარი თბილისში საკალაო მდგომარეობაშია, „პატრიარქი“ კი აჭიანურებს თანხის გადარიცხვას. ეს ხდება მაშინ, როდესაც ეკლესიის ფული ხმარდება მისი მძღოლის „რაფაკას“ კეთილდღეობას და სხვის სახელზე გაფორმებული ავტომანქანების გამოყენანას (რაც დაადასტურა კიროვის რაიონის პროკურატურამ).

ხულიგანი და ლოთი მღვდელი რომანოზ ბიბილაშვილი, რომელმაც სცემა მრეველის მოხუც ქალებს და რომლის ამფსონებმაც (ლაბაძემ, შუმლაძემ და სხვ.) აგურების სროლით დაამტვრიეს ტაძრის კრამიტი,[18] „პატრიარქმა“ განკვეთის ნაცვლად დააწინაურა და გადაიყვანა უფრო „მომგებიან“ დიდუბის ეკლესიაში

18 აქტი შედგა 1974 წ. 4 ივლისს სანლანის გამგიდველის მაისურაძის, ჩეჩელაშვილის, აღნიაშვილის, შინაგან საქმეთა ინსპექტორის ბარათაშვილის და თბილისბჭოს თანაშრომლის მეკავანაძის ხელმოწერით. ეს აქტი ინახება კულტურის სამინისტროში. აი, მისი ტექსტიც: „ჩვენ ქვემორე ხელის მოაწერნი წშ. სამების ეკლესიის აღმასრულებელი ორგანის თავ-რე ელ. ჩეჩელაშვილი, სანთლის გამგიდველი ე. მაისურაძე, დამლაგებელი თ. აღნიაშვილი, სარეველეი კომბინატის წევრი ნ. ეკლოაური, კალინინის სახ. რაიაღმასკომთან არსებული კულტურის კანონმდებლობის დაცვის კომისიის წარმომადგენელი ს. ლ. მეკავანაძე და კალინინის სახ. შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორის ბარათაშვილის თანდასწრებით-მონაწილეობით, ადგილზე მისვლით და შემოწმებით დადგინდა, რომ ა/წ 4 ივლისს დღის სამ საათზე სამების ეკლესიაში აგებული ეზოს შემდეგ გარემოებას:

ეკლესიის სამრეკლოს სამი ფანჯრის შინა ჩამტვრეული აღმოჩნდა და ნაწილი დაზიანებული. ეკლესიის სახურავიდან ქვებისა და დამტვრეული შუშების ცვენის შედეგად დაზიანდა დიდი ჭაღი და მისი ერთი ნაწილი ბროლისა ეკლესიის შუაგულ იატაკზე აღმოჩნდა, შუშის და ქვების ნამტვრევებში.

აგრეთვე ეკლესიის დეკოდეანში იატაკზე იყო სახურავიდან ჩამოვარდნილი თეთრი აგურის ნამტვრევები და სახურავიდან ჩამოვარდნილი დამტვრეული კრამიტის ნაწილები. ზემოხსენებული საგნების ნამტვრევები ინახება ეკლესიაში, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, რომ ეკლესიას მიყენებული აქვს ზარალი მოპარდაპირე შშენებარე ობიექტიდან, რომელიც ეკუთვნის მე-13-ე ტრესტს N3 საამშენებლო სამმართველოს, სადაც ობიექტის სამუშაოს მწარმოებელია ინჟინერი მანუჩარ კინტანარინეს ძე აბესაძე, რომელმაც დადასტურა, რომ დღის სამ საათზე ეკლესიის მოპარდაპირე მხარეს მუშაობდნენ: ბიძინა ლაბაძე, სერგო შუმლაძე, ზურაბ ბაგანაა და გოგი თურმანიფი. მანვე განაცხადა, რომ ეს საქმე მათი ჩადენილია, მხოლოდ არ იცის პერსონალურად რომელმა ჩაიდინა, ამის გამო აბესაძემ იკისრა ზარალის ანაზღაურება. ეკლესიის მსახურებმა და მრეველის ნაწილმა განმარტეს, რომ ზემოდან გაიძახოდნენ: ეს არაფერია, რიმე მოკლათ, ჩვენ პასუხს არ ვაგებთო. მოქმედ პირად ასახელებდნენ ბიძინა ლაბაძეს და სერგო შუმლაძეს. ესენი ერთი კუთხიდან არიან და ახლოს იყვნენ მღვდელ რომანოზ ბიბილეშვილთან. ეკლესიაზე მიყენებული ზარალის დასადგენად საჭიროა გამოიფოს ტექნიკური კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შეკიდეს მშენებლობის ობიექტის წარმომადგენელი.

რასაც ხელს ვაწერთ: ჩეჩელაშვილი, მაისურაძე, აღნიაშვილი, მეკავანაძე, ბარათაშვილი“.

(ამის შესახებ იხ. „საღამოს თბილისი“, 1974 წ. 2 აგვისტო. აგრეთვე „კომუნისტი“, 1974 წ. 14 ნოემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ პირობებში ერის კულტურულ მონაპოვარს ემუქრება საფრთხე. ამის გამო, ჩვენის აზრით, მთავრობამ და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ძეგლთა დაცვაზე. უნდა შეიქმნას სამუშაოს მიღება-ჩაბარების კომისიები, მოეწყოს რეიდები და ა.შ. და, რაც მთავარია, ძეგლთა დაცვის კომიტეტში, რომელიც ამჟამად ყალიბდება, გზა უნდა გადაეკეტოთ იაკაშვილის, გოცირიძის, ძნელაძის, გვერდწოფელის, ეაჭარაძის, მამისაშვილის, ტყეშელაშვილის მსგავს თაღლითებს და აგრეთვე ისეთ უხერხემლო, ინდიფერენტულ პირებს, როგორიცაა სამმართველოს უფროსი უ. ბაქრაძე და მისი მოადგილე გ. მუჯირი.

2. ძეგლები და პურმარილი

ახლა ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ არის გავრცელებული მექრთამეობა და პროტექციონიზმი ძეგლთა დაცვის სისტემაში; განსაკუთრებით ხშირია ქრთამი „პურმარილის“ სახით, რასაც არავინ ებრძვის და რაც საყოველდღეო მოვლენადაა ქცეული.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში დამკვიდრდა სავალალო ტრადიცია, რომელიც გამოიხატება შემდეგში — „მაშ, შაბათ-კვირას ექეიფობთ?“ „სად?“ „შიო-მღვიმეში“, „ყინწვისში“, „შუამთაში“, „ზედაზენზე“ და ა.შ. მართლაც ამ დღეებში დიდი ღრეობაა გამართული ჩვენი კულტურის მთავარ ძეგლებზე: აგროვებენ შეშას, ანთებენ კოცონებს, სწვავენ მწვადს, დადამებამდე სიმღერები, ღრიანცელი, ზოგჯერ სროლაც (მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ შიო-მღვიმეში მთვრალმა ხულიგნებმა ჟაკანის ტყეია ესროლეს VI საუკუნის ბარელიეფს სამებისას, რომელიც ამჟამად საქართველოს მუზეუმში ინახება... ისიც ცნობილია, რომ არმაზში ამას წინათ მკვლელობა მოხდა ერთ-ერთი ამგვარი ქეიფის დროს (დეტალები კარგად უწყის მცხეთის მილიციამ), ხოლო 1975 წლის ზაფხულს ქსნის კოლონიის მთვრალმა ჯარისკაცებმა კრამიტი ჩაამტვრიეს შიო-მღვიმის VI საუკუნის ეკლესიის სახურავზე. მცველი მთვრალი იყო და ვერ მიაქცია ყურადღება...

თუმც ძეგლებზე ამგვარი ღრიანცელი მხოლოდ დადამებამდე გრძელდება, დადამებისთანავე სიჩუმე ისადგურებს. ნაწილი მოქეიფეთა სხდება მანქანებში და ქალაქისაკენ მიეშურება (ბუნებრივია, მძღოლთა უმეტესობა მთვრალია ამ დროს), ხოლო ნაწილი მოქეიფეთა **იქვე რჩება**.

აქ უსათუოდ განცვიფრდება მკითხველი, ჰო, მაგრამ რაღა უნდათ ძეგლზე შუადამისას? საქმეც ის გახლავთ, რომ ისინი მარტონი როდი არიან, მათ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ჰყავთ თან... ვილაპარაკოთ ფაქტებით.

1974 წლის ივლისში მცხეთის რაიადმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ გ. ხუტაშვილმა კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე საყვედური მიიღო მცხეთის რ-ში არსებული კულტურის ძეგლების მოუვლელობისათვის და შიო-მღვიმის პრიტონად და რესტორნად გადაქცევისათვის. ცნობილია, რომ

შიო-მღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე დგას ორი მოზრდილი საცხოვრებელი სახლი. 1975 წლის გაზაფხულზე მცველი თემი კვახაძე უქმე დღეებში, საღამოობით სისტემატურად აქირავებდა ამ სახლების ოთახებს ადგილობრივ მისი თქმით იგი იძულებულიც კი იყო შეეშვა წყვილები ოთახებში შემდგი მიზეზის გამო. მაგალითად, 1974 წლის 2 მაისს დამით თბილისიდან მოვიდა „ობეხეესის“ სამი მუშაკი ქალებთან ერთად. მათ უჩვენეს მცველს წიგნაკები და მოსთხოვეს ცალკე ოთახები. მცველი შეშინდა და ყოყმანი დაიწყო (სჩანს მას თავისი „კლიენტურა“ ჰყავდა); ობეხეესის მუშაკებმა კი მუქარა დაუწყეს მას. ამასობაში მოვიდა მცხეთის მილიცია და წესრიგისაკენ მოუწოდა უცნობებს. მათ კი განაცხადეს, რომ ისინი ორგანოების მუშაკები არიან და მკვახე სიტყვებიც კი აკადრეს მილიციას (თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მე, ძგლთა დაცვის სამმართველოს მუშაკმა თავად ვნახე ერთ არაუქმე დღეს მცხეთის მილიციელის ქეიფი ქალებთან ერთად შიო-მღვიმის ტერიტორიაზე. შემდეგ ის მილიციელი შემხვდა მცხეთის მილიციის განყოფილებაში). ამრიგად, მსგავსი ფაქტები ცნობილი გახდა კულტურის სამინისტროსათვის და შიო-მღვიმეს ესტუმრა თავად ძგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი უ. ბაქრაძე ორ სხვა თანამშრომელთან ერთად. მცველი უკიდურესად მთვრალი დუუბედათ. სამმართველოს უფროსმა მოინდომა დათვალიერება საცხოვრებელი სახლისა, მაგრამ მცველმა არ გაუშვა იგი სახლისკენ: „აივ ძალლია დაბმული და გიკბენთო.“ მართლაც, სახლის გასწვრივ ძაღლია დაბმული, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ძალლი მცველის, თ. კვახაძის, „კლიენტურას“ როდი კბენს, იგი მხოლოდ ძგლთა დაცვის სამმართველოს მუშაკებს ეძტერება!

როგორც აღინიშნა, მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით გ. ხუტაშვილმა საყვედური მიიღო სამინისტროს კოლეგიაზე, მაგრამ გავიდა ორიოდე კვირა და შიო-მღვიმეში კვლავ გაჩაღდა პრიტონის „მუშაობა“. 1974 წლის 14 ივლისს ძგლთა დაცვის სამმართველოს მუშაკები გავხდით მოწმენი შემდეგი ფაქტისა. საღამოს, დაახლოებით 8.30 წუთზე მოვიდა „ჟიგული“ 06-68 ГАФ და მოიყვანა სამი წყვილი. წყვილებმა მანქანა ეზოში დაყენეს (რაც აკრეთვე აკრძალულია) და მცველი თ. კვახაძე გაუძღვა მათ ოთახებისაკენ, სადაც გაიშალა სუფრა და დაიწყო ქეიფი. დიდხანს ისმოდა მაგნიტოფონის ხმა და შეზარხოშებული წყვილების ხმაური. მცველიც საკმაოდ მთვრალი იყო. ჩვენ შევრისხეთ იგი და აქტის დაწერით დავემუქრეთ, რის შედეგადაც მან ძლივს გაისტუმრა თავისი „კლიენტები“ დიდად გულნაკლულმა და თან გვითხრა: ეს ერთი მაპატიეთ და მეტს აღარ ვიზამო. ბუნებრივია, ჩვენ რომ ხელი არ შეგვეშალა, წყვილები ღამეს გაათევდნენ უთუოდ (აბა რისთვის უნდა მოსულიყვნენ სადამოს 8.30 წუთზე).

სამწუხაროდ, მილიციის ზოგი მუშაკი ცუდ მაგალითს აძლევს ძგლის დამთვალიერებლებს. მაგალითად, 1974 წლის 8 სექტემბერს შიო-მღვიმის კარებთან იდგა ავტობუსი ГАГ 45-05 და ზედ ეწერა МВД. ჩვენ გვეგონა მილიციის რეიდი იყო და გამოველაპარაკეთ მძღოლს, მან კი გვითხრა — არა, ჩვენ საქეიფოდ ვართო წამოსული. მართლაც, ძგლის ტერიტორიაზე დიდი სუფრა იყო გაშლილი, სადაც ნარეკვავის მილიციელები ქეიფობდნენ (ერთ-ერთ მათგანს პოდპოლკოვნიკის ჩინიც კი ჰქონდა). იმ დღეს შიო-მღვიმე მართლაც რესტორანის

შთაბეჭდილებას ტოვებდა: აუარებელი მანქანები ზედ ძეგლის ტერიტორიაზე, ღვინის სმა, სიმღერა, თავად მცველიც შეურაცხად მდგომარეობაში იყო (მილიციელებს დუთვრიათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ჩვენი დაჟინებული მოთხოვნებისა, მცხეთის კულტურის განყოფილების გამგემ გ. ხუტაშვილმა დღემდე არ გამოაკრა აბრა შიო-მღვიმის მონასტერზე, სადაც აღნიშნული იქნება, რომ სასტიკად აკრძალულია ძეგლის ტერიტორიაზე სპირტიანი სასმელების შეტანა, კოცონების დანთება, ბურთის თამაში და ა.შ. (ასეთი აბრა ჯვარზე უკვე არის). რა დააშავა შიო-მღვიმემ, VI საუკუნის ძეგლმა? მხოლოდ დაუდევრობით ვერ აუხსნით ამას. ალბათ შიო-მღვიმე უფრო შემოსავლიანია, ვიდრე ჯვარი. ასეთი აბრა კი შემოსავლის წყაროს დაუზღვრს ზოგიერთებს.[19]

ანალოგიური მდგომარეობაა ყინწვისში. მცველის, თათეევის თქმით იქაც ხშირად მოდიან მილიციის ორგანოების მუშაკები დამ-ღამობით ქალებთან ერთად. საერთოდ უქმე დღეებში დამ-ღამობით ძეგლის მახლობელ ტყეში ნამდვილი „ომია“ გამართული, მთვრალები „შეჯიბრს“ მართავენ ცეცხლსასროლი იარაღით. ამასთან ყინწვისში ხშირად მოდიან ნოემრმოხსნილი მანქანები. ამას წინათ მთვრალმა ხულიგნებმა მცველის თანდასწრებით ფორმა გახადეს მილიციელს, სცემეს და იარაღი აართვეს, ხოლო მცველი აიძულეს რეზინის ჩექმით დაელია ღვინო.

მცველმა თათეევმა გადმოგვცა ხულიგნობაში სხვადასხვა დროს შენიშნულ მოქალაქეთა ავტომანქანის ნომრები. ესენია:

ГАЕ 54-01	/17/VI-74/,
ГРЗ 77-44	/26/VII-74/,
ГАИ96-65	/30/VII-74/,
ГРТ 86-03	/11/VII-74/,
ГАЗ 12-26	/11/VII-74/.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენის დაკვირვებით ეს მცველიც აქირავებს თავის საცხოვრებელ ფიცრულ სახლს და ზოგჯერ ეკლესიასაც. მაგალითად, 1974 წლის 10 მაისს ჩვენ გავხდით მოწმენი შემდეგი ფაქტისა: შუა ტაძარში გაშლილი იყო სუფრა დაახლოებით 15 კაცზე. იქვე ქალები რეცხავდნენ მწვანილს, მამაკაცები ასხამდნენ ღვინოს და ასე შემდეგ. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნისთანავე მათ დაცალეს ტაძარი, ხოლო მცველმა ხელი არ მოგვიწერა შედგენილ აქტზე. საინტერესოა, რომ კახეთში გურჯაანის ორგუმბათიან ყველაწმინდის ძეგლზე შენდებოდა რესტორანი **საძილე ოთახებით**, იგივეშებოდა აგრეთვე ღვინის მუზეუმი[20].

19 მიუხედავად ყოველივე ამისა, ამას წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ აღწერილი იყო გ. ხუტაშვილის მიერ მწერალთა „მიღება“. ეს ამით აიხსნება, რომ მას „მფარველობს“ კულტსამინისტროს პარტკომი კალანდარიშვილი. 1975 წ. **ხუტაშვილმა გამოაკრა აბრა მხოლოდ შიო-მღვიმის ეზოს ზედა ნაწილში**, ქვეკა ნაწილში კი კვლავ გრძელდება პურმარილები. პრიტონიც დღემდე განაგრძობს „მუშაობას“. საჭიროა ჩვენის აზრით საცხოვრებელი სახლების დანგრევა, რითაც საბოლოოდ გაუქმდება პრიტონი.

20 თუმც ამჟამად ჩვენი განგაშის შედეგად აღმასკომმა მიიღო ზომები და შენობა გადაკეთდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმად.

სისტემატიური ღრეობა და ანტისანიტარიაა კახეთის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ალავერდი, აწყვერი, ძველი და ახალი შუამთა, გრემის ეკლესიანი, ბერთუბანი, ბოდბისა, ალაზანი, ბოდბეთ-ნეკრესი, ბეთანიის ეკლესია, ბეთლეემი, ბეთანია, ბეთანიის ეკლესია, ბეთანიის ეკლესიანი, ბეთანიის ეკლესიანი, ბეთანიის ეკლესიანი

ული მოთხოვნით, მისი შექმნა დიდად მისასალმებელი ფაქტია[21]. მიუხედავად იმისა, რომ ინსპექციას არ გაჩნდა საკუთარი ოთახი და დღემდე არ გააჩნია მანქანა, თავისი მუშაობის სულ ორი თვის მანძილზე მან გამოავლინა ეროვნული-პული დარღვევები ძეგლთა დაცვის სფეროში. მან ამხილა სარაიონო კულტგანყოფილებათა სუსტი მუშაობა და რაც მთავარია, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს მუშაობის საგანგაშო ხარვეზები. საქმე ის არის, რომ 1959 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოშვებულ წიგნში: „საქართველოს კულტურის ძეგლები" აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, დასახელებულია სულ 1300-მდე კულტურულ-ისტორიული ძეგლი, ნაცვლად არსებული 5 000-სა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ძეგლი, რომელიც აქ არაა აღრიცხული, ზვალ შესაძლოა მოსპონ, რისთვისაც პასუხს ვერავის მოვთხოვთ, არ გვექნება ამის იურიდიული უფლება (რისი პრეცედენტებიც უკვე გვქონდა სამხრეთ საქართველოში და აფხაზეთში). ამავე დროს ინსპექციამ გამოაკლინა, რომ თვით სარაიონო კულტგანყოფილებებსაც კი აღრიცხული აქვთ გაცილებით მეტი ძეგლი, ვიდრე ეს ზემოთნახსენებ წიგნშია შეტანილი. მაგალითად, ინსპექციის ექსპედიციამ ახმეტის რაიონში გამოავლინა, რომ ადგილობრივ კულტგანყოფილებას აღრიცხული აქვს 80-მდე ძეგლი, მაშინ როდესაც წიგნში შეტანილია სულ 321. ცხინვალის რაიონის სოფელ ბელოთის მიდამოებში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებიდან ზემოთ დასახელებულ წიგნში შეტანილია სულ ოთხი ეკლესია და ორი ციხე, ფაქტიურად კი იქ არის 23 არქიტექტურული ძეგლი! წითელწყაროს რაიონიდან წიგნში შეტანილია სულ სამი ძეგლი, სინამდვილეში კი იქ არის 271. ქარელის რაიონიდან წიგნში აღრიცხულია 25 ძეგლი, სინამდვილეში კი იქ არის 120-მდე! ასეთ აღურიცხავ ძეგლებს ყურადღებას არავინ აქცევს და არც იცავს (თუმც უნდა ითქვას, რომ არც აღრიცხულებს ადგას დიდი მოვლა-პატრონობა, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით). ამასთან სარაიონო კულტგანყოფილებები ხშირად ვერ ანსხვავებენ ამ ძეგლებს ურთიერთისაგან მათი კულტურულ-ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით და მცველებს უნიშნავენ ხშირად ნაკლებად ღირებულ ძეგლებს, ე. ი. ხდება მცველთა არარაციონალური გამოყენება. ამავე დროს ეს აღურიცხავი ძეგლები ვერასდროს ვერ მოხვდებიან სარესტავრაციო ძეგლთა სატატულო სიაში, ვინაიდან ისინი არ არიან აყვანილნი სახელმწიფო დაცვაზე. თუმც დრო არ იითმენს, დრო ძეგლების წინააღმდეგ მოქმედებს, მით უმეტეს თუ მათ მცველი არ გააჩნიათ! რა არის ეს, თუ არა და შეგნებული მტრობა ძეგლებისა?

ამოცანა თითქოს ნათელია: საჭიროა სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ შეისწავლოს ეს ძეგლები, შეადგინოს დოკუმენტაცია და აიყვანოს ისინი სახელმწიფო დაცვაზე. რას აკეთებს ამ დროს მეთოდ. საბჭო? საბჭოს თავმჯდომარე აცხადებდა, ვითომდაც იგი დადიოდა ახალი ძეგლების „აღმოსაჩენად", რომელნიც საერთოდ უცნობია ადგილობრივი სარაიონო კულტგანყოფილების

21 კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე ძეგლთა ინსპექციის ჩამოყალიბების წინააღმდეგ ოფიციალურად გამოვიდნენ მინისტრის მოადგილე ვ. კუპრავა და პარტკომი კალნდარიშვილი (თავიანთ პოზიციას ისინი ამართლებდნენ რაღაც ბიუროკრატული მოსაზრებებით).

მუშაკებისთვისაც კი (თუმც ეს ახლადმოვლენილი „კოლუმბი“ საქმეფრად უფრო დაბრძანდებოდა რაიონებში, ვიდრე ძეგლების აღმოსაჩენად). ჩვენის აზრით, ეს სამუშაო მაშინ იქნებოდა გამართლებული, როდესაც ზემოხსენებული სამუშაო დასრულებული იქნებოდა; ხოლო ძეგლები აღრიცხულნი და გადარჩენილნი. ე. ი. პირველი რიგის სამუშაო უნდა იყოს უკვე ცნობილი ძეგლების პასპორტიზაცია, მათი აყვანა სახელმწიფო დაცვაზე და აქედან გამომდინარე მცველთა რაციონალური განაწილება.

ახლა ვნახოთ, როგორ სრულდება თვით ის სამუშაო, „აღმოჩენა“, რასაც თავმჯდომარე გეპირდებოდა. საბჭოს დაარსების დღიდან (1972 წ.) მოხდა სულ 3-4 გასვლა რაიონში, თითო გასვლა მაქსიმუმ 20 დღით. მათი სამუშაო ამოიწურება ძირითადად ძეგლთა ფოტოგადაღებით, რასაც აკლია ძეგლთა სრული მეცნიერული ანალიზი (რისთვისაც მოწოდებულია საბჭო)[22]. თვით ეს ფოტოფიქსირებული ძეგლები გაწეულ ხარჯებთან და დროსთან შედარებით სასაცილოდ მცირეა **და რაც მთავარია, საბჭოს დღევანდლამდე არც ერთი ძეგლი არ აუყვანია სახელმწიფო დაცვაზე.** რას აკეთებდა საბჭო მთელი ორი წლის მანძილზე? აი ის კითხვები, რაზედაც პასუხი უნდა გაგვცეს საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ დ. მამისაშვილმა. ჩვენის აზრით საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს ან არქიტექტორი ან ისტორიკოსი. თუ იგი ისტორიკოსია, მას უნდა მოეთხოვებოდეს საქართველოს ისტორიის წყაროების ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემდა წყაროებში აღწერილი ძეგლები შეედარებინა ამჟამად შემორჩენილი ძეგლებისათვის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დ. მამისაშვილი არც არქიტექტორია და არც ისტორიკოსი. მან არა თუ საქართველოს ისტორიის წყაროები, არამედ ელემენტარული ცნობებიც არ უწყვის საქართველოს ისტორიიდან, უფრო მეტიც, ქართულად განცხადების დაწერაც კი უჭირს. მაშინ როდესაც კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე მოწოდებულია ძეგლზე არსებული ლაპიდარული-ასომთავრული წარწერებიც კი გაარჩიოს! აქედან გამომდინარე ცხადია, რომ საბჭოს მიერ შესრულებული სამუშაო ძალზე არასრულფასოვანი იქნება და, ცხადია, მას არ ექნება ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული შეფასების უნარი და ძეგლს ვერ აიყვანს სახელმწიფო დაცვაზე.

საბჭოში ჩემი მუშაობის პერიოდში (1973-74 წწ.) ჩემთვის მამისაშვილს არც ერთხელ არ შემოუთავაზნია ექსპედიციაში გამგზავრება (ქვემოთ ვიხილავთ, რომ ეს მას არ აწყობდა). ასეთივე ბედს იზიარებდა ზურგომოძღვრელ მეცნიერებათა დოქტორი რ. მეფისაშვილი, რომელიც უკვე სამ თვეზე მეტი იყო, რაც საბჭოში მუშაობდა და იგი არც ერთხელ არ წაუყვანიათ ექსპედიციაში, ვინაიდან ეს „ექსპედიციები“ საქეიფო „გასვლები“ იყო რაიონებში. ასე რომ „ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო“ უფრო „ჯურმარილის საბჭოა“[23]. მართალია, დღეს სამეცნიერო მეთოდურ საბჭოს განაგებს რ. მეფისაშ-

22 ამ ფოტოებს მამისაშვილი აბარებდა სარესტავრაციო სახელოსნოში და ამით ფულს იგებდა (ფულს ხვეგბს უწერდნენ).

23 ამრიგად, ჯურმარილის კულტი ბატონობს თავად ძეგლთა დაცვის სამმართველოში, რომლის „სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს“ „მუშაობაც“ მე აღვწერე ამ წერილში. ამ „საბჭოში“ შეფარებული არიან უმეტესწილად ლოთები, რომელნიც ბორიტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და რომელთაც საქმე არად ენაღვლებათ. როდესაც მე დავიწყე მუშაობა ამ საბ-

ვილი, მეცნიერებათა დოქტორი და საქმის მცოდნე, მაგრამ წელიწადნახევრის მანძილზე მაინც არცერთი ძეგლი არ არის აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მას არა აქვს უფლება ძეგლების აღრიცხვაზე აყვანისა, და რომ მეთოდური საბჭო არსებობს ფიქტიურად, საზოგადოების მოსატყუებლად, სინამდვილეში კი სახელმწიფოს სულ სხვა განზრახვა აქვს ძეგლებთან დაკავშირებით, რის დამადასტურებელ ფაქტებსაც კიდევ მრავლად ვიხილავთ ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ თვით მამისაშვილის ასეთი პარპაშა პროტექციონიზმის შედეგია! კერძოდ, იგი ხშირად „აშინებს“ ხალხს სამინისტროში იმით, რომ არის ვითომდაც ზ. კვაჭაძისა და პ. გილაშვილის ნათესავი[24].

დამახასიათებელია, მაგალითად, შემდეგი ფაქტი. ა.წ. ოქტომბერში მამისაშვილთან შემოვიდა მისი თანამშრომელი მ. მესხი და უთხრა: „დავთ, ზეგ ბებიაჩემის წლისთავია კასპში, გამოიწერე მიკროატომბუსი, წავიდეთო“. ბუნებრივია, ამას დაერქვა „კასპის ძეგლების შემოწმება“. თუმც თავად მამისაშვილი არ წავიდა კასპში, ვინაიდან ვიღაცამ სიგნალი მისცა. ამგვარი „სამსახურისათვის“ ხულიგნობისთვის ოთხგზის ნასამართლეემა მ. მესხმა, რომელსაც არავითარი სპეციალური განათლება არ გააჩნია, ამას წინათ მიიღო დაწინაურება: იგი დაინიშნა სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოში ინფორმაციის სექტორის გამგედ! (ამას უთუოდ იმანაც შეუწყო ხელი, რომ 1974 წელს იგი 1 თვის მანძილზე დარბოდა სამმართველოს მიკროავტობუსით და ეძებდა პარკეტს მამისაშვილისთ-

---

ჭოში (მაშინ მე იგი მართლაც საბჭო მეგონა), შეეატყვე, რომ რიგრიგობით ყველა თანამშრომელი აწყობდა ოჯახებში ქეიფებს, რომლებსაც ესწრებოდნენ თავმჯდომარე მამისაშვილი და სხვა თანამშრომლები (ერთ-ერთ ასეთ ქეიფზე მეც წამიყვანეს, თუმცა მე არ ვსვამდი, უბრალოდ ვაკვირდებოდი). გარდა ამისა „საბჭოს“ წევრებს ხშირად მოპქონდათ სამსახურში ღვინო და პურმარილი. შემდეგ შეეატყვე, რომ თანამშრომლებს „შეწერილი“ აქვთ ქეიფების მოწყობა (როდესაც შემატყვეს, რომ მე არ მიმწერნენ ასეთი რამ, უკვე მიმალავდნენ და ჩუმად დადიოდნენ, თუმც მე მაინც ვგებულობდი), ე. ი. „საბჭოს თავმჯდომარე“ მამისაშვილი რიგრიგობით ყველას უნდა დაპპატიჟნა სახლში, რის საფასურადაც გარანტირებული იყო დაწინაურება, რუსეთში და სახლვარგარეთ გაშვება მივლინებით და ა.შ. ასე დაწინაურდა მაგალითად ამასწინათ მურთაზ მესხი, ხულიგნობაზე და ნარკოტული ნივთიერებებთან ეპიზობაზე ოთხჯერ ნასამართლევი ლითო, შემთხვევითი პიროვნება, ხოლო ამავე საბჭოს თანამშრომელი გურამ თოდუა არ დაწინაურეს მხოლოდ იმიტომ, რომ მამისაშვილი ვერ დაპპატიჟა სახლში. ხშირია პურმარილება თვით სამინისტროს შენობაშივე, მეთოდ. საბჭოს კაბინეტში. ასე მაგ., შარშანწინ ერთ-ერთი თანამშრომლის დღეობაზე, სამუშაო საათებში ზედ მამისაშვილის გრძელ მაგიდაზე გაიშალა სუფრა დაახლოებით ათ კაცზე. საერთოდ არაფი, კონიაკი ხშირად ფიგურირებს „საბჭოში“. მაგალითად ამას წინათ, დავთ გარეჯის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ლ. ციკოლია მ. მესხმა და დ. მამისაშვილმა მიიწვიეს არაყზე, თუმც მიხვან უარი მიიღეს.

24 აღბათ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიუზედავად განაცხადისა, მამისაშვილი მაინც ვერ გაამეკვეს სამინისტროდან და ახლა იგი მუშაობს არქეოლოგიური განყოფილების გამგედ (!). მისი განთავისუფლების შესახებ არსებობს კომისიის დასკვნა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სახ. უნივერსიტეტის პარტკომი, პროფ. რ. გორდეზიანი, არქეტექტურულ მეცნიერებათა დოქტორი რ. მეფხისაშვილი, პროფ. ლ. რნეულიშვილი და სამმართველოს უფროსი ბაქრაძე. კომისიათ დაადგინა, რომ დღიდან დაარსებისა მეთოდურ საბჭოს არაფერი გაუკეთებია, მიუხედავად ამისა იგი მხოლოდ გადაიყვანეს თანამდებობიდან, ვინაიდან მს მფარველობს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. ასე რომ ამჟამად „არქეოლოგიის განყოფილებაში“ კვლავ გრძელდება ოგივე უმსგავსობა, რასაც მანამდე ადგილი ჰქონდა „სამეცნ. მეთოდურ საბჭოში“.

ვის, როდესაც მას ბინაზე რემონტი ჰქონდა). საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მესხი ციხეში იჯდა, მამისაშვილი მას რვა თვის განმავლობაში უნახავდა ადგილს სამეცნიერო-მეეოდურ საბჭოში. ეს ხდება მაშინ, როდესაც მამისაშვილი ყოველნაირად ხელს უშლის ინსპექციას, რომ ისარგებლოს იმავე მიკროავტობუსით, რომელიც მთელ სამმართველოს ეკუთვნის. ან, უკიდურეს შემთხვევაში ინსპექციას აძლევს უხეშ, სატვირთო ავტობუსს შორეულ ძეგლებზე წასასვლელად, სადაც ეს ავტობუსი ვერ ახერხებს ასვლას. მაგ., ინსპექტორი ვ. ჯავახიშვილი დუშეთის რაიონში გაშვებულ იქნა უმანქანოდ, ხოლო სიღნაღში ინსპექტორმა თოდუამ და დადიანიძემ ვერ დაათვალიერეს რიგი ძეგლებისა, რადგან არ ჰყავდათ მიკროავტობუსი. მამისაშვილი ყოველდღიურად ქალაქში სარგებლობს მიკროავტობუსით ან ყოველად გაურკვეველი დავალებებით ზშირად აგზავნის ხოლმე მიკროავტობუსს ქალაქგარეთ. 1974 წლის 22 ნოემბერს მან მძღოლი ანზორ გალუსტოვი დაღლილ-დაქანცული გააგზავნა მესხეთ-ჯავახეთში გაურკვეველი დავალებით[25]. გზაზე იგი დაეტაკა სატვირთო მანქანას და დაიღუპა. საინტერესოა, რომ ძეგლებზე მცველები ზშირად გვთავაზობენ შამპანურს, არაყს და ა.შ. და დიდად უკვირთ, როდესაც უარს ვეუბნებით (ჩანს უჩვეულო ხალხად ვეჩვენებით). მაგ., ჯვრის მცველმა გიგაურმა შემოგვთავაზა შამპანური. როდესაც იგი ვამხილეთ დაუდევრობაში (მან ამოფხიკა კედელზე ხულიგნების მიერ დახატული პორნოგრაფიული სურათი, რითაც უფრო მეტად დააზიანა ძეგლი). ბუნებრივია, მცველი გიგაური არ გაგვიბედავდა შამპანიურის შემოთავაზებას, ამგვარი „გამოცდილება" რომ არ ჰქონოდა (ე. ი. ვიღაცაზე ჭრიდა ოდესღაც შამპანური). ცნობილია აგრეთვე, რომ სამმართველოს ყოფილი უფროსი თ. კანდელაკი ჩაეიდოდა თუ არა დავით გარეჯში, მცველი ომაროვი თითო ცხვარს ჩაუგდებდა ხოლმე მანქანაში.

ძეგლთა „ინსპექტორი" ზ. ძნელაძე იმ ხაფხულს შეგნებულად აყალებდა უნიკალური ძეგლის, გიორგი კალოუბნელის მდგომარეობას, მას შემდეგ, რაც იგი პურმარილით „მონათლა" გ. ხუტაშვილმა. ამას წინათ ძნელაძემ თვენახევრით უკანონოდ გაუგრძელა ვადა დავით გარეჯის უვარგის მცველს ომაროვს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ორ ცხვარს იყო შეპირებული. ხოლო რა საჩუქრებს ღებულობს იგი მესხეთის ველებზე „გაფორმებული" ფიქტიური მცველებისაგან (ვარძია, ხიზიბაკერა, ვანის ქვაბები, ჩიხორიში) ეს ჯერ არავინ უწყის. გ. ხუტაშვილს დღემდე ფიქტიური მცველი ჰყავს ჯვარზე (მცველის, ბელთოშვილის მეუღლე), რასაც არავინ აკონტროლებს. აქ უთუოდ ძნელაძის გარდა მას ეხმარება კულტურის სამინისტროს პარტკომი კალანდარიშვილი, რომელმაც ამას წინათ სუზდალშიც კი მიაკლინა ეს თაღლითი. ხოლო ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ო. სანებლიძეც უთუოდ დავალებულია ხუტაშვილისგან კონიაკით და ფორთოხლით, რომელსაც მას სახალხოდ

25 ვარძიის მუზეუმის დირექტორს იმ დღეს საერთოდ არ უნახავს იგი, მაშინ როდესაც იგი ვითომც „ვარძიაში იყო გაგზავნილი". დაიღუპა აქეთობას, თბილისისკენ მოშავალი.

ჰპირდებოდა გ. ხუტაშვილი ტელეფონით კულტურის სამინისტროდან (ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის წინადღით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღინიშნა, აგრეთვე 1973 წლამდე ძეგლთა სარესტავრაციო სახელოსნოს უფროსად მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მებუფეტე გ. გოცირიძე, რომელმაც მოუველოდნით კატასტროფის პირად მიიყვანა მთელი რიგი კულტურის ძეგლები (მათ შორის ყინწვისი). მკითხველს გაუკვირდება, როგორ გაძვრა მებუფეტე სარესტავრაციო სახელოსნოს უფროსად, მაგრამ ჩვენ მას კვლავ შეეახსენებთ პურმარილის ყოვლისშემძლეობას...

პურმარილის მოყვარული ხალხის სიყვარული ძეგლების მიმართ იქამდისაც მიდის, რომ ძეგლების მახლობლად ხშირად გეგმავენ რესტორნების მშენებლობას. ასე, მაგალითად, ყაზბეგში, გერგეთის სამებაზე გააკეთეს საბაგირო გზა, რომლის სადგურითაც დაამახინჯეს ეს ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლი. უთუოდ იქაც რესტორანს უპირებენ აშენებას. ნუთუ თავაშვებულმა ლოთებმა ვერ ნახეს უკეთესი ადგილი? ასევე საბაგირო გზა იყო დაგეგმილი ზედაზენზე ამ რამდენიმე წლის წინათ.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ პრიტონად და რესტორნად იყო გადაქცეული სამების ეკლესია შუა თბილისში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მღვდელი რომანოზ ბიბილაშვილი, ცნობილი ლოთი და ხულიგანი, ცხოვრობდა შიგ ეკლესიაში და აქირავებდა მას. ბოლოს მან ჩაიდინა ხულიგნობა (სცემა მოხუც ქალებს), რისთვისაც გაძევებულ იქნა[26]. ამ საქმის გამო აღიძრა საქმე კალინინის რაიონის მილიციაში, მაგრამ მილიციის ყოფილმა უფროსმა შ. კენჭაძემ ჩაფუშა იგი. ხულიგანი დღესაც დაუსჯელია, ხოლო მისმა გაბორიტებულმა ამფსონებმა, რომლებიც იქვე მშენებლობაზე მუშაობენ, ამას წინათ აგურები დაუშინეს ტაძარს, დაუზიანეს სახურავი და ჩაამტვრიეს შუშები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერილი გაზეთ „თბილისში (1974 წ. 2 აგვისტო). ეს ხულიგნებიც არავინ დასაჯა.[27] 1974 წლის 5 ოქტომბერს, შაბათის უნიკალური ძეგლის წუღრუდაშენის ტერიტორიაზე (ბოლნისის რაიონი) სოფლის ახალგაზრდობა ამოსულიყო პურმარილით. ზოგი მათგანი სახურავზე დარბოდა, ერთმა (არუთინოვმა) კრამიტიც კი ჩაამტვრია ამ სირბილის დროს, მცველი კი არსად იყო. ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რარიგ მრავლდება წარწერები ჩვენს ძეგლებზე, თუ როგორი ანტისანიტარიაა მათ ტერიტორიაზე, რაც მათი უპატრონოდ მიტოვების შედეგია. მსგავსი მაგალითების მოტანა ჭარბად შეიძლება, მაგრამ ჩვენ ზემოთქმულს დავჯერდებით.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველზე მე ვიძლეოდი წინადადებას, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ჩვენში ძეგლთა დაცვა, ძეგლთა ინსპექცია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან, უნდა მოეწყოს ძეგლებზე ხშირი რეიდები (განსაკუთრებით უქმე დღეებში), უნდა დაეკალოს ადგილობრივ რაიონულ მილიციებს მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ ხსენებული მიმართულებით მუშაობაში. ძეგლებზე ქეიფი, დროსტარება იწვევს სავალალო ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს:

---

26 აშკარად მას რესტორნად აქვს ქცეული დიდუბის ეკლესია. არსებობს მოწმეები.

27 იხ. ზემოთ აქება ამის შესახებ (გვ. 70).

გარყვნილებას, ხულიგნობას, მკელელობას, ავარიებს, ძეგლთა ხელყოფას, წარწერების გაკეთებას, დაზიანებას და ა.შ. კულტურის ძეგლებზე სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად უნდა ებრძოლო მთელს ჩვენ საზოგადოებრივობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, მე ამრიგად ჩამოვაყალიბე ჩემი მოთხოვნები:

1. გაიზარდოს კულტურის ძეგლთა სარესტავრაციოდ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა 5 მილიონ მანეთამდე მაინც.

2. ძეგლთა დაცვის საქმეს ჩამოშორდნენ ისეთი დამნაშავე პირები, როგორნიც არიან: იაკაშვილი, მამისაშვილი, ძნელაძე, ხარაიძე, ტყეშელაშვილი, აგრეთვე ისეთი ინდიფერენტული და სუსტი მუშაკები, როგორნიც არიან: უ. ბაქრაძე, გ. მუჯირი და სხვანი. თანამდებობებიდან უნდა განთავისუფლდნენ რაიონული კულტგანყოფილებების ისეთი გამგეები, როგორნიც არიან ხუტაშვილი, ოქროშიძე, კოპაძე და სხვანი.

3. დაჩქარდეს გადაუდებელი სამუშაოები ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორიც არის ვაჩნაძიანი, დავით გარეჯა, უფლისციხე, თიღვა, ტიმოთეს უბანი, გელათი, იკორთა, ქსნის ციხე, ბებრის ციხე და სხვანი.

4. შეიქმნას გარემონტებული ძეგლების მიღება-ჩაბარების კომპეტენტური კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის ძეგლის მდგომარეობას და აგრეთვე გააკონტროლებს სახელოსნოს მიერ ძეგლზე ჩატარებულ სამუშაოს და თანხების რაციონალურ გამოყენებას.

5. გაძლიერდეს სახელოსნოს სამექანიზაციო და ავტოსატრანსპორტო ბაზა.

6. დამყარდეს ძეგლებზე სანიმუშო წესრიგი, აიკრძალოს ძეგლის ტერიტორიაზე ქვიფი, კოცონების დანთება, დროსტარება. გამოკრულ იქნეს სათანადო აბრები ყველა მნიშვნელოვან ძეგლზე, რომლებიც აკრძალავენ ყოველივე ამას. პრესსამ, რადიომ და ტელევიზიამ ხელი შეუწყოს ძეგლებზე წესრიგის დამყარებას, წესრიგის დამრღვევნი კი სანიმუშოდ დაისაჯონ და განაკიცხონ. აღიკვეთოს „ფიქტიური" მცველები.

7. ძეგლთა დაცვის სამმართველოს გამოეყოს ძეგლთა ინსპექცია, როგორც კულტურის სამინისტროს ცალკე განყოფილება. ინსპექციას მოემატოს შტატები, მიემაგროს ავტომანქანა ძეგლებზე სასიარულოდ. რაიონულ კულტურულ განყოფილებებს მიეცეს თითო შტატი ზონალური ინსპექტორისა, რომელიც დაექვემდებარება კულტურის სამინისტროსთან არსებულ ინსპექციას.

8. გაძლიერდეს პასუხისმგებლობა ძეგლთა დაზიანებისათვის, დანგრევისა და აფეთქებისათვის. მიღებული იქნეს ზომები, რათა პრაქტიკული შედეგი გამოიღოს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლმა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისმა დადგენილებამ. ძეგლთა რესტავრაციაში და მოვლაში ფართოდ უნდა ჩაებას მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა.

9. გაეწიოს კონტროლი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ძეგლთა განადგურებას. მოეთხოვოს სსრ თავდაცვის სამინისტროს აღკვეთოს საქართველოში სამხედრო უწყებების მიერ ძეგლთა განადგურება.

ძეგლთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩემი ორივე წერილი: „ძეგლთა დაცვა თუ ძეგლთა ძარცვა" და „ძეგლები და პურმარილი" განცხადებების

სახით შევიტანე კულტურის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და ცენტრალურ კომიტეტში ე. შევარდნაძის სახელზე 1975 წლის დასაწყისში[28]. რამდენადაც წელიწადნახევარმა განვლო და არავითარი პასუხი არ სჩანს, ხოლო ძეგლთა მდგომარეობა კვლავ იგივეა (მხოლოდ მამისაშვილს წაართვეს ფინანსური უფლებები და გადაიყვანეს არქეოლოგიის განყოფილების თავმჯდომარედ), მე იძულებული ვარ დავსაკვნა, რომ **კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია და ცენტრალური კომიტეტის მდივნები ე. შევარდნაძე და ვ. სირაძე შეგნებულად აფარებენ ხელს ზემოხსენებულ ბოროტმოქმედებებს, ვინაიდან არ ღებულობენ არავითარ ზომებს და ამით ხელს უწყობენ ყველა იმ უმსგავსობას, რაც ამ წერილებში იყო აღწერილი.**

3. ჰეროსტრატეთა თარეში

საბჭოთა კანონმდებლობით სხვადასხვაგვარი სასჯელებია დაწესებული ძეგლთა დაზიანებისა და ხელყოფისათვის. აკიღოთ მაგალითისათვის საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (თბილისი 1973):

მუხლი 254. კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების შებილწვა ან თვითნებური გამოყენება –

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

კულტურის ძეგლების აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ფეთქებადი ნივთიერების ან მოძეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენებით, აგრეთვე ამ ძეგლებისა და ობიექტების გაუფრთხილებლობით განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, —

28 1976 წლის გაზაფხულზე ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარეფერენციო კომისიის სხდომაზე გავაკეთე მოხსენება ამ წერილების საფუძველზე, იგი გადაეგზავნა ო. ჩერქეზიას, რომელმაც არ განიხილა ეს მოხსენება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცრუ დაპირება:
მოქ. ზვიად კონსტანტინეს ძე გაშსაზურდიას
მცხ. ქ. თბილისი გალის ქ. №19.
თქვენი წერილი „ძეგლები და პუშპარალი" გამოგზავნილი საქართველოს სსრ შსს ხელმძღვანელობის სახელზე ჩვენს მიერ განხილული იქნა და გაგცობებთ, რომ შს საკლაკი და რაიონულ განყოფილებებს მიეცათ მითითება, რათა გაიძლიერონ კულტურული ძეგლების დაცვის ღონისძიებები, ხოლო დასკვნების, დღესასწაულისა და რელიგიური რიტუალის დღეებში, გამოჰყონ სპეციალური ოპერატიული ჯგუფები, სახალხო რაზმელებისა და საზოგადოებრივი აქტივის მონაწილეობით. წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმების პროცესშია. 1975 წლის ზაფხულის პერიოდისათვის დაგეგმილია ამ საკითხის აღგილებზე ღრმად შესწავლა და საკითხის განხილვა შს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.
საქართველოს სსრ შს განყოფილების უფროსი (ტ. გრიგოლაშვილი)
მიუხედავად ამ დაპირებისა, დღეს ძეგლებზე კვლავ გრძელდება ღრეობა, პროსტიტუცია, ანტისანიტარია, ვანდალიზმი და სხვა საკადალო მოვლენები.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფეოქებადი ნივთიერების ან მომტეტბული საფრთხის წყაროს გამოყენებით, —

ისჯება ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წ. 14 სექტემბრის ბრძანებულება. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1972 წ. N9. მუხლი 188).

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე როგორც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თითქოსდა მკაცრად აფრთხილებენ „ჰეროსტრატებს“, მაგრამ ჩვენ მალე დავრწმუნდებით, რომ ეს გაფრთხილება ფიქტიურია, ქაღალდზე რჩება, საქმით კი ხდება სწორედ საპირისპირო რამ. დღემდე საქართველოში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ვინმე მიეცათ პასუხისგებაში კულტურის ძეგლის დაზიანებისა ან განადგურებისათვის, უფრო მეტიც, არ მომხდარა არც საზოგადოებრივი გაკიცხვა, არც დაჯარიმება ამგვარი პირებისა (ცალკეული საგაზეთო შენიშვნების გარდა). ეს გარემოება უსათუოდ დამაფიქრებელია.

ვილაპარაკოთ ფაქტებით. 1968 წელს მარნეულის რაიონში დასწვეს ძველი ქართული ეკლესია „სამება“ (სოფელი კუმისი, უმეტესწილად სომხური მოსახლეობა), 1970 წლის მაისში დმანისის რაიონის სოფელ ჰამამლოში (მოსახლეობა აზერბაიჯანელები) ააფეთქეს ძველი ქართული ეკლესია, იქვე დანგრიეს ბულდოზერით ძველი ქვა-ჯვარი, სოფ. საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით. შოშლოეთში (ნასოფლარი) 1970 წლის ივლისში დანგრიეს რვა სვეტიანი სამრეკლო, 1969 წლის ივლისში სოფელ მამიშლუში წყალსადენის მუშებმა დანგრიეს ორი ქართული ეკლესია და გამოიყენეს საშენ მასალად. ახალქალაქის რაიონში უკანასკნელ ხანებში დანგრიეს ორი ქართული ეკლესია (იხ. ბოლოში სქოლიო)[29], საინგილოში (აზერბაიჯანის ტერიტორიაზე), 1971 წლის აგვისტოში ააფეთქეს XII საუკუნის ქართული კულტურის ძეგლი „მადლის ღვთისმშობელი“. 1975 წელს მარნეულის რაიონში დაამსხვრიეს საფლავის ქვა XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწის მანანა ორბელიანისა.

ყველა ამ დანაშაულებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვითომდაც „იძიებდა“ გამომძიებელი ჯიჯოევი, თუმც დღემდე არცერთი კაცი არ მიცემულა პასუხისგებაში მაშინ როდესაც დამნაშავეთა უმეტესობა ყველასათვის ცნობილი პირებია ზემოხსენებულ რაიონებში. აშკარაა, რომ ამგვარი გამოძიება ფარსია, რომლითაც ხელისუფლება ნიღაბს თავის ნამდვილ ჩანადიქრს „ჰეროსტრა-

29 ჰეროსტრატე — ისტორიული პირი ძველ საბერძნეთში, რომელმაც დაწვა არტემიდეს ტაძარი ეფესში, რათა სახელი გაეთქვა ამ გზით.

ტეთათვის“ ფარულად ხელის შეწყობისას.

განა ძველთა შეგნებული მტრობა არ არის ის ფაქტი, რომ 1948 წელს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჩარკვიანმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბაქრაძემ საბჭოთა ჯარებს არტილერიის პოლიგონად მისცეს დავით გარეჯის ტერიტორია, რითაც დასაღუპად გასწირეს უნიკალური სამონასტრო კომპლექსი და მსოფლიო ფრესკული ხელოვნების შედევრები? განა შეგნებული მტრობა არ არის ძველებისა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს მთავრობის მეთაურები პატარაძე, შევარდნაძე და სხვანი არც კი ფიქრობენ პოლიგონისათვის ახალი ტერიტორიის გამოყოფას, რასაც უკვე მოითხოვენ თავად სამხედრები? მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული

როგორც ვხედავთ, საქართველოში დაუსჯელად დაპარპაშობენ მრავალრიცხოვანი როგორც შინაური, ისე გადამთიელი „ჰეროსტრატენი“, იმის მეოხებით, რომ კულტურის ძეგლებს სახელმწიფო მხოლოდ მოჩვენებითად იცავს და ამ დანშავეებს თავიანთი ბარბაროსობისთვის არავინ სჯის. წერილში „ძეგლები და პურმარილი“ ჩვენ ნაწილობრივ დავრწმუნდით ამაში. ახლა მოგითხრობთ, თუ როგორ რჩებიან ძეგლები უპატრონოდ, როგორ აზიანებენ მათ შეუგნებელი ადამიანები, აქცევენ მათ საწყობებად, ბოსლებად, საღორეებად, აზიანებენ ნაირგვარი მინაშენებით, გათხრებით და ა.შ.

სხვათა შორის, ტერმინ „ჰეროსტრატეს“ ამგვარ ამბებთან დაკავშირებით ხმარობს აგრეთვე გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც ზოგჯერ ნიანგის ცრემლებს ღვრის ძეგლთა ხელყოფაზე. მაგალითად 1973 წლის 24 ნოემბერს „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სტატია „ჰეროსტრატეს“კვალზე“, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ დაეზიანეს თანამედროვე ბარბაროსებმა ზარზმის მონასტრის ფრესკები (IX ს.), როგორ წაეწერეს ზედ საღებავით თავიანთი სახელები და გვარები. თუმც საოცარია, რომ დანშავეენი არავინ დასჯა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცნობილი იყვნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჰეროსტრატენი“ უმეტესწილად ფრესკებზე სტოვებენ არა მარტო თავიანთ სახელებს და გვარებს, არამედ მისამართებსა და დაბადების წლებსაც კი, ამის გამო სულ იოლია მათი პოვნა. მაგალითად, დავით გარეჯში ჯარისკაცებმა ფოთიჩენკომ, კაშელმა და სხვებმა თითქმის თავიანთი საანკეტო მონაცემები წაეწერეს ფრესკებს. ის ფაქტი, რომ ასეთ პირთაგან ჯერ არავინ დაუსჯიათ, მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება, როგორც ითქვა, ფარულად ხელს უწყობს მათ, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები და ბრძანებულებანი ისევე ფორმალურად არსებობენ, როგორც ზოგიერთი დადგენილებანი ძეგლთა დაცვისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის (მაგ. დადგენილებები უფლისცეხისა და დავით გარეჯის შესახებ). ეს ყოველივე საუკეთესო ნიღაბია მთავრობისათვის, რომელსაც სურს თავიდან მოიშოროს კულტურის ძეგლთა უმრავლესობა როგორც უმიზნო ხარჯის წყარო და მოსახლეობაში „იდეურად არაჯანსაღი“ იმპულსების გამაღვიძებელი „წარსულის მავნე გადმონაშთები“.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ საქართველოში სულ რამდენიმე ძეგლია საიმედოდ დაცული „ჰეროსტრატეთგან“ (ის ძეგლები, რომელთაც უცხოელი ტურისტები ათვალიერებენ), ხოლო უმრავლესობა გამუდმებულ საფრთხეში

იმყოფება. თუმც ზოგჯერ ამ „საიმედოდ დაცულებსაც“ ეშუქრებათ ხოლმე საფრთხე.

ავიღოთ მაგალითისათვის, ცნობილი მცხეთის ჯვარი. 1973 წელს ამ ძეგლს ჰყავდა ერთადერთი მცველი, ავადმყოფი მოხუცი ი. გიგაური, რომელსაც ვერასოდეს ნახავდით თავად ძეგლის ტერიტორიაზე (იგი მუდამ თავისი სახლის წინ იჯდა ძეგლის ღობის გარეთ). იგი იმდენად იყო ტერორიზებული ხულიგნების მიერ (მრავალგზის იყო ნაცემი, დაზიანებული ჰქონდა თავის ქალა), რომ სრულიად აღარ აინტერესებდა ძეგლი და საკუთარ თავს ძლივსღა იცავდა. ძნელად სარწმუნოა, მაგრამ 1973 წლის 17 დეკემბრიდან ჯვარი უმცველოდ იქნა დატოვებული ორი თვით, ვინაიდან მცველი მოხსნეს ლოთობისათვის. მართალია, მოხუცი და ინვალიდი მცველი იქვე ცხოვრობდა მაინც, მაგრამ ჰქონდა სრული უფლება ძეგლის დატოვებისა და სადმე წასვლისა, რაც ზშირად ხდებოდა; იგი ზოგჯერ მთელი დღით მიდიოდა და სტოვებდა ძეგლს. ხოლო მცხეთის კულტურის განყოფილების გამგე გ. ხუტაშვილი არც კი ფიქრობდა კულტურის სამინისტროსათვის ყოველივე ამის შეტყობინებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ავტეხეთ ხმაური ამის თაობაზე, დაინიშნა კიდევ ორი მცველი, თუმცა მათაც იშვიათად ეხედავდით ხოლმე ძეგლზე. რატომღაც ისინიც გაურბოდნენ ძეგლის ტერიტორიას (ასე იყო მაგ. 1974 წლის 29 აგვისტოს). ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ მონასტრის ყველა კედელი აჭრელებულია წარწერებით როგორც შიგნიდან, ისე გარედან, უფრო მეტიც, ერთ-ერთ კედელზე დიდი პორნოგრაფიული ნახატი იყო, რომელიც მცველმა ამოფხიკა ჩვენ თვალწინ, რითაც უარესად დაზიანა ძეგლი. მონასტრის სენაკებში ანტისანიტარიაა, ბოთლების ნამსხვრევები, პაპიროსის ნამწვები, ჯვარზე ხომ ზშირად მოდიან მთვრალი კომპანიები. ერთ-ერთი სენაკი საპირფარეშოდაა ქცეული. ჩვენ ამაოდ მოვითხოვდით ჯვარზე მილიციის პოსტის გახსნას კვირაობით მაინც ან სატელეფონო კავშირს მცხეთის მილიციასთან. როგორც ცნობილია, მილიცია გაურბის ძეგლებს, იქ ხომ არავითარი „სარფა“ არ არის, თან ალბათ არ სურთ ხელი შეუშალონ „ჰეროსტრატეებს“...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჰეროსტრატეთაგან“ დიდად ზიანდება ბიომდვიმე, VI საუკუნის მონასტერი. იქ, მაგალითად, მონასტრის დამაარსებლის, მამა ბიოს საფლავი დასწვეს, რითაც დიდად კმაყოფილია გ. ხუტაშვილი, მცხეთის კულტგანყოფილების გამგე. მან აღნიშნა, რომ ეს ფრიად საჭიროა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის.

ამგვარადვე მსჯელობს ახალციხის რაიონის კულტგანყოფილების გამგე ე. კოპაძე. ამ რაიონში კულტურის ერთი ძეგლი (XI საუკუნისა) გადაქცეულია ნაკელის საწყობად. ე. კოპაძემ ოფიციალურად მისწერა კულტურის სამინისტროს, რომ ეს მან გააკეთა ათეისტური პროპაგანდისათვის (იგი ხმარობდა სიტყვას „ანტითეისტური“). ჩვენ ეს წერილი გადავეცით „ნიანგს“, რომელმაც გონებამახვილურად შენიშნა ამის შესახებ, რომ აღა-მაჰმად-ხანიც ალბათ ათეისტური ჟინით იყო შეპყრობილი მაშინ, როდესაც ტფილისი დასწვა (იხ. „ნიანგი“, 1973 წ. ოქტომბერი, N19 (1413).

ამავე მიზნით გადააკეთეს თბილისში VI საუკუნის მეტეხის ეკლესია კომ-

კაუშირულ თეატრად, რითაც შიგნიდან დაზიანეს მისი კედლები. ბოლოს იგი სისტემატური ქეიფისა და ღრეობის ადგილად იქცა. თბილისშიც XII საუკუნის უნიკალური ძეგლი „ლურჯი მონასტერი“ გადაქცეულა ნამდვილი ცინო მუზეუმად, რითაც იგი დიდად ზიანდება, მას არავინ უელის, გარშემო სახლებია, რომლებიც ჩრდილავენ მას, მათ აღებაზე კი არავინ ფიქრობს. თბილისის „სიონიც“ ასევე გარემოცულია პატარ-პატარა სახლებით, რითაც ფრიად ნესტიანდება მისი საძირკველი და კედლები.

1966 წელს ჭითურის რაიონის თავმჯდომარემ ე. სხირტლაძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი, როგორც ჭეშმარიტი კომუნისტი და ათეისტი არ დახარჯავს თანხას უნიკალური ძველი მონასტრის მღვიმევის სარესტავრაციოდ, ვინაიდან იქ მოქმედი ეკლესიაა.

წითელწყაროს რაიონში კოლმეურნეობამ საწყობებად აქცია 3 ძველი ეკლესია, ქარელის რაიონში 5 ძეგლია გადაკეთებული საწყობებად და წისქვილებად. გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერეშში IX-XI საუკუნის ძეგლი ბოსლადაა ქცეული, სოფელ ზემო მაჩხაანში კი (წითელწყაროს რაიონი), ძველი ეკლესია „არაპათიონი“ გადაქცეულია ყველის სათავსოდ. სოფელ მჭადიჯვარში (ლუშეთის რაიონი) XVII საუკუნის წარწერებიანი ეკლესია, სადაც ფრესკებიც არის, გადაქცეულია სკოლის საწყობად. აი რა უწყობს თურმე ხელს ახალი თაობის „ათეისტურად აღზრდას“.

1966 წელს შეამციერეს მცველის შტატი ქვაბისხევის უძველეს ეკლესიაში (ბორჯომის რაიონი), რის შედეგადაც დაიღუპა უნიკალური ფრესკა შოთასი და დედამისისა. ამის შესახებ მოხსენებითი ბარათი დაწერა იური სიხარულიძემ — ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანაშრომელმა. თუმც არავის ყურიც არ გაუბერტყავს.

ქუთაისში ცნობილი ბაგრატის ტაძრის წინ დგას რადიო-ანძა, იქვე დგას სკოლის ყოფილი შენობა, რომელიც უნდა დანგრეს. ჩრდილოეთიდან მასზე მიდგმულია სამსართულიანი სახლები, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, კარებთან დათესილია სიმინდი. ტაძრის ეზო მიითვისა ვინმე გელოვანმა, მისი საპირფაცარეში დგას IX საუკუნის ნაგებობაზე (აი „ნოვატორი ჰეროსტრატე“). მთავარი მაინც ისაა, რომ მას არავინ უშლის ხელს ამ უმსგავსობაში. ამ მიზეზით ტაძრის მთავარი პორტალი საერთოდ არ მოჩანს.

1971 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთში კოლმეურნეობამ დაანგრია XI საუკუნის მთავარანგელოზის ეკლესია და მის ფუნდამენტზე აშენდა კოლექტივის კონტორა და ფოსტა. ეს გამოავლინა 1975 წლის ზაფხულზე ძეგლთა დაცვის ინსპექტორმა ვ. ჯავახიშვილმა. თუმც ეს ბოროტმოქმედებაც შერჩათ „ჰეროსტრატეებს“.

ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას ძეგლები არად ენაღვლება, შემდეგი გარემოებითაც მტკიცდება. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციები სარგებლობენ არქიტექტურული ძეგლებით, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რაც იწვევს მათ სერიოზულ დაზიანებას (მარტყოფის ეკლესია, სოფელ არბოშიკის ეკლესია, სოფელ ხოტევის ეკლესია. ბაოუმის კათოლიკური ეკლესია, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია, ციცისშვილების ციხე სოფელ ბელოთში, ადამეების

ჯამე აჭარაში და ა.შ.). ასეთივე მინაშენებით აზიანებენ წმ. თევდორეს ეკლესიას კასპში, ვახვახიშვილების ციხეს თელავში, სადაც კოშკი საცხოვრებელ სახლად გადაკეთა არქიტექტორმა რ. სარალიძემ, აქვე მოშენებულია სასტუმრო; ასევეა დაზიანებული ჩოლოყაშვილების ციხე და მარანი ხაშმში უქიმერონი და სხვა ძეგლები. ძეგლთა ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობის შედეგად სახეს და მხატვრულ ღირებულებას კარგავენ მოქვის ტაძარი, ამბრას ბაზილიკა, კუმურდო, ბაგრატის ტაძარი, ქვეშხეთის კოშკი და ა.შ.

მშენებლობის გარდა დიდი ზიანი მოაქვს არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების ტერიტორიათა გადახვნას (ამირანის გორა, დედოფლის მინდორი, ფიქნარის ნასოფლარი, მახვილაურის ნაქალაქარი, ეშერას ნაქალაქარი და სხვ.).

დიდ საფრთხეშია გრანდიოზული ანტიკური ქალაქი უფლისციხე, კლდეში გამოკვეთილი უნიკალური ძეგლი (II საუკუნე ქრისტეს შობამდე). მის მახლობლად სამხედრო აეროდრომია და მიწის ზანზარი დანგრევით ემუქრება ძეგლს. უფლისციხის მთავარი დარბაზი, რომელსაც „თამარის დარბაზს“ უწოდებენ, ავარიულ მდგომარეობაშია. საჭიროა ბეტონის ორი ექვსმეტრიანი ბოძის აღმართვა, მაგრამ სახელსნო რატომღაც აჭიანურებს საქმეს, თუმც ჯერ კიდევ 1974 წლის ზამთარში უფლისციხის გადასარჩენად გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა ამ ბოძების აღმართვა. უფლისციხის კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში მეც შემიყვანეს, როგორც სჩანს, ისეთივე ფორმალური და მოჩვენებითი იყო, როგორც დავით გარეჯის კომისიის შექმნა, რომელსაც დღიდან დაარსებისა არაფერი გაუკეთებია. სინამდვილეში კი როგორც სჩანს უცდიან, ვიდრე კლდე ჩამოიქცევა, რათა თამარის დარბაზი განადგურდეს (ეს ალბათ თამარ მეფის ე.წ. „კულტთან“ ბრძოლის გამოხატულებაცაა, რომელიც ფრიად „საზიანოა“ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის აზრით, რომელმაც თამარ მეფის „იდეალიზაციისთვის“ დაამუშავა ისტორიკოსი რ. მეტრეველი გაზეთ „კომუნისტში“).

ალბათ, ამავე მიზეზით განადგურეს ოსმა არტილერისტებმა 1972 წელს თამარ მეფის ფრესკა დავით გარეჯის ბერთუბნის მონასტერში, რომლის ნაწილიც იხსნეს ჩვენმა რესტავრატორებმა და გადმოიტანეს მუზეუმში.

ზებგერითი თვითმფრინავები დიდ საფრთხეს უქმნიან კულტურის ძეგლებს: ვეელათს, სვანეთის კოშკებს, წულრეღაშენს და ა.შ. (თუმც სამხედრო „ჰეროსტრატეთა“ შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ უფრო დეტალურად, როდესაც შეეეხებით დავით გარეჯის საარტილერიო პოლიგონს).

კახეთში დანგრევის პირასაა უნიკალური ძეგლი ქართული არქიტექტურისა ვაჩნაძანისა (გურჯაანის რაიონი). აკადემიკოს ჩუბინაშვილის უკანასკნელი სათხოვარი იყო სასიკვდილო სარეცელზე: „ვაჩნაძანის უშველეთო“. აქ უნდა ჩატარდეს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, გაყვანილ იქნას გზა, თუმც ეს არავის ენაღვლება, თანაც არ არის საკმაო ტექნიკური ბაზა, პერსონალი და ტრანსპორტი. სერიოზული რემონტი საჭირდება ზარზმას, საფარას, ტიმოთეს უბანს, ამბროლაურის რაიონის სოფელი ზემო კრიხის IX-XI საუკუნის ფრესკებით მოხატული ეკლესია მძიმე მდგომარეობაშია, სამუშაოები დაწყებულია, მა-

გრამ სამინისტროს „არა აქვს თეთრი თუნუქი“, როგორც მინისტრის მოადგილე იაკაშვილი ამტკიცებს (თუმცა თეთრი თუნუქი უხვად იყარჯება ძეგლთა დაცვის საქმეს შეზიზნული საქმოსნების კერძო სახლებისა და აგარაკების გადასახურავად). სოფელ სავანეში ფრესკებიან ეკლესიას „გიორგისეულს“ სჭირდება რემონტი, ასევე შესაკეთებელია მარტვილი, საორბისი (კასპი), ბებრის ციხე (მცხეთა), ქსნის ციხე და სხვანი მრავალნი. მათ რემონტზე კი არავინ ფიქრობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა
2012-2013

1975 წლის მარტს დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის უნიკალური ფრესკა ღვთისშობლისა წარწერებით დაეზიანეს სამხედროებმა ფომიჩენკომ და კაშელმა. მე მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ ისინი არავინ დასჯა, მხოლოდ ბოდიში მოახდევინეს. საერთოდ დავით-გარეჯის სამიოდე მცველი ვერ სწვდება უზარმაზარ სამონასტრო კომპლექსს, შტატის გაზრდაზე კი არავინ ფიქრობს. ეს კი გზას უხსნის ყოველი ჯურის „ჰეროსტრატებს“. სამაგიეროდ რიტორიკულად სრულყოფილია ფიქტიური დადგენილებები დავით გარეჯის მოვლის შესახებ (სპეციალური „კომისია“ 26 კაცისაგან შედგება).

ზოგჯერ გვაცვიფრებს ის ინდიფერენტიზმი, რომელსაც ირენენ ცალკეული სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები ძეგლთა დაცვის საქმეში. მაგალითად, დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას გადაეცა მარტყოფის მონასტერი, როგორც დასასვენებელი ადგილი. ქარხანას უნდა გამოეყო 10000 მანეთი გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ დირექციამ არ ისურვა ეს და მონასტერი იღუპება (მაშინ როდესაც ლენინგრადში კიროვის სახ. ქარხანამ გამოჰყო 8000 ათასი მანეთი XVIII საუკუნის ძეგლის მიხაილოვსკის ანსამბლის სარესტავრაციოდ). ნაცნობი სურათია: ის, რისი უფლებაც აქვს „ცენტრს“, „მეტროპოლიას“, ვერ ხელეწიფება „პერიფერიას“ (ალბათ მარტყოფის აედგენა ქარხნის თანამშრომლებში „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“ გაადვიძებდა და „რელიგიურ ლტოლვას“).

განსაკუთრებული ტკივილით უნდა აღვნიშნო მცხეთის რაიონში, შიო მღვიმის მახლობლად მდებარე XII საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფრესკებით მოხატული ეკლესიის „გიორგი კალოუბნელის“ მდგომარეობა. ამ ძეგლს რამდენიმე წელს არ ჰყავდა მცველი და ამიტომ ფრესკები თითქმის მთლიანად გაანადგურეს და გადაღებეს. აქ, როგორც ჩანს, მოდიოდნენ საგანგებოდ შეიარაღებული „ჰეროსტრატები“... წარწერები საღებავით შესრულებულია 6-7 მეტრის სიმაღლეზე, რასაც კიბის გარეშე ვერ შესძლებდნენ, ხშირად ტეხავენ აგრეთვე ბოქლომს (ეტყობა სპეციალური ინსტრუმენტებით), მოაქვთ დიდი რაოდენობით საღებავი, გაკეთებულია უშეელებელი რუსული წარწერა „ღონის როსტოვი“ (იქვე ძეგლის მახლობლად სამხედრო ბანაკია). გიორგი კალოუბნელის გადახურვას არასგზით არ აპირებდა სამინისტრო, ვიდრე მის დასათვალიერებლად არ წავიყვანე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურული ატტაშე ვილის სატტერი, რომელიც სტუმრად იყო თბილისში. ამის შემდეგ ძეგლი ერთ კვირაში გადახურეს. ასევე დაიძრა შიო მღვიმის სახურავის გამოცვლის საქმე სატტერის სტუმრობის შემდეგ. მერე მისი წაყვანა დავაპირე მანგლისში, რათა ძეგლი დაეთვალიერებინა, მაგრამ გზაზე უშიშროების

კომიტეტი გადაგვეღობა და უკან გამოგვაბრუნა (აქედან ჩანს, რომ ძეგლებს არემონტებენ მხოლოდ იმის გამო, რომ უცხოელებს „თვალში ეცემოდეს“ მათი მოუვლელობა. ამიტომ დიდად საშუროა უცხოელებისათვის მოუვლელი ძეგლების ჩვენება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, მართალია გიორგი კალოუბნელის ეკლესიას დაუნიშნეს მცველი, მაგრამ მას ძეგლზე ვერასოდეს ნახავთ, იგი ძეგლისაგან ფრიად მოშორებით ცხოვრობს. ხშირად ხდება ასე, როდესაც მცველი ძეგლზე მხოლოდ „გაფორმებულია“, სინამდვილეში კი ცხოვრობს მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ასე მაგალითად: ასპინძის რაიონში ხიზაბავრაზე, ჩიხორიშზე, ვანის ქვაბებზე მცველი მხოლოდ „გაფორმებულია“, სინამდვილეში კი ცხოვრობს და მუშაობს სხვაგან. თბილისში „ანჩისხატის“ მცველი სხვაგან ცხოვრობს (ბესიკის ქუჩაზე), ნარიყალას მცველი 26 კომისრის რაიონში ცხოვრობს, ასეთ შემთხვევებს ნახავთ აგრეთვე ყვარელისა და ჭიათურის რაიონებში, ამის პროცედენტები გვქონდა ჯვარზე, სამთავისში და ა.შ. ყოველივე ამაშიც ცხადია როგორც ზემოთ ითქვა, დიდი „დამსახურება“ მიუძღვის ძეგლთა დაცვის „ინსპექტორს“ ზ. ძნელაძეს და მის პროტექტორს იაკაშვილს. ძნელაძე უხე ქრთამებს იღებს „ფიქტიურად გაფორმებული“ მცველებისგან და იყენებს მათ შტატებს არადანიშნულებისამებრ, ხოლო იაკაშვილი არ აკონტროლებს მას. ჩვენ ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობებზეც კი ვამხილეთ ძნელაძე, მაგრამ ამაოდ, იგი კვლავ რჩება თანამდებობაზე, ვინაიდან იგი არის დასაყრდენი მთავრობის ფარული პოლიტიკისა კულტურის ძეგლთა მიმართ. ამ პოლიტიკის მიზანია ძეგლთა უმრავლესობის თანდათანობით განადგურება, ხოლო როდესაც მათ უმცველოდ დასტოვებ, ეს თავისთავად ხდება. აკი განაცხადა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ, როდესაც მას შესჩივლეს ძეგლთა სავალალო მდგომარეობა, „ნუ გენაღვლებათ ეგ ამბავი, ზოგიერთი ძეგლი კიდევაც რომ დაიღუპოს, ჩვენ არაფერს ვკარგავთო“ (ყოველივე ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ქვემოთ, როდესაც ვიხილავთ, თუ როგორ ფარულ საბოტაჟს უწევს მთავრობა ახალგაზრდობის ინიციატივას ძეგლთა მოვლის საქმეში).

ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა, განსაკუთრებთ სოფლად, ინიციატივას იჩენს ძეგლთა შეკეთებისა და მოვლის საქმეში, თუმც ადგილობრივი ხელისუფალნი მუდამ გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ამგვარ გამოვლინებებს. ასეთ ადამიანებს უკრძალავენ ამ მხრივ მუშაობას, თვით ძეგლთა დაცვის სამმართველოს კონტროლის ქვეშაც კი. ასე მაგალითად, სოფელ ძლევისაჯვარში (ქარელის რაიონი) კოლმეურნე გიუნაშვილს სურდა გადახურვა ძეგლისა, რომელიც ურემონტობით იღუპება, მაგრამ მას არ მისცა ამის ნება სოფლსაბჭომ. წითელწყაროს რაიონის მკვიდრმა ვ. ბაცაცაშვილმა არაერთხელ გამოიჩინა ინიციატივა ძეგლთა შეკეთებისა კახეთში და საინგილოში, რისთვისაც მას ფრიად სდევნიდნენ რაიკომი და ადგილობრივი ხელისუფალნი. აქვე უნდა დაკმინოთ, რომ ასეთ ინიციატივას მუდამ მორწმუნენი იჩენენ.

როგორც ვხედავთ, მორწმუნეებს სდევნიან თვით ისეთი კეთილშობილური ინიციატივისათვის, როგორიცაა ძეგლთა შეკეთება, ხოლო „ჰეროსტრატეებს“ არავინ სჯის და არც სდევნის, პირუკუ, ხელისუფლება აშკარად კმაყოფილია

მათი მოქმედებით და ხელს უწყობს კიდევაც მათ (დაუსჯელობით). როგორც ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ „ჰეროსტრატენი“ უფრო „სოციალურად ეფექტური“ მახლობლები“ არიან ხელისუფალთათვის, ვიდრე მორწმუნენი.

შესაძლოა ვინმეს დაებადოს კითხვა; თუ ეს ყოველივე ასეა, მაშ რად უვლიან კარგად იმ რამდენიმე ძეგლს, რომელნიც ზემოთ იქნენ დასახელებულნი? რატომ არ არიან ისინი დასაღუპად განწირულნი სხვების მსგავსად? პასუხი ერთია: უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებში იმყოფებიან, საგზაო ტრასებზე, დიდ დასახლებულ პუნქტებში, მათ ხშირად ათვალიერებენ უცხოელი ტურისტები და ა.შ. ასე რომ, ამგვარი ძეგლების მიტოვება და „ჰეროსტრატთა“ ნადავლად ქცევა ფრიად არახელსაყრელი იქნებოდა პროპაგანდის თვალსაზრისით. რაც შეეხება დანარჩენ ძეგლებს, ისინი ნაკლებად თვალსაჩინო ადგილებზე მდებარეობენ, სადაც ხელი არ მიუწვდებათ ტურისტებს, ასე რომ ვერავინ გაიგებს თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი. მეორეც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოხსენებულ კარგად მოვლილ ძეგლთაგან ორი — სამთავისი და სვეტიცხოველი წარმოადგენენ მოქმედ ეკლესიებს.

ძირითადი ბოროტებაა, როგორც თავიდან ითქვა, ეკლესიებში ღმერთმსახურების შეწყვეტა, მოქმედი ეკლესიების დახურვა და მორწმუნეთა ჩამოშორება ეკლესიებისგან. მორწმუნე ადამიანი მუდამ გულწრფელი და თავდადებული მეგობარია კულტურის ძეგლისა, ძეგლთა ეფექტური დაცვა და მოვლა მორწმუნეებს უფრო ძალუძთ, მით უმეტეს, თუ მათ რემონტის საქმეში კარგად მიეხმარება ძეგლთა დაცვის უწყება. ამის გამოა, რომ საქართველოში ყველა მოქმედ ეკლესიას ჰყავს საიმედო მცველი (თუმც რემონტზე ამას ვერ ვიტყოდით), მაგრამ მოქმედი ეკლესია საქართველოში სულ 44-ია, ხოლო დანარჩენი 5000 მუდმივ საფრთხეშია.[30]

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები ძეგლთა განადგურებისა და ხელყოფის შესახებ, უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებები, მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და სხვა არსებობენ ფიქტიურად, რათა უკეთ შეინიღბონ ხელისუფლების ნამდვილი განზრახვა: ძეგლთა უმრავლესობის თანდათანობითი განადგურება. ამაზე მეტყველებს აგრეთვე „ჰეროსტრატეთა“ დაუსჯელი პრაპაში საქართველოში.

---

30 უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამჟამად ზოგიერთ მოქმედ ეკლესიებს როგორც ჩანს, შეგნებულად სტოვებენ ურემონტოდ. როგორც ზემოთ დავინახეთ, უშიშროების კომიტეტის მიერ დასმული „პატრიარქი“ დავით V დანაშაულებრივ ინდიფერენტიზმს იჩენს ამ საქმეში, იგი შეგნებულად არ არეშენტებს ზოგიერთ ეკლესიებს.
აქვე მოგვყავს „ჰეროსტრატეთა“ ვანდალიზმის კიდევ რამდენიმე შემთხვევა: 1941 წელს სამხრეთ ოსეთის სოფელ ერედვში ოსებმა მოსპეს X-XI საუკუნის ქართული ტაძარი „ბერის საყდარი“, 1972 წელს კი ძეგლისგან შემორჩენილი კაპიტელებიც კი გაანადგურეს. 1965 წელს სოფ. კეკაისში მათ განადგურეს XI საუკუნის ეკლესია „კეკაის ჯვარი“.
ახალქალაქში სომხებმა მოსპეს სასაფლაოს XI საუკუნის ქართული ეკლესია და ეკლესია „ფერისცვალება“. ცხადია, ყოველივე ამისთვისაც არავინ დაუსჯიათ.

4. არტილერია ანადგურებს ფრესკებს

(დავით გარეჯის მდგომარეობა)

დიდი ქართველი მეცნიერი დ. ჩუბინაშვილი თავის წიგნში „დავით გარეჯის ქვაბური მონასტრები“ (თბილისი, 1948) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დავით გარეჯის ფრესკების ქართული ხელოვნების ისტორიაში. კერძოდ, იგი წერდა ბერთუბნის შესახებ: „ამრიგად, ბერთუბნის ფერწერის მნიშვნელობა მხოლოდ მის მხატვრულ თვითღირებულებაში რიდი მდგომარეობს, რომლის კოლორიზმი და გამომსახველობითი ძალა განუმეორებელია, არამედ ამ ფრესკების დიდი მნიშვნელობა აქვთ აღმოსავლეთის ხელოვნების როგორც ქრისტიანულის, ისე მუსულმანურის ისტორიისათვისაც, მისი განვითარებისა და დინამიკის შესწავლისას“. (გვ.71)

დიდი მეცნიერის ეს სიტყვებიც რომ არ ყოფილიყო, დღეს ყოველი ცივილიზებული ადამიანისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ შუასაუკუნეობრივი კულტურის ძეგლთა განადგურება არტილერიის ცეცხლით არნახული დანაშაულია, ვანდალიზმისა და ბარბაროსობის მწვერვალი.

საოცარია ის ფაქტი, რომ 1948 წელს, როგორც კი გამოვიდა ჩუბინაშვილის წიგნი, მაშინვე გაიხსნა საარტილერიო პოლიგონი დავით გარეჯაში. ნუთუ დამოხვევაა ეს ყოველივე? ნუ აეჭარბებით, კარგად განვიხილოთ ქვემოთ მოტანილი მასალები და დასკვნები შემდეგ გამოვიტანოთ.

დავით-გარეჯის, განსაკუთრებით ბერთუბნის გამოქვაბულების მდგომარეობა ცხადყოფს, რომ გარდა ჭურვების აფეთქებებით გამოწვეული დეტონაციებისა, ეს გამოქვაბულები დაანგრიეს პირდაპირი დამიზნებით ნატყორცნმა ჭურვებმა. ენახოთ რას წერენ ყოველივე ამის შესახებ ისეთი ოფიციალური პირები, როგორიც არიან საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სეიფის გამგე, პროფ. გ. აბრამიშვილი და კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.

1976 წლის მარტში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარეფიზიო კომისიამ განიხილა დავით გარეჯის მდგომარეობის საკითხი. კომისიაზე ცნობა წარმოადგინა გ. აბრამიშვილმა. აი, მისი სრული ტექსტიც:

„ცნობა დავით გარეჯის მდგომარეობის შესახებ.

დავით გარეჯის მრავალმთის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსებისა და კედლის მხატვრობის მრავალრიცხოვანი ნიმუშის დაცულობა საგრძნობლად გაუარესდა მას აქეთ, რაც ყარაიას ველზე სამხედრო პოლიგონმა დაიწყო მოქმედება.

პოლიგონის ასაფეთქებელი მოედნები უშუალოდ ეკვრიან ბერთუბნის, უდაბნოსა და ნათლისმცემლის მონასტრებს, რომელთა საფასადო მხარე პოლიგონისკენ არიან მიმართული და აფეთქებისაგან გამოწვეული მძლაერი ტალღები დაუბრკოლებლად აღწევენ სამონასტრო კომპლექსების მრავალრიცხოვან ღიადებში. გარდა ამისა, ხშირად ალბათ უნებლიეთ, ეს მონასტრები ყუმბარების სამიზნე ობიექტებიც გამხდარან.[31]

პოლიგონის წინ ჩამწკრივებული სამონასტრო კომპლექსები, რომლებსაც VI საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი, საქართველოს ადრეფეოდალური ხანის

31 მაგალითად, ცნობილია, რომ 1956 წელს პოლკოვნიკმა ანდრეევმა სამიზნე ობიექტად გამოიყენა ბერთუბნის მონასტერი, რაც გამოიკვლია ძეგლთა ინსპექციამ.

კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთ უბრწყინვალეს ძეგლებს წარმოადგენენ. გარეჯის სამხატვრო სკოლაში შექმნილი კედლის მხატვრობის ნიმუშებს, რომელთა მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა კარგა ხანია ცნობილია როგორც ჩვენთან, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, პოლიგონის გამო გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება.

ჭურვების აფეთქებით გამოწვეული ვიბრაციის შედეგად კატასტროფულად დაზიანდა თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ფრესკული პორტრეტები ბერთუბნის მთავარ ეკლესიაში. 1952 წელს, როდესაც პირველად ვნახე ეს მხატვრობა თამარისა და ლაშას პორტრეტები და საერთოდ, ბერთუბნის მოხატულობა, შედარებით კარგად იყო დაცული. პოლიგონის სისტემატურმა მოქმედებამ, დროთა განმავლობაში ძირეულად დაზიანა და დაღუპვის პირას მიიყვანა ეს უნიკალური ფრესკული პორტრეტები და მრავალმხრივ საყურადღებო კომპოზიციები. თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ფრესკული პორტრეტის წელს ქვემოთა ნაწილი მთლიანად ჩამოიშალა და სამუდამოდ დაიღუპა. ამის გამო იყო, რომ სასწრაფოდ ჩამოხსნეს, რადგან მისი მთლიანად დაღუპვა გარდაუვალი იყო. ამჟამად ეს დაზიანებული და ნაკლული ფრესკა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ამავე მიზეზით მთლიანად დაზიანდა ბერთუბნის მთავარი ტაძრის დასავლეთ მონაკვეთში არსებული გრაფიკულ მანერაში შესრულებული კედლის მხატვრობის ნიმუში, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიაში ერთადერთ მაგალითს წარმოადგენს. საგრძნობლად დაზიანდა ბერთუბნის სატრაპეზოს მხატვრობა, კერძოდ, კომპოზიცია „ქორწილი გალილეის კანაში" და განსაკუთრებით, „წმინდა სამება", რომლისგანაც თითქმის აღარაფერი დარჩა.

აფეთქების შედეგად გამოწვეული მძლავრი რხევა განსაკუთრებით საშიშია ბერთუბნის მთავარი ეკლესიისთვის, რომლის ნახევარზე მეტი ჩამონგრეულია და კლდის რამდენიმე მონოლითსღა უჭირავს კლდეში ნაკვეთი ეკლესიის თაღის დარჩენილი ნაწილი. ასევე დიდ საფრთხეს უქმნის აფეთქებანი უდაბნოს მონასტერს, რომლის მთავარი ეკლესია, სატრაპეზო და საერთოდ, ამ მონასტრის მრავალრიცხოვანი ეკლესია-სენაკები საავარიო მდგომარეობაში არიან.

საყურადღებოა, რომ გარეჯის მრავალმთის ის სამონასტრო კომპლექსები, რომლებიც პოლიგონის ზონაში არ იმყოფებიან (ქვაბები, პირუკუღმა მთა, ბერების სერი, თეთრი სენაკები და სხვა) როგორც კლდეში ნაკვეთი მონასტრები, ისე მათი კედლის მხატვრობა გაცილებით უკეთაა დაცული და დაზიანების არაკეთილი საფთხე არ ემუქრება.

დასკვნა ერთადერთია: გარეჯის მრავალმთის „ათორმეტ მონასტერთა დაცვისათვის უპირველესი პირობაა სამხედრო პოლიგონის გადატანა მონასტრებისგან მოშორებით, თუნდაც იმავე ყარაიას ველზე, სადაც მრავალია სრულიად დაუსახლებელი ტერიტორია.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ხელოვნების
მუზეუმის თანამშრომელი პროფ. გ. აბრამიშვილი

თბილისი, 9 მარტი, 1976.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქვე იყო წარმოდგენილი შემდეგი მოხსენება:

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალ. რობაქიძეს

მოხსენებითი ბარათი

1974 წლის ოქტომბრიდან დამნიშნეს დავით გარეჯის მუზეუმის დირექტორად. ჩასვლის დღიდანვე მე დავათვალიერე დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი უბნები: ნათლისმცემელი, წამებული, ჩიჩხითური, უდაბნო, ბერთუბანი. აღნიშნული ადგილები მოფენილი იყო ჭურვის ნამსხვრევებით და ტყვიის ცარიელი ვაზნებით (ეტყობა საპასუხო სროლებს გამოქვაბულებიდან აწარმოებდნენ), რის შედეგაც დაზიანებულია კედლები და და მხატვრობა. 1975 6.VIII. ნასროლი ჭურვის აფეთქებამ გამოიწვია ხანძარი ჩიჩხიტურის, ლავრასა და წამებულის ტერიტორიაზე, რის მოწმეც მე გახლდით. ამის თაობაზე შედგენილია აქტი, რომელზედაც ხელს აწერენ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი უ. ბაქრაძე, ამავე სამმართველოს თანაშრომლები და ძეგლის მცველები. სამწუხაროდ, აღნიშნული შემთხვევა უკანასკნელი როდია. ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ რიგ გამოქვაბულებში ჩამოვარდნილი ყუმბარათა ადგილსამყოფელი. ერთი ნასროლი ყუმბარა, რომელიც არ აფეთქდა, ინახება ჩემთან. წამებულის, ნათლისმცემელის, ჩიჩხითურის, უდაბნოს, ბერთუბნის ტერიტორიებზე გათხრილია საბრძოლო სანგრები.

პერიოდულად სამხედროების მიერ იკრძალება ძეგლის ტერიტორიაზე შესელა, რის გამოც ძეგლის მცველები ვერ აწარმოებენ აუცილებელ სამუშაოებს. როგორც ეს გარემოება ისე სანგრების გათხრა და ჭურვების აფეთქება დავით გარეჯს საგრძნობლად აზიანებს და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ხსენებული ძეგლიდან ახლო მომავალში მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩება.

დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის
დირექტორი ვ. ბაცაცაშვილი
11 მარტი 1976 წელი

სარევიზიო კომისიამ დაადგინა ამ მასალების გადაცემა ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის ო. ჩერქეზიასათვის, რომელმაც დღემდე „გაყინა“ ეს საქმე, ასე რომ დღესაც გაურკვეველია, გადაიტანენ თუ არა სამხედროები პოლიგონს დავით გარეჯის ტერიტორიიდან.

დავით გარეჯის მდგომარეობის შესახებ გაიგზავნა წერილები როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო მთავრობაში, ასევე სსრკ სამხედრო სამინისტროში.

მე, ამ სტრიქონების ავტორმა, 1975 წ. 13 სექტემბერს, საპროტესტო წერილი გავუგზავნე სსრკ სამხედრო მინისტრს ა. გრეჩკოს და ამიერკავკასიის ჯარების

მთავარსარდალს პ. მელნიკოვს, როდესაც 1975 წ. 5 სექტემბერს სროლის შედეგად ატეხლმა ხანძრმა კინაღამ მოსპო ჩიჩხითური, ლაერა და ნათლისმცემელი (იხ. ქვემოთ ო. თაქთაქიშვილის წერილი ამ ხანძრის შესახებ). ამ წერილში მოვითხოვე პოლოგონის საჩქაროდ გადატანა. 1975 წ. 21 ნოემბერს მიპასუხა ამიერკავკასიის შტაბის გენერალმა დ. შერუდნევმა, თქვენი წერილი განვიხილეთ და კულტურის სამინისტროს მიაკითხეთო. მე დაწერე ახალი წერილი ბრეჟნევის სახელზე, სადაც ვანდალებს ვუწოდებდი დავით-გარეჯის გამანადგურებლებს. 1976 წლის 14 თებერვალს გენერალმა შერუდნევმა კვლავ მიპასუხა წერილით, რომელშიც წერდა: „სამწუხაროდ დავით გარეჯის ნანგრევები პოლიგონის ცენტრშია, ხოლო პოლიგონს ვერ გადაეტანთო". მე კვლავ მივწერე წერილი ამიერკავკასიის სარდლობას, სადაც ვეკითხებოდი მათ: „რა მიზეზით უწოდებთ თქვენ დავით გარეჯას ნანგრევებს, მაშინ როდესაც 1972 წლის დიდი საბჭოთა ენციკლოპედია მას უწოდებს ქვაბურ მონასტერთა კომპლექსს? იქნებ თქვენი სროლების შედეგად გადაიქცა იგი ნანგრევებად? აღიარებთ თუ არა თქვენ დავით-გარეჯის მუზეუმს სახელმწიფო დაწესებულებად? როგორ შეეთავსოთ მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირება თქვენი პოლიგონის რეჟიმთან? უკანასკნელ წერილზე პასუხი აღარ მიმიღია.

მოგვიანებით გრეჩკოს და შემდეგ უსტინოვს მისწერეს პროფ. ო. ფირალიშვილმა, პროფ. გ. ციციშვილმა, ლიტერატორმა ი. ბოგომოლოვმა, სადაც უხსნიდნენ შეტაბას ძეგლის მნიშვნელობას და მოითხოვდნენ პოლიგონის გადატანას. მათ უპასუხა სსრკ სამხედრო სამინისტროდან გენერალ-პოლკოვნიკმა მერომსკიმ დამაშშვიდებელი წერილით, ნუ გეშინიათ, ჩვენ ზომებს მივიღებთ, რომ არ დაზიანდესო ქართული არქიტექტურის ძეგლები (ეს მოხდა 1976 წ. 24 აგვისტოს). საქმით კი საპირისპირო მოხდა. 23 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე არნახული სროლა და გრგვინვა იყო დავით გარეჯაში, დაზიანდა კიდევ ბევრი ფრესკა.

დავით-გარეჯაში 1975 სექტემბერში სროლის შედეგად მომხდარი ხანძრის შესახებ ცენტრალურ კომიტეტს და ამიერკავკასიის სარდალს წერილი მისწერა საქართველოს კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა. აი ეს წერილიც:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს
ამხ. ვ. მ. სირაძეს
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს
გენერალ-პოლკოვნიკ
პ. ვ. მელნიკოვს

საქართველოს ს.ს.რ. კულტურის სამინისტროში შემოსული ცნობების საფუძველზე კომისიამ, რომელიც შედგებოდა სახვითი ხელოვნების სამმართველოს და კულტურის ძეგლთა დაცვის მუშაკებისაგან „დავით-გარეჯის" მუზეუმისა და გარდაბნის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებისაგან, შეამოწმა ფაქტი, უკვე მომხდარი ხანძრისა კულტურის ძეგლის „დავით-გარეჯის" ტერიტორიაზე, რის შედეგადაც ვაცხადებთ შემდეგს:

მიმდინარე წლის 5 სექტემბერს სამხედრო ნაწილების მეცადინეობის დროს, სასწავლო ჭურვების აფეთქების შედეგად კულტურის ძეგლს „დავით-გარეჯის“ ტერიტორიაზე ძეგლთა ერთ-ერთ „ჩიჩხითურად“ სახელდებულ კომპლექსის დასავლეთით, გაჩნდა ხანძარი, რომელიც წაეკიდა გამხმარ ბალახს და გაერცელდა ძეგლის მიმართულებით, საღამოს, დაახლოებით 19-20 საათებში, იმავე მიზეზით გაჩნდა ხანძარი იმავე ძეგლის ჩრდილო აღმოსავლეთ მხარეში და ძეგლი სამივე მხრიდან ცეცხლის რკალში აღმოჩნდა (ძეგლის შეოთხე მხარე წარმოადგენს 30-მეტრიან მიუდგომელ, შეუღებავ კლდეს). ცეცხლის დანახვისთანავე ძეგლის მცველი და საძოვართა სარწყავი სამმართველოს დარაჯი შეუდგნენ მის ჩაქრობას. მათ დასახმარებლად მოვიდა აგრეთვე საგარეჯოს რაიონის უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. მათ გადაჭრეს ხაზები ცეცხლის გაერცელებისა და საერთო ძალებით ჩააბშეს ხანძარი.

საქმე კეთილად დაგვირგვინდა მხოლოდ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ოპერატიული დახმარების მეოხებით, რომელთა წევრებმა სიბნელის გამო ადვილად შეამჩნიეს ცეცხლი და ამიტომაც შორი მანძილიდან დროზე მოასწრეს მოსვლა. სხვა შემთხვევაში ხანძარს შეეძლო გაერცელება მიმდებარე „ლავრის“ კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელიც ხიან-ბუჩქიანია; ამიტომ მეტადრე გაღვივებულ ხანძარს შეეძლო დაეღუპა ძველი ქართული არქიტექტურის უნიკალური ძეგლები, კედლის მხატვრობითურთ. ამ ძეგლთა მშენებლობის დაწყება თარიღდება VI საუკუნით და როგორც მაღალგანვითარებული სახვითი ხელოვნებისა და იმდროინდელი სააღმშენებლო ტექნიკის ნიმუშებს, მით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი ხალხის ისტორიაში.

იმავე დღეს, 1975 წლის 5 სექტემბერს, იმავე მიზეზით გაჩნდა ხანძარი კულტურის ძეგლთა კიდევ ერთი კომპლექსის „ნათლისმცემლის“ მახლობლად, რომელიც კვლავ ზემოხსენებული საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ჩააქრო. ამგვარად „დავით-გარეჯის“ კომპლექსთა ტერიტორიებზე არსებული სამხედრო პოლიგონის სამუშაო რეჟიმი არა თუ ხელს უშლის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას და კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციას, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის მას, რაც ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებას ძეგლთა დაცვის შესახებ.

ყოველივე ეს გამოწვეულია ერთ ტერიტორიაზე ორი ისეთი საპირისპირო პროცესის შეუთავსებლობით, როგორიცაა ძეგლთა დაცვა და სამხედრო პოლიგონის ექსპლოატაცია ამ პროცესთა სათანადო რეგლამენტაციის გარეშე.

ამასთან ერთად მდგომარეობა მომავალში კიდევ უფრო გაუარესდება, ვინაიდან კულტურის სამინისტრო „დავით-გარეჯის“ ძეგლთა მოთხოვნილების დონეზე დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით ითვალისწინებს: ამასწინათ შექმნილი მუზეუმის ძეგლთა მცველების ოდენობას, ტურისტთა, მათ შორის უცხოელთა და სხვა ორგანიზებულ დამთვალიერებელთა მიღების გაფართოებას, სამუშაოების გაზრდას რემონტის რესტაურაციის, კულტურის ძეგლთა გამაგრების და სხვა ღონისძიებათა თვალსაზრისით.

ამ ღონისძიებათა განხორციელება, როგორც გარდასული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, არ მოხერხდება ამ ტერიტორიაზე ხალხის დაუსახლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა მანდ უნდა დასახლდნენ. მუზეუმის თანამშრომლები და ძეგლთა მცველები, უნდა მოხდეს მათი უზრუნველყოფა საყოფაცხოვრებო პირობებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე იმ მიზნით, რათა კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანოებმა შესძლონ დადგენილებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ვთხოვთ შემდეგს:

— სამხედრო პოლიგონზე მომქმედი ნაწილები დაავალდებულონ განსაზღვრონ პოლიგონის ტერიტორია და დაჰყონ იგი სათანადო წესით.

— ტერიტორიის დადგენისას პოლიგონი მაქსიმალურად მოაშორონ კულტურის ძეგლებს.

— დაიწესონ პოლიგონზე მუშაობის განსაზღვრული რეჟიმი ძეგლთა დაცვის ღონისძიებათა გატარების გათვალისწინებით როგორიცაა სამუშაო ძალისა და მასალის ტრანსპორტირება, ორგანიზებული დამთვალიერებლების მიღება, სარესტავრაციო და ძეგლთა გამაგრების სამუშაოთა წარმოება და ა.შ.

— გათვალისწინებულ იქნას პერსონალის დასახლების აუცილებლობა ძეგლთა მახლობლად საკარმიდამო ნაკვეთებითა და სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობებით.

— მომავალში აღარ იქნას დაშვებული 1975 წლის 5 სექტემბრის მსგავსი მოქმედებანი, რომელთაც ძალუძთ კულტურის ძეგლების სრული დაღუპვა.

ურთიერთშეთანხმებული მუშაობის ამგვარი წესის გარეშე საქართველოს ს.ს.რ. კულტურის სამინისტროს საშუალება არ ექნება „დავით-გარეჯას“, ამ საკავშირო მნიშვნელობის კულტურის ძეგლის დაცვისა, რემონტისა, რესტავრაციისა და პოპულარიზაციისა.

საქ. ს.ს.რ. კულტურის მინისტრი: ო. თაქთაქიშვილი

<u>ჩვენი კომენტარი</u>: სიმპტომატურია, რომ ხანძრის ჩაქრობაში არ მონაწილეობდა არცერთი სამხედრო პირი, მაშინ როდესაც ჯერაც პოლიგონის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი არა თუ შეშფოთებულნი, არამედ კმაყოფილნიც კი იყვნენ ამ ხანძრის გაჩენით, საფიქრალია აგრეთვე, რომ მათ ხელმძღვანელობას აქვს საიდუმლო ინსტრუქცია ამ ძეგლის სრული განადგურებისა, ვინაიდან იგი ხელს უშლის პოლიგონის მოქმედებას!

1976 წლის 6 აგვისტოს დავით გარეჯის მუზეუმის მახლობლად ექვსი ჭურვი აიფეთქეს სამხედროებმა. ამის შესახებ მუზეუმის დირექტორმა ვ. ბაცაცაშვილმა უჩივა სამხედრებს სსრკ გენერალურ პროკურორთან ა. რუდენკოსთან, რომელმაც წერილი გადმოაგზავნა ამიერკავკასიის შტაბში, სამხედრო პროკურატურაში. ამ საქმეზე სამხედრო პროკურატურაში ვიყავით მე და ვ. ბაცაცაშვილი. ოლქის პროკურორმა გენერალმა არმავსკიმ და სხვებმა შემდეგნაირად აგვიხსნეს საქმის ვითარება: „რამდენადაც ბოლიგონი საქართველოს ტერიტორიაზეა, თქვენი რესპუბლიკის მთავრობას ძალუძს გააუქმოს იგი, მაგრამ თქვენს შევარდნაძესა და პატარიძეს არ სური ურთიერთობის გაფუჭება სარდალ მელნიკოვთან, რომელიც ალბათ დიდად განრისხდება ამ გაუქმებით“.

მე მენიშნა ეს ამბავი, რადგან ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ გრეჩკოს საქართველოში ჩამოსვლისას 1976 წ. თებერვალში, შევარდნაძეს შეეძლო მასთან ერთოვა დავით-გარეჯის შესახებ, მაგრამ არ „გაიფუჭა“ მასთან ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ზოგისათვის პირადი კარიერა ხომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული კულტურის განძი.

როგორც კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა მითხრა, კიდევ ერთი გარემოება აბრკოლებს პოლიგონის გადატანის საქმეს: აზერბაიჯანის მთავრობას არ სურს პოლიგონს მისცეს თავისი სამოვრები, ვინაიდან „ჩობანები“ დაზარალდებიან ამით. რას იზამთ, თურმე „ჩობანების“ კაპრიზებისათვის ანგარიშის გაწევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შუასაუკუნეობრივი ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის ხსნა. რას იზამთ, ასეთია ჩვენი საბჭოეთი!

5. ძეგლები და ახალგაზრდობა

საბჭოთა საქართველოს ოფიციალური პირები პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ისინი კულტურის ძეგლთა საუკეთესო მეგობრები არიან, სინამდვილეში კი, ისინი ყოველნაირად აფერხებენ ახალგაზრდობის მონაწილეობას ძეგლთა დაცვისა და შეკეთების საქმეში.

როგორც ჩანს, საქართველოში, ისევე როგორც ლიტვაში, ახალგაზრდობის ინტერესი კულტურის ძეგლთა მიმართ „საშიშად“ ითვლება, ვინაიდან მას შეუძლია „ნაციონალიზმის გაღვიძება“, „მავნე ტრადიციების და ჩვევებისადმი“ ინტერესის გამოწვევა. მართალია, ოფიციალურად ამაზე არავინ წერს და არც საუბრობს, მაგრამ ეს ცხადი ხდება, როდესაც ვეცნობით მაგალითად, ისეთ დოკუმენტს, როგორიცაა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წერილი“, რომელიც დაიწერა 1975 წელს და დაიბეჭდა ყველა ინსტანციაში და რომლის ტექსტსაც აქ ვაქვეყნებთ მოლიანად (ეს წერილი გადმომცა ფილოლოგიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თამაზ ტყეშალაძემ):

„წელი ისე არ გავა, რომ რომელიმე ბეჭდვითი სიტყვის ორგანომ, რადიომ, ტელევიზიამ რამდენჯერმე არ ატეხოს განგაში ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის მდგომარეობაზე და კერძოდ, ჩვენს ისტორიასთან დაკავშირებული ძეგლების საერთო ვითარებაზე. ესეც რომ არ იყოს, ყველა ოდნავ ფხიზელი გონების ქართველიც კი მიხვდება ნებისმიერი ძეგლის ხილვისას (ჩვენ ხომ გვიყვარს ხშირად მონახულება მსგავსი ადგილებისა) მის სავალალო მდგომარეობას. სურათი ყველგან ერთია: ინგრევა უნიკალური ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი. ნანგრევები და ძეგლის შემოგარენი ეკალ-ბარდითაა დაფარული (აკიღოთ თუნდაც გრემი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ მოვლილ ძეგლად ითვლება და ტურისტულ მარშრუტებშია შეტანილი მისი შემოგარენი, ბაზილიკები და სხვადასხვა სათავსოები ძეძეთაა დაფარული), იქვე ძეგლის გვერდით დადგმულია ბეტონის ან მუხის უზარმაზარი მუდმივი მაგიდა, სადაც გულს იოხებენ მავანნი და „პატრიოტული გრძნობებით“ აღვსილნი ბარბაცით სტოვებენ ძეგლის ტერიტორიას, აღვსილს ნამუსრევით.

დღეს ჩვენმა მთავრობამ ყოველ ერს დიდი შესაძლებლობა მისცა იმისა, რომ

შეინარჩუნონ და მოუარონ მსგავს ადგილებს, რაზეც ვსაუბრობთ. საბჭოთა კავშირში ყველანი ერთი კანონითა და შესაძლებლობებით ვართ, მაგრამ როგორღა მოხდა, რომ ყველამ უკეთ შესძლო თავისი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი უკეთ შეინახა და მოუარა? ეს კითხვა პასუხს მოელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი გულისტკივილითაა ნათქვამი და ალბათ იგრძნობა კიდეც. ჩვენ გვსურს ერთი პატარა ისტორია გიამბოთ.

გასულ წელს ფილოლოგიის ფაკ-ის 10 სტუდენტი გაერთიანდით და ალკა კომიტეტის ოთახში მოვიწვიეთ კრება, მივიდეთ გადაწყვეტილება და მეორე დღესვე მოვახსენეთ თსუ-ს ალკა და პარტიულ კომიტეტს. სახელდობრ: გვსურდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ზამთრის სესიების შემდეგ გვემუშავა რომელიმე ძეგლზე რაგინდ რაგვარ სამუშაოზე. ვფიქრობდით, რომ ჩვენი ამგვარი ენთუზიაზმი გადამდები იქნებოდა სხვებისთვისაც და ბევრი მოგვყვებოდა თუ კულტურის სამინისტრო და შესაბამისი დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ მსგავს სტუდენტურ რაზმს ისეთივე ენთუზიასტ სპეციალისტებით როგორიც სტუდენტებია და ობიექტს საშენი მასალით, სამუშაო იარაღებით თუ სხვ. შემდეგ ჩვენ გვსურდა ველიდან მობრუნებისას პრესის საშუალებით მიგვემართა (დირექტორებს და სწორი ფორმის მოცემას ვგულისხმობდით კულტურის სამინისტროდან, ალკკ ც/კომიტეტიდან და ა.შ.) ყველა სტუდენტ თუ მუშა ახალგაზრდობისათვის მოგვყოლოდნენ ამ მეტად საჭირო და პატრიოტულ საქმეში. დიდ მხარდაჭერას ველოდით პიონერული ორგანიზაციებიდან (ეს მეტად მნიშვნელოვანი რამ იქნებოდა). სასურველად მიგვაჩნდა ამ საქმესთან დაკავშირებით რაიმე ცენტრის შექმნა, რომელიც კონტროლს და დახმარებას გაუწევდა ამ წამოწყებას. გვინდოდა საშეფოდ დარიგებოდა ყველა ძეგლი საქართველოს ტერიტორიისა მახლობელ სკოლებს, ტექნიკუმებს, მსხვილ საწარმოებს, უმაღლეს სასწავლებლებს, თვითეულ ფაკულტეტს (ჩვენ ფაკულტეტს გვინდოდა შიო მღვიმეს შეფები ვყოფილიყავით და მაგალითი გვეჩვენებინა სხვათათვის ნამდვილი შეფობისა, თავდადებისა ამ საქმეში). იმ წელიწადს არ მოხერხდა ჩვენი ველზე გასვლა, მიუხედავად იმისა, რომ არც პარტიპიერო, არც რექტორატი, არც ძეგლთა დაცვის სამმართველო წინააღმდეგი არ იყო. უბრალოდ გეტყვით — თავი ვერ მოვბა საქმეს. აი წელს, იმ შარშანდელ 20 ენთუზიასტს 10 კიდევ დაემატა და ზაფხულში შორეულ ყაზახეთში გაემგზავრა 1500 სტუდენტთან ერთად. რაზმმა უზარმაზარი ფერმის კომპლექსი ააგო და ერთ-ერთი გამარჯვებული, საპატიო დროშით და ქებით დაბრუნდა უნივერსიტეტში. რაზმის შეიდმა წევრმა მაღალკვალიფიციურად შეითვისა კირითხუროს საპატიო პროფესია. ეს ჩვენ გვახარებდა, რადგან საქართველოში მიბრუნებულებს კვლავ გვსურდა ძეგლების საპატრონოდ გასვლა და ეს სპეციალობა ბევრად დაგვეხმარებოდა აღდგენა-რესტავრაციის საქმეში.

1974 წლის თითქმის სექტემბრიდან დავიწყეთ ზრუნვა იმისათვის, რომ 1975 წ. ზამთრის სესიების შემდეგ არდადაგები ამ კეთილშობილური საქმის კეთებით გაგვეელია (სწორედ ზამთრის, იმიტომ, რომ ზაფხულის არდადაგები არასდროს არ გაგვიცდენია, გვიშრომია გუდავაში, ჟინვალში თუ ჩრდ. ყაზახეთში).

ძალზე რომ არ გაგვიგრძელდეს, გეტყვით: ვერაფერს ვერ გავხდით. უნივერ-

სიტტის ხსენებულ ორგანოებს რომ განეუცხადეთ ჩვენი სურვილი, მაგ ძალზე მოიწონეს (როგორც წინათ). ეფიქრობდით, რომ მოლაპარაკებას აწარმოებენ შესაბამის დაწესებულებებთან. ბოლოს სიტუაციამ და ვითარებამ [illegible] ც/კომიტეტში მიგვიყვანა. იქაც ძალზე სასიამოვნოდ მიიჩნიეს ეს წარმოწყება, მაგრამ უარი გვითხრეს. მიზეზი: 1. ვაი თუ ვინმეს რამე მოგვივიდეთ (!). 2. თქვენს დასაძინებელ ადგილს პოვნა უნდა. 3. გჭირდებათ ექიმი. 4. გამოცდილება არა გაქვთ (აქ რა იგულისხმება? ადრე ჩამოთვლილს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ვიფიქროთ, რომ სურვილი გვაქვს, მონდომება, საქმის სიყვარული, განა ეს ბევრს არ ნიშნავს?). 5. უთუოდ გჭირდებათ სპეციალისტი, ძნელია ვინმეს მონახვა (?) 6. ობიექტი უნდა გამოგიყოთ კულტურის სამინისტრომ, რასაც ალბათ არ მოგცემთ (რატომ? იმიტომ რომ იფიქრებენ უფრო გაფუჭებენო) და ბოლოს ჩვენ თანახმანი არა ვართ ამ დროს ასეთი ამბის მოწყობისა. — ასე დამთავრდა ჩვენი საუბარი საქ. ალკკ ც/კომიტეტში.

ჩვენი სურვილები და მიზნები შეიძლება მიამიტური და არამყარია, რომელიც დაჭეშმარიტებას და გამტკიცებას ელის ჩვენი ძვირფასი მეცნიერებისგან, ჩვენს სახელოვან თანამემამულეებიდან. გვსურს გამოგვეპასუხოთ ამ წერილზე, გვითხრათ თქვენი აზრი. იქნება მართლაც არ შეიძლებოდა, რაც ჩვენ ვისურვეთ, იქნება მართლა „გასაფუჭებლად“ წასელა ერქვა ჩვენს ძეგლებზე სამუშაოდ გამგზავრებას, იქნებ არ არის საკალაო მდგომარეობაში ჩვენი ძეგლები და ეს ჩვენ გვეჩვენება — გამოგვეპასუხეთ და გწამდეთ, რომ ჩვენს გარდა ათასობით კომკავშირელია, ახალგაზრდაა ამგვარ საუბარს რომ ელოდება თქვენგან, ჩვენი მასწავლებლებისგან. ნუ გავუწევთ ერთმანეთს ხათრს, ვიყოთ პირდაპირები, უშუალონი. ბევრი სიკეთე მოაქვს ამგვარ მიდგომას, როგორც უკვე ვიგრძენით.

თსუ ფილოლოგიის ფაკ-ის სტუდენტები

1975, თებერვალი.

ამრიგად, მოცემული წერილიდან ირკვევა, სტუდენტებს სისტემატურად ატყუებდნენ ოფიციალური პირები, რომელთაც არ სურდათ შეეტყობინებინათ მათთვის, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში (განსაკუთრებით ოსტატურად ატყუებდნენ მათ უნივერსიტეტის პარტკომი რისმაგ გორდეზიანი და კომკავშირის „ცეკას“ მდივანი ჟ. შარტავა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ოფიციალური პირნი ახორციელებენ „ცენტრიდან“, ე. ი. მოსკოვიდან მომდინარე ფარულ ინსტრუქციებს, რომელთა მიხედვითაც ახალგაზრდობა არ უნდა მონაწილეობდეს ძეგლთა მოვლაში, ვინაიდან ეს გამოიწვევს მასში „ნაციონალიზმს“, ხოლო კულტურის ძეგლთა უმრავლესობა სჯობია დაიღუპოს რემონტისა და დაცვის გარეშე, რათა აღარ შეუშალოს ხელი ახალგაზრდობის „ინტერნაციონალისტურ“ და „ათეისტურ“ აღზრდას.

ამასვე გვაფიქრებინებს ამას წინათ მომხდარი შემდეგი ფაქტი. 1976 წლის 11 მარტს თბილისის 53-ე სკოლის დირექტორმა ნ. წიქორიძემ განცხადებით მიმართა კალინინის რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, სადაც ითხოვდა ნებართვას მოწაფეების წაყვანისას 5 დღიან ექსკურსიაზე მარშრუტით: თბილი-

სი-თელავი-იყალთო-ალაევრდი-ყვარელი-თბილისი 21-დან 26 მარტამდე (ე. ი. არდადეგებზე). ეს რაიონები, როგორც ვიცით, მდიდარია კულტურის ძეგლებით. რაიკომის მეორე მდივანმა ხატიაშვილმა არ დართო ნება მოწაფეებს ექსკურსიისა იმ მოტივით, რომ ისინი „გაცივდებოდნენ“ გზაში (ასეთ მზრუნველობას არავინ იჩენს ბოსწაკლეებზე, როცა მათ აგზავნიან ჩაის საკრეფად ან სხვა რამ სამუშაოზე. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ცხებლის ხიდში ბავშვებს მოზრდილების ოდენა ნორმა აქვთ ჩაის კრეფისა). დასკვნა ერთია: მოწაფეები, ისევე როგორც სტუდენტები, უნდა მოვარიდოთ კულტურის ძეგლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ წელს დავწერე ერთი წერილი ძეგლების მოვლაში ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ, რომელიც არცერთმა რედაქციამ არ მიიღო. აქ მოვიყვან ფინალურ ნაწყვეტს ამ წერილიდან, როგორც მოწოდებას ჩვენი ახალგაზრდობისადმი.

ძვირფასო ახალგაზრდებო, მოაწყვეთ დამოუკიდებელი ექსკურსიები ძეგლებზე სკოლისა და სხვა დაწესებულებების თანხმობის გარეშე.

ახალგაზრდობის ჩაბმა ძეგლთა დაცვის საქმეში დიდად საშურია.

მოზარდთა და სტუდენტთა ექსკურსიებმა ძეგლის დათვალიერებისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გაამახვილონ ძეგლის მდგომარეობაზე, ძეგლის ტერიტორიის სისუფთავეზე, დაუკვირდნენ ყოველ დეტალს. სასურველი იქნება მოახდინონ ძეგლის ფოტოფიქსაცია, აგრეთვე აღწერონ დეტალურად ძეგლის მდგომარეობა და ჩაიწერონ სპეციალურ რვეულში. განსაკუთრებით უნდა დაუკვირდნენ, ჩადის თუ არა წვიმის წყალი სახურავში. სასურველია შეისწავლონ წარწერები, რომელნიც ზოგი შეუგნებელი ადამიანის წყალობით მრავლადაა ჩვენს ძეგლებზე. ზოგჯერ ასეთი წარწერების „ავტორები“ საკმაოდ სრულ მონაცემებს სტოვებენ თავიანთ შესახებ: გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადების წელს, საცხოვრებელ ადგილს და სხვ. უნდა აღენუსხოთ ეს ყველაფერი და გადაეცეთ ძეგლთა დაცვის ორგანოებს, ტელევიზიას, პრესსას, რათა ვამხილოთ თანამედროვე ბარბაროსები. კარგი იქნება აგრეთვე, თუ უქმე დღეებს დავამთხვევთ ძეგლებზე ჩვენს სტუმრობას. ამ დროს მრავალი დამთვალიერებელი იყრის აქ თავს. ჩვენ უნდა ვადევნოთ ყველას თვალი, რომ არ გააკეთონ წარწერა, არ დაზიანონ ძეგლი და ა.შ. საჭირო შემთხვევაში ავუხსნათ მათ, მივუთითოთ, რომ ძეგლის დზიანება, წარწერის გაკეთება, დანაგვიანება — ბარბაროსობაა, უკულტურობისა და უზნეობის მწვერვალი. მოვაწყოთ ხშირად ასეთი რეიდები. ყველანაირი მასალები ძეგლთა მდგომარეობის შესახებ, ყველა ჩვენი დაკვირვებები, სურვილები სისტემატურად გადაეცეთ ხოლმე კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველოს ინსპექციას. კარგი იქნება აგრეთვე, თუ მონაწილეობას მეიღებთ ძეგლთა დასუფთავებაში. ამისათვის საჭიროა მცველთან კონტაქტის დამყარება, რომელიც უთუოდ მოგვამარაგებს საჭირო ხელსაწყოთი. გვახსოვდეს აგრეთვე, რომ კატეგორიულად უნდა აღვკვეთოთ ძეგლის ტერიტორიაზე საუზმე ან სადილი, კოცონის დანთება, ბურთის თამაში. ამისათვის არსებობს ძეგლის მახლობლად მდებარე ეელ-მინდვრები, ჭალები, ხეობები და სხვა. ამ მხრივაც უნდა მიეცეთ კეთილი მაგალითი ძეგლის სხვა დამთვალიერებლებს.

ძეირფასო ახალგაზრდებო! როდესაც ტაძარს ვათვალიერებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე არქიტექტურული ხელოვნების ძეგლი. იგი საკრალური ადგილია და ჩვენც საკრალური განწყობილებით უნდა განვიმსჭვალოთ მისი ხილვისას. უნდა გვახსოვდეს, რომ ძეგლის ნამდვილი გულშემტკივარი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, ვისთვისაც ეს ძეგლი მოწიწებისა და თაყვანისცემის ობიექტია. ტაძარში შესვლისას უკიდურესი სიდინჯე და სერიოზულობა გვმართებს, უნდა განვდევნოთ ჩვენგან ყოველგვარი ზერელე და შემთხვევითი აზრები. არ უნდა დავუშვათ კამათი, ყვირილი, უბრალო გახუმრებაც კი ურთიერთში, თუ გვსურს შევიგრძნოთ ეს დიდებული ატმოსფერო, რომელიც ტაძარში სუფევს. ჩვენ უნდა ვისუნთქოთ ამ ატმოსფეროთი, ვისწავლოთ ღუმილი ტაძართან ერთად, წუთით თავად ვიქცეთ ტაძრად, რათა ნათელი გახდეს ჩვენთვის მისი მაღალი დანიშნულება, რომელიც მას განასხვავებს ყველა სხვა ჩვეულებრივი შენობისაგან. დაე ნუ იქნება ტაძარი ჩვენთვის მხოლოდ წარსული კულტურის ძეგლი, იგი ხომ აწმყოს თანამონაწილეა, იგი დღესაც განაგრძობს ჩვენს დამოძღვრას, ჩვენს სულიერად გამდიდრებას და აღზევებას. იგი გზას გვინათებს მომავლის იდეალისაკენ. ტაძარი ჩვენი მარადიული თანამედროვეა. კაცთა ხელით აღშენებული, იგი თავადაა ჩვენი სულის აღმზრდელი და აღმშენებელი, იგი განაგრძობს შესაქმეს ჩვენში, აი, რად უნდა გვიყვარდეს იგი!

ELIBRARY.GE

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ კიდევ ერთხელ დავასკვნით, რომ ქართული კუტლურის ძეგლთა სავალალო მდგომარეობა მხოლოდ ცალკეულ თანამდებობის პირთა დაუდევრობისა და კორუპციის შედეგი როდი გახლავთ, არამედ ეს არის მთავრობის შეგნებული პოლიტიკა საერთოდ ქრისტიანული რელიგიისა და კერძოდ, ქართული ქრისტიანული კულტურის წინააღმდეგ მიმართული. ეკლესიებში სამეძაო სახლებისა და საქეიფო ადგილების მოწყობა კარგი მეთოდია ახალგაზრდობის ათეისტური „აღზრდისა". დიდი რაოდენობით კულტურის ძეგლების გადაქცევა საწყობებად, ბოსლებად, საღორეებად, წისქვილებად ხელს უწყობს „რელიგიური გადმონაშთების" აღმოფხვრას მოსახლეობაში. „ჰეროსტრატეთა" მიერ ძეგლთა განადგურება, აფეთქება, ნგრევა, ფრესკების დაზიანება, როგორც ვნახეთ, დაუსჯელი რჩება. ეს ანლუნგებს ხალხის ინტერესს და აკრობს მოწიწებას ერის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებათა მიმართ, რაც ხელს უწყობს „ძახების ინტერნაციონალურ აღზრდას", „ნაციონალიზმის დაძლევას" და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში გააფთრებით ებრძვიან კორრუპციას, ძეგლთა დაცვის სისტემაში არხეინად გრძნობენ თავს ყოველი ჯურის მექრთამენი და საქმოსნები, რომელნიც შეგნებულად აფერხებენ ძეგლთა დაცვას, რემონტს, აღრიცხვას, პასპორტიზაციას, პოპულარიზაციას და სხვა. მათ არაგინ ებრძვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ხელისუფლებას სურს თავისთავად განადგურდეს საქართველოს ძველი კულტურის

ძეგლთა უმრავლესობა ურემონტობით და უპატრონობით. სჩანს, „კომუნიზმში“ არ უნდა იყოს ადგილი მათთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარცვალი ღვივდებოდა“...

მართალია, ჩვენ ბრალს გვდებნენ ცილისწამებაში, ანტისაბჭოთა ქმედებაში, დაგვაპატიმრეს, მაგრამ სიმართლისათვის ბრძოლა საბჭოთა იმპერიასთან მძიმე იყო. საზოგადოება ჩვენს პუბლიკაციებს ხელით იწერდა და ასე ავრცელებდა. განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია სტატიამ ძესხეთზე, დავით გარეჯზე, კულტურის ძეგლებზე, კულტურის სამინისტროზე, რომელიც მექრთამეობასა და ბოროტებას თესავდა.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ჩვენი არალეგალური ჟურნალებიდან: „იღუპება ანტიური ქალაქი უფლისციხე. ცოტა ხნის წინ დაიწყო ძეგლის გასამაგრებელი სამუშაოები. შორიახლოს მიწისქვეშა აეროდრომი მდებარეობს, თვითმფრინავების აფრენისას მიწისქვეშა ქანების რყევა იწვევს მღვიმეების ჩამოშლას.

სასწაულებრივად გადარჩა გელათის მონასტერი (XIIს.), ასევე ყინწვისის მონასტერი (XIIს.). გელათის მონასტერს ემუქრებოდა ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე თეთრი ქვის მომპოვებელი კარიერი, რომელსაც ამონიტით აფეთქებდნენ. მოზაიკას ანადგურებდა, ბზარების გაჩენა უნიკალური კომპლექსის არსებობას საფრთხეს უქმნიდა.

ქართველი ინტელიგენციის აქტიურმა პროტესტებმა კარიერი გააუქმებინეს. ყინწვისის მონასტრის სახურავი ისე დაზიანდა, რომ გადახურვაზე

არავინ ზრუნავდა.

ძეგლთა დაცვის სარესტავრაციო სახელოსნოს უფროსი (კ-ს ბუფეტის ყოფილი გამყიდველი... (სამწუხაროდ, გადარჩა ტექსტის მცირე ნაწილი. რედ.)

„არტილერია ანადგურებს ფრესკებს“

ა. ზვიად გამსახურდიას სტატია, თვითგამოცემა (5 დეკემბერი 1975წ. თვითგამოცემა) დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით.

ბ) 67 Письмо Звиада Гамсахурдиа Министру внутренних дел СССР от 7 января 1976 года. Автор пишет в отношении охраны памятника Давид Гареджа.

«Далее утверждается, что Советская власть принесла в Грузию разрушения памятников национальной культуры, в часности, Давидгареджского монастыря.

... «Какое дело было грузинским большевикам до каких-то Ках-Саингиловских христиан и церквей, когда они сами первым делом начали грабить и взрывать грузинские церкви!» (стр. 380)

• სამწუხაროდ, დავით გარეჯის მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ სამონასტრო კომპლექსს ბრძოლის 30 წლისთავზე კვლავ პრობლემები შეექმნა. 2006 წლის 12 ოქტომბერს გაურკვეველი მიზეზით მონასტრის ტერიტორიის დაიკავეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა. როგორც შემდგომში გაირკვა, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა პრეტენზიას აცხადებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელსაც თავად „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში" დაბეჭდილი მასალაც სიმართლეს ვერ უარყოფს (იხ. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია"; ტ. №13; 1952 წლის მე-2 გამოცემა; სახელმწიფო სამეცნიერო გამომცემლობა ქ. მოსკოვი; ჟდანოვის სახელობის პირველი საჩვენებელი გამოცემა).

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საფრთხის წინაშეა. მის სანაცვლოდ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა მოითხოვს საქართველოს კუთვნილი ტერიტორიიდან საძოვრების გარკვეულ ფართობს. აზერბაიჯანის ხელმძღვანელებს შევახსენებთ ისტორიულ ფაქტს: „1921 წლიდან — 1936 წლის ჩათვლით, მხოლოდ საბჭოთა ნაწილში საქართველოს მიავრობამ გამოუცდელობით თუ ვიღაცის კარნახით გაასხვისა 6.105 კმ^2 ფართობის მქონე ქართული მიწა და აქედან სომხეთს დაუთმო 2.478 კმ^2 ტერიტორია, ხოლო აზერბაიჯანელებს კი 3.627 კმ^2 ტერიტორია"*

* ეს ინფორმაცია გათვლილია ჩვენს მიერ 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე წარდგენილი საზღვრების აღწერის მიხედვით (ჯანსუღ კეკელია „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები" II გამოცემა; გამომცემლობა ინტელექტი; თბილისი 2006).

არსებულ ფაქტთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს მასშტაბით დაწყებულია საპროტესტო ხელმოწერები (რედ. მ. ა.).

Радио "Свобода"
7. 07. 1976 г.
"Артиллерия уничтожает фрески"
(письмо З. Гамсахурдиа)

На территории уникального комплекса монастырей Давид Гареджи расположен артиллерийский полигон Закавказского Военного Округа. Большая Советская Энциклопедия дает описание: "Комплекс монастырей в пещерах Давида Гареджи расположен на расстоянии 69 км юго-западнее Тбилиси. Здесь воздвигнуто несколько десятков уникальных строений - Лавра Давида, Удабно, Додо и Натлисмцемели—эти монастыри возникли в начале шестого века, а в 10-13 вв. были построены монастыри: Удабно, Бертубани... Во многих монастырях сохранились ценные фрески 6-14 вв."

Надо отметить, что вырубленные в утесах монастыри такого типа можно встретить только в Индии и Египте. В 1948 году здесь расположился артиллерийский полигон. Были случаи, когда пещеры с ценными фресками служили

военным мишенями. Гибнет уникальный исторический памятник. Полностью разрушен монастырь Бертубани. В опасности жизнь реставраторов.

13 сентября 1975 года я обратился к командующему Закавказским Военным Округом генерал-полковнику Мельникову со следующим письмом (копия письма была отправлена Министру Обороны Советского Союза Гречко).

"На территории уникального памятника грузинской культуры Давида Гареджи расположен артиллерийский полигон под командованием полковника Адюкониса. В 1975 году, в начале сентября, во время стрельбы возник пожар, в результате чего сгорели деревья на территории монастыря. Это грозило опасностью монастырю, но сотрудники погасили огонь. Необходимо перенести полигон за пределы монастырского комплекса. Варварские действия военных подрывают репутацию Советского Союза и его армии. Прошу принять меры для пресечения таких актов вандализма ".

13 сентября 1975 года

Звиад Гамсахурдиа

В конце ноября получил следующее письмо от руководства Закавказского Военного Округа: «Мы изучили ваше письмо. Подробное письмо послали Министру культуры Грузии тов. Тактакишвили.»

В министерстве культуры получили следующий текст: "К сожалению, развалины монастыря находятся в центре нашего полигона, который мы не намерены переносить. Без нашего разрешения туристы не должны быть допущены туда. Генерал Мельников ".

Возмутителен и тот факт, что монастырь называют "развалинами", посетители могут убедиться, что несколько пещер с фресками мирового значения целы. И если несколько монастырей превращены в развалины, то благодаря постоянному артиллерийскому обстрелу. Каждого цивилизованного человека нашего века должно взволновать целенаправленное уничтожение военными средневековой культуры. Это небывалое злодеяние, которое доходит до предела цинизма, пример варварского отношения к грузинской культуре. Кроме того, в комплексе создан музей-заповедник.

В 1975 году 20 ноября Совет Министров Грузинской Республики издал постановление об улучшении охраны памятника культуры — монастырей Давид Гареджи.

Возмутителен и тот факт, что в письме Мельникова говорится о выдаче пропусков только туристам, а жизнь сотрудников музея, жизнь памятников их нисколько не волнует. Я призываю общественность Советского Союза и всего мира выразить протест против злодеяний Закавказского Военного Округа, уничтожающих достояние культуры грузинского народа.

5 декабря 1975 года

Звиад Гамсахурдиа,

писатель, филолог

Протокол допроса
свидетеля
г. Тбилиси
9 июля 1975 года

Старший следователь по особо важным делам следственного отдела КГБ при СМ Литовской ССР майор Маслаускас, в здании КГБ Грузинской ССР, в кабинете №272.

В соответствии с требованиями ст. ст. 154, 158 УПК Гр. ССР допросил в качестве свидетеля: Гамсахурдиа Звиад Константинович

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო „თავისუფლება“
7.07. 1976 წ.

„ არტილერია ანადგურებს ფრესკებს“
(ზ. გამსახურდიას წერილი)

დავით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის საარტილერიო პოლიგონი. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღწერილია შემდეგი: „სამონასტრო კომპლექსი დავით გარეჯის მღვიმეებში მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 69 კმ-ის დაშორებით. აქ აღმართულია რამოდენიმე ათეული უნიკალური ნაგებობა — დავითის ლავრა, უდაბნო, დიდი და ნათლისმცემელი – ეს მონასტრები აშენდა მეექვსე საუკუნის დასაწყისში, ხოლო მე-10-13 საუკუნეებში აშენდა შემდეგი მონასტრები: უდაბნო, ბერთუბანი... ბევრ მონასტერში შემონახულია მე-6-14 საუკუნეების ძვირფასი ფრესკები.“

უნდა აღინიშნოს, რომ ციკაბოებში გამოკვეთილი ასეთი სახის მონასტრები შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ ინდოეთში და ეგვიპტეში. 1948 წელს აქ განლაგდა საარტილერიო პოლიგონი. იყო შემთხვევები, როდესაც მღვიმეებს ძვირფასი ფრესკებით სამხედრო სამიზნეებათ იყენებდნენ. იღუპება უნიკალური ისტორიული ძეგლი. სრულიად დანგრეულია ბერთუბნის მონასტერი. რესტავრატორების სიცოცხლე საფრთხეშია. 1975 წლის 13 სექტემბერს მე მივმართე ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ მელნიკოვს შემდეგი წერილით (წერილის ასლი გაეგზავნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს გრეჩკოს).

„ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის დავით გარეჯის ტერიტორიაზე განლაგებულია საარტილერიო პოლიგონი პოლკოვნიკ ადიუკონისის მეთაურობით. 1975 წელს, სექტემბრის დასაწყისში, სროლების დროს გაჩნდა ხანძარი, რის შედეგად მონასტრის ტერიტორიაზე დაიწვა ხეები. მონასტერს ეს საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ თანამშრომლებმა ცეცხლი ჩააქრეს. აუცილებელია პოლიგო-

ნის გადატანა სამონასტრო კომპლექსის გარეთ. სამხედროების ბარბაროსული ქმედებები ბღალავენ საბჭოთა კავშირის და მისი ჯარის რეპუტაციას. გთხოვთ მიიღოთ ზომები ასეთი ვანდალიზმის აქტების აღსაკვეცად.“

1975 წლის 13 სექტემბერი
ზვიად გამსახურდია

ნოემბრის ბოლოს მივიღე ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობისგან შემდეგი წერილი: „ჩვენ შევისწავლეთ თქვენი წერილი. დაწერილებით წერილი გაუგზავნეთ საქართველოს კულტურის მინისტრს ამხ. თაქთაქიშვილს.“

კულტურის სამინისტროში მიიღეს შემდეგი ტექსტი: „სამწუხაროდ, მონასტრის ნანგრევები იმყოფება ჩვენი პოლიგონის ცენტრში, რომლის გადატანას ჩვენ არ ვაპირებთ. ჩვენი ნებართვის გარეშე ტურისტები იქ არ დაიშვებიან. გენერალი მელნიკოვი.“

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ მონასტერს „ნანგრევებად“ მოიხსენიებენ, დამთვალიერებლებს შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ რამდენიმე მღვიმე მსოფლიო მნიშვნელობის ფრესკებით უვნებელია. და თუ რამდენიმე მონასტერი ქცეულია ნანგრევებათ, ეს მუდმივი საარტილერიო სროლების გამო. ჩვენი საუკუნის ყველა ცივილიზებულ ადამიანს უნდა აღელვებდეს სამხედროების მიერ შუასაუკუნეების კულტურის მიზანდასახული განადგურება. ეს არნახული ბოროტმოქმედება, რომელიც ცინიზმის უკიდურესობისკენ მიდის, მაგალითია ბარბაროსული დამოკიდებულებისა ქართული კულტურის მიმართ. გარდა ამისა, კომპლექსში შექმნილია მუზეუმ-ნაკრძალი.

1975 წლის 20 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება კულტურის ძეგლის — დავით გარეჯის დაცვის გაუმჯობესების შესახებ.

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ მელნიკოვის წერილში ნათქვამია საშვების გაცემაზე მხოლოდ ტურისტებისთვის, ხოლო მუზეუმის თანამშრომლების სიცოცხლე, ძეგლების სიცოცხლე მათ არანაირად არ აღელვებთ. მე მოვუწოდებ საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს საზოგადოებას გამოთქვას პროტესტი ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ბოროტი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც ანადგურებენ ქართველი ხალხის კულტურის საკუთრებას.

1975 წლის 5 დეკემბერი
ზვიად გამსახურდია,
მწერალი, ფილოლოგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწმის დაკითხვის ოქმი

ქ. თბილისი
1975 წლის 9 ივლისი

ლიტვის სსრ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სუკ-ის საგამოძიებო განყოფილების საგანგებო საქმეთა უფროსი გამომძიებელი მაიორი მასლაუსკასი, საქართველოს სსრ-ის სუკ-ის შენობაში, N272-ე კაბინეტში.

სტ. სტ. 154, 158 УПК საქ. სსრ-ის მოთხოვნილებების შესაბამისად დაკითხა მოწმის სახით: **გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს-ძე**

стр. I, над заглавием текста от руки карандашом написано "1-6276".

7. Машинописный текст на русском языке исполненный на двух листах белой неграфленной бумаги, озаглавленный «Звиад ГАМСАХУРДИА Слова и Дела Советских Военных», начинающийся словами "Варварское уничтожение советскими артиллеристами уникального пещерного монастырского комплекса Давид-Гареджа вызвало многочисленные протесты Грузии" и оканчивающегося на стр 2. словами "Прилагаем оба письма, чтобы читатель сравнил слова и дела военных. 10.X.1976 г.Тбилиси"

На стр. I, над заглавием текста от руки карандашом написано "1-537(6)"

С указанными двумя листами металлической скрепкой скреплены фотокопии писем, отпечатанных на машинке: № 553/2451 от 27 августа 1976 года на двух листах, адресованного заслуженному деятелю искусств Грузинской ССР доктору искусствознания профессору Пиралишвили О.Д. г. Тбилиси, 15, Икалто, 42 . доктору филологических наук члену Президиума Союза писателей Грузии профессору ЦИЦИШВИЛИ Г.Ш. г. Тбилиси, Кекелидзе, I, члену Союза писателей СССР, доктору филологических наук БОГОМОЛОВУ И.С. и копия: Заместителю командующего войсками Закавказского военного округа по боевой подготовке генерал-лейтенанту ШКРУДНЕВУ Д.Г. В письме говорится о полигоне Гареджа. Письмо надписано заместителем начальника главного управления генерал-полковником В.МЕРИМСКИМ и копия письма № 114 от 20 сентября 1976 года на одном листе, адресованного директору Давидгареджского монастыря БАЦАЦАШВИЛИ Б.И. отправленного командиром войсковой части 29246 подполковником КОВАЛЬСКИМ. Получатель извещается о том, что с 18.00 23 сентября по 18.00 4 октября 1976 года на территории полигона будут проводиться мероприятия с боевой стрельбой.

8. Машинописная копия текста на русском языке, отпечатанного на 3-х листах. Заглавие написано от руки красителем фиолетового цвета (пастой) Звиад ГАМСАХУРДИА, Мераб КОСТАВА.

I გვ-ზე, ტექსტის სათაურს ზემოდან ფანქრით აწერია 160 „I-6276“

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი რუსულ ენაზეა, შესრულებულია თეთრი (უხაზო) ქაღალდის ორ ფურცელზე, დასათაურებულია: „ზვიად გამსახურდია – საბჭოთა სამხედროების სიტყვები და საქმეები“, იწყება სიტყვებით „საბჭოთა არტილერისტების მიერ დაეთი გარეჯის უნიკალური მღვიმური ტიპის სამონასტრო კომპლექსის ბარბაროსულმა განადგურებამ გამოიწვია მრავალრიცხოვანი პროტესტი საქართველოში“ და მთავრდება მე-2 გვერდზე სიტყვებით: „თანდართულია ორიგე წერილი, რომ მკითხველმა შეადაროს სამხედროების სიტყვები და საქმეები“.

I გვ.-ზე ტექსტის სათაურს ზემოდან ფანქრით აწერია „I-537(6)“

მითითებულ ორ ფურცელს მიმაგრებული აქვს მეტალის სამაგრით წერილების ფოტოები, დაბეჭდილი მანქანაზე 1976 წლის 27 აგვისტოს ორ ფურცელზე N553/2451 და დაგზავნილია შემდეგ მისამართებზე: საქართველოს სსრ-ის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს პროფესორ ო. დ. ფირალიშვილს, ქ. თბილისი, 15, იყალთო, 42; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრს პროფესორ გ. შ. ციციშვილს, ქ. თბილისი, კეკელიძე 1; სსრკ-ს მწერალთა კავშირის წევრს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ი. ს. ბოგომოლოვს — და ასლი: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაურის მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტს დ. გ. შკრუდნევს. წერილში ნათქვამია გარეჯის პოლიგონის შესახებ. წერილს ხელს აწერს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მერიმსკი; და 1976 წლის 20 სექტემბერს წერილი ერთ ფურცელზე, გაგზავნილი დავით გარეჯის მონასტრის დირექტორის ვ. ი. ბაცაცაშვილის მისამართზე 29246-ე საჯარისო ნაწილის მეთაურის პოდპოლკოვნიკ კოვალსკის მიერ. წერილის მიმღებს აუწყებენ, რომ 1976 წლის 23 სექტემბრის 18.00 საათიდან 4 ოქტომბრის 18.00 საათამდე პოლიგონის ტერიტორიაზე ჩატარდება ღონისძიება საბრძოლო სროლებით.

8. მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის ასლი რუსულ ენაზე, დაბეჭდილია 3 ფურცელზე. სათაური დაბეჭდილია ხელით იისფერი საღებავით (პასტით) ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

Министерство обороны СССР
Главное Управление боевой подготовки Сухопутных Войск
27 августа 1976
553/2451

ЗАСЛУЖЕННОМУ ДЕЯТЕЛЮ ИСКУССТВ ГРУЗИНСКОЙ
ССР, ЧЛЕНУ СОЮЗА ХУДОЖНИКОВ СССР, ДОКТОРУ
ИСКУССТВОЗНАНИЯ
ПРОФЕССОРУ

товарищу ПИРАЛИШВИЛИ О.Д.

г. Тбилиси, 15, Икалто, 42

ДОКТОРУ ФИЛОЛОГИЧЕСКИХ НАУК, ЧЛЕНУ
ПРЕЗИДИУМА СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ПРОФЕССОРУ
товарищу ЦИЦИШВИЛИ Г.Ш.
г. Тбилиси, Кекелидзе, 1

ЧЛЕНУ СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ СССР ДОКТОРУ
ФИЛОЛОГИЧЕСКИХ НАУК
товарищу БОГОМОЛОВУ И. С.
г. Тбилиси, Такаишвили, 4

Копия: ЗАМЕСТИТЕЛЮ КОМАНДУЮЩЕГО ВОЙСКАМИ
ЗАКАВКАЗСКОГО ВОЕННОГО ОКРУГА ПО
БОЕВОЙ ПОДГОТОВКЕ
ГЕНЕРАЛ-ЛЕЙТЕНАНТУ
таварищу ШКРУДНЕВУ Д. Г.

Уважаемые товарищи!

Ваше коллективное письмо на имя Министра обороны СССР о переносе полигона Гареджа в другое место, изучено.

Земельная площадь в существующих границах полигона была отведена постановлениями Советов Министров Грузинской и Азербайджанской Союзных Республик.

Главное управление боевой подготовки готово рассмотреть вопрос об изменении границ полигона при условии выделения равнозначного земельного участка примыкающего к границам полигона, пригодного для обучения личного состава и строительства силами и средствами союзных республик учебных объектов, имеющихся на полигоне в настоящее время.

Решение этих вопросов невозможно вне компентенции Советов Министров ГрССР, АзССР.

Что же касается сохранения на территории полигона памятников древнегрузинской архитектуры, то должностным лицам Закавказского военного округа даны соответствующие указания. Поскольку территория полигона является закрытой, то ее посещение туристами не допускается, а как исключение в отдельных случаях может решаться местным командованием.

С уважением

ЗАМЕСТИТЕЛЬ НАЧАЛЬНИКА ГЛАВНОГО УПРАВЛЕНИЯ
ГЕНЕРАЛ-ПОЛКОВНИК

В. МЕРИМСКИЙ

სსრკ-ს თავდაცვის სამინისტრო
სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადების მთავარი სამმართველო
27 აგვისტო 1976 წ.
553/2451

საქართველოს სსრ-ს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სსრკ-ს მხატვართა კავშირის წევრს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს
პროფესორს
ამხანაგ ფირალიშვილს ო. დ.
ქ. თბილისი, 15, იყალთო, 42

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს,
საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრს
პროფესორს
ამხანაგ ციციშვილს გ. შ.
ქ. თბილისი, კეკელიძე, 1

სსრკ-ს მწერალთა კავშირის წევრს, ფილოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორს
ამხანაგ ბოგომოლოვს ი. ს.
ქ. თბილისი, თაყაიშვილის 4.

ასლი: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის
ჯარების მეთაურის მოადგილეს
საბრძოლო მომზადების დარგში
გენერალ-ლეიტენანტს
ამხანაგ შკრუდნევს დ. გ.

პატივცემულო ამხანაგებო!

თქვენი კოლექტიური წერილი სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს სახელზე გარეჯის პოლიგონის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, შესწავლილია.

მიწის ნაკვეთი პოლიგონის არსებულ ფარგლებში გამოყოფილი იქნა საქართველოს და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

საბრძოლო მომზადების მთავარი სამმართველო მზად არის განიხილოს საკითხი პოლიგონის საზღვრების შეცვლაზე იმ პირობით, თუ გამოიყოფა ტოლ-

ფასი მიწის ნაკვეთი პოლიგონის მიმდებარე ტერიტორიიდან და გამოყენება პირადი შემადგენლობის საწვრთნელად და ამ დროისათვის პოლიგონზე არსებული სასწავლო ობიექტების მშენებლობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ძალებით და საშუალებებით.

ამ საკითხების გადაჭრა შეუძლებელია საქ. სსრ-ის და აზერბ. სსრ-ის მინისტრთა საბჭოების კომპენტენციის გარეშე.

რაც შეეხება ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების დაცვას პოლიგონის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თანამდებობების პირებს მიცემული აქვთ სათანადო მითითებები. ვინაიდან პოლიგონის ტერიტორია დახურულია, ტურისტები არ დაიშვებიან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ შეიძლება გადაწყვიტოს როგორც გამონაკლისი.

პატივისცემით

მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მერიმსკი

Звиад Гамсахурдиа

СЛОВА И ДЕЛА СОВЕТСКИХ ВОЕННЫХ

Варварское уничтожение советскими артиллеристами уникального пещерного монастырского комплекса Давид-Гареджа вызвало многочисленные протесты в Грузии. В последнее время среди других отличается письмо деятелей культуры, профессора О. Пиралишвили, профессора Г.Цицишвили и литератора И.Богомолова министру обороны СССР Устинову, которые объясняют значение монастырского комплекса Давид-Гареджа и требуют перенести полигон подальше от памятника.

27-го августа 1976 года Главное Управление боевой подготовки сухопутных войск Министерства Обороны СССР (зам. начальника генерал-полковник В.Меримский) ответило вышеупомянутым лицам успокоительным письмом, в котором заверяло их, что принимаются все меры, чтобы сохранить памятники древнегрузинской архитектуры, которые расположены на территории полигона.

Однако не прошло и месяца, как 23-го сентября директор музея Давид-Гареджа В.Бацацашвили получил письмо от военных, которые предлагали ему на 10 дней освободить территорию и перебраться куда угодно, вывести не только людей, но и скот , так как начинаются учения. Причем цинизм и невежество военных достигли предела, в письме они обращаются к бацацашвили как к "директору монастыря", а не как к директору музея. Это указывает на то, что они не признают за музей Давид-Гареджу, т.к. уничтожать "монастырь" более терпимо с их точки зрения. (Антирелигиозная пропаганда).

23-го сентября началось страшная стрельба. В. Бацацашвили и его люди не оставили музей, хотя снаряды взрывались в непосредственной близости. Они чудом уцелели, памятнику опять причинен большой ущерб. Прилагаем оба письма, чтобы читатель сравнил слова и дела военных.

10. X. 1976г.

Тбилиси

ეროვნული

საბჭოთა სამხედროების სიტყვები და საქმეები

საბჭოთა არტილერისტების მიერ დავით გარეჯის უნიკალური მღვიმური ტიპის სამონასტრო კომპლექსის ბარბაროსულმა განადგურებამ გამოიწვია მრავალრიცხოვანი პროტესტი საქართველოში. ბოლო დროს გამოირჩევა წერილი კულტურის მოღვაწეების — პროფესორ ო. ფირალიშვილის, პროფესორ გ. ციცეშვილის და ლიტერატურ ბოგომოლოვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრთან უსტინოვთან, რომლებიც უხსნიან სამხედროებს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელობაზე და მოითხოვენ პოლიგონის გადატანას ძეგლიდან რაც შეიძლება შორს.

1976 წლის 27 აგვისტოს სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სახმელეთო ჯარის საბრძოლო მომზადების მთავარმა სამმართველომ (უფროსის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მერიმსკი) გასცა პასუხი ზემოადნიშნულ პირებს დამაშშვიდებელი წერილით, სადაც აღუთქვა, რომ ღებულობენ ყველა ზომებს, რომ დაიცვან უძველესი ქართული კულტურის ძეგლები, რომლებიც პოლიგონის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მაგრამ არ გასულა ერთი თვეც, რომ 23 სექტემბერს დავით გარეჯის მუზეუმის დირექტორმა ვ. ბაცაცაშვილმა სამხედროებისგან მიიღო წერილი, სადაც მას სთავაზობდნენ ათი დღით გაენთავისუფლებინა ტერიტორია და წასულიყო სადაც ინებებდა, გაეყვანა არა მხოლოდ ხალხი, არამედ საქონელიც, ვინაიდან იწყებდნენ სამხედრო წვრთნებს. ამავე დროს სამხედროების ცინიზმმა და უმეცრებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. წერილში ისინი ბაცაცაშვილს მიმართავენ როგორც „მონასტრის დირექტორს", და არა როგორც მუზეუმის დირექტორს.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი არ ცნობენ დავით გარეჯს მუზეუმთა, ვინაიდან „მონასტრის" განადგურება მათი თვალსაზრისით უფრო მისაღებია (ანტირელიგიური პროპაგანდა).

23 სექტემბერს დაიწყო საშინელი სროლები. ვ. ბაცაცაშვილმა და მისმა ხალხმა არ დატოვა მუზეუმი, თუმცა ჭურვები ფეთქდებოდნენ უშუალო სიახლოვეს. ისინი სასწაულად გადარჩნენ. ძეგლს კვლავ მიაყენეს დიდი ზიანი. თანდართულია ორივე წერილი, რომ მკითხველმა შეადაროს სამხედროების სიტყვები და საქმეები.

10.X. 1976 წ.
თბილისი

Копия
Войсковая часть 29246
20. 09. 76г.
№114
гор. Рустави-7

ДИРЕКТОРАМ СОВХОЗОВ

ТОЛЬКО Директору Давидгареджского монастыря тов. Бацацашвиши В. И.

Довожу до Вашего сведения, что к 18.00 23 сентября по 18.00 4 октября 1976 года на территории полигона будут проводиться мероприятия с боевой стрельбой.

В целях соблюдения мер безопасности и исключение несчастных случаев и происшествии, прошу Вас, категорически, запретить всем чабанам и рабочим, в веренного Вам монастыря, пасти скот, проводить работы в границах территории полигона, так как это опасно для жизни людей и животных. Людей и животных вывести в район совхоза «Удабно».

Всю ответственность в случае невыполнения наших требований мы с себя снимаем.

КОМАНДИР ВОЙСКОВОЙ ЧАСТИ 29246
ПОДПОЛКОВНИК /КОВАЛЬСКИЙ/
20 сентября 1976 года
ასლი
საჯარისო ნაწილი 29146
20.09.76 წ.
N 114
ქ. რუსთავი-7
საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს
მხოლოდ დავით გარეჯის მონასტრის დირექტორს
ამხ. ბაცაცაშვილს ვ. ი.

მოგახსენებთ, რომ 1976 წლის 23 სექტემბრის 18.00 საათიდან 4 ოქტომბრის 18.00 საათამდე გაიმართება ღონისძიება საბრძოლო სროლებით.

უშიშროების ზომების დაცვის მიზნით და უბედური შემთხვევების გამოსარიცხად გთხოვთ კატეგორიულად აუკრძალოთ თქვენს მინდობილობაში არსებული მონასტრის მუშებს და მწყემსებს აძოვონ საქონელი და ჩაატარონ სამუშაოები პოლიგონის ტერიტორიის ფარგლებში, ვინაიდან საშიშროება ექმნებათ ადამიანებს და ცხოველებს. ადამიანები და ცხოველები გაყვანილი იქნან „უდანო“-ს მეურნეობის რაიონში.

ჩვენი მოთხოვნილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

29246-ის საჯარისო ნაწილის მეთაური
პოდპოლკოვნიკი /კოვალსკი/
20 სექტემბერი 1976 წ.

პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში

/შემდგენელი: ზ. გამსახურდია/

ეროვნული ბიბლიოთეკა

1975 წლის 1-დან 9 აპრილის ჩათვლით ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე — გაბიტაშვილი, პროკურორი — მაჭარაძე, ადვოკატი — ფხაკაძე) N1 საგამომძიებელო იზოლატორის კლუბში განიხილა იური გრიგოლის-ძე ცირეკიძისა და ვალიკო უსუპიანის საქმე. მათ მსჯავრი ედებოდათ საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის მეორე ნაწილისა და 129 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. ამ მუხლების შინაარსია: „მძიმე სხეულებრივი დაზიანება, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია“ და „დაზიანებულისათვის დახმარების გაუწევლობა“. საქმე მოიცავს ხუთ ტომს. მისი ნომერია 2254.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს დადგინდა, რომ 1973 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისის N1 საგამომძიებელო იზოლატორის პატიმრებმა იური ცირეკიძემ და ვალიკო უსუპიანმა სასიკვდილოდ სცემეს პატიმარ ისმაილოვს. ისმაილოვისათვის არ გაუწევიათ არავითარი სამედიცინო დახმარება და იგი 27 ოქტომბერს გარდაიცვალა. ჩატარდა ექსპერტიზა, დაჭკითხეს 43 მოწმე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უამრავი გაუსსნელი საქმე დაუგროვდა.[32] გამომძიებელთა ცოდნა და გამოცდილება საკმარისი არ აღმოჩნდა ამ საქმეთა გამოსარკვევად და ამიტომ წამების მეთოდების ფართოდ გამოყენება გადასწყვიტეს, რისთვისაც თავად პატიმარ აგენტებს იყენებდნენ.

პატიმრები: ცირეკიძე და უსუპიანი აგენტები იყვნენ. ისინი ადრეც იყვნენ ნასამართლევნი სხვადასხვა დანაშაულისათვის. ციხის ადმინისტრაცია მათ წლობით აჩერებდა საგამომძიებლო იზოლატორში სასამართლოს განაჩენის შემდეგაც. ცირეკიძესა და უსუპიანს თავიანთ მუშაობაში იყენებდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი და პროკურატურა... საგამომძიებლო იზოლატორის მეორე კორპუსში არსებობს „სპეციალური“ N40 საკანი, სადაც სვამდნენ აგენტ ჯალათებსა და მათ მსხვერპლთ, რომლებიც „დამუშავების“ შემდეგ ან საავადმყოფოში გადაჰყავდათ, ან სხვა საკანში. ზშირად ყოფილა შემთხვევა, როცა **ნაცემი პატიმრები** ციხის საავადმყოფოში იხოცებოდნენ. ამ საავადმყოფოს ექიმები ყალბ დიაგნოზებს ადგენდნენ და პატიმრის სიკვდილს ამა თუ იმ ავადმყოფობას აბრალებდნენ. ამას ეწოდებოდა თურმე პატიმრის „ჩამოწერა“.

პატიმარ ისმაილოვის „ჩამოწერა“ ვეღარ მოხერხდა, რადგან იგი დროზე ვერ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ამიტომ გადაწყდა საქმის აღძრა აგენტების წინააღმდეგ, ხოლო ციხის თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლება

---

32 საკმარისია აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საქართველოში დაპატიმრებულია დაახლოებით 50 000 კაცი. მათ შორის 9 500 კომუნისტი და 7 000 კომკავშირელი, 70-მდე ორგანოების მუშაკი. ჩატარდა 80 ათასამდე სასამართლო პროცესი.

აკმარეს (მოხსნილია საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი ლეუკაკ, მისი მოადგილე სვიმონიშვილი, ოპერწმუნებული ფროლოვი[33] და სხვა). **შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების კომიტეტისა და პროკურატურის გამომძიებლები კი სულაც არ დაუსჯიათ, თუმცა სასამართლო სხდომებზე გამოიოკვა, რომ სწორედ ისინი არიან მთავარი დამნაშავენი, ხოლო ცირეკიძისა და უსუპიანის მსგავსნი მხოლოდ ბრმა იარაღია მათ ხელში.**

აგენტმა ცირეკიძემ სხვადასხვა ინსტანციებისათვის მრავალი განცხადება დწერა, რომელთა ნაწყვეტებსაც აქ მოვიყვანთ (ნაწილი განცხადებებისა რუსულ ენაზეა დაწერილი).

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს
იური ცირეკიძისაგან (შსს №1 საგამომძიებლო იზოლიატორის პატიმარი).

განცხადება-ჩვენება

„ბოროტების ფესვი“
(დაიწერა რუსულად)

ჩემს განცხადებას თქვენდამი მე ვუწოდებ „ბოროტების ფესვს“, რადგან ჩემი უწყინარი ბავშვობის დასაწყისს და შემდგომ უსიხარულო ცხოვრებას საფუძველად დაედო ბოროტების ფესვი, რაც ჩემი გამრუდებული ცხოვრების მიზეზად იქცა და რამაც აქამდე მომიყვანა.

მე დაშინებული ვარ N1 საგამომძიებელო იზოლატორის ყოფილი ადმინისტრაციის და მისი ბანდის ნარჩენების უსამართლო ქმედებით: ისინი რეპრესიებს მიმართავდნენ ჩემს მიმართ და ყოველნაირი მეთოდებით მაიძულებდნენ ჩემს თავზე ამეღო „საქმე“ (მკვლელობა) და ჭეშმარიტება დამეფარა.

გარდა ამისა, მათ დაიხმარეს ცალკეული დაინტერესებული პირები, რომლებმაც პროკურორ გ. ნადარეიშვილისა და სხვების უშუალო დახმარებით შემდეგში მაინც შესძლეს სიმართლისა და თავიანთი მონაწილეობის დამალვა პატიმარი ობიექტის, ნ. უ. ისმაილოვის მკვლელობაში.

ვფიქრობ, რომ შევძლებ სიმართლის წარმოჩენას, თან მსურს ჩემი საქმის კურსში შეგიყვანოთ და ამიტომ გადავწყვიტე თხოვნით მოგმართოთ: საფუძველიანად შეისწავლეთ ჩემი განცხადება-ჩვენება (აგრეთვე ახლანდელი საქმე სასამართლოს მსვლელობის პროცესში), სადაც მე დაწერილებით აღვწერ იმ ფაქტებს, წლების მანძილზე რომ დამიგროვდა და რომელთაც „ბოროტების ფესვს“ ვუწოდებ. მე სკოლის მერხიდანვე გადამაცდინეს გზიდან მილიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა. მოტყუებითა და დაპირებებით შემაცდინეს და სავსებით ბავშვი თავიანთ აგენტად მაქციეს.

33 ამჟამად გაასამართლეს სხვა თანამშრომლებთან ერთად (იხ. ქვემოთ).

მთავრობის ორგანოებში მუშაობისათვის უღირსი პირები, აჭარბეშდნენ რა თავიანთ უფლებებს, სოციალისტური კანონებით აკრძალულ [illegible]ებებს მაძლევდნენ და ყველგან და ყოველთვის ბრმა იარაღად მიყენებდნენ იძულებით ათასნაირ ბოროტმოქმედთა, დამნაშავეთა თუ უდანაშაულოთა წინააღმდეგ. სამსახურებრივი მდგომარეობის სპეკულაციით ისინი ათასნაირ სიკეთეს იხვეჭდნენ: მაღალ თანამდებობებს, დიდებას, ქონებას, მე კი მხოლოდ მტრებს ვიხვეჭდი და ვიმრავლებდი სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში. ისინი დიდ ხიფათს გვიქადდნენ მე, ჩემს ოჯახსა და ჩემს ახლობლებს.

საქმე, რომელიც ცრუმოწმეებითა და ფალსიფიცირებული საბუთებით შეთითხნეს ჩემს წინააღმდეგ და ბრალს მდებს ისეთ მძიმე დანაშაულში, რომელიც არ ჩამიდენია იძულებულს მხდის „კარტები გავხსნა“: დაწვრილებით აღვწერო მთელი სიმართლე და წარმოვაჩინო ის საფუძველი-ძირეული მიზეზი „ბოროტების ფესვისა“, რის შედეგადაც მე საბრალდებულო სკამზე მოვხვდი და რომელიც ძირეული საფუძველია იმ ბოროტებისაც, რომელმაც კვლავ მომიყვანა ამ სასამართლოზე ბრალდებულად უდანაშაულო კაცი, სხვათა ბოროტმოქმედების მსხვერპლი.

მიზეზი ყოველივე იმისა, რასაც მე „ბოროტების ფესვებს“ ვუწოდებ, შემდეგში მდგომარეობს: (აქ ცირკაიძე დეტალურად იწყებს თავისი ავტობიოგრაფიის მოყოლას (გვ. 2-36): (დაიბადა 1938 წელს), როგორ იზრდებოდა უმამოდ, აღწერს თავისი ოჯახის საშინელ ხელმოკლეობას, შიმშილს, მძიმე პირობებს, დედამისის ტანჯვას და მონურ შრომას, რის გამოც იგი დაინვალიდდა, მაგრამ მაინც მიაღწიონ შვილს საშუალო განათლება. შემდეგ ცირკაიძემ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა, საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი გახდა აკრობატიკაში. იგი ჰყვება, თუ როგორ ჩაითრიეს 1954-56 წლებში მოლოტოვის რაიმილიციის მუშობაში სამძებრო განყოფილების უფროსმა ქოიავამ და გრიშა არახამიამ, რის შესახებაც დედამისმაც იცოდა. მას შეარქვეს მეტსახელი „ი. პოპოვი“ და ოფიცრობას შეპირდნენ. მას დაავალეს ქურდებთან დაახლოება, მათი ნდობის მოპოვება, რისთვისაც მათთან ერთად უნდა ეძარცვა. დაჭერის შემთხვევაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მაგრამ როდესაც იგი ძარცვისათვის დაუპატიმრეს 1958 წლის 23 ნოემბერს, არავინ დაეხმარა, არახამია და ქოიავა განზე გადგნენ და ცირკაიძე ციხეში ჩასვეს. ციხეში მას აგენტი პატიმრები მიუსიეს ვასო ბერუკაშვილის მეთაურობით, რომელიც გაიოზ ბეგოშვილის „ფსევდონიმით“ მოქმედებდა. ი. ცირკაიძეს სასტიკად სცემდნენ, გაპეღერასტებით ემუქრებოდნენ და ბოლოს მიაღწიეს კიდეც საწადელს: იგი ციხის „ნასედკად“ ანუ ჯაშუშად აქციეს: მინისტრმა ღარიბაშვილმა, ქ. თბილისის მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსმა მამულოვმა, ციხის ოპერმა კაკნაძემ, ოპერმა გოგლიძემ, ქსნის კოლონიის ოპერმა ჯიბუხაიამ, გ. ნორაკიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე აგენტი იყო ი. ცირკაიძეს სხვა ქურდებთან ერთად 15 წელი მიუსაჯეს (სასამართლოს თავმჯდომარე — ჯანდიერი).

შემდგომ იგი არაერთგზის გამოუყენებიათ წინასწარი პატიმრობის განყოფილებაში. 1961 წელს იგი გათავისუფლდა (მოსკოვმა „შუმცარა“ პატიმრობის ვადა). შემდეგ კვლავ მოხვდა ციხეში ჩხუბისათვის და ა.შ. მჯდარა სხ-

ვადასხვა ციხეებსა და კოლონიებში. არაერთგზის გაქცეულა. იგი ალწერს, თუ როგორ ააიულებდა მას მილიციის უფროსი მამალაძე, ჩაეთრია და აგენტად ექცია საკუთარი ცოლი გულნარა ცირეკიძე და როგორ უთხრა [illegible] ალწერს, თუ როგორ არ ასვენებდა მილიცია გარეთ ყოფნისას, გამუდმებით როგორ ითრევდა აგენტურულ მუშაობაში. იგი წერს: „კახპა ქალივით ხელიდან ხელში გადავდიოდი. მუშაობას მაიძულებდა ყველა: თბილისის მილიციის სამმებრო განყოფილების უფროსი ს. მამულოვი, მისი მოადგილე გუჩმაზაშვილი, მ. ფიცხელაური, ბ. მესხი და სხვები. საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმებრო განყოფილებიდან: ხ. გაგუა, ვ. თალაკვაძე, კალანტაროვი.

ნაწილ-ნაწილ ვიხლიჩებოდი, მაგრამ რას ვიღებდი სამაგიეროდ? არაფერს, გარდა მწუხარებისა და საყვედურებისა ძირითად სამსახურში, საიდანაც ბოლოს მომხსნეს კიდეც შტატების შემცირების საბაბით. ამასთან მტრებსაც ბევრს ვიხვეჭდი დამნაშავეებსა და მათ მახლობლებს შორის.

გულწრფელად გითხრათ, მომბეზრდა ამ ჯოჯოხეთური ტანჯვის ატანა, ღამდამბით არ შეძინა და გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როგორ გავცლოდი ამ ხალხს: ისინი ხომ არაფერს ერიდებოდნენ, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ და ჩემი მოსპობაც დიდად არ უდირდათ (მაგრამ თურმე ეს არც ისე ადვილია). ბოლოს ძალა მოვიკრიბე და მტკიცედ გადავწყვიტე ყველასთან და ყველაფერთან მომეთავებინა საქმე. მთ გამოძახებაზე აღარ მივდიოდი, ხოლო როდესაც სახლში მაკითხავდნენ მანქანით, გარეთ ვაგდებდი, შეეურაცხყოფდი და უარით ვისტუმრებდი.

ისევაც გაუბედურებულებს მალე მე და ჩემს ოჯახს კიდევ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს: აგენტი მელიქოვი შეუჩინეს ჩემი ცოლისდის ვაჟს: იგი სცემდა მას და ცეცხლსაროლი იარაღით ემუქრებოდა. 16 წლის ბიჭს, ნოდარ მამულაშვილს იგი ეუბნებოდა, რომ ისევე მოჰკლავდა, როგორც 1963 წელს მისი ბიძა გოგი ანდრიასოვი მოჰკლეს. დაშინებულმა ბავშვმა დახმარებისათვის მე მომმართა და ყველაფერი მიამბო (მილიციასაც ეს სურდა). მე დაინტერესდი, თუ რა იცოდა სერგო მელიქოვმა ჩემი ცოლისძმის, გოგი ანდრიასოვის მკვლელობის შესახებ და მამულაშვილთან და ერთ მეგობართან ერთად წავედი მელიქოვის საძებნელად.

მამულაშვილმა მელიქოვს მოსკოვის პროსპექტზე მიაგნო რესტორან „მოსკოვში“ და გარეთ გამოსვლა სთხოვა. მელიქოვი გამოვიდა და თან ჩანგალი გამოიყოლა, რითაც მამულაშვილს აშინებდა. მოუქნია კიდევაც და ხელი გაუკაწრა. ამასობაში მე მივვარდი და მელიქოვს ჩანგალი გამოვსტაცე, მან კი ყვირილი მორთო, თითქოს მე მეცემოს. მაშინ ძალით ჩავსვი იგი მანქანაში და გაჩანინაკენ წავიყვანე. მანქანაში დაკითხვა დაეწყო (იგი ნასვამი იყო), თუ რა იცოდა ანდრიასოვის მკვლელობის შესახებ. მას მეორე ჩანგალიც ჰქონოდა ჯიბეში და როდესაც ამოღებას აპირებდა, ეცემე, ხოლო მკვლელობაზე ვერაფერი შეეიტყე. მე დავემუქრე მელიქოვს, რომ თუკი იგი კიდევ არ მოასვენებდა მამულაშვილს, ჩემთან ექნებოდა საქმე.

ნაცემი მელიქოვი მილიციაში გამოცხადდა და განაცხადა, მამულაშვილის ბიძამ გამლახაო. შემდეგ დაკაპიტმრეს მამულაშვილი, რომელმაც სიმართლე

აღიარა, მაგრამ ს. მამულოვის მეთაურობითა და მითითებით საქმე საშინლად გააყალბეს: თითქოს მელიქოვს ცემის შემდეგ მე და ჩემმა ამხანაგებმა 110 მანეთი და საათი წავართვით. მე დამპატიმრეს. ძიების დროს ოქტომბრის რაიმილიციამ საქმე გადაუგზავნა მუზაშვილსა და ვალიკო ბაკუზოს. ყველა საქმე ერთდროულად მიჰყავდა 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორს ა. ნოდიას. შემდეგში მელიქოვიც დაუპატიმრეს ძარცვისათვის, 152-ე მუხლის მეორე ნაწილი მიუყენეს და 12 წელი მიუსაჯეს.

სახალხო სასამართლომ ბოსტოღანაშვილის თავმჯდომარეობით გამართა სამართლა და საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112 მუხლის მეორე ნაწილით და 116 მუხლის პირველი ნაწილით ერთი წელი მომისაჯა, რომელსაც დაემატა პირობითი სასჯელის ერთი წელი. სულ მომისაჯეს ორი წელი მკაცრი რეჟიმი.

კვლავ ციხე, კვლავ ათასნაირი წამება და მუქარა ციხის თანამშრომლების მხრიდან და ისევ დამაწყებინეს აგენტობა.

თუკი აგენტობაზე უარს განაცხადებ, სპეციალურად „გაგშიფრავენ“ (პატიმრებს გაუშვლაენებენ, რომ აგენტი იყავი) და „გაშიფვრის“ შიშით იძულებული ხარ დათანხმდე. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხე გემუქრება. ციხეშიც და კოლონიაშიც ვეხმარებოდი მათ აგენტურულ მუშაობაში.

სასჯელს ვიხდიდი მე-4, 25-ე, 28-ე კოლონიებში და ყველგან ვეხმარებოდი ადმინისტრაციას როგორც აგენტი. **1966 წელს მე-4 კოლონიიდან უშიშროების კომიტეტის შინაგან ციხეში გადამყვანეს, სადაც აგენტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას მიწევდა აგენტთა შეფი ჟორა გეგელია.**

უშიშროების კომიტეტში ყოფნისას საკანში ვამუშავებდი ობიექტებს: ვალუტით მოვაჭრეებს, ოქროს გადამყიდველებს, ჯაშუშებს, ღვინისა და კონიაკის ფალსიფიკაციის საქმეზე დაპატიმრებულ პირებს. ვმუშაობდი უშიშროების კომიტეტის თანაშშრომლებთან: ირაკლი ცინცაძესთან, ჟორა გეგელიასთან და პირადად უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსთან, პოლკოვნიკ ნადირაძესთან.

უშიშროების კომიტეტში მე დავამუშავე: ოქროს გადამყიდველები იბრაჰიმ მამედოვი და მიშა მიზელაშვილი, კონიაკის კომბინატის დირექტორი ნ. ნ. რამიშვილი, მეღვინეთა საქმეზე დაპატიმრებული ჰუსეინ ჯაში (ბათუმში), დავარაშვილი, შპირნი თურქი, თათარი და ა.შ. სასჯელის მოხდა დავასრულე ქსნის კოლონიაში და 1967 წლის 24 სექტემბერს გავთავისუფლდი.

მაშინვე ვთხოვე სამსახურში მიღება თბილისბოსტანეაჭრობის ორგანიზაციას, მაგრამ დირექტორმა ვ. ხ. საყვარელიძემ უარი მითხრა: ნაცხარი ხარო. ამის გამო წავლაპარაკდით. ბოლოს სხვების თხოვნით საყვარელიძემ მაინც მიმიღო. მუშაობა დავიწყე ექსპედიტორად. საქხილბოსტანეაჭრობის 26 კომისრის რაიონის განყოფილებაში.

ვცხოვრობდი მშვიდობიანად და არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია. ცოტა ხნის შემდეგ გამომძახეს ვ. თალაკკაძე და ნ. პერკინმა (მკელელობის საქმეთა სამძებრო განყოფილება). მე ოპერატიულად და სწრაფად გადავჭერი ისეთი გადაუჭრელი პრობლემა, რისთვისაც მთელი მოსკოვი და საქართველო

ფეხზე იდგა: ყველას დავუმტკიცე ჭეშმარიტება მთელი ოჯახის ამოხოცვის შესახებ ლენინგორის რაიონის სოფელ უკანაბხარში. ამ საქმის ირგვლივ თითქმის ყველა აგენტი არასწორ ცნობებს იძლეოდა. თალაკაძემ ამ საქმის გაჩხინასთვის პერკინის თანდასწრებით 100 მანეთით დამაჯილდოვა. საერთოდ ორგანოს მუშაკებთან თანამშრომლობის მთელ მანძილზე ფული იშვიათად მიმიღია, ხელწერილებს კი ფულის მიღებაზე ხშირად მაწერინებდნენ. სამსახურში მუშაობის პარალელურად ვეხმარებოდი ყველას: 26 კომისრის რაიონის სამეგბრო განყოფილების უფროსს, განყოფილების თანამშრომლებს: ვოვა მეწშიკოვს, აირო გალოიანს, ვალოდია ენუქიძეს, ოთარ ჭანტურიას, უშანგი ჭიჭინაძეს, ჯიმი მიქელაძეს; საერთოდ ყველას ვეხმარებოდი, რამდენიც კი შემეძლო. მილიციის მუშაკებმა ნამდვილ აგენტად მაქციეს და ყველაფერში მენდობოდნენ და მიჯერებდნენ. უნდა აღენიშნო: ბესო ბალავაძესაც ბევრ რამეში დავხმარებივარ.

მესამე მასიეში ვეხმარებოდი გოგი მოწელიასა და გოგი გაგლოევს, რადგან იქვე ეცხოვრობდი. როგორც აგენტი, მიუხედავად ამისა, ვირიცხებოდი შინაგან საქმეთა სამინისტროში 912-ე ნომრით. არსებობს ისეთი დავალებებიც, რომლებიც ქადალდზე საერთოდ არ აღინიშნება და აგენტურულადაც არ ფორმდება, რა თქმა უნდა.

წინასწარი გამოძიების საკნებში ხშირად ვეხმარებოდი მიშა გომართელსა და სხვებს. ერთი სიტყვით ნაწილ-ნაწილ ვიხლიჩებოდი და საქმეების გახსნაში ვეხმარებოდი როგორც სისხლის სამართლის, ასევე „ობეზეესის“ საგამომძიებლო ორგანოებს.

1969 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომიძახა მეოთხე სამძებრო განყოფილების უფროსმა მიშა გაბუნიამ და მთხოვა დავხმარებოდი ციხიდან გაქცეული ბანდიტის რომან (იგივე ნუგზარ) ჭიხვარიას, მეტსახელად „ჯაყოს“ მოძებნაში, რომელიც ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ეორონცოვის ახლომახლო, ისე კი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავიდან იყო. მიშა გაბუნიამ მისი ფოტო მაჩვენა და სიტყვიერადაც აღმიწერა. მივიღე შესაბამისი ინსტრუქცია და მთელი მონდომებით შეეუდექი დავალების შესრულებას.

მე მოვახერხე ჭიხვარიას პიროვნების დადგენა და დავუახლოვდი კიდეც მას. მილიციამ მომცა ცეცხლმსროლელი იარაღი და ჭიხვარიას თაკის მშობლიურ სოფელ ნაბეღლავში წავყევი, სადაც შევიტყვე ყველა მისი საიდუმლო და დავადგინე ყველა მისი სამალავი. ამის შემდეგ ჩვენ ცალ-ცალკე დავბრუნდით თბილისში. გაბუნიასთან ერთად დავამუშავე ჭიხვარიას დაპატიმრების გეგმა, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მისმა მოადგილემ შ. ბატიაშვილმა, ლ. გ. გაბუნიამ და სხვებმა.

ჭიხვარია და მე ერთად დაგვიჭირეს უკიდურესად მთვრალები (მე იგი სპეციალურად დავაფრე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით), აჭყარეს იარაღი, გაასამართლეს და მკაცრი რეჟიმის ბანკი მიუსაჯეს თხუთმეტი წლით.

იმ დღიდან გავხდი გაბუნიას თანამშრომელი. მე დავადგინე აგრეთვე ბანდიტ გ. თევდორაშვილის არსებობა, რომელიც 17 წელი იმალებოდა, და მილიციას

მკედარი ან საზღვარზე გადასული ეგონა. თეოდორაშვილიც ჩემი დახმარებით დააპატიმრეს.

1970 წლის მარტში სასწრაფოდ გამომიძახა მიშა გაბუნიამ თავისთან, კაბინეტში (უნდა აღვნიშნო, რომ მასთან ხშირად ვყოფილვარ სახლშიაც) და გამაცნო ვინმე ირაკლი (გვარი „შვილზე“ მთავრდება). იგი საქართველოს უშიშროების კომიტეტის სამძებრო და შპიონაჟის განყოფილების თანამშრომელი იყო.

ირაკლი მესაუბრა როგორც აგენტს და განსაკუთრებული დავალება მომცა: მე უნდა გადავფრენილიყავი ქ. ბაქოში და დავახლოებოდი უცხოეთის შპიონს, რომელიც ასპირანტი იყო და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა. მაცნობეს აგრეთვე, რომ იგი 27 წლისაა და პედერასტიას მისდევს (პასიურს). მომცეს ბილეთი ბაქოს თვითმფრინავზე, 50 მანეთი და აეროპორტში წავედი ირაკლისთან ერთად.

როგორც დათქმული იყო, ბაქოს აეროპორტში მე შევხვედი საქართველოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომელს ბალაშევსკის და აზერბაიჯანის უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელს იბრაჰიმს. დამბინავეს სასტუმრო „სამხრეთში“.

ოპერაციის განხორციელება ბაქოში შეუძლებელი გახდა. მაშინ გადაეწყვიტეთ მისი თვითმფინავში და თბილისში განხორციელება. ამერიკელი ტურისტად იყო ჩამოსული და სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობდა. მას ამავე დროს ქ. ლენინგრადში ხელშეკრულება უნდა დაედო სამი წლით სამეცნიერო თანამშრომლობაზე. ბაქოდან გამოფრენისას მის გვერდით დამსვეს. მე ვთამაშობდი სპორტსმენი მწვრთნელის, აქტიური მამაკაცისა და ყველასთან ნდობით განწყობილი ადამიანის როლს. გავეცანი ამერიკელს და თბილისში ჩამოსვლისას პაემანი დავუნიშნე. იგი მოათავსეს სასტუმრო „ივერიაში“, ხოლო მე სასტუმრო „თბილისში“, სადაც ჩემი ნომერი წინასწარ იყო აღჭურვილი ათასნაირი აპარატურით. საღამოს ოპერის თეატრთან შევხვდი ამერიკელს და დიდხანს ვისეირნეთ თბილისის ქუჩებში. როდესაც უფრო მეტად დავუახლოვდი და მისი სრული ნდობა მოვიპოვე, დავპატიჟე და ჩემთან შევიყვანე ნომერში. დავიწყეთ კონიაკებისა და ღვინოების სმა (პურმარილი უშიშროების თანამშრომლებმა მოამზადეს წინასწარ).

ამერიკელი დათვრა, მთლიანად მომენდო და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაბირება დამიწყო, ეწყოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, აქებდა ამერიკას. მპირდებოდა: ამერიკაში გადაგიყვან და ყველაფერში დაგეხმარებიო. მეც ვეთანხმებოდი (ვითომ). კავშირის დასამყარებლად მან მომცა ამერიკული საიდუმლო მისამართები და თავისივე ხელით დაწერილი ნომრები. შემდეგ დამიწყო ზვეინა და სასქესო ასოზე ხელის მოკიდება, თან მთხოვდა მასთან მამათმაველური კავშირი დამეჭირა, რაც მე შევურსულე (ასეთი იყო დავალება). ამერიკელი ჯაშუში იმით გამოვაშკარავე, რომ მისი ყოველი მოქმედება და საუბარი ჩემთან ჩაწერილ იქნა მაგნიტოფონზე (ვიდეომაგნიტოფონი) და სატელევიზიო ფირზე.[34] უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ საჭიროების შემთხ-

34 როგორც ჩანს, ეს იყო ჩვეულებრივი უცხოელი, რომელსაც უშიშროების კომიტეტი უწყობდა პროვოკაციებს. არე ერთი „ჯაშუში“ არ მიენდობოდა ასე პირველ შეხვედრს, ხოლო „საიდუმლო მისამართები“ ალბათ მისი ნაცნობების მისამართებია.

ვეევაში ლენინგრადში მიგავლინებთო, მაგრამ მე ამასობაში დამპატიმრეს, რაც შემდეგნაირად მოხდა. მ. გაბუნია ჭიხვარიას დაჭერისათვის დაკანონებულს და საქ. სსრ შსს სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. მისი დავალებით მივაკვლიე ოქროს გადამყიდველს, სოფლ „მიშკას", რომელმაც თათრის მოედანზე 450 გრამი ოქრო მიჰყიდა ვინმე ებრაელ მიშას, რომელიც ცხოვრობს დიღმის ქუჩის შესახვევში, №6. ეს აზერბაიჯანელი ებრაელი მიშა მუშაობდა ქ. გარდაბნის მაღაზიაში.

ეს ამბავი მ. გაბუნიას შევატყობინე. მან პირადად მიმიყვანა შ. ბაღათურიასთან, რომელსაც, როგორც აგენტმა მივაწოდე ცნობა ამის შესახებ და თან აღვნიშნე, რომ ამ საქმეში გარეული არიან თბილისის ლენინის რაიონის მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც ქრთამი აიღეს ზემოხსენებული პირებისგან და გაუშვეს ისინი. შემდგომში ეს საქმე რატომღაც მიჩქმალეს, რაც მინისტრის მოადგილის, კოვალჩუკისთვისაც არ დარჩენილა გაუგებარი. გაბუნიამ და ბაღათურიამ იფიქრეს, რომ კოვალჩუკს მე მოვახსენე ეს ამბავი და რატომღაც გაბრაზდნენ ჩემზე.

საქნილბოსტანეაჭრობაში მუშაობისას დიდი აუტორიტეტით ვსარგებლობდი. ისეთ კაცად მიცნობდნენ, რომელიც თავის დღეში არაეის გასცემს და ეს მართლაც ასე იყო: „სადაც ეცხოვრობ, იქ სისაძაგლეს არ ჩავდივარ".

ჩვენი გაერთიანების ყოფილი თანამშრომელი, N4 მაღაზიის დირექტორი, ვაჟა დათუსანი კარგად მიცნობდა და მენდობოდა. მან ერთხელ მითხრა, რომ ბ. კ. საყვარელიძესთან კომერციული კავშირი ჰქონია თურმე და ერთხელ საყვარელიძემ მისი წილი 200 ათასი მანეთი (ახალი კურსით) მიითვისა თურმე.

(ცირეკიძე ჰყვება, რომ დათუსანს უნდოდა ამ ორასი ათასი მანეთის მიცემა იმ პირისათვის, ვინც საყვარელიძის მოკვლას იკისრებდა. ცირეკიძემ ეს ამბავი გაბუნიას უამბო, რომელმაც დააკლა დათუსანის დამუშავება იმგვარად, რომ როგორმე მისთვის 10 ათასი მანეთი გამოერთმია, მაგრამ დათუსანი წინასწარ არაფერს იძლეოდა და მხოლოდ საყვარელიძის სიკვდილის შემდეგ კისრულობდა მთელი თანხის გადახდას. მაშინ გაბუნიამ დაკალა ცირეკიძეს წასულიყო საყვარელიძესთან და პირადად მისთვის ეამბნა ყველაფერი, რაც ცირეკიძემ შეასრულა. იგი რამდენჯერმე მიაგზავნეს დათუსანთან, მაგრამ იგი ანკეტზე არ ეგებოდა).

„მაშინ გაბუნიამ და საყვარელიძემ ეშმაკობას მიმართეს, მეც მომატყუეს და ბრმა იარაღად გამომიყენეს: იმისთვის, რომ ციხეში ჩაეესვით, საყვარელიძემ და გაბუნიამ ერთობლივად დამპალეს ინსცენირების მოწყობა, რისთვისაც საყვარელიძე დიდ თანხას და კარგ სამსახურს დამპირდა. მეც დავთანხმდი.

საყვარელიძის კაბინეტში სპეციალურად აკეთეს აურზაური, რაზეც წინასწარვე ვიყავით შეთანხმებული, და ორჯერ გავისროლე პარაბელუნი (იარაღი იმათი იყო).

მე სულელმა არც კი ვიცოდი, რა საქმისთვის მიყენებდნენ: თურმე საყვარელიძეს წინდაწინვე დაურხევია ხმა, რომ მასზე, როგორც პატიოსან თანამშრომელზე, ვიღაც გარეწრებს თავდასხმის მოწყობა და მოკვლა სურთ (იმჟამად საყვარელიძე ჭანუყვაძესთან და მჟავანაძესთან მეგობრობდა და ეს ამბავი

ყველამ იცის).

ამის შემდეგ ასტეხეს ხმაური, გაერცელდა ხმა, რომ 1970 წლის 2 ივლისს იყო მცდელობა საყვარელიძის მოკვლისა. მე მაშინვე გაბუნიასთან შევედი კაბინეტში (არაერთგზის მისაუბრია აგრეთვე საყვარელიძესთან პირადად და ტელეფონითაც).

მოკლედ რომ ვთქვა, ამ ხალხმა კვლავ გამაცურა: მათ დამარიგეს მეცრუა, რომ მოკვლა კი არ მსურდა თითქოს საყვარელიძის და რომ ეს არც ინსცენირება ყოფილა (ამაზე მირჩიეს საერთოდ გაეჩუმებულიყავი) და მეთქვა თითქოს საყვარელიძემ დედა შემაგინა და იმაზე გაბრაზებულმა ვესროლე.

გაბუნიამ უფროსთან შემიყვანა და მე მართლაც სიცრუე ვილაპარაკე, როგორც შეთანხმებულნი ვიყავით. გამოძიებასაც და სასამართლოსაც ყალბი ჩვენებები მივეცი. სიმართლე დავფარე, თითქოს ეს ინსცენირება კი არა, ნამდვილი ამბავი იყო, რითაც საყვარელიძემ დაამტკიცა, რომ დათუსანი მისი მტერია და მის მოსაკლავად ხალხი მოისყიდა. ამ გზით იგი დროებით გამოძერა დარჩეული თხილის კომერციის გახმაურებული საქმიდან. მაგრამ შემდეგ საყვარელიძემ ოკაშში შემთხვევით ქალი მოკლა, ამას თხილის საქმეც დაემატა და მას ოთხი წელი მიუსაჯეს.

მოტყუვდი. საყვარელიძე მეევდრებოდა გავჩუმებულიყავი და ათას სიკეთეს მპირდებოდა. გამასამართლეს 228 მუხლის მესამე ნაწილით და 6 წელი მომისაჯეს.

დაპატიმრების შემდეგ, 1970 წლის 2 ივლისს გადამიყვანეს წინასწარი პატიმრობის საკანში (კპზ), სადაც ნოდიას ყალბი ჩვენება მივეცი. დღე-ღამის შემდეგ გადამიყვანეს №1 საგამოძიებლო იზოლატორში. კომენდატურაში დამხვდა ლეჟავა და გამაცნო ოპერი პანფილოვი. ლეჟავამ მითხრა, რომ მას დაურეკა გაბუნიამ და რომ იგი მიცნობს მე როგორც აგენტს. მომათავსეს №2 სპეციალური კორპუსის N43 საკანში. აქვე მინდა აგიხსნათ, თუ რას ნიშნავს სპეციალური კორპუსი.

N2 კორპუსი ციხის მარჯვენა ფრთაზეა და სხვა კორპუსებისაგან იზოლირებულია. იგი დაარსდა 1966 წელს და გამიზნული იყო თავიდანვე მხოლოდ აგენტურული მუშაობისათვის. ძველი კორპუსი გადაკეთდა და ყოველგვარი აპარატურით აღჭურვილი 10 საკანი გიახსნა. ამ საკნებში მხოლოდ აგენტს პატიმრებსა და მათი საშუალებით დასამუშავებელ ობიექტებს ათავსებდნენ.

კამერები არ იყო საერთო. მათში მხოლოდ 5-6 კაცს სვამდნენ. კორპუსში შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ უფროს ოპერსა და მის მოადგილეს. იქ შესვლის უფლება რეჟიმის უფროსსაც კი არ ჰქონდა.

მორიგეობდნენ სპეციალურად შერჩეული ერთგული კონტროლიორები და კორპუსის თანაშშრომლები. კონტროლიორებს შორის ოპერ-განყოფილებიდან მიმაგრებულნი იყვნენ სპეციალური კონტროლიორები, რომელთაც ოპერების დავალებით პატიმართა წერილები მიჰქონდათ მათ ახლობლებთან და ამნაირად ხსნიდნენ საქმეებს.

ეს კონტროლიორები იყვნენ: შოთა გოგიევი, ვოვა იაშვილი, ვალერი მელიქიანი, საშა ლხინაძე, იუზა ჯანგიანი, გოდერძი გოდერძიშვილი. მათი მეშვეობით

ოპერატიული განყოფილება პატიმართა ნათესავებთან ამყარებდა კავშირს.

როდესაც დავასკვენი, რომ სპეციალურ კორპუსში იმიტომ ვიყავი მოყვანილი, რომ აგენტურულად დავევშავებინეთ, რათა სიმართლე დამეფარა, და რომ გაბუნიასა და საყვარელიძის მსხვერპლი გავხდი, 1970 წლის 21 ივნისს დაეწვი პირადი ნივთები და გადაეწყვიტე თავი დამეწვა, მაგრამ გადამარჩინეს და შიშველი გამომიყვანეს ცეცხლიდან. შემდეგ ჩამაცვეს სხვისი (დახვრეტილის) ტანსაცმელი, და რადგან განვაცხადე, რომ დამნაშავენი საყვარელიძე და გაბუნაა-მეთქი, იმ დღესვე შინაგან ციხეში გადამიყვანეს, რათა არ მეყბედა.

ციხეში მიყვანისთანავე იქ დამხვდა ოდიშვილი, მესაუბრა, დახმარებას დამპირდა თავადაც და საყვარელიძის პირითაც. მაცდუნა ამგვარად და ჩამსვა აგენტურულად დასამუშავებელ ობიექტ ოთარ კიტრაძესთან №4 საკანში.

კიტრაძე დავამუშავე, ყველაფერი ვაღიარებინე და გავხსენი საქმე საქ. შსს-ს „ობეზეესის“ მუშაკებზე, რომელთაც გამომძალვით გაძარცვეს ერთი ებრაელი ქალი და 45 000 მან. წაართვეს. იქვე დავამუშავე მკვლელობაში ეჭვმიტანილი ომაროვი, ვიღაც აბელი და ძმები ხურცილავების საქმეზე დაჭერილი ჟორა და ვალ. ურატაძეები.

აქ ვიმუშავე 8 ოქტომბრამდე და შემდეგ ქ. ბათუმის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში გადამიყვანეს. იქ ვიმყოფებოდი იმავე წლის 20 ოქტომბრამდე. N2 საკანში ვისხედით მე, ცინცაძე, ჯანელიძე და ვიტალი ვახანია. ღარიბოვის თხოვნით (ბათუმის უშიშროების კომიტეტის მუშაკი) დავამუშავე ცინცაძე და ჯანელიძე. ვახანია განსაკუთრებული ობიექტი იყო, რისთვისაც ბათუმში გადმომიყვანეს. ვახანია ვაიძულე დანაშაული ეღიარებინა და იგი გამოტყდა, რომ ჯანელიძესთან ერთად არმაში სამსახურისას მოიპარა ორი ავტომატი, ოპტიკურსამიზნიანი კარაბინი, ტყვიები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ყველაფერი ეს დურუ ხურცილავას გადასცა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა ამ იარაღებით. შემდეგ თბილისის უშიშროების კომიტეტში დამაბრუნეს და 31 დეკემბრამდე ლაზიშვილის საქმეზე აგენტურულად ვამუშავებდი მაცაბერიძეს, ცქიტიშვილს, ყუფარაძეს და სხვებს.

უშიშროების კომიტეტის N1 იზოლიატორში ყოფნისას თირკმელები ამტკივდა (ქვამ გამიარა) და საავადმყოფოში გადამიყვანეს. იქ ვთანამშრომლობდი ოპერ ჯონნი ხაჩატუროვთან და ლეჟავასთან. შემდეგ გადამიყვანეს N37 საკანში, შემდეგ მცირეწლოვანთა კორპუსში მცირეწლოვანებთან, სადაც ქორიძემ „გამშიფრა“. გავამტვრიე კარი და წავედი იქიდან გაბრაზებული.

კვლავ მეორე კორპუსში მომათავსეს, N45 საკანში. ყველანი დახმარებას მთხოვდნენ, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი და უარს ვეუბნებოდი. კარანაძემ მაცნობა, რომ უშიშროების კომიტეტში შენს გადაყვანაზე ჯერ თავს იკავებენო. არც მე მქონდა მუშაობის სურვილი. პანფილოვი და სვიმონიშვილი ყოველნაირად მაიძულებდნენ, რომ მემუშავა, მაგრამ მე უარზე ვიდექი. იმისათვის რომ მოვეტეხე, ავანტურებს მიწყობდნენ და კარცერში მსვამდნენ. გარდა ამისა, რომ თვითონ არ ვმუშაობდი, სხვებსაც ვუშლიდი ხელს მუშაობაში.

N39 საკანში აგენტმა აღდგომელაშვილმა პანფილოვის დავალებით სასტიკად სცემა ობიექტი ისკანდერაშვილი და ვიღაც რუსი აგენტ სარქისოვის თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრებით. N45 საკანში აღდგომელაშვილმა პანფილოვის დავალებით სცემა მიხელაშვილი (ებრაელი), N44 საკანში აგენტებმა ქურდიანმა და წიკლაურმა სცემეს და სამართებლით დასჭრეს დათუსანი. **N37 საკანში აგენტმა ოსიპიანმა პანფილოვისა და სიმონიშვილის დავალებით სასტიკად სცემა ობიექტი ვიტალი კუზიანიძე, რომელსაც მთელი შიგნეული დაუზიანდა, პირიდან სისხლი აღებინა და მალე გარდაიცვალა კიდეც საავადმყოფოში. იგი „ჩამწერეს“.**

აგენტებმა გურამ გოგუამ და თედო დოლიძემ N38 საკანში სცემეს ობიექტებს, მათ შორის კობაზიესაც, რომელიც ფეხებით ჩამოჰკიდეს და ააძოლეს გამომტყდარიყო. ერთი სიტყვით, კორპუსი სპეციალური იყო, სადაც გაბატონებული იყო სისტემა, ნებისმიერი საშუალებით ობიექტის დამუშავებისა, რაზედაც მითითებებს იძლევდნენ პანფილოვი, სიმონიშვილი, ბურდული და სხვები.

ეზედავდი რა ყველაფერ ამას: რომ ადმინისტრაცია ყველანაირად იყენებს აგენტებს ათასნაირი დაპირებებით, შემდეგ კი „შიფრავენ“ მათ და ყველაფერში ატყუებენ, გადაწყვიტე აღარ მეთანამშრომლა მათთან, მაგრამ გამუდმებული კარცერებით გამტეხეს და მაიძულეს მათთან მემუშავა, მით უმეტეს რომ ყველაფერში სრულ გარანტიას იძლეოდნენ. **აგენტმა დალაქიანმა დამუშავებისას ობიექტი მოჰკლა და მხოლოდ ერთი წელი დაუმატეს, საქმე კი მიაფუჩეჩეს.**

დავთანხმდი მათთან თანამშრომლობაზე და დავამუშავე ობიექტები: გოგავა, ტურცევი, ხარეზოვი, ბურჯანაძე, თეზიკო ლაზიშვილი, მაგრამ კორპუსის მუშაკმა — შალიკო ქებაძემ გამშიფრა და 1971 წელს გადამიყვანეს N31 კოლონიაში.

1 ნოემბერს კოლონიიდან გადამიყვანეს თბილისის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში, სადაც ვმუშაობდი 1 მარტამდე და დავამუშავე ობიექტები: სემიონოვი, სულავა, კვარაცხელია, თოდრია, ბარბაქაძე, იაკოვლევი, გულია და ა.შ.

1 მარტს გადამიყვანეს N1 საგამომძიებლო იზოლიატორის საავადმყოფოში, სადაც ვამუშავებდი ობიექტს (გვარი არ მახსოვს) კოვალჩუკის დავალებით. №127 პალატაში სადამოს მოულოდნელად კონტროლიორმა ზინა რაევსკაიამ შემოუშვა დურუ ხურცილავა, რომელიც დანით მემუქრებოდა მოკვლას. იგი დაეაწყნარე ამით, რომ რაღაც მოვატყუე მისი საქმეების შესახებ და დახმარებას დაეპირდი. მე „გამშიფრა“ მარო მეკოკიშვილმა, რადგანაც განაწყენებული იყო ჩემზე.

3 მარტს გადამიყვანეს წინასწარი პატიმრობის კამერებში, სადაც ქალაქის გაფორმების საქმეზე დავამუშავე ობიექტი გიორგობიანი და ყველა მისი თანამზრახველი გამოვავლინე.

10 მარტს კვლავ გადამიყვანეს უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში, სადაც სპეციალურად გამშიფრა ანდრო ბადალოვმა. ადმინისტრაციის დავალებით მე გავლახე ობიექტი იაკოვლევი (უნდა აღვნიშნო, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ობიექტები თავად გვეჩხუბებოდნენ და გეცემდნენ. მაგალითად: **სემიონოვმა ცხვირი გამიტეხა, მაგრამ მე მისთვის ხელი არ მიხლია, რადგან დავალებული არ მქონდა.**

14 მარტს გადამისროლეს ქალაქ ქუთაისში. იქ საკანში ჩამსვეს ობიექტ

იგორ გაგუასთან. მილიციის დავალებით მე ვენები გადავიჭერი საკანში, რათა გაგუას ნდობა მომეპოვებინა და ყველასათვის მოულოდნელად გვეცნობა საქმე ტაქსის შოფრის, ებანოიძის მკვლელობისა. დავადგინე აგრეთვე გაგუას თანამონაწილე ამ მკვლელობაში მურთაზ ადეიშვილი (გაგუა დახვრიტეს). გარდა ამისა, გავხსენი გაგუას მიერ ჩადენილი უამრავი საქმე: ბანდიტობა, ძარცვა... ალმოვაჩინე ცეცხლმსროელი იარაღი.

ასევე დავამუშავე ობიექტი ხარშილავა. **შავიშვილისა და ესაკიასაგან მიღებე ჯაჯლება გამეპედერასტებინა იგი**, რადგან ხარშილავა ქურდი იყო და საჭირო იყო მისი გაფუჭება (გაპედერასტება მრავალი საშუალებით შეიძლება, აუცილებელი არ არის მამათმავლური აქტის შესრულება).

ამის შემდეგ გაბუნიას დავალებით გადამისროლეს ქ. ბათუმის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში ობიექტის, მურად ებრალიძის (არც ერთი ფეხი არა აქვს) დასამუშავებლად. შეფ ბეშნინძის თხოვნით გარდა მურად ებრალიძისა დავამუშავე ობიექტი მაისურაშვილი, გამოვარკვიე მისი თანამონაწილენი: კუკულაძე, ცინცაძე და ა.შ. ისინი ქ. ბათუმში ქურდობასა და ძარცვას ეწეოდნენ. ვიშოვე ნივთმტკიცება: 15 000 მანეთად ღირებული ბრილიანტის ბეჭედი. თვითონ მაისურაშვილი კი აღიარებამდე გავუშვი. უნდა აღვნიშნო ჩემი მუშაობისათვის დამახასიათებელი ხელწერა: ობიექტების უმრავლესობას აღიარებაზე ვუშვებ.

ებრალიძე კი დავამუშავე ლანჩხუთში მომხდარი მკვლელობის საქმეზე (მოჭკლეს გვარძელაძე და შემდეგ მატარებელს შეუგდეს). ებრალიძესთან ერთად ვიჯექი №6 საკანში მარკოზაშვილის გვარით.

აგენტები ზშირად იცვლიან გვარებს. მე მრავალი გვარით ვმჯდარვარ: ეს ამისათვის კეთდება, რომ არ გაგშიფრონ, ან გვარი გაშიფრულია და ამიტომ ახალი გვარია საჭირო სხვა ობიექტების დასამუშავებლად.

1972 წელს კვლავ გადამისროლეს ქუთაისში. იქ ვამუშავებდი ობიექტებს: გელაშვილს, ლომიძეს, სიორიძეს, დვალიშვილს („შუშა") და ჭელიძეს, რომელთაც თერამეტი წლის ბიჭის მკვლელობა ედებოდათ ბრალად. ვმუშაობდი კარგად.

ამასობაში ჩემმა ცოლმა ინფარქტი გადაიტანა და თბილისში დარეკვა მინდოდა, რის ნებასაც ადრე ზშირად მაძლევდნენ. ძალზე ენერვიულობდი, ესაკია კი გამუდმებით მატყუებდა.

ქუთაისში ყოფნის დროს მაიძულეს ჭელიძის გაპედერასტება.

მილიციის მუშაკების დავალებით არაერთგზის მქონია ინტიმური კავშირი ალა შატროვასთან, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ სიფილისი სჭირდა, შევშინდი და დახმარებისათვის შავიშვილს მივმართე, მაგრამ მან ისევ ციხეში გადამისროლა, სადაც კვლავ ვეზმარებოდი.

შავიშვილმა მიბრძანა, თუ დაავადდებოდი, მეთქვა, რომ თითქოს ავადმყოფობა ბათუმში შემეყარა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბათუმში კარლო გოგუასთან ვმუშაობდი ტელმანის ქუჩაზე. შემდეგ სანქციისათვის ბათუმის №8 საგამომძიებლო იზოლატორში გადამიყვანეს.

იქ მიმიღეს როგორც ჩვეულებრივი პატიმარი და ებრალიძესთან შეუთანხმებლად ცირკეიძის გვარით ჩამსვეს N12 საკანში. ებრალიძე კი მარკოზაშვილის

გვარით მიცნობდა. ამასთანავე კორპუსის მუშაკმა ჩიქოვანმა გამიფრა. საერთოდ საგამომძიებლო იზოლიატორის ადმინისტრაცია ფიქროობდა, რომ მე მათი იზოლიატორის დასამუშავებლად ვყავდი გაგზავნილი მინისტრის მოადგილეს პ. ვ. კოვალჩუკს. კარებზე ვაბრახუნებდი გამწარებული, რადგან გაშიფრული ვიყავი, მაგრამ ჯერს არავინ მიგდებდა, გარეთ არ მიშვებდნენ. იძულებული ვიყავი სარკმელი გამემტვრია, რადგან როგორც წესრიგის დამრღვევი, ისე მაინც გავეყვანე იქიდან. მაგრად მცემეს, ათი საათი სველ კამერა-ბოქსში მამყოფეს ხელ-ფეზზე ბორკილდადებული. ციხის თანამშრომლები დამცინოდნენ და მიყვიროდნენ: „თბილისელო ბიზო! შენი ნომრები აქ არ გაგიავო". ამის შემდეგ გაუფორმებლად კარცერში მამყოფეს ათი დღე-ღამე და ეტაპით გამომისტუმრეს თბილისში და თან მარიგებდნენ არ გვიჩივლოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩამოსვლისთანავე ყველაფერი დავწერე კოვალჩუკის სახელზე და ყველანი დასაჯეს.

ყველაზე გაბრაზებულმა საბოლოოდ მივატოვე აგენტურული მუშაობა და 7 ივნისს კოლონიაში გადავედი, სადაც 1972 წლის 28 აგვისტომდე დავრჩი. მაგრამ აგენტურული მუშაობა კოლონიაშიც მაიძულეს კოლონიის უფროსმა მამალაძემ, ეროგელილიმ და ოპერმა შალამბერიძემ. რა გაკეთებოდა, იქაც ვეხმარებოდი ადმინისტრაციას. ერთი სიტყვით, როგორც კაჩაა ქალი ვერ აცდება მამაკაცს, ასევე მეც ვერ შევძელი მათგან თავის დაღწევა. სად წავიდოდი.

ილო დავარაშვილის სანქციით 28 აგვისტოს გადამიყვანეს №1 საგამომძიებლო იზოლიატორში გიორგი მანუკოვის საქმეზე (ქრთამი).

N1 საგამომძიებლო იზოლიატორში მისვლისთანავე სვიმონიშვილმა მიმიღო და აგენტურულ მუშაობაში დახმარება მთხოვა, სამაგიეროდ თავისუფლებას მპირდებოდა. უარი ვუთხარი, მაგრამ მიბრძანა კარგად მეფიქრა და იმ დღესვე N40 საკანში მომთავაესა.

მეორე თუ მესამე დღეს კელაე გამომიძახა სვიმონიშვილმა და მარგო აკოფოვას და ჩემი ცოლის თანდასწრებით მითხრა: თუ ჩემთან ითანამშრომლებ, ერთ წელიწადში გაგათავისუფლებო. უარი ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა და ათასნაირი დაპირებებით კელაე დამიყოლია.

1973 წლის ოქტომბრამდე №40 საკანში დავამუშავე შემდეგი ობიექტები (ვინც მახსოვს): ბოჟაძე, დოლოიანი, აბესაძე, გრიგორიანი, ენუქიძე, მიჩიტაშვილი, დოლუა, მეზვრიშვილი, ოთარაშვილი, ფრიდონიშვილი, ალაშაშვილი, წულაია, ბარბაქაძე, ფოლადოვი, შენგელაია, გორაძე, გაგუნავა, ფეფლოვი, თალაკვაძე, რაჯაბოვი, მამამედოვი, ტოვოიანი, ქარდავა, მაშულიანი, ანუჩინა, გუმაჩენკო და ა.შ.

მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე, 1970 წლიდან 1973 წლამდე ჩემი უშუალო მონაწილეობით გაიხსნა 200-ზე მეტი საქმე. მათ შორის განსაკუთრებით საშიში **სახელმწიფოებრივი** დანაშაულობანი.

უნდა აღვწერო მეორე კორპუსის მდგომარეობა, მისი სისტემა და თუ რა დავალებები ეძლეოდათ იქ აგენტებს გამონაკლისის გარეშე. მეორე კორპუსი, როგორც მოგახსენეთ, სპეციალური იყო. ყველა საკანში აგენტები ისხდნენ და ობიექტებზე მუშაობდნენ. ისინი ათასნაირ დავალებებს ასრულებდნენ, რისთ-

ვისაც გასამრჯელოს სახით ეძლეოდათ ნარკოტიკები, მაგარი სასმელები, პაემანი სპეციალურ ოთახებსა და კაბინეტებში როგორც ახლობლებთან და ნათესავებთან, ასევე ბოზებთან, აძლევდნენ დამატებით საკვებს, აპირდებოდნენ გათავისუფლებას და ა.შ.

ზშირად გვაკალებდნენ ობიექტების ცემას, როგორც ჩვენების გამოძალვისათვის, ასევე ადმინისტრაციის მუშაკთა პირადი ინტერესებისთვისაც. პირადად დავალებებს იძლეოდნენ: ლეჟავა, სვიმონიშვილი, პანფილოვი, ქორიძე, ფროლოვი, რომელიც თავადაც სცემდა პატიმრებს საკანში. ყველაფერი ეს უფრო დაწერილებით მინდა აღვწერო:

მეორმოცეკ საკანში აგენტებმა ადმინისტრაციის დავალებით სცემეს: ახმედოვს, წულაიას, მიჩიტაშვილს, ფრიდონიშვილს, ტაბიძეს, ამაზარიანს, გუმარენკოს, გოოთიანს, პოპადოვს და სხვებს.

უნდა აღვნიშნო, რომ აგენტები დავალებებს ასრულებდნენ სხვა საკნებშიც: თავიანთი საკნიდან გადადიოდნენ ობიექტის საკანში, ასრულებდნენ დავალებას და მაშინვე თავიანთ საკანში ბრუნდებოდნენ. ისინი სპეციალურ კორპუსში გამოგონილი სახელებითა და გვარებით ისხდნენ. მეორე კორპუსს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, ლეიტენანტი ფროლოვი, ვისი მეშვეობითაც აგენტები ზეპირად თუ წერილობით ღებულობდნენ დავალებებს უფროსებისაგან.

1972 წლის სექტემბერში აგენტებმა: ალ. თათევოსიანმა, მ. კ. გრიგორიანმა, ელოიანმა ფროლოვისა და სვიმონიშვილისაგან მიიღეს დავალება გაელახათ ბ. ბარბაქაძე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო სოფელ ჩალაუბანში მოკლული ტაქსის მძღოლის, ბაკურციხელი ჯადულიშვილის მკვლელობაში. ბორის ბარბაქაძე მაგრად სცემეს. მისი ღრიალი მთელ კორპუსში ისმოდა. გამწარებულმა ბარბაქაძემ მთელი ძალით ჩაასო ზურგში კბილები აგენტ გრიგორიანს. ფროლოვსა და სვიმონიშვილს ამ დავალების შესრულება სთხოვა საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა ტარიელ თავართქილაძემ.

იმავე საკანში ფროლოვის დავალებით აგენტებმა ელოიანმა და ალბერტ სააკიანმა სცემეს საშა ბაბაჩეკს. ამ პროცედურას თავად ფროლოვი სათვალთვალო ჭუჭრუტანიდან უყურებდა და ტაბებოდა. ზემოხსენებულ საკანში აგენტებმა: სააკიანმა, ჩუმაჩენკომ და უსუპიანმა სცემეს ობიექტ ზაბელიანს, რაც თავის კაბინეტში ბოლომდე მიიყვანა თავად ფროლოვმა.

აგენტი იური ელოიანი, იგივე თენგიზ არჩეაძე, ადმინისტრაციის დავალებით სისტემატურად სცემდა ობიექტებს: ამაზრიანს, მამულიანს, ქარდავას და ა. შ.

ჩემი მონაწილეობით აგენტებმა ზერეკიძემ და აკოპიანმა იმავე საკანში სცემეს ობიექტ ანუგინს. ფროლოვის დავალებით გაილახა აგრეთვე აგენტი აკოპიანი. იგი ებედობდა, რომ ფროლოვს 30 მანეთ ქრთამს ვაძლევ ხოლმე და იგი თავის კაბინეტში ერთ გათხოვილ ქალთან მიწყობს შეხვედრებს, რომელთანაც ინტიმური კავშირი მაქვსო.

38-ე საკანში აგენტებმა ჭოჭუამ და დოლიძემ მრავალი გალახეს. აგენტმა კიკნაძემ სცემა კვირკველიას, აგენტებმა ზერეკიძემ და მაისურაძემ სცემეს

ეფენდიევს და ა.შ. 37-ე საკანში აგენტები გუმაჩენკო და ელოიანი სცემდნენ ფოლადოვსა და დავითაშვილს, აგენტები აკოფიანი და კამკამიძე სცემდნენ შარაშიძეს, აგენტი უსუპიანი სცემდა ყველას. 36-ე საკანში ალკოვანმა სცემა ობიექტ უგულავას. აგენტები პაკისოვ-სარდიშვილი, ბოკუჩავა და კიკნაძეც სცემდნენ უგულავასა და სხვებს.

44-ე საკანში ზიბზიბაძე და უსუპიანი სცემდნენ შარაპიანს, გვენცაძეს, ქელბაქიანსა და სხვებს. ყველას რა ჩამოთვლის. მოკლედ რომ ვთქვათ, ცემა-ტყეპა ყველა საკანში მიმდინარეობდა და კორპუსში გამუდმებით ისმოდა ობიექტთა კვნესა-ღრიალი.

ისმაილოვის სიკვდილის შემდეგაც ფროლოვის მითითებით აგენტები ისევ სცემდნენ ობიექტებს. მაგალითად, ნოემბრის თვეში აგენტმა ჯემალ კიკნაძემ (იგივე ხაჩიძე) სცემა ობიექტ ალასკეროსა და სხვებს. 42-ე საკანში ადმინისტრაციის დავალებით სცემეს და მამათამავლურად გაუუპატიურეს ობიექტები: ბაბაევი, კიკნაძე, სტეფანია და სხვები. 45-ე საკანში სცემეს ალასკერ ალასკეროვი. 38-ე საკანში ზიბზიბაძე და საყვარელიძე. **აგენტებმა ზიბზიბაძემ და ოქროშაშვილმა 11 იანვარს იმავე საკანში სასტიკად სცემეს ვასილიევი, რომელიც საავადმყოფოში გახდა წასაყვანი.** სცემეს მოზუცი საიდაკარი და სხვები. აგენტები შედიოდნენ ნებისმიერ საკანში და ადმინისტრაციის დავალებით სცემდნენ ობიექტებს.

ზიბზიბაძე და ოქროშაშვილი 38-ე საკნიდან გადმოვიდნენ ჩვენთან, მე-40-ში და სცემეს ობიექტები: ალასკეროვი და იამარ მაკარამოვი. 38-ე საკანში ზიბზიბაძემ და ერთმა მეგრელმა გალახეს ებრაელი ფიჩხაძე. **მოკლედ ნამდვილი სასაკლაო იყო.**

ეს ყველაფერი გაიგო საგამომძიებლო იზოლიატორის ახალმა უფროსმა გაბუნიამ და ამ არაადამიანური დავალებების ლიკვიდაცია მოახდინა. ფროლოვს შინაგან საქმეთა კოლეგიაზე ყველაფერი დუმტკიცეს და მოხსნეს. ფროლოვს თავად მოჰქონდა არაყი კორპუსში და აგენტებთან ერთად სვამდა საკანსა და სამუშაო ოთახში, სადაც ხშირად იმართებოდა ღრეობები. მთვრალი ფროლოვი ხშირად შეეარდნილა საკანში და თვითონვე უცემია გამოსატეხი პატიმრები. მაგ.: ღარიბაშვილი, ბაბიჩევი; აგენტები: ჩუმაჩენკო, აკოპიანი, უსუპიანი და ა.შ.

თავის კაბინეტში იგი აწყობდა არალეგალურ შეხვედრებს პატიმრებსა და მათ ნათესავებს შორის, მოჰყავდა ქალები, აწყობდა ღრეობებს 4-5 აგენტთან ერთად და სვამდა ჩემი გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფროლოვი თავისი უსინდისო მუშაობით შიფრავდა აგენტებს და ქრთამის გამოძალვას ეწეოდა. იგი ხშირად მოდიოდა კორპუსში მთვრალი, აგენტებს თავისუფლად სეირნობის უფლებას აძლევდა. საქმეების გახსნისათვის ფროლოვი თავის უფროსებთან ერთად ყველაფერზე და ყველანაირ დათმობაზე მიდიოდა და აგენტებს კანონით აკრძალულ დავალებებს აძლევდა.

თავისი სიხარბის დასაკმაყოფილებლად ფროლოვი საააგენტურო მონაცემებსაც კი ჰყიდდა პატიმართა ნათესავებზე, ახლობლებზე და თვით ბოროტმოქ-

მედებათა თანამონაწილეებზე და დიდძალ ფულს შოულობდა.

ჩვენი სააგენტურო მუშაობის ხელწერა ერთ რამესაც ითავსებდა: უფროსების დავალებითა და ოპერატიული მუშაკების მეშვეობით ობიექტებს გარე საშაროსთან ეკავშირებდით, რათა გამოგვერკვია თანამონაწილენი, დაგვემტკიცებინა დანაშაული, გვეშოვა ნივთმტკიცება. წერილებში ზოგჯერ ობიექტები თავიანთ საიდუმლოებებზე სწერდნენ, ამჟღავნებდნენ ფულის, ოქროს, სხვა ძვირფასეულობის სამალავებს და ახლობლებს სთხოვდნენ სხვაგან გადაეშალათ ისინი.

გარდა ამისა, ობიექტები წერილებში ასახელებდნენ თანამონაწილეებს, სთხოვდნენ დახმარებას, ეწეოდნენ ფულის გამოძალვას და უარის შემთხვევაში გაცემით ეშანტრებოდნენ. ამის მიხედვით ჩვენ, აგენტები ვამშავებდით ობიექტებს, ვირკვევდით მათ საიდუმლოებებს, ვამჟღავნებდით მათ თანამონაწილეებს, ვაუშკარავებდით მათ საიდუმლოებებს, ვაუშკარავებდით მათ დანაშაულს, ვიგებდით ბოროტმოქმედებებით დაგროვილი სიმდიდრის ადგილსამყოფელს და ეს სიმდიდრე შემდგომში სახელმწიფო ბიუჯეტს ემატებოდა.

ამგვარ მაზეში გაბმული ობიექტი იძულებული იყო ეღიარებინა დანაშაული, დაესახელებინა თანამონაწილენი.

წინასწარ ხდებოდა ყველა წერილის ფოტოგრაფირება, რომლებიც ოპერანგაყოფილების გაელით და დამაკავშირებლის ხელით გადიოდა. გარდა ამისა, ობიექტებს ვაკავშირებდით მათ თანამონაწილეებთან, რომლებიც სხვადასხვა საკნებში ისხდნენ. მათი მიმოწერის საშუალებით ეგებულობდით მათსავე დანაშაულის შესახებ. საქმიანი და საჭირო წერილები ინახებოდა აგენტებთან და ოპერგანყოფილებაში. აგენტი წერილს გადასცემს შეფს, ეს უკანასკნელი კი საგამომძიებლო ორგანოებს უგზავნის.

ზოგჯერ გამომძიებლებს ადგილზევე იძახებენ წერილების გადასაცემად. ისინი თავად კითხულობდნენ სააგენტურო მასალებს. ამასთან, აგენტთან საუბარში გამომძიებლები ძიებისათვის საჭირო გეზს ადგებოდნენ და სწორად წყვეტდნენ თუ როგორ უნდა წაეყვანათ ძიების საქმე.

ზოგიერთ საჭირო წერილს დანაშავის საქმეში აკრავდნენ, როგორც ნივთმტკიცებას, რითაც დანაშაულის ფაქტი მტკიცდებოდა.

სააგენტურო მუშაობის ხელწერაში ამგვარი ამბავიც შეინიშნებოდა: აგენტს შეცვლილი გვარით შეუშვებდნენ სხვა საკანში, სადაც იგი სცემდა ობიექტს და თავის საკანში ბრუნდებოდა. თუკი ობიექტი ინივლებდა, მას ყურადღებას არავინ აქცევდა, **ხოლო თუ სასამართლო კერძო განჩინებას გამოიტანდა, ან ვინმე დაინტერესდებოდა ამ ამბით, მაშინ ადმინისტრაცია ოფიციალურად, წერილობით პასუხობდა, რომ ამგვარი ფაქტი არ მტკიცდება, რადგან ობიექტის მიერ დასახელებული კაცი, რომელმაც იგი თითქოს სცემა, მეორე კორპუსში და საერთოდ ჩვენს ციხეში არ იმყოფებაო.**

ფაქტი ხდებოდა, მაგრამ მისი დამტკიცება არავის შეეძლო: სხვა საკნიდან შეუშვებდნენ აგენტს ობიექტის გასალაბად, ხოლო ის აგენტი, ობიექტთან ერთად რომ ეყოდა საკანში, ვითომ იცავდა მას. ამნაირი მოქმედებით იგი ობიექტის ნდობას იხვეჭდა და საქმეს ხსნიდა. აგენტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ

ბინძურ საქმეებზე, რუსეთში გზავნიდნენ, ხოლო დათანხმების შემთხვევაში, ყველაფერს უსრულებდნენ. ხშირად სასჯელსაც კი უხსნიდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ სააგენტურო დამუშავების მეთოდიკაში ხელმძღვანელობა უშვებს ყოველნაირ საშუალებას, რათა აიძულონ ობიექტი აღიაროს დანაშაული. მათ წინააღმდეგ იყენებდნენ ნებისმიერ საშუალებას, ყოველნაირ მახეს. **საჭიროების შემთხვევაში ისინი არ ერიდებოდნენ ობიექტის აგენტად ქცევასაც, რათა გაეჩუმებინათ იგი საკუთარი თავისა და ცოდვების მიმართ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგენტიც ხომ პატიმარია და თავისუფლებისათვის ყველაფერზე მიდის, ჯურს უგდებს თავის შეფებს და ყველაფერს უსრულებს (ხანდახან საკუთარი სიცოცხლის რისკითაც კი).

ზოგჯერ აგენტები შიშშილობასაც კი აცხადებენ ობიექტებთან ერთად, იხვეჭენ მათ ნდობას და საკუთარი თავისუფლებისათვის ყოველნაირად ატყუებენ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავადვე ვიწერნე ამ „სკოლების“ მთელი სისასტიკე: ნდობის მოსაპოვებლად ხშირად ვიჭრიდი ვენებს, ადმინისტრაციის დავალებით ობიექტებთან ერთად კვირაობით ვრჩებოდი მშიერი, მათთან ერთად ვიჯექი ქვეშგებელის გარეშე ნესტსა და სიცივეში. ჩემს წინააღმდეგ ათასნაირ ინსცენირებებს აწყობდნენ, თითქოს რეპრესირებული ვიყავი. ამნაირად შეჰყავდათ ობიექტები შეცდომაში და ჩემდამი ნდობას აღუძრავდნენ. აგენტურული მუშაობის ყველა მეთოდის აღსაწერად ქაღალდი არ მეყოფა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მოგითხრობთ ჩემს მიერ ობიექტების დამუშავების ამბავს.

დამაკავშირებელ-კონტროლიორებს, რომელთაც ოპერ-განყოფილების დავალებით პატიმართა სახლებში ან მათ ნათესავებთან წერილები მიჰქონდათ, ფულს უხდიდნენ. ეს ამბავი ოპერ-განყოფილებამ იცოდა. უფრო მეტიც, თანხის უდიდეს ნაწილს თავად ოპერ-განყოფილების მუშაკები ითვისებდნენ იმ საბაბით, თითქოს ეს საქმისათვის, ობიექტის გამოელენისათვის იყო საჭირო. 1972 წლის აგვისტოდან 1973 წლის ივლისამდე უამრავი ობიექტი დავამუშავე. ძნელია მათი ჩამოთვლა, ბევრი მათგანი აღარც მახსოვს, მაგრამ აღვწერ ზოგიერთს, რომლებიც დავიმახსოვრე.

1972 წლის სექტემბერში ჩემთან დასამუშავებლად მეოცე საკანში ჩასვეს გრაშა დოლოიანი (ქურთი). იგი ეჭვმიტანილი იყო ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნიდან“ 37 000 მანეთის მითვისებაში. იგი მტვირთავების ბრიგადირად მუშაობდა. მიწერებისა და ხელფასის გაზრდის საშუალებით მიითვისა მან ეს თანხა. დოლოიანი მარტო როი მოქმედებდა, მაგრამ თანამონაწილეები ცნობილი არ იყო, არც მისი მუშაობის მეთოდი იყო დადგენილი. თავისი ბრიგადით დოლოიანი „საქმტვირთავს“ ეკუთვნოდა.

დამუშავებისას დოლოიანი ცოლთან მიწერ-მოწერისას ჩავეთრიე. წერილები მიჰქონდა დამაკავშირებელ ვალერი მელქოიანს. მახეში გაბმულმა დოლოიანმა ყველაფერი აღიარა და სხვა საქმეებიც გახსნა: ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისა, მექრთამეობისა და ოქროთი სპეკულაციისა.

დოლოიანის წერილები გადაეცა გამომძიებელ ელგუჯა ჩხარტიშვილს. ასე გამომჟღავნდა ეს ბანდა.

მკელელი ფოლადოვი ჩვენ დავამუშავეთ მისივე თანამონაწილესთან აქეე, ციხეში. მანაც ყველაფერი აღიარა, რის შემდეგაც მოინახა ნივთიერი საბუთიც — იარაღი. კორპუსებს შორის დამაკავშირებელი იყო ვოვა კონსტანტინოვი.

ჩემთან შემოაგზავნეს აგრეთვე ხარაგოულელი მექრთამე ბოტაძე, რომელიც დავაკავშირე თანამონაწილე გოგავასთან და დანაშაული ვაღიარებინე: მათ ქრთამი გამოსძალეს ვიღაც პენსიონერს.

პროკურორ ლეჟავასა და მისი ძმის მითითებით, **როგორც მათ მითხრეს, თვითონ ე. შეკარდანძის დავალებით, ჩემთან შემოუშვეს ობიექტი რომან ენუქიძე, რომელიც ცხვარჭამიაში საბაღე კაკეთების გამნწილებელთა ჯგუფის წევრი იყო (საკორდინაციო ჯგუფი). ლეჟავა, სვიმონიშვილი და სხვებიც შემპირდნენ, რომ ამ საქმის გახსნის შემთხვევაში გამათავისუფლებდნენ, რადგან თვით შეკარდანძემ მოგვცა სიტყვაო.**

მთელი ძალები დავმაბე ობიექტ ენუქიძის დამუშავებისათვის. მას წინდაწინევე უთვალთვალებდნენ. იგი საკუთარ სახლთან დავაკავშირე, დავარწმუნე ყოველივე ელიარებინა და დოლოიანისა და ბოტაძის მსგავსად აღიარებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, შეკარდანძესთან გავგზავნე.

ენუქიძემ მინისტრთან ყველაფერი აღიარა, დაასახელა ყველანი, ვისაც მიწები გამოუყო, ობიელისის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები და ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხალხი ჭანუყვაძისა და მჟავანაძის ჩათვლით.

სვიმონიშვილის დავალებით მე გავიშიფრე ენუქიძის წინაშე, რის შემდეგაც იგი აგენტი გახდა და ჩვენ გვეხმარებოდა. ენუქიძე სპეციალურად აქციეს აგენტად, რათა საკუთარი თავისა და ცოდვების შიში ჰქონოდა და მომავალში თავისი ჩვენება აღარ გადაეთქვა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პ. ვ. კოვალჩუკის თხოვნით მე დავამუშავე ობიექტი თორაძე, რომელმაც ქრთამი მისცა მინისტრის მოადგილეს ჩხიკვიშვილს. თორაძეს ყველაფერი ვაღიარებინე და ჩხიკვიშვილი დაიპატიმრეს. ძიება მიჰყავდა წაქაძეს.

დამაკავშირებელი მელიქიანი მოხსნეს და მის მაგივრად მოიყვანეს ჯანგიანი. იუზა ჯანგიანს წერილები დაჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებულ საქმეებზე და საკითხებზე რაიონებში წერილები მიჰქონდა ე. რხინაძეს, ოპერ-განყოფილების მუშაკს, რომელიც სახლში მივიდა კარლო მიჩიტაშვილთან ველისციხეში.

სვიმონიშვილმა და ლეჟავამ პირდაპირ საავადმყოფოდან შემოსვეს ჩემთან მიჩიტაშვილი, პიჟამის ამარა, თითქმის შიშველი შუა ზამთარში (სპეციალურად). უნდა აღვნიშნო, რომ ობიექტებს აღიარებისათვის მხოლოდ მინისტრთან როდი ვუშვებდი, არამედ ლეჟავასთან და სვიმონიშვილთანაც.

მიჩიტაშვილზე[35] ამგვარი დავალება მივიღე: ნებისმიერი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული, რათა მინისტრთან, შეკარდანძესთან წაიყვანეს აღიარებაზეო.

მთელი სამი თვე ვიწვალე მიჩიტაშვილზე. აღიარებამდე[36] მიყვანილი ოთხჯერ

---

35 მიჩიტაშვილი, როგორც შსს-ს ბოროტმოქმედებათა საშიში მოწმე, როსტოვის ციხეში გადაგზავნეს და აქ მოაკვლევინეს 1974 წელს „შემთხვევით მოშხდარ ჩხუბში."

36 ცირეკიძემ ძალით დაიჭირა მამათმავლური კავშირი მიჩიტაშვილთან, სცემდა მას გულის წასვლამდე და ა.შ. (იხ. პატიმარ წულაიას საჩივარი).

გაეგზავნე ლეჟავასთან და სვიმონიშვილთან, მაგრამ ბოლო მოვენტრში უარზე დგებოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნე მიჩიტაშვილი, რომ აღიარება მას დაეხმარებოდა და რომ მის ვაუსაც არ გამოაგდებდნენ სამედიცინო ინსტიტუტიდან. ამის შემდეგ მან იარაღი დაჰყარა და ყველაფერი უამბო მინისტრს. ეს საქმე საფეხურებით ჯავახაძემდე ავიდა. მიჩიტაშვილი სალარიძის მეშვეობით ქრთამს აძლევდა გელბახიანს და სამედიცინო ინსტიტუტში აწყობდა თავის კახელებს ჩუმლაყიდან, ველისციხიდან, გურჯაანიდან და ა.შ. 50 000 მანეთად მიჩიტაშვილმა თავისი სამი შვილი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე მოაწყო.

შემდეგ მორიგი დავალება მივიღე მიჩიტაშვილზე: ყველანაირი საშუალებით უნდა მეიძულებინა იგი, რათა სახელმწიფოსათვის 50 000 მანეთი ჩაებარებინა. ეს საჭირო იყო როგორც ნივთიერი მტკიცება. აქ დაიწყო ნერვების აშლა: მიჩიტაშვილი სახლში აგზავნიდა წერილებს, რომლებითაც თხოულობდა ხან 5 ათას მანეთს, ხან 10 000 და არა 50 000.

დამავალეს მეცემა იგი და ამნაირად მიმეღწია საწადელისათვის. მას ვცემდით მე, ელოიანი და სააკიანი. ვცემდით საშუშო ოთახში, მუშაკ კონსტანტინოვის თანდასწრებით. ვახდენდით აღიარებისა და წერილის გამოძალვას.

ბოლოს მიჩიტაშვილმა ჩვენი თანდასწრებით დასწერა წერილი ძმის სახელზე და კელავ 5 ათასი მანეთი ჩასწერა. წერილებს ფროლოვსა და სვიმონიშვილს ვაბარებდით.

საკნიდანვე მისწერა წერილი მიჩიტაშვილმა ცოლს, სადაც სწერდა, რომ აუზთან ცელოფანში გახვეული 50 000 მანეთი მაქვს ჩაფლულიო, ერთი კვირის შემდეგ კი განცხადება დასწერა მინისტრის, ე. შევარდნაძის სახელზე და უკანონო გზებით ნაშოვნი ფულის ადგილსამყოფელი მიუთითა. ამით დავამთავრე მიჩიტაშვილის დამუშავება. საავადმყოფოში და 41-ე საკანში მას ამუშავებდნენ აგენტები: პეტროსიანი და ინაური.

სასამართლოს შემდეგ, გელბახიანის საქმეზე 44-ე საკანში მიჩიტაშვილს ამუშავებდნენ აგენტები: რეზეიაშვილი და როსტოვი, ხოლო შემდეგ, 43-ე საკანში აგენტები: კოსტავა და კამკამიძე. მიჩიტაშვილის აგენტურული დამუშავება გრძელდებოდა მატარებელშიც, მაგრამ ამის შესახებ დაწერილებით არაფერი ვიცი.

მიჩიტაშვილის დამუშავების პარალელურად ათამდე სხვა საქმეც გავხსენი: სალაროს გაძარცვისა, მასწავლებლის მკვლელობისა, მექრთამეობისა და ა.შ.

მიჩიტაშვილს რომ ვამუშავებდი, ჩვენთან იმყოფებოდა კარლო წულაია.[37] წულაია დავამუშავე, მან ყველაფერი აღიარა და ისიც აგენტად ვაქციეთ. მან ოცამდე საქმე გაუხსნა სვიმონიშვილს (მათ შორის აბრამიანისაც). წულაიას მეც ვაძლევდი დავალებებს და ისიც ასრულებდა ჩემს დავალებებს. დამუშავებისას წულაია ნდობაში შევიდა დამაკავშირებელ ჯანგიანთან და ამის მეოხებით მან კავშირი დაამყარა მეუღლესთან და ახლობლებთან.

წულაია ცოხეშვილ წერილებით დავაკავშირეთ პატიმარ ქარდავასთან. ისინი უამრავ წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. ამ წერილებს ფროლოვსა და ოლეგ

37 იხ. დანართი

თორთლაძეს ვაძლევდით. წულაია სწერდა ქარდავას, რომ 10 ათას მანეთს მისცემდა, თუკი იგი არ იტყოდა, რომ ქრთამი ჰქონდა მინაცემი მისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, წულაიამ წერილი მისწერა საკუთარ მეუღლეს, სადაც სთხოვდა, რომ 10 ათასი მანეთი მიეცა ქარდავას ცოლისათვის. ეს წერილი და სხვებიც თორთლაძემ აიღო. წულაიას ცოლს ფულის გადაცემისას დაადგნენ თავზე.

ამჟამად წულაია სიცრუესა და საზიზღრობას სწერს და ამგვარად ცდილობს თავის დაძვრენას. იგი მაშინაც ათასნაირ საჩუქრებს აძლევდა აგენტებს და დახმარებას სთხოვდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაედასტურებინათ, თითქოს მას სცემდნენ და ამგვარად აიძულებდნენ დანაშაული ეღიარებინა.[38]

წულაიას დიდი ხალხი ჰყავს ცეკაში, მათი დახმარების იმედი აქვს, წერს ანონიმურ წერილებს, საზიზღარ ცილისმწამებლობას ეწევა. იგი ნამდვილი გამომძალველი და მექრთამეა. სწორედ ნადარეშვილი ცდილობს დაეხმაროს წულაიას, ამიტომ მადანაშაულებს და იმედი აქვს, რომ მე თავად დავეხმარები წულაიას. ამისათვის მან დიდი მოგება ნახა წულაიასაგან. ელოიანისა და საakანის დახმარებით ქარდავაც აგენტად აქციეს, მაგრამ შემდეგ იგი საკნიდან გაიქცა, ყველანი გაშიერა და მთელი საagენტურო მუშაობა გამოამჟღავნა.

როდესაც სიმართლე დავადგინე, ქარდავამ გაიგო ეს ამბავი და 10 ათას მანეთს შემპირდა, მაგრამ მე უარი ვთქვი ფულზე.

ადმინისტრაციის დავალებით ჩვენ ობიექტებს ერთმანეთის წინააღმდეგ ვაქეზებდით, ისინიც ჩხუბობდნენ, რითაც კვალს ვურევდით, რომ არ გაეგოთ ნამდვილი აგენტების ვინაობა და არ გაეეთქვით. ობიექტი ტაბიძე სპეციალურად ჩასვეს ჩემთან აგენტებთან ერთად. აგენტები იყვნენ: ელოიან-არჩვაძე,[39] ჭუბაბრია-ბიბილეშვილი, მე და ვაჟა ფურაძე. ფროლოვის დავალებით ელოიანს ტაბიძე უნდა გაეპედერასტებინა, თუკი იგი არ გამოტყდებოდა 1972 წლის 15 სექტემბერს პიტაშვილის ქ. N21-ში ჩადენილ მკვლელობაში. მოჰკლეს ბებია და შვილიშვილი გოგონა, ჩეჩელაშვილება. ელოიანი დავალების შესრულებას შეუდგა, ჭუბაბრია სცემდა ტაბიძეს ქურდების სახელით, რადგან ვითომ მისი გულისათვის ქურდებს აწვალებდნენ და თითქოს ქურდებმა ბრძანეს ტაბიძის გაპედერასტება, თუკი იგი არ გატყდებოდა.

ტაბიძემ ტირილი დაიწყო და შველას მთხოვდა. შემეცოდა და აგენტებს მისი გაპედერასტება არ დავანებე. ამაზე ფროლოვი გაბრაზდა და მისაყვეედურა: ტაბიძე აუცილებლად უნდა გაგეპედერასტებინათო. მას შევშინდებოდა, რომ მისი გაპედერასტების ამბავს მთელი ციხე გაიგებდა, ამიტომ გამოტყდებოდა მკვლელობაში, და ჩვენც აღარ გავამჟღავნებდით მისი გაპედერასტების ამბავს.

გივი ქორიძემ ლხინაძის თანდასწრებით პირადად დამავალა მაგრად მეცემა ოლეგ ტაბიძე, რადგან მან ქორიძის ნათესავის, ჯეჯელავას ბინა გაქურდა, მაგრამ დავალება არ შევუსრულე: ისიც და სხვებიც პირადი ინტერესებით ხშირად გვავალებდნენ ამა თუ იმ პატიმრის ცემას.

---

38 თავის სასამართლოზე, 1975 წლის 4 აპრილს, ცირეკიძემ განაცხადა, რომ წულაია ცემითა და წამებით აიძულეს ეღიარებინა დანაშაული (იხ. ქვემოთ).

39 სომეხი აგენტები მუდამ ქართულ გვარებს ატარებდნენ „ობიექტების“ მოსატყუებლად.

კარგი სააგენტურო მუშაობისათვის N1 საგამომძიებლო იზოლიატორის ადმინისტრაციამ, პირადად სვიმონიშვილმა და ლეჟავამ, 1973 წლის 27 მაისს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოში კეთილაძის ხელმოწერისათვის ჩემზე შუამდგომლობა აღძრეს. სახელდობრ N1/0076-ისათვის ისინი სთხოვდნენ ჩემს გათავისუფლებას, ე. ი. დარჩენილი სამი წლის პატიებას.

რადგანაც დავიღალე და მუშაობა აღარ შემეძლო, რადგანაც ნერვიულად დაავადმყოფებული ვიყავი, არაერთგზის მოვითხოვე კორპუსიდან გადაყვანა, მაგრამ არ მიშვებდნენ, არ მიშვებდნენ. იძულებული გავხდი ბარგიანად გავსულიყავი კორპუსიდან და 1973 წელს საავადმყოფოში დაეწოლილიყავი. ვიწექი 127-ე პალატაში. მოულოდნელად გამომძახეს პანფილოვმა და ფროლოვმა და ლეჟავას თხოვნით, როგორც შემდეგში თავადვე მამცნეს, მომცეს ასეთი დავალება:

(აქ ცირეკიძე ყვება, თუ როგორ უვნებელჰყო მან საკანში გააფთრებული ხულიგანი ო. შეშბერიძე, რომელსაც დანა ჰქონდა, იჭრიდა თავს და სჭრიდა სხვებსაც. მას ბორკილები დაადეს და სცემეს). საავადმყოფში პატიმრებს შიშმილობა ჰქონდათ გამოცხადებული, და ვერავინ შესძლო მათი გამოკვება. ციხის საავადმყოფოს ექიმებმა მუდარა დამიწყეს, რის შემდეგაც ციხის ადმინისტრაცია და მე ძალით ვაჭშევდით პატიმრებს ზონდებით.

შემდეგ სპეცკორპუსში ატყდა აურზაური: პატიმრები ყვიროდნენ და მათი დაწყნარება ვერავინ შესძლო. ეს მოხდა გვიან საღამოთი. ჩემთან მოვიდნენ საავადმყოფოში და მთხოვეს პატიმრების დაშშშინება. **მოკლედ ყველგან და ყველაფერში მიყვნებდნენ**.

საავადმყოფო ნამდვილ საროსკიპოდ იყო გადაქცეული, პატიმრები მედიცინის დებთან და პატიმარ ქალებთან ცხოვრობდნენ.

მოულოდნელად გადამიყვანეს უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლიატორში, სადაც ვამუშავებდი ობიექტ ალიოშა სოხაძეს „ჟეკას", ანუ ვარაზისხეშვილ კოოპერატიული ბინების შენებლობის საქმეზე (ყალიჩავას საქმე). სოხაძე პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ყოფილი მდივანი იყო.

უშიშროების კომიტეტიდან დაბრუნებული კოლონიაში გადაყვანას ვითხოვდი, სადაც გამგზავნეს კიდეც ორჯერ, მაგრამ კოლონიაში არ მიმიღეს: ცირეკიძე გაშიფრული აგენტია და მოჰკლავენო.

(ცირეკიძე აქ ჩამოთვლის თავის ობიექტებს; ენვერ ხურცილავას, იმერლიშვილს, ვახანაის და ა.შ.).

1973 წლის 19 სექტემბერს გავიგე, რომ განთავისუფლების ნაცვლად ჩამომაკლეს ორი წელი. გაბრაზებული წინასწარი პატიმრობის საკნებიდან ციხეში გადავედი. დავსვი საკითხი, რომ მეკუთვნის ჯანდარა, რასაც სვიმონიშვილი შემპირდა აღრე.

მოულოდნელად ბეჟანიშვილის კაბინეტში გამომიძახა ჩემმა შეფმა, ტარიელ თავართქილაძემ და მთხოვა ორი ობიექტის დამუშავება მკელელობის საქმეზე. იგი მპირდებოდა, რომ თუ ამას გავაკეთებდი, თავად სთხოვდა მინისტრს და პრეზიდიუმში ხელახლა დასვამდნენ საკითხს, რათა ჩემთვის დარჩენილი რვა თვეც ეპატიებინათ.

დავთანხმდი, და გადავედი მე-40-ე საკანში, სადაც შემოიყვანეს აგენტი წერეთელი და ობიექტი მალხაზ თალაკკაძე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ვინმე ებრაელი ისროის (პედერასტი) მკვლელობაში, რაც ქ. ფოთში მოხდა. თალაკკაძის დამუშავებისას, რაშიაც უშუალოდ ფროლოვი ღებულობდა მონაწილეობას, ჩემს საკანში დავალებით შემოუშვეს აგენტები: უსუპიანი, აკოფიანი და ზერეკაძე. უსუპიანი იჯდა 37-ე საკანში, აკოფიანი და ზერეკაძე 39-ში. თალაკკაძე სცემეს უსუპიანმა და აკოფიანმა და აღიარება გამოსძალეს. მან ეს აღიარება დაწერა და მე იგი პირადად გადავეცი ბეჟანიშვილს.

ფროლოვმა როგორც კი გაიგო, რომ თალაკკაძემ დაწერა ყალბი ჩვენება, კვლავ დაავალა უსუპიანს მისი ცემა. 1973 წლის 21 ოქტომბერს, კობლიანიძის ცვლის დროს, უსუპიანი შევიდა 42-ე საკანში, გამოიყენა მომენტი იქ სამი აგენტის ყოფნისა (იცოდა, რომ საშიშროების შემთხვევაში აგენტები დაიცავდნენ), მაგრად სცემა თალაკკაძე და თავის საკანში დაბრუნდა.

23 ოქტომბერს უსუპიანი და აკოფიანი შეცვივდნენ 43-ე საკანში და ობიექტების ცემა დაიწყეს. ერთს საბანი წაართვეს, რომელიც მე დავუბრუნე პატრონს.

უსუპიანი თავისუფლად შედიოდა ყველა საკანში და სხვა აგენტების მსგავსად ადმინისტრაციის დავალებით ობიექტებს სცემდა. სასტიკად სცემა მან 44-ე საკანში შირინიანი. **ქელბაქიანი და გვენცაძე უსუპიანმა სცემა რკინით, დაუჟეჟა შიგნეულობა, რის გამოც ქელბაქიანი მთელი კვირა იწვა.**

43-ე საკანში უსუპიანმა სცემა ტოშკერია, აიძულა ლოგინის ქვეშ შემძვრალიყო და ემღერა.

თავისი საკნიდან (37) უსუპიანი ხშირად გადადიოდა 39-ე საკანში, სადაც სცემდა ობიექტებს და აკოფიანთან ერთად მორეს იკეთებდა. მთვრალმა უსუპიანმა, რომელიც ფროლოვმა დაათრო, სცემა აგენტი გურგენ ხაჩატურიანი, რადგან იგი ფროლოვზე ყბედობდა, რომ ეს უკანასკნელი არასწორად მუშაობს და მექრთამეაო.

ხაჩატურიანის კიბილი მთელს კორპუსში ისმოდა, მაგრამ ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი გაეგონოს. მაშინ მე შევედი და გამოვგლიჯე იგი ხელიდან უსუპიანს.

უსუპიანმა სცემა აგრეთვე მოხუცი ბიგვავა და აღიარება გამოსძალა ჩაის საქმეზე. უსუპიანი როდესაც მთვრალი იყო ან ანაშა ჰქონდა მოწეული, გონებას ჰკარგავდა და ანგარიშს არაფერს უწევდა.

მინდა აღვნიშნო, რომ სპეცკორპუსში უსუპიანი განსაკუთრებული სისასტიკით სცემდა ობიექტებს, ცხადია ადმინისტრაციის იმედით, რადგან ისინი მუდამ შველდნენ მას. ამას ყველა კონტროლიორი დაადასტურებს: კელაპტრიშვილი, ჯანგიანი, ლხინაძე. ერთხელ ლხინაძემ ჩემი თანდასწრებით უთხრა ფროლოვს: რატომ სცემს ასე სასტიკად უსუპიანი ობიექტებსო. ფროლოვმა უპასუხა: ასეა საჭიროო.

პატფცემულო მოსამართლენო! აი, როგორ დავალებებს აძლევდა ადმინისტრაცია აგენტებს, რასაც აგენტები მონდომებით ასრულებენ.

(შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ სცემა რეჟიმის უფროსმა პანფილოვმა

პატიმარი კობერიძე და დეტალურადაა აღწერილი პატიმარ ისმაილოვის მკვლელობა (გვ. 86-101), რისთვისაც ცირეკიძე და უსუპიანი გაასამართლეს). (ამის შესახებ იხ. სასამართლო სხდომის ოქმი 2254 საქმეზე, 1975 წელი, I-9 აპრილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე N2254-ის მეოთხე ტომში პატიმარ-აგენტის ი. ცირეკიძის სხვადასხვა განცხადებებია. მოვიყვანთ იქიდან ამონაწერებს:

განცხადება საქ. შსს მინისტრის, კეთილაძის მიმართ 1974 წ. 15 ივნისი (გვ. საქმისა 234-237).

„აგენტები დადიოდნენ სხვა საკნებში და სცემდნენ ობიექტებს“.

„ფროლოვი (ოპერ-რწმუნებული) ეწეოდა ფულის გამოძალვას, როგორც აგენტებისაგან, ასევე მათი ნათესავებისაგან“.

„როგორც საქმისათვის, ასევე პირადი ინტერესებისათვის, ფროლოვი აიძულებდა აგენტებს გაელახათ ობიექტები, აიძულებდა ობიექტებს ფულის მოტანას (ისინი სწერდნენ წერილებს ახლობლებსა და ნათესავებს. ეს წერილები მილიციის მუშაკებს მიჰქონდათ და უკან ფულით ბრუნდებოდნენ)“.

„ფროლოვმა სპეციალური მეორე კორპუსი ცემა-ტყეპის, სეირნობისა და პროსტიტუციის ალაგად აქცია. კორპუსში პატიმართა გალახვის ასზე მეტი ფაქტი აღირიცხება, მაგრამ ამისათვის არავინ დაუსჯიათ.“

„ლეჟავას (საგამომძიებლო იზოლიატორის უფროსი) სურდა პატიმარ ისმაილოვის მკვლელობის ფაქტის დაფარვა, მან და გამომძიებელმა ონანოვმა ფაქტის დასაფარავად საქმიდან ამოგლიჯეს ჩემი პირველი ჩვენება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ საქმეს მე ავიღებდი საკუთარ თავზე. მათ მცემეს და ორჯერ მომიწყვეს გაქცევა, რათა მოვეკალი“. შემდეგ ცირეკიძე სწერს, რომ ქალაქის პროკურატურის გამომძიებელი გიორგი (ჟორა) გეგელია („კგბ“-ს საგამომძიებლო განყოფილების ყოფილი უფროსი) ხედავდა, რომ ცირეკიძე ჯიუტობდა და შსს-ს ბოროტმოქმედებებს აშხელდა, ამიტომ მან ცირეკიძის წინააღმდეგ აიღო კურსი და ცდილობდა მთელი დანაშაული მისთვის მიეწერა. ცირეკიძე სწერს: **„გეგელიას მალე დაავიწყდა როგორ ვეზმარებოდი „კგბ“-ში, ახლა მას სჭირდებოდა უსუპიანი“ (ცირეკიძის საქმის თანამონაწილე, რედ.).**

ცირეკიძე სწერს აგრეთვე, თუ როგორ თანამშრომლობდა ფროლოვთან დურუ ხურცილავა, გასაოცარი ძალის აგენტი, ნახევრად გიჟი, რომელიც მუშტის ერთი დარტყმით საკნის კარებს ამსხვრევდა. შემდეგ მან მოჰკლა რამდენიმე პატიმარი და მეთვალყურე. იგი დახვრიტეს.

განცხადება რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ო. ჯიბლაძის სახელზე (საქმის გვ. 237)

აქ მოთხრობილია, თუ როგორ სცემა აგენტმა ვ. უსუპიანმა 37-ე საკანში პატიმარი ვიტალი კუზიანიე, დაუზიანა მთელი შიგნეულობა, ხოლო ექიმი ცალსა აქსენცევა ყალბ დიაგნოზებს სწერდა ჟურნალში. კუზიანიძემ შიმშილობა გამოაცხადა, რათა

უსუპიანისათვის მოეშორებინათ, რის შემდეგაც იგი 41-ე საკაბში გადაიყვანეს, სადაც იგი ჰყვებოდა, თუ როგორ სცემდნენ მას მ. პ. თაუხელიძე, ი. მურუსიძე და სხვ.

„აგენტი უსუპიანი 1972 წლის სექტემბერში გადაიყვანეს თბილისის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლიატორში, სადაც მან სცემა პატიმარი ბაბიჩავი. ვაუბეჭს თავი, რის შესახებაც იცის „აგბ“-ს გამომძიებელმა, პოდპოლკოვნიკმა კამკამიძემ. ამის შემდეგ უსუპიანი გადაიყვანეს შსს-ს №1 საგამომძიებლო იზოლიატორში (საქმის გვ. 360).“

განცხადებაში, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის, ლ. თალაკვაძის სახელზე, ცირეკიძე წერს: „1972 წლის 2 ნოემბრამდე ვმუშაობდი „აგბ“-ს საგამომძიებლო იზოლატორებში ქ. ბათუმში, ქუთაისში და თბილისში.“

განცხადებაში საქ. პროკურორის ე. ტაკაძის სახელზე: (1974 წელი, 18 ივნისი), „გამომძიებელ ნადარეიშვილს იმგვარად მიჰყავს საქმე, რომ დაპფაროს შსს-ს ბოროტმოქმედებანი. **იგი მეუბნება, რომ შსს ყველაზე ძლიერია, ცეკაზედაც კი და შენ ვინა გდიხარ, საწყალი პატიმარიო“.**

არის კიდევ ერთი განცხადება კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს სახელზე (1975 წ. 5 მარტი). გვ. 6: „უნამუსო და ჩლუნგმა ადამიანებმა, ორგანოთა მუშაკებმა, ჩემს ცხოვრებაში ბავშვობიდანვე დარგეს „ბოროტების ფესვი“, რომელიც დღემდე ღვივდება და რომლის მსხვერპლიც ამჟამად ვარ.

გვ. 12: ფოლოვი (ოპერ-რწმუნებული), როგორც სიტყვებით, ასევე ტელეფონებითა და ოფიციალური დოკუმენტებით იღებდა დავალებებს ზემდგომი ორგანოებიდან: პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ა.შ. ამა თუ იმ ობიექტის საგენტურო მეთოდით დამუშავებაზე. ამიტომაც არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას საქმის გასახსნელად.“

გვ. 16: „რუსპუბლიკურ საავადმყოფოში „ჩამოსწერეს“ საგენტურო დამუშავებისას მოკლული მრავალი პატიმარი, მათზე დგებოდა ყალბი აქტები“.

გვ. 19: „რა უნდა თქვას კაცმა, როცა გახეთქილი მთვრალია საბჭოთა ოფიცერი და თვითონვე სცემს პატიმრებს?“

„ოპერრწმუნებულის კაბინეტში იკრიბებოდნენ აგენტები, შლიდნენ სუფრას, მოჰყავდათ ბოზები და თანამშრომელი ქალები, ამღერებდნენ გიტარაზე, აწყობდნენ გეგმებს პატიმართა ცემაზე, ოპერატიული მიზნებით მამაკაცთა ჰომოსექსუალურ გაუპატიურებაზე და ა.შ. ეს ამბები მრავალ განცხადებასა და ჩვენებაში მაქვს აღწერილი.

გვ. 22: „ბევრს ლაპარაკობენ ჩილეს მთავრობაზე, საოცრებებს სწერენ ხუნტის რეპრესიებზე. მე კი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველი, ყოველივე დანახულისა და განცდილის შემდეგ აქ ვხედავ მეორე ჩილეს, რომელიც პირველზე უარესია.“

სასამართლოს სხდომები №2254 საქმეზე
1975 წლის 2 აპრილის სხდომა (პატიმართა დაკითხვა):

დაჰკითხეს მოწმე პატიმარი ვახანია, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებული ცირეკიძე სახეში ურტყამდა პატიმარ ისმაილოვს (მოკლულს).

მოსამართლე ამბობს, რომ ცირეკიძემ გამომძიებელს მოჰპარა თავისი პირვე-

ლი ჩვენება, თუმცა გაჩხრეკისას ვერ აღმოუჩინეს. ცირეკიძე პასუხობს, რომ პირიქით, ეს თავად გამომძიებელმა ონანოვმა გააკეთა. შემდეგ მან დაუმატა: „როდესაც მე რიპარდ ზორგეს მეძახოდნენ, იმხანად ყველას ეჭირდებოდი, მაშინ კარგი ვიყავი. რატომ ჩამომიკლო პრეზიდიუმმა ორი წელი, რატომ გამომიცხადეს მადლობა, **რატომ ჩამომართვა პატიმარ კაცს ხელი თავად ედუარდ შეკარდნაძემ, თუკი ცუდი ვიყავი? განა ცოტა ნასამართლობა მქონდა? მრავალი ადამიანი დაღუპე და ბევრი მუშაკი გადაყარჩინე.**“

მოწმე ზერეკიძემ განაცხადა: „უფროსმა ოპერ-რწმუნებულმა ფროლოვმა მთხოვა ცუდი ჩვენება დამეწერა ცირეკიძეზე და მითხრა, რომ მან ცემით მოკლა კაცი. მე უარი ვუთხარი და ისიც დამეხსნა. პატიმარმა კიკნაძემ, სტეფანიამ და ზიბზიბაძემ ფროლოვის კაბინეტში დასწერეს ჩვენება ცირეკიძის წინააღმდეგ, რისთვისაც ფროლოვი მათ აჯიათა და ლულა-ქაბაბით გაუმასპინძლდა, თან დაემუქრა: თუ ცუდ ჩვენებას არ დასწერთ, ცირეკიძის საკანში ჩაგსვამთ. ჩვენს საკანში სცემდნენ პატიმარ მამულიანს, აყენებდნენ ძალიან ცხელი შხაპის ქვეშ და ეუბნებოდნენ: „ისწერე სახლში, რომ ფული გამოგიგზავნონ, თორემ შხაპის ქვეშ მოკედებიო.“

ცირეკიძემ შენიშნა: „მამულიანი სააგენტურო დამუშავების ქვეშ იმყოფებოდა. ჩვენთან მოჰყავდათ პატიმრები, რადგან გამომძიებლებს არ შეეძლოთ კვანძის გახსნა და ჩემისთანა სულელებს იყენებდნენ. ხან დირექტორის, ხან ექსპედიტორის, ხან ქურდის როლში გამოვდიოდი. თუკი ეშმაკობით ვერაფერს გავაწყობდი, ცემაზე გადავდიოდი.“

მოსამართლე: „რატომ იქცეოდი ასე?“

ცირეკიძე: “ჯერ კიდევ სტალინი წერდა, რომ აგენტურა აუცილებელია, მე მავალებდნენ.“

მოწმე რ. ვანეცოვი: „უსუბიანმა და ბექაურმა სცემეს ისმაილოვი და ფროლოვის კარნახით გადააბრალეს ცირეკიძეს. ფროლოვმა არყით დაათრო კიკნაძე და სტეფანია, რათა მათ ყალბი ჩვენება მიეცათ.“

ცირეკიძე: „20 განცხადება დავწერე საგამომძიებლო იზოლიატორის ახალი უფროსის გაბუნიას სახელზე, მაგრამ მასთან არც ერთს არ მიუღწევია. შემდეგ შემთხვევით შეეფეთე. მან დამკითხა, მიიღო ზომები და ფროლოვი მოხსნა. ძიებაში მონაწილეობდა გამომძიებელი თევდორაშვილი.“

შემდეგ ცირეკიძე ეკითხება მოწმე ვანეცოვს: „რა უქნეს კიკნაძემ და სტეფანიამ პატიმარ ნადარეიშვილს?“

ვანეცოვი: „ძალით დაიჭირეს მასთან მამათმავლური კავშირი. ამაზე ლაპარაკი ფროლოვმა ამიკრძალა.“

ცირეკიძე: „პატიმარი ვალიანი კინალამ მოკლეს, დაუჟეჟეს თირკმელები. ფროლოვი ამას მალავდა, გაბუნია ზომებს არ ღებულობდა.“

მოსამართლე: „მითხარი ცირეკიძე, დაგავალეს ისმაილოვის მოკვლა?“

ცირეკიძე: „დაგვავალეს გალახვა და არა მოკვლა. წინასწარი პატიმრობის კამერებში უარესად სცემენ, შემდეგ ჩვენთან მოჰყავთ დასამატებლად. ვინ გაუძლებს ამდენს?“

მოსამართლე: „ჩვენ გამოვიტანთ კერძო განჩინებას, რომ თქვენისთანებს

აღარ მისცენ პატიმრების დამუშავების უფლება, ხოლო დამნაშავე მუშაკებს სასამართლოს გადაეცემთ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმე კიკნაძე (აგენტი) უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, რადგან სასამართლო ღიაა და ჰპირდება ჩვენების დაწერას. იგი ამბობს მხოლოდ, რომ ვანეცოცი ცრუობშია და უსუპიანის გადარჩენას ცდილობსო. მოწმე ხატისოვი პატიმარ თოფჩიევის პირით ამბობს, რომ ცირეკაძე დამნაშავე არ არისო.

მოწმე გაგა: „ცირეკაძე არ არის დამნაშავე. ზოგიერთი ამბებზე აქ გაეჩუმდები, რადგან სასამართლო ღიაა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მეორმოცე საკანში ისხდნენ გამოსწორებული პატიმრები“ (ე. ი. აგენტები, რედ.).

ცირეკაძე: „ხუთი წელია საკანში ვზიავარ, მალე ალბათ ჭკუაზე შეეიშლები“.

პროკურორი: „რატომ არ მიდიხარ კოლონიაში?“

ცირეკაძე: „ვინ გაგიშვებს, როცა მუშაობა შეგიძლია, ძლიერი, წარმოსადეგი და ჭკვიანი ხარ...“

მოწმე სტეფანია უარს ამბობს ჩვენებაზე, გამოძიებას რომ მისცა. მოსამართლე კინოხულობს მის ჩვენებას, სადაც იგი ამბობს, რომ ცირეკაძეს უთქვამს: „ჩვენ შემთხვევით შემოგვაკედა კაცი და დამხვრეტენ თუ არაო. უფროსები დამპირდნენ დახმარებას, მაგრამ სასიკეთოს ჯერ ვერაფერს ვხედავო.“

ცირეკაძე: „კაცი რომ აგენტობის გზას დაადგება, ცოცხლად უნდა დასწვა. აი, მე დანა ჩავირტყი მუცელში“ (იშიშვლებს მუცელს და ჭრილობას აჩენს).

1975 წლის 3 აპრილის სასამართლო სხდომა (დაჰკითხეს მუშაკები)

პროკურორი: „საკანში სამი დღე იწვა მომაკედავი კაცი, რატომ არ დაინტერესდით?“

მოწვე გოდერძიშვილი (კონტროლიორი): „ეს არ შედიოდა ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში. ეს კორპუსის უფროსს ევალება. მე არ დამინახავს როგორ სცემდა ისმაილოვს ცირეკაძე. (პასუხობს ადვოკატს) მე მოვახსენე უფროსებს და მედდას, მათ ზომები არ მიიღეს“.

მოსამართლე: „რატომ?“

გოდერძიშვილი: „მიკვირს, რატომ არის ასეთი სასამართლო ღია. მხოლოდ მუშაკები უნდა დაეშვათ ასეთ სასამართლო პროცესზე. მეორმოცე საკანი განსაკუთრებული საკანი იყო. ცირეკაძეს მუდამ მადლობას უცხადებდნენ: მან ორასზე მეტი საქმე გახსნა.“

ცირეკაძე: „ოცი მილიონი მანეთი მოგება მივეცი სახელმწიფოს. ახლა გენერალი უნდა ვიყო, რვა ავტომანქანა და საკუთარი ვილა უნდა მქონდეს.“

მოსამართლე: (წონასწორობიდან გამოსული) „ცრუობ შე ნაძირალა, შენ პატიოსან მოქალაქეებს ძარცვავდი, შენი ადგილი არ არის ჩვენს საზოგადოებაში, ხორცმეტივით მოსაშორებელი ხარ.“

ცირეკაძე: „ჩემი მოშორება არც ისე ადვილია.“

მოსამართლე: „ჩვენმა არმიამ 500 დივიზია გაანადგურა, შენ ვილა გდიხ-

არ?“

ცირეკიძე: „ჩილეზე სწერენ, აქ კი უარესი ხდება.“

მოსამართლე: „ანტისაბჭოთა ყბედობაზე უნდა მოგიყვანონ მუხლი, არ-აშზადვ, შენს გამო აპატიმრებდნენ უდანაშაულო ხალხს.“

ცირეკიძე: „ისინი იჭერდნენ, მე კი არა. მათ შეთხზეს საქმე ჩემზე, რათა კვალი დაჰფარონ“.

მოწმე ტერ-აკოფოვი, შსს ინსტრუქტორი (პასუხობს მოსამართლის შეკითხვაზე): „ამ საქმესთან დაკავშირებით თანამდებობიდან მოხსნეს ერთი კონტროლიორი, ოპერრწმუნებული, დაისაჯა მორიგე და სხვ. შემდეგ საქმე პროკურატურაში გადავიდა.“

ითქვა იმაზე, რასაც ცირეკიძე თავის განცხადებაში წერდა რესპუბლიკის პროკურორის სახელზე: როგორ არიგებდათ ადმინისტრაცია „თქვით, რომ ისმაილოვს კიბეზე დაუცდა ფეხი და თავი გაიტეხაო“.

მოწმე მაისაია (კორპუსის უფროსი): „არაფერი არ ვიცი, არაფერი მინახავს“.

მოსამართლე: „მოვალე იყავით გცოდნოდათ“.

მაისაია: „მე მეშინოდა საკანში შესვლა: მათ ხელში რკინის ჯოხები ეკავათ“.

მოსამართლე: „ვინ მისცა ამათ ჯოხები?“

პროკურორი: „რატომ არ გამოიძახე ხალხი? შენ რაღაცას გვიმალავ.“

მაისაია იბნევა და რაღაც გაუგებარს ბლუკუნებს.

მოწმე გვასალია (ოფიცერი): „ცირეკიძეს უნდოდა ბექაურთან მივეგზავნე, რათა მას მისთვის საჭირო ჩვენება მიეცა.“

ცირეკიძე: „ბექაური შენი ნათესავია და ამიტომ უმაგრებ მხარს.“

ერთმანეთს აგინებენ.

მოწმე დეკანოსიძე (თანამშრომელი): „არაფერი არ ვიცი, არაფერი არ მინახავს“.

მოწმე ფროლოვი (ყოფილი მთავარი ინსპექტორი): „ცირეკიძემ გვთხოვა მე და იზოლიატორის უფროსს, ლეჟავას, დანაშაული უსუპიანისათვის გადაგვებრალებინა“.

ადვოკატი: „რატომ აჩერებდით ცირეკიძეს ხუთი წლის განმავლობაში ციხეში?“

ფროლოვი: „იგი თანამშრომლობდა ორგანოებთან. მას მე დავავალე ვახანაის დამუშავება. ისმაილოვზე მას არ ჰქონია დავალება.“

ადვოკატი: „მაშ რატომ მიეცით ადრე ჩვენება, რომ მან მიიღო თქვენგან ასეთი დავალება?“ (მიუნიშნებს გვერდს საქმიდან).

ფროლოვი დაიბნა და გაჩუმდა.

ადვოკატი: „როდესაც ცირეკიძემ ჩვენება მოიპარა, თქვენ გაჩხრიკეთ თუ არა მისი საკანი?“

ფროლოვი: „დიახ, გავჩხრიკე“.

ადვოკატი: „თქვენ კი უთხარით გამომძიებელს, რომ მან ჩვენება თქვენს თვალწინ დასწვა“ (კვლავ მიუნიშნებს საქმის გვერდს).

ფროლოი დარცხვენილი დუმს.

მოსამართლე: (აღეკატს) **„მოეშვი ასეთ ამბებს, რატომ აკეთებ ამას?“**

აღვოკატი: „იმიტომ, რომ მათ სური ყველაფერი ცირეკიძეს გადააბრალონ, თავად კი სუფთად უნდათ გამოძრომა.“

მოსამართლე: (ცირეკიძეს მიმართავს) „ხომ იცი წულაიას საქმე, იგი ამბობს, რომ შენ აიძულე წერილობით ელიარებინა დანაშაული.“

ცირეკიძე: „დიახ, მე იგი დავამუშავე.“

მოსამართლე: „მისი მოკვლაც გინდოდა?“

ცირეკიძე: „ამ ცხიეში მრავალი მომკვდარა ცემისაგან, ახლა აიღეთ და ყველაფერი მე გადმომაბრალეთ.“

მოსამართლე: „შენ თავს გახვედი, რადგან თავზე ხელს გისვამდით. ტაიგაში უნდა გაგვესახლებინე, როდესაც ასეთი ყბედობა დაიწყე. საბჭოთა ხელისუფლება არც ისე სუსტია, რომ შენი დახმარება სჭირდებოდეს.“

მოწმე კოზლიანიძე (კორპუსის კონტროლიორი): „ცირეკიძე მეუბნებოდა: „ნუ გეშინია, ისმაილოვი არ მოკვდება, ჩვენ მას გამოვაფხიზლებთ, შენ არსად არ დარეკო, თორემ კაცი არ იქნები და კცემ კიდეც. მე მქონდა დავალება დამემუშავებინა ისმაილოვი.“ შემდეგ წამართვა გასაღებები და გაიქცა. დავრეკე კომენდატურაში და ძლივს წაართვეს. რეჟიმის უფროსმა გამაფრთხილა დამეფარა დანაშაული. ამისათვის დასჯის ღირსი ვარ. ცირეკიძე მეუბნებოდა: „თქვი, რომ ტუალეტში დაუცდა ფეხი, მაღარიჩი იქნება, უფროსებმა ყველაფერი იციან და დაგეხმარებიანო.“ მე ვიცოდი, რომ ცირეკიძე აგენტი იყო და რასაც იგი აკეთებდა, საქმეს სჭირდებოდა.“

მოსამართლე: (ცირეკიძეს მიმართავს) „შენ ამბობ, რომ ისმაილოვის მკვლელობის საქმე შენ გახსენი და ეს ამბავი რეჟიმის უფროსს პანფილოვს სურდა?“

ცირეკიძე: „სავსებით სწორია.“

1975 წლის 4 აპრილის სასამართლო სხდომა (დაკითხეს მოწმე თანამშრომლები)

მოწმე ტატუნაშვილი: (ოფიცერი) „მე მითხრეს, რომ ისმაილოვმა ნარკოზული საშუალებები მიიღო და ითისაგან გარდაცვალაო.“

მოწმე ინასარიძე: (თანამშრომელი) „მე ვიცოდი, რომ იგი სცემეს. ტატუნაშვილმა თქვა, რაღაც ტაბლეტები მიიღოო.“

მოსამართლე: „გითქვამთ თუ არა თქვენ პატიმრებისათვის, რომ ეს საქმე უნდა მიფუჩეჩდეს?“

ინასარიძე: „არა, არ გვითქვამს.“

ცირეკიძე: „განა 27 სექტემბერს თქვენ არ ესწრებოდით პანფილოვთან და ტერეზოვთან ერთად აქტის შედგენას? თქვენ არ მითხარით, რომ იგი ნაცემია? ადმინისტრაციამ გაავრცელა ვერსია, თითქოს ისმაილოვი ფილტვების ანთებისა და ნარკოზული საშუალებებისაგან მოკვდა. მათ გასწავლეს ასე გელაპარაკათ დანაშაულის დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლე: „სად არიან დანარჩენი მოწმეები?“

არავინ ჩანს

მოსამართლე: (მოთმინებას კარგავს) „მე გიჩივლებთ შსს-ში, გიჩივლებთ ცეკაში, რომ თქვენ არაფრად აგდებთ სასამართლოს. რას აკეთებთ ხალხის ხოცვის გარდა? რატომ არ ღებულობენ ზომებს ციხის უფროსი და მისი მოადგილე? რატომ არ არიან თანამშრომლები ადგილზე? მე ვიშუამდგომლებ, რომ მოხსნან თანამშრომლები, რომლებიც სასამართლოზე არ ცხადდებიან.“

(სხვა თანამშრომელები გადიან კლუბიდან მოწმეების დასაძახებლად).

მოსამართლე: (განრისხებული) „აი, რატომ გესვრიან ტალახს პატიმრები. ჩვენ არც გამოვაქვეყნეთ ზოგიერთი მასალა, გუნება რომ არ გავუფუჭოთ ხალხს.“

თანამშრომელი ქალი: „დიახ ისინი თავს გაეიდნენ“.

მოსამართლე: „აი ამ ტომებში, ეს დაწესებულება (საგამომძიებლო იზოლიატორი) დახასიათებულია, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია. რატომ არ მოდიან თანამშრომლები? რად არ იმართლებენ თავს? ყველას სამართალში მივცემ, ვინც ცირეკიძის მეშვეობით პატიმრებისათვის ფულის გამოძალვას ეწეოდა. ახლა კი შევწყვეტ საქმეს და მინისტრმა კეთილაძემ მოგვიყვანოს მოწმეები საიდანაც უნდა. ნახეთ რას წერს პატიმარი წულაია[40]. გარდა წულაიასი იქ დაამახინჯეს და დაღუპეს ორასზე მეტი კაცი. ეს ამბავი უნდა გამოვიძიოთ. დაუძახეთ ციხის უფროსს.“

ციხის უფროსი არ მოდის

მოსამართლე: „ოცი აქაური თანამშრომელი დაკითხე, სუყველა გონებაჩლუნგი აღმოჩნდა. მათ თავად აღიარეს, რომ ტყუილად სხედან თავიანთ ადგილებზე. მე დავწერ, რომ უმართებულოა გადაწყვეტილება ცირეკიძის საქმის გამოყოფისა საერთო საქმიდან. დიდი და პატარა, ყველანი უნდა შეაერთონ და პასუხისგებაში მისცენ. ადამიანი კედება, შეელას იხვეწება, თქვენ კი ექიმი მანამ არ მიგყავთ, სანამ არ მოკვდება. განა პირველი შემთხვევაა?“

პროკურორი: „როგორ შეიძლება ოფიცრების ამ ნაძირალებთან ერთად გასამართლება, განა ამათი ამხანაგებია ისინი?“

მოსამართლე: „სწორედ რომ ამხანაგებია. აი რამდენი მოწმე ადასტურებს ამას. თუ არ არიან ამხანაგები, მაშ ვინ აძლევდა პატიმრებს საკნის გასაღებებს, ვინ აძლევდა ასეთ შეღავათებს?“

მოჰყავთ საგამომძიებლო იზოლიატორის უფროსის მოადგილე ბურდული.

მოსამართლე: „რატომ დაგვცინით? რატომ არ მოდიან მოწმეები? რატომ გვაფურთხებთ სახეში ყველას?“

ბურდული: „რა ვქნათ ბატონო მოსამართლე, ზოგი წავიდა, ზოგი გათხოვდა, ზოგიც ობიექტზეა.“

მოსამართლე: „მე აქ დავკითხე ოპერ-რწმუნებული ფროლოვი. იგი ისე ელაპარაკებოდა ცირეკიძეს, თითქოს ეს უკანასკნელია მისი უფროსი და არა პირიქით. ბურდული, სად არის აქტი მკვლელობის შემდეგ რომ შეადგინეთ?“

ბურდული: „არ ვიცი.“

---

40 ამონაწერები წულაიას განცხადებიდან იხ. ქვემოთ.

მოსამართლე: „თქვენ გაანადგურეთ აქტი, თქვენიე ბოროტმოქმედება რომ დგეფარათ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმე კობლიანიძემ (კონტროლიორი) ტირილი დაიწყო და წთქვა, რომ დაჭერით ემუქრებოდნენ, თუკი ცირეკიძეს არ მოეშვებოდა. „მოიპაროს გასალებები რამდენჯერაც უნდათ, რა შენი საქმეაო“ — ეუბნებოდნენ თურმე მას.

ცირეკიძმ: „რა გამიკეთებია კარგის გარდა, რა უნდათ ჩემგან?“

პროკურორი: „ვის გაუკეთე კარგი?“

ცირეკიძმ: „მთავრობას.“

პროკურორი: (წონასწორობიდან გამოსული ლანძღავს და აგინებს ცირეკიძეს) „შე ნაძირალავ, უსინდისო, გაფუჭებულო და ა.შ.“

ცირეკიძმ: „200 გაუხსნელი საქმე გავხსენი, 20 მილიონი ფული მივეცი სახელმწიფოს, ძალით გამოვგლეჯე იგი დაპატიმრებულ მილიონერებს“ (შემდეგ ბურდულს მიმართავს): „უსუპაინმა თქვა, როგორ ურჩევდით მკელელობის ფაქტის დაფარვას.“

ბურდული: „არ არის მართალი.“

გამოაცხადეს შესვენება.

იძახებენ ექსპერტს. ექსპერტის დასკვნით პატიმარი გარდაიცვალა თავის ქალის ღრუში სისხლის ჩაქცევით. გვამის ქიმიურმა კელევამ ვერ აღმოაჩინა მომწამლავი ნივთიერებანი. მეორე ძმიმე დაშავება: სისხლის ჩაქცევა მუცლის ღრუში.

გვამის გაკვეთისას დარღვეულია პროცესუალური ნორმა: გამომძიებელი არ ესწრებოდა.

ცირეკიძმ: „ისმაილოვს ჰქონდა აბსციდირებული პნევმონია, ეგეტ იმისგან გარდაიცვალა?“

ექსპერტი: „არა, იგი თავის ქალის ტრამვისგან გარდაიცვალა.“

ცირეკიძე ხმამაღლა კითხულობს ისმაილოვის ავადმყოფობის ისტორიას, ექიმის დასკვნას, რომ იგი საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ.

ცირეკიძმ: „საავადმყოფოს ნაცვლად იგი მოიყვანეს ჩვენთან, №40 საკანში, რადგან იგი დამუშავებაში იმყოფებოდა.“

მოსამართლე: (სიბრაზისა და დაბნეულობისაგან წონასწორობადაკარგული) „დამუშავება მოკელას ნიშნავს? ვინ გეუბნებოდა თავი გაუჩეჩქვეო?“

ცირეკიძმ: „აბა ნახეთ, როგორ სცემენ „კპზ“-ში (წინასწარი პატიმრობის საკნები). ისმაილოვი ჯერ იქ სცემეს, შემდეგ კი ჩვენთან მოიყვანეს. დაკითხეთ ყველა მოწმე, მაგალითად ბექაური.“

მოსამართლე: „ბექაური გაქცეულია.“

ცირეკიძმ: „მე არ უარვყოფ, რომ მქონდა დავალებული ნებისმიერი საშუალებით მეიძულებინა პატიმარი წულაია წერილობით ეღიარებინა, რომ მას ქრთამი მისცეს. მე შევასრულე დავალება, ვცემე იგი. ისმაილოვი კი არ მიცემია. ჩემი ჩვენებები ყველანი სწორია, ეხლაც ვადასტურებ. არ ვადასტურებ მხოლოდ იმ ჩვენებას, რომელიც გამომძიებელ ნადარეიშვილის ხელითაა დაწერილი. მე არ ვიცი რა დასწერა მან. მე ვიცნობდი გეგელიას „კგბ“-დან, მაგრამ მან მომატყუა თევდორაშვილთან ერთად და მაიძულეს მიმეცა ჟალბი ჩვენება. მითხრეს:

„მოეშვი ადმინისტრაციას, უსუპიანს, აიღე დანაშაული საკუთარ თავზე, 5 წელს მოგისჯით, მერე გაგინახევრებთ და გათავისუფლდებიო. სინამდვილეში ის-მაილოვი ბეჭაურმა სცემა, უსუპიანმა კი ისე მაგრად უბიძგა მას, რომ ქან თავი დაარტყა კედელს და სამ დღეში მოკვდა. ოპერმა ფროლოვმა თქვა: „არაფერია, პირველი შემთხვევა როდია, იწვეს თავისთვის და გამოჯანმრთელდება. თუ ვინ-მემ გკითხოთ, უთხარით: ფეხი დაუცდა და იატაკს თავი დაარტყა-თქო.“ მე არ მოვისვენე, ავტეხე განგაში და ექიმი მოვაყვანინე.“

რაც შეეხება წულაიას, მე და ელოიანმა ვაიძულეთ დაეწერა აღიარება. მე ვიცნობდი ყველა ნარკომანს, მათ თავად აღმინისტრაცია აძლევედა ნარკოზულ საშუალებებს.

პროკურორი: „გაძლევედა თუ არა ფროლოვი დავალებას გეწამებინა და გეცემა პატიმრები?“

ცირეკიძე: „დიახ, იგი გვაძლევდა ამგვარ დავალებებს, თავადაც სცემ-და.“

პროკურორი: „სტყუი, ფროლოვი არ მოგცემდა ამგვარ დავალებას.“

ცირეკიძე: (წამოხტება ადგილიდან) „როგორ, პროკურორი ხართ და არ იცით რა ამბები ხდება აქ?“

მოსამართლე: „ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომ დავალებებს მხოლოდ შენ ლებულობდი. როგორ არა გრცხვენია, ოთხჯერ ხარ ნასამართლეები, ახლა კი მეხუთეჯერ გასამართლებენ.“

ცირეკიძე: „დიდი ამბავი, სტალინს სამი ნასამართლობა ჰქონდა. შეიძლე-ბა მეც გაეხდე როდესმე ბელადი.“

დარბაზში იცინიან.

იძახებენ მოწმე პანფილოვს, რეჟიმის უფროსს; აღმოჩნდა, რომ იგი კიევ-შია.

ადვოკატი პროტესტს აცხადებს 129-ე მუხლთან დაკავშირებით (დახმარების გაუწევლობა) და ამბობს, რომ „ცირეკიძის მოვალეობაში არ შედიოდა დახ-მარების გაწევა, ამისათვის სხვები უნდა მისცენ სამართალში.“

ადვოკატი: (მიმართავს ცირეკიძეს) „რას ნანობ ყველაზე მეტად?“

ცირეკიძე: „იმას, რომ აი ამათ დავუკავშირდი“ (მიუთითებს თანამშრომ-ლებზე).

1975 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომა

უსუპიანი ეუბნება ცირეკიძეს: „როდესაც ისმაილოვს სცემდი, გეევდრებოდა: ნუ მცემ, ხუთი შვილის მამა ვარო.“

ცირეკიძე: „მაგრამ სასიკვდილო აღმოჩნდა სწორედ ის დაზიანება, შენ რომ მიაყენე. შენ სცემე ზებელიანი 33-ე საკანში, გურგენ ხაჩატურიანი 37-ე საკანში, მალხაზ თალაკაძე მე-40-ე საკანში, იგი 42-ში გადაიყვანეს. მაშინ კობლიანიძემ გამოგიყვანა 37-ე საკნიდან, შენ 42-ში შეხვედი და ხელმეორედ სცემე იგი. 44-ში სცემე გვენცაძე, რომელიც ყეიროდა მკლავენო და შეელას ითხოვდა, 44-შიე სცემე ქელბაქიანი რკინის ჯოხით. იგი მთელი კვირა ვერ მოგო გონს. ქელბაქიანი მძღოლი იყო და „ხალტურაზე“ იჯდა. 37-ე საკანში შენ სცემე მოხუცი ბიგავა, ჩაის საქმეზე რომ იჯდა, 44-ში შირინიანი და ა.შ.

უსუპიანი: „მე დაგიმტკიცებ, რომ სხვებიც დაგიხოცავს.“

მას აწყვეტინებენ. გამოდის პროკურორი მაჭარაძე. მან აღნიშნა, რომ A1/საგ-ამომძიებელო იზოლიატორში არ იყო წესრიგი და იმედი აქვს, ახალი უფროსი, ამბ. გაბუნია ყველაფერს გამოასწორებს და წესრიგს დაამყარებს. ისმაილოვი პირველად იჯდა ციხეში, ხოლო მისი მკვლელები, რეციდივისტებია. ისინი ამბობენ, რომ ისმაილოვის დამუშავება ადმინისტრაციამ დაავალა. შეიძლება ეს ასეცაა, მაგრამ ამას გულისხმობდნენ წესიერების ფარგლებში (!). ამჟამად საბჭოთა კანონმდებლობა ისეთ სიმაღლეზე დგას, რომ ასეთი დავალების მიცემა არავის შეეძლო, ეს ამბები წარსულში ხდებოდა, ამჟამად ყველაფერი გამოსწორებულია ჩვენს სახელმწიფოში. ამისათვის 15-20 წელი დაგვჭირდა. ისინი, ვინც ამგვარ დავალებებს იძლეოდნენ, ჩვენმა სახელმწიფომ დახვრიტა. როგორც ჩანს, ჩვენება ცირეკიძემ მოიპარა[41], გამომძიებელი ამას არ იზამდა, მე მას ვიცნობ, იგი ჩემთან მუშაობდა და ასეთ რამეს არ მოველი მისგან.

ცირეკიძემ მუცელში დაარტყა ისმაილოვს, ხოლო უსუპიანმა თავში. ექსპერტმა დაამტკიცა, რომ იგი თავში მიყენებული ტრამვისაგან გარდაიცვალა, თუმცა არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ერთის დანაშაული მეტია, ვიდრე მეორესი.[42] ეერსია, რომ მათ სურდათ ეიძულებინათ ისმაილოვი, წერილი მიეწერა სახლში, არ მართლდება[43]. ვიკითხოთ: რა იყო მკვლელობის მიზეზი?..[44] არა, არა, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ მათ გამოსწორებას, ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან, ოჯახები ჰყავთ... მაგრამ მაინც რას შეუძლია მათი ხვედრის შემსუბუქება? არ ვიცი, არ ვიცი (პროკურორს „ავიწყდება“, რომ ცირეკიძემ 200 საქმე გახსნა). 129-ე მუხლი უნდა მოიხსნას. ცირეკიძისათვის მოვითხოვ 6 წელს, უსუპიანისათვის 5-ს,[45] მკაცრ რეჟიმს.

გამოდის ადვოკატი ა. ფხაკაძე. იგი სვამს კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ძიებას ამდენი ტომი, ამდენი მოწმე, როდესაც ბოროტება მოხდა ოთხ კედელში და მას მხოლოდ ხუთი კაცი ესწრებოდა?

„ცირეკიძე არ დაბადებულა ბოროტმომქმედად, იგი სპორტსმენი გახლდათ, სსრკ-ს ჩემპიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ჰყავდა ოჯახი. იგი ამ მდგომარეობამდე ყოფილმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა მიიყვანეს. რატომ ჰყავდათ იგი ამდენი წელი ციხეში, რატომ არ გაისტუმრეს კოლონიაში? ისინი ამბობენ, რომ იგი მათ სჭირდებოდათ. ასე განაცხადა აქ ერთ-ერთმა მოწმემ. არის თუ არა ეს მისი უფლებების ხელყოფა? თუკი ცირეკიძისაგან თხოულობთ, რომ პატივი სცეს კანონს, თავად რატომ არღვევთ მას? რატომ არ იყურებით

41 პროკურორმა არაფერი თქვა იმაზე, რომ გარდა ჩვენებისა, დაიკარგა შემთხვევის ადგილზე შედგენილი აქტი და სხვა დოკუმენტები. ამ ამბის ცირეკიძისათვის გადაბრალება კი შეუძლებელია.

42 პროკურორი უდავოდ ეხმარება უსუპიანს, იმიტომ რომ იგი უფრო „კონსპირატიული“ აგენტია, არ ამბელს უფროსებს, სდუმს.

43 მოსამართლემ კი თქვა, რომ ეს ასეა (იხ. ზემოთ)

44 აქ პროკურორს დაავიწყდა და კინაღამ გააძხალა ნამდვილი მიზეზი, შემდეგ ანაზდად გამოფხიზლდა და სხვა თემაზე გადავიდა. ამიტომაა შეუსაბამობა მის სიტყვაში ამ ადგილას.

45 აქაც შეღავათი უსუპიანს, თუმცა პატიმარი მისი დარტყმისაგან გარდაიცვალა (ნისხლის ჩაქცევა თავის ქალის ღრუში).

იქით, საიდანაც ყოველივე ამის მიზეზი მოდის? ცირეკიძე ბრმა ირაციონალურად გამოიყენეს, მას ახალისებდნენ, პრეზიდიუმმა ორი წელი ჩამოაკლო. ეხმარებოდნენ პრივილეგიებს, ხოლო როდესაც დანაშაული გამოაშკარავდა, უფროსები გვერდზე გადგნენ და ცირეკიძემ უნდა ზღოს კანონის წინაშე ყველას მაგიერ. რამ მიიყვანა ცირეკიძე აქამდე? იმ დარღვევებმა, რაც უწინდელ მმართველობას გააჩნდა. მე თავად შსს-ს ყოფილი თანამშრომელი ვარ, ჩინით პოდპოლკოვნიკი, მაგრამ არასოდეს გამიგონია ციხეში ამდენი არაყი და ნარკოტიკული საშუალებები შეეტანოთ. განა ამით თავად მუშაკები არ ვაჭრობდნენ? დისციპლინა ირღვეოდა, არ იყო კონტროლი. მე ვფიქრობ სასამართლომ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ყოველივე ამის შესახებ. მე ვითხოვ მინიმალურ სასჯელს.

სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულ უსუპიანს. უსუპიანი თავს დამნაშავედ არ თვლის და სიტყვაზე უარს ამბობს.

სიტყვა ეკუთვნის **ბრალდებულ ცირეკიძეს**, რომელიც ამბობს, რომ არ უცამია ისმაილოვი ისე მაგრად, რომ იგი მომკვდარიყო. იგი მაგრად სცემა ბექაურმა, რომლის დანაშაულს მას აბრალებენ, რადგან ბექაურს ნათესავი ჰყავს რესპუბლიკის პროკურატურაში. ჩემს ცხოვრებას და მომავალს წერტილი დაესვა, დაიღუპა ჩემი ოჯახი. რატომ მაიძულებდნენ ხალხის ცემას? **უდანაშაულებს როდი ვცემდი, ვცემდი მხოლოდ იმათ, ვისზედაც ძირითადი დაჯილება იყო მოცემული.** 110-ე მუხლის მეორე ნაწილიც უსამართლოდ მომიყენეს, მე მიზნად არ მქონია სიკვდილის პირამდე მეცემა ისმაილოვი. უფრო სწორი იქნებოდა ჩემთვის 108-ე მუხლი მოეყენებინათ (სხეულებრივი დაზიანება გაწზრახვის გარეშე). ადმინისტრაციას თავიდანვე უნდოდა მთელი დანაშაულის ჩემზე გადმობრალება. ხან მთხოვდნენ, ხან მაშინებდნენ. მეუბნებოდნენ: დურუ ხურცილავასთან ჩაგსვამთ და ის გიჩვენებს, როგორ უნდა დაგვიჯერო. მე ვუთხარი: არ მეშინია მისი მეთქი. შემდეგ პანფილოვი დამეშუქრა, მამათმავლების საკანში ჩაგსვამო. მე ვუპასუხე: იქ აუცილებლად მოვკლავ ვინმეს მეთქი. საქმიდან მრავალი დოკუმენტია მოპარული. ნუთუ ყველა მე მოვიპარე? გამომძიებელი ონანოვი რომ პატიოსანი კაცი იყოს, როგორც ამას პროკურორი ამტკიცებს, თანამდებობიდან არ მოხსნიდნენ. სწორედ მან მოიპარა ჩემი პირველი ჩვენება, სადაც ადმინისტრაციას ვამხელდი. **დაჯილებას ცემასა და წამებაზე ჩვენ მუდამ უფროსები გვაძლევდნენ. ეს ყველამ იცის.** ვითხოვ გამართლებას, თავს დამნაშავედ არა ვცნობ.

1975 წლის 9 აპრილის სხდომა

ცხადდება საბრალდებო დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ უსუპიანმა და ცირეკიძემ პირადი უთანხმოების საფუძველზე სასიკვდილოდ სცემეს ჰატიმარი ისმაილოვი (ვალახვის მიზეზების ისტორიაზე, ე. ი. დამუშავების შესახებ დავალებაზე კრინტიც არ დაუძრავთ. ხმა არ ამოუღიათ შსს-ს მუშაკების როლზე).

ბანაჩენი: ორიოვს 6-6 წელი მკაცრი რეჟიმი.

რედაქციის დასკვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამების მეთოდების ფართოდ გამოყენება საქართველოს სსრ შსს-ს საგამომძიებლო იზოლიატორში და „სუკ"-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) საგამომძიებლო იზოლიატორში ემთხვევა შსს-ს მინისტრის, ე. შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდს (1966-1972 წწ.). იგი ამჟამად საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანია. მანვე შექმნა საგამომძიებლო იზოლიატორის „სპეციალური" მეორე კორპუსი, პატიმარ „ობიექტთა" სასაკლაო, შსს-ს ჯალათთა თავაშვების ადგილი, სადაც წამების უსაშინლეს მეთოდებს იყენებდნენ: რკინის ჯოხებით ცემას, ფოლადის ნემსებისა და მავთულების გარჭობას, ფეხებით ჩამოკიდებას, ანთებული სიგარეტით სხეულის ამოწვას, ცხელი შხაპის ქვეშ გაჩერებას, ჰომოსექსუალურ გაუპატიურებას და ა.შ.

1975 წლის 1-9 აპრილს აგენტების ღია სასამართლოს ფარსი იმისათვის გათამაშდა, რომ შსს გაემართლებინათ საზოგადოების თვალში და მთელი დანაშაული საბრალო მსხვერპლთათვის: უსუპალინასა და ცირეკიძისათვის გადაებრალებინათ და ამით დაეფარათ მთავარი დამნაშავე, ედუარდ შევარდნაძე და მისი უწყება.

დანართი

N1 საგამომძიებლო იზოლიატორში წამების მეთოდების გამოყენებას ადასტურებს ქ. რუსთავის კოლონიის პატიმრის, სახალხო კონტროლის ყოფილი მუშაკის **ᲙᲐᲠᲚᲝ ᲬᲣᲚᲐᲘᲐᲡ** სჩივარი. წულაია გაასამართლეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით (მექრთამეობა) და მისჯილი აქვს 10 წლით პატიმრობა. იგი ბრალს დებს რესპუბლიკის პროკურორის ყოფილ მოადგილეს ო. ჯიბლაძეს, N1 საგამომძიებლო იზოლიატორის ყოფილ ადმინისტრაციას და აღწერს, თუ როგორ აწამებდნენ.

„მე მომთავაზეს N1 საგამომძიებლო იზოლიატორის N40 საკანში, სადაც აგენტების ხელში მოვხვედი, რომელთაც ცირეკიძე მეთაურობდა. მან ახლახან სადისტური მეთოდებით მოკლა ციხეში კაცი.

იური ცირეკიძემ პირველი ღღიდანვე დამიწყო წვალება. ისე მაგრად მცემა, რამდენიმე საათს გონება მქონდა დაკარგული და ადმინისტრაცია იძულებული გახდა ექიმთა დახმარებისათვის მიემართა. შემდეგ მჩხვლეტდნენ რკინის მავთულებით, თავში სკამს მირტყამდნენ, ხელებზე ანთებულ სიგარეტებს მიქრობდნენ, მოკვლით მემუქრებოდნენ საკუთარი თავის მამხილებელ ჩვენებას თუ არ დავწერდი. მთხოვდნენ აგრეთვე დამეწერა, რომ თითოეს ქარდაკასაგან 800 მანეთი ქრთამი აიღე. უარი ვუთხარი და ისე მაგრად მცემეს, რომ 3 საათით გონება დავკარგე. გამოუძახეს ექიმებს და იმათ მომასულიერეს. ცემა შემდეგაც გრძელდებოდა. ერთხელ ცირეკიძე გვერდით მომიჯდა, დაასახელა ჩემი ახლო ნათესავები, მათი გარეგნობაც კი ამიწერა და ტელეფონის ნომრები მითხრა. ჩემი ცოლისა და რვა წლის ქალიშვილის სახელი ახსენა და თქვა, რომ მათ გააუპატიურებდნენ, თუ ამგვარ ჩვენებას არ მივცემ. მე მივხვედი, რომ

ისინი ამის გაკეთებას შესძლებდნენ, ამიტომ ბოლოს დაეთანხმენ და შზად ვიყავი ყველაფერი დამეწერა, რასაც კი მიბრძანებდნენ. შზად ვიყავი ეთქვა თუ 800 მანეთზე, 8 მილიონზე მომეწერა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილობრივ მათი კარნახით დავწერე, რომ ქარდავასაგან სესხად ავიღე 1000 მანეთი. ვიფიქრე ეს მიშველიდა, მაგრამ ამაოდ. ისევ ცემა დამიწყეს და გაუპატიურებით დამემუქრნენ, თუ ნათესავებს წერილს არ მივწერდი, რომ ფული გამოეგზავნათ. ი. ცირეკიძის კარნახით დაწერილი წერილები ჩემს ცოლთან იუზას (როგორც ძიებაზე გამოირკვა, თემურ ჩხარტიშვილს) მიჰქონდა. ოთხჯერ მოიტანა მან ფული: პირველად 200 მანეთი. 50 მანეთი თვითონ აიღო, 150 ცირეკიძეს მისცა. მეორედ 250 მანეთი. 50 თვითონ დაიტოვა, დანარჩენი ცირეკიძეს გადასცა. შემდეგ 220 მანეთი მოიტანა. იუზამ ახლაც 50 მანეთი აიღო, 170 ცირეკიძეს მისცა. ბოლოს მაიძულეს 1 000 მანეთის მოტანა მეთხოვა. 200 იუზამ, ანუ თემურ ჩხარტიშვილმა ჩაიჯიბა, ხოლო 800 მანეთი ცირეკიძემ მიითვისა.

ფულთან ერთად ცირეკიძე მაიძულებდა წერილობით მეთხოვა ტანსაცმელისა და ფეხსაცმელების მოტანაც. ყოველივე ამას ისინი ითვისებდნენ.

1973 წლის აპრილში დასაპირისპირებლად ჩემთან მოიყვანეს ჩემი სიძე ა. არდია და ბიძაშვილი ა. ჭანტურია. დაპირისპირებას ესწრებოდა ოპერატიული იზოლიატორის მუშაკი. გამომძიებელი გავიდა. სიძემ და ბიძაშვილმა ამასობაში ფული შემომთავაზეს. ოპერმუშაკმა თქვა: „გადაეცით თუ გსურთ, ჩემი ნუ გრცხვენიათო.“ საკანში ცირეკიძემ უკვე იცოდა ეს ამბავი და უკანასკნელ კაპიკამდე წამართვა ყველაფერი.

ძიებით და ცირეკიძის ჩვენებებით უკვე დადასტურებულია თუ ვისი ბრძანებით მაწამებდნენ და მართმევდნენ ფულსა და ნივთებს. საკანში ცირეკიძე და სხვა აგენტები გამუდმებით ლოთობდნენ და ჰქონდათ ცივი იარაღების მთელი კოლექცია.

ცემის, სიგარეტებით სხეულის ამოწვის, ძმიმე წვეტიანი საგნებით ცემის შედეგად ტანზე სამუდამო ნაიარევები დამრჩა.

ეს საბუთდება წულუკიძის კოლონიაში ჩემი და ქარდავას დაკითხვის ოქმებით, რომელიც კოლონიის ოპერ-განყოფილებამ ჩაატარა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცნობებით. ეს საბუთები გადაიგზავნა რესპუბლიკის პროკურატურაში 2/675 ნომრით 1973 წლის 4 ოქტომბერს.

ჩემი წამების მოწმეები N1 საგამომძიებლო იზოლიატორის N40 საკანში არიან მიჩიტაშვილი[46] და სიამაშვილი. ესეც დამტკიცებულია სხვა საგამომძიებლო მასალით.

ცემისა და წამების დროს ცირეკიძე და მისი ბანდა მთხოვდა რაიმე მეთქვა წალენჯიხის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, ამჟამად საქართველოს ცკ-ს მუშაკის დ. ა. კვარაცხელიას და სხვა თანამდებობის პირთა მექრთამეობაზე. აგენტები: ჯიბლაძე, თორთლაძე და ცირეკიძე ზშირად მაგზავნიდნენ N1 საგამომძიებლო იზოლიატორის უფროსის მოადგილესთან, სვიმონიშვილთან

46 არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, როსტოვის ციხეში „შემთხვევითი“ ჩხუბის დროს მოკლეს მიჩიტაშვილი, როგორც სახიფათო მოწმე შსს-ს ბიროტმოქმედებებისა.

და ოპერ-განყოფილების მუშაკებთან: ფროლოვთან და რხინაძესთან სათანადო ჩვენების მისაცემად.

მათი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად მე მხოლოდ სწორი ჩვენებები მივეცი.

ჩემს მართალ ჩვენებებს გამომძიებელი თორთლაძე ხვევდა ფროლოვის კაბინეტში და თან ფიზიკურ განადგურებას მიქადდა. უარი განვაცხადე ყალბი ჩვენების მიცემაზე და საკანში დაბრუნებაზე. მაშინ მან დაუძახა ზედამხედველებს და უბრძანა ძალით დავებრუნებინე საკანში. მე შევეწინააღმდეგე, მაგრამ სანამ კაბინეტიდან გამიყვანდნენ, თორთლაძემ მაჩვენა ცირეკიძის კარნახით დაწერილი განცხადება.

მიეხედი, რომ სიმართლის დამტკიცების ყველა გზა დახშულია. ამის შემდეგ მისი კარნახით დაეწერე ჩვენება, თითქოს ქარდავასაგან ვალად აეიღე ათასი მანეთი...

ასეთი მხეცური მეთოდებით შეთხზეს მათ საქმე ჩემს წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კაცისმკვლელმა ცირეკიძემ ჩემს თვალწინ აწამა პატიმარი მიჩიტაშვილი და ძალით ბარბაროსული მეთოდებით დაიჭირა მასთან მამათმავლური კავშირი. მიჩიტაშვილი ცოცხალმკვდარი წაიყვანეს საავადმყოფოში 1973 წლის მაისს. ცირეკიძის კარნახით მიჩიტაშვილიც აგზავნიდა სახლში წერილებს ზედამხედველ იუზას ხელით და ითხოვდა ფულს, რომელსაც ცირეკიძე და იუზა ითვისებდნენ.

ყარამან ლაბაძე

უბრალო არითმეტიკა

(შრომის ანაზღაურება და ფასები სსრკ-ში)

მოცემული წერილის მიზანია დოკუმენტალური მონაცემებით წარმოაჩინოს, თუ როგორი თანაფარდობაა სსრკ-ში ფასებსა და მუშების, მოსამსახურეთა, მეცნიერ-მუშაკთა და ა.შ. საშუალო ხელფასებს შორის. ჩვენი მიზანია აგრეთვე ჩვენება იმისა, რომ მაგალითად, საქართველოს სსრ-ში მოსახლეობის უმრავლესობას არ ძალუძს ხელფასით ცხოვრება.

წინასწარ ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ სპეციალობით არაეკონომისტი შეევეხე ამ პრობლემას, ამიტომ მე ავიღე ყველასათვის თვალსაჩინო ციფრები ნებისმიერი მაღაზიისა და საკოლმეურნეო ბაზრისათვის საერთო, ასევე საყოველთაოდ ცნობილი ოდენობა ხელფასებისა. ეს შრომა მიზნად ისახავს კომპეტენტური ადამიანების, მაგალითად, ეკონომისტების, სოციოლოგების, სტატისტიკოსების და სხვათა შეგულიანებასაც, რათა აწარმოონ მსგავსი გამოთვლები. მაშინ ვიმედოვნებ, მივიღებთ უფრო ყოვლისმომცველ და საინტერესო სურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილოთ საბჭოთა მოქალაქეთა მინიმალური ხარჯი კვებაზე, ტრანსპორტზე, ტანისამოსზე, აივჯზე და ა.შ. თვით უბრალო არითმეტიკული ოპერაციებით აქ გარკვეულ დასკვნებამდე მივალთ.

მაგალითისათვის ავიღოთ მუშის ოჯახი, რომლის საშუალო ხელფასი გამომუშავებასთან ერთად 150-200 მანეთია. ოჯახი შედგება 4 კაცისაგან. ერთ დღეში იხარჯება:

100 გრ. შაქარი — 10 კაპ.
100 გრ. მარგარინი — 25 კაპ.
2 კგ. შავი პური — 30 კაპ.
20 გრ. ჩაი — 20 კაპ.
500 გრ. ყველი — 90 კაპ.
1 კგ. კარტოფილი — 20 კაპ.
500 გ. ხორცი (გაყინული) — 1 მან.
კერძის საკმაზი — 1 მან.
საუზმე მამისათვის სამსახურში — 50 კაპ.
საუზმე 2 ბავშვისათვის სკოლაში — 50 კაპ.
ტრანსპორტი 4 კაცისათვის — 40 კაპ.
ყველაზე იაფიანი სიგარეტი — 14 კაპ.
დღეში 5 მან. 50 კაპ.

აქედან გამომდინარე, ყოველთვიური ხარჯი საკვებსა და ტრანსპორტზე უდრის 5,50 X 30 = 165 მან.

არ დაგვავიწყდეს, რომ ოჯახი ცხოვრობს 3 ოთახიან ბინაში (51 კვ. მ.), კომუნალური მომსახურეობისათვის იგი ყოველთვიურად იხდის 15 მანეთს ბინის ქირად, ხოლო ელექტრონისას და სხვა მომსახურებისათვის — 10 მანეთს, ჯამში — 25 მანეთს.

ამგვარად, მხოლოდ კვებაზე, ტრანსპორტზე და კომუნალურ მომსახურებაზე ერთად მოდის 190 მან. საშუალო ხელფასი კი მხოლოდ 200 მანეთია.

არ დაგვავიწყდეს, რომ ადამიანს სჭირდება აგრეთვე საპონი, კბილის პასტა, სარეცხის ფხვნილი, ტუალეტის ქაღალდი, წელიწადში ერთხელ მაინც ტანისამოსი, უთო და ა.შ. მოდით ვნახოთ, ეყოფა თუ არა ხელფასიდან დარჩენილი თანხა, ე. ი. 10 მანეთი ყოველივე ამას; კლავე გადავხედოთ ფასებს:

სარეცხი საპონი — 20 კაპ.
ხელის საპონი — 10 კაპ.
ტუალეტის ქაღალდი — 45 კაპ.
ხელსაწმენდი — 25 კაპ.
კბილის პასტა — 25 კაპ.
სარეცხი ფხვნილი — 45 კაპ.

ყოველივე ეს უდრის 1 მან. და 70 კაპიკს, მივუმატოთ ამას გაუთვალისწინებელი ხარჯები 30 კაპიკის რაოდენობით და მივიღებთ 2 მანეთს, ყოველთვიურად კი 60 მანეთს. ახლა მივუმატოთ ყოველივე ეს ზემოთმოყვანილ თანხას, 190 მანეთს და მივიღებთ 250 მანეთს, ანუ ყველაზე მინიმალურ ყოველთვიურ ხარჯს! (აქ ჩვენ გამოვრიცხავთ კინოს, თეატრს, სპორტს, ცირკს, ჟურნალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებს, პარტიულ და პროფკავშირულ საწევროებს, 13% საშემოსავლო გადასახადს, აუცილებელ პრესსას და ა.შ.).

ახლა კი გადავიდეთ იმავე ოჯახის წლიურ ხარჯებზე, რომლის წლიური შემოსავალია 2 400 მან. (200X12=2 400), (ხოლო მაქსიმუმია 3 000 მან, პრემიების ჩათვლით).

წელიწადში ერთხელ ამ ოჯახმა უნდა იყიდოს ტანისამოსი, ავეჯი და ა.შ. მით უმეტეს თუ ოჯახი ახლად იქმნება.

განვიხილოთ მინიმალური ფასები ყოველივე ამისა:

ქალის ქურქი (სინთეტიური) — 450 მან.
მამაკაცის ბეწვისსაყელოიანი პალტო — 180 მან.
კაბა — 60 მან.
კოსტიუმი — 70 მან.
უსაყელო პალტო — 50 მან.
ქალის პალტო — 100 მან.
ფეხსაცმელი — 12, 28, 35, 51 მან.
პერანგი — 7, 13 მან.
ქალის პერანგი — 20 მან. მოსასხამი — 75, 92 მან.
მამაკაცის ტრუსები — 2 მან.
შარვალი — 20 მან.
წინდები — 3 მან. 30 კაპ.
ყელიანი წინდები — 1 მან. 20 კაპ., 2 მან. 80 კაპ.
ქალის საცვალი — 2 მან. 50 კაპ.
ქალის ჩექმები (ხელოვნური) — 55 მან.
სხვადასხვა ნაჭრები — 2,5 მანეთიდან 45 მანეთამდე.

თუკი ზემოხსენებული ოჯახი იყიდის წელიწადში: მამაკაცის საცვლებს და ტანისამოსს ერთ კაცზე:

ტრუსები 2 ც. — 5 მან.
მაისური 2 ც. — 3 მან.
წინდები 5 ც. — 4 მან.
პერანგი 2 ც. — 14 მან.
შარვალი 2 ც. — 40 მან.
ოთახის პიჟამო — 20 მან.
პალტო 1 — 50 მან.
კოსტიუმი 1 — 70 მან.
ფეხსაცმელი 1 წყვილი — 12 მან.

---

218 მან.

ასე რომ, მამაკაცი ტანისამოსზე, თუ დავამრგვალებთ, ხარჯავს 220 მან.

ცოლი (დიასახლისი) ხარჯავს ტანისამოსზე:

პალტო 1 ც. — 50 მან.
ფეხსაცმელი 1 წყვილი — 20 მან.

ზამთრის ფეხსაცმელი 1 წყვილი — 30 მან.
წლიური საცვლები — 25 მან.
ყელიანი წინდები 2 წყვილი — 4 მან.
თავსაფარი 1 ც. — 5 მან.
ფლოსტები 1 წყვილი — 3 მან.
სხვადასხვა ნივთი ქალისა — 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

142 მან.

ამგვარად, ცოლ-ქმარი ხარჯავს სულ 360 მანეთს.

ორივე ბავშვსაც დაახლოებით იგივე თანხა სჭირდება და საბოლოოდ ეს შეადგენს 720 მანეთს.

ასე რომ, ზემოხსენებული ოჯახი წლიურად ტანსაცმელსა და საცვლებზე ხარჯავს 720 მანეთს.

გამოვთვალოთ ყოველწლიური ხარჯი კვებაზე, ტრანსპორტსა და კომუნალურ მომსახურეობაზე: 250X12=3 000 მან. ახლა შევკრიბოთ ეს ორივე რიცხვი: 3 000 + 720 = 3 720 მან.

ამგვარად, წლიური ხარჯი მოცემული ოჯახისა არანაყიერ კვებაზე, ტრანსპორტზე, მდარე ტანისამოსზე და კომუნალურ მომსახურებაზე უდრის 3720 მანეთს, ხოლო წლიური შემოსავალი იმავე ოჯახისა უდრის 2 400-3 000 მანეთს.

საიდან იშოვოს ოჯახმა დანარჩენი 1 320 მანეთი?

დავუშვათ, რომ ცოლი, რომელსაც არ გააჩნია უმაღლესი განათლება, იწყებს მუშაობას. იგი ეწყობა ან მაღაზიის გამყიდველად (60 მან), ან დამლაგებლად (60 მან.), ან რომელიმე მსგავს თანამდებობაზე, სადაც ხელფასი არ აღემატება 60 მანეთს. მისი წლიური შემოსავალი იქნება 60X12=720 მან. თუკი იგი იშოვის მეორე სამსახურსაც, შემოსავალი გაიზრდება, ვთქვათ, 600 მანეთით. 720+600=1320 მანეთს. მაშინ ოჯახი გაუმკლავდება მხოლოდ ზემოდასახელებულ ხარჯებს.

სხვა ხარჯებისათვის მას დარჩება წელიწადში 1 800-1320=480 მან.

ახლა ვნახოთ, ეყოფა თუ არა ეს თანხა საოჯახო ნივთებს, ტელევიზორს, კინოს, თეატრს, სპორტს, წამლებს და ა.შ. (გავიხსენოთ, რომ ოჯახი არ სარგებლობს რძით, კარაქით, ხილით, ბოსტნეულით და სხვა საკვები პროდუქტებით, ამიტომ ავადმყოფობა არ უნდა იყოს მისთვის უცხო სტუმარი). აევსო (მინიმალური ფასები):

სასადილო — 1 000 მან.
საძინებელი — 940 მან.
სამზარეულო — 50 მან.
სხვა ნივთები:
ტელევიზორი — 250 მან.
ტრანზისტორი — 90 მან.
სარეცხი მანქანა — 70 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვერსასრუტი — 40 მან.
მაცივარი — 150 მან.
უთო — 5 მან.
სუფრა — 10 მან.

---

2 605 მან.

საწოლის თეთრეული და სხვა საჭიროებანი 4 კაცისათვის:
კარნიზები და ფარდები — 25 მან.
ლეიბი 4 ც. — 48 მან.
ბალიში 4 ც. — 28 მან.
საბანი 4 ც. — 120 მან.
ზეწარი 4 ც. — 24 მან.
ბალიშის პირი 4 ც. — 10 მან.
კონვერტი 4 ც. — 36 მან.
პირსაბანი — 5 მან.

---

296 მან.

ქოთნები, ჩაიდნები, ტაშტები, დანა-ჩანგალი, თეფშები, ფინჯნები და ა.შ. — 50 მანეთი. ახლა შეავჯამოთ: 2 605+296+50=2 951 მან. მივუმატოთ ამას კინო თვეში ერთხელ ოთხ კაცზე 0,5 4=2 მან., წელიწადში 24 მან., ფეხბურთი ან სხვა სპორტი 1 მან., წელიწადში 12 მან., წამალი წელიწადში დაახლოებით 10 მანეთისა, სულ გამოდის 46 მან. 2 951+46=2 997 მან., თუ დავამრგვალებთ, სულ გამოდის 3 000 მან. ავეჯზე, საოჯახო ნივთებზე, საცვლებზე და ა.შ.

შეავადროთ ეს თანხა ზემოხსენებულ დარჩენილ 480 მანეთს, და ნათელი გახდება, რომ ხელფასზე მცხოვრებ არცერთ მუშას ცოლითა და ორი შვილით არ ძალუძს ნორმალურად იკვებოს, იძინოს, ჩაიცვას, მოაწყოს ბინა. მან უარი უნდა თქვას ტელევიზორზე, რადიოზე, წამლებზე, მუსიკის მოსმენაზე და ა.შ. ოჯახი გაჭირვებაში იქნება, ბავშვები დაავადდებიან (შესაძლოა მოზრდილნიც) ვიტამინების უკმარობისაგან, სიცივისაგან და ა.შ. მუშამ საერთოდ უარი უნდა თქვას სტუმრების მიღებაზე, საოჯახო დღესასწაულებზე და სხვა.

გავიხსენთ ზემოთმიღებული რიცხვი (კვება, ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება) — 3700 მან. და დავუმატოთ 3 000 მან. (ავეჯი, საოჯახო ნივთები, თეთრეული), მივიღებთ 6 700 მანეთს. მაშასადამე ყველაზე მცირე მოთხოვნილებანი ოჯახისა მოითხოვენ წლიურ შემოსავალს 6 720 მანეთს, თვიურად კი 6 720:12=560 მანეთს! მუშას არ ეყოფა თვით ისეთი პრემიებიც კი, რომელნიც წლიურად დაახლოებით 200-300 მანეთს შეადგენენ.

ვინმემ შესაძლოა შეგვნიშნოს, რომ მაგალითად ავეჯის, საოჯახო ნივთების, ტანისამოსის და ა.შ. ყიდვა ყოველწლიურად როდია საჭირო. ვუპასუხებთ, რომ ჩვენ მივიღეთ შემთხვევა, **როდესაც მუშა ახლად იწყებს ოჯახის შექმნას.** შემდგომი წლებისთვის თანხა, რომელიც ჩვენ ავიღეთ ხარჯებისათვის (3 000 მან.)

შეგვიძლია შევამციროთ და დავტოვოთ მხოლოდ ის, რისი ყიდვაც „უცილებელია ყოველწლიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ცნობილია ყოველგვარი საბჭოთა პროდუქციის უხარისხობა), დავტოვოთ თანხა დაახლოებით 500 მანეთის ოდენობით. წლიური ხარჯი მაშინ გამოვა 3 720+500=4 200 მან., მაქსიმუმი 3 000 მან. **საბჭოთა კავშირის ნებისმიერი მოუკერძოებელი მოქალაქე დაგვეთანხმება აგრეთვე, რომ ზემოხსენებული ხარჯები, განსაკუთრებით კვებაზე, უზრუნველჰყოფენ მხოლოდ მათხოვრულ არსებობას, ხოლო შედარებით უკეთესი კვებისათვის კი საჭიროა ორჯერ ან სამჯერ მეტი. იგივე თქმის ტანსაცმელზე, ტრანსპორტზე, საოჯახო ნივთებზე და ა.შ.** თუმცა ამგვარი არსებობისათვის მხოლოდ მუშები როდი არიან განწირულნი.

შეიძლება ანალოგიურ დაპირისპირებათა გაკეთება, თუკი გავითვალისწინებთ შემდგომ ყოველთვიურ ხელფასებს; მაგალითად I კატეგორიის საროეკქონო ინსტიტუტის თანამშრომლებისას:

დირექტორი — 300 მან.
მთავარი არქიტექტორი — 250 მან.
მთავარი ინჟინერი — 250 მან.
სახელოსნოს უფროსი — 280 მან.
პროექტის მთავარი არქიტექტორი — 180 მან.
ინჟინერი — 150 მან.
არქიტექტორი — 100 მან.
ან კიდევ ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლებისა:
მინისტრი — 400 მან., თუ დეპუტატია, — 450 მან.
მინისტრის მოადგილე — 300 მან.
განყოფილების გამგე — 190 მან.
მოადგილე — 160-170 მან.
ინსპექტორი — 150 მან.
მთავარი ბუჰალტერი — 190 მან.
მთავარი ეკონომისტი — 170 მან.
სხვა თანამდებობები: 120, 110, 100 მან.
მინისტრის მძღოლი — 110-120 მან.
მოსამსახურე პერსონალი — 60-70 მან.
იგივეა სხვა სამინისტროებშიც. იგივეა მშენებლობაზეც:
სამუშაოს მწარმოებელი — 150 მან.
ათისთავი — 100, 120, 140 მან.
მუშა – 150-200 მან. (გამომუშავებიანად).
სკოლის მასწავლებელი — 65, 80, 135 მან., ექიმი — 80, 100 მან.
სამეცნიერო-კვლევეთ ინსტიტუტებში:
უმცროსი მეცნიერ-მუშაკი — 105 მან.
უფროსი მეცნიერ-მუშაკი — 135 მან.
ხარისხიანი — 240-450 მან.
უმცროსი ლაბორანტი — 70 მან.
უფროსი ლაბორანტი — 90 მან.

მაქსიმალური ხელფასი მეცნიერებათა დოქტორისა, თუ იგი ლაბორატორიასაც ხელმძღვანელობს — 550 მან. ახლა ვნახოთ, შეუძლია თუ არა ასეთ უფროს მეცნიერ-მუშაკს მაქსიმალური ხელფასით — 550 მან., ცალთვა-და ორი შვილით ასეთი დღიური ხარჯების გაწევა:

შაქარი 300 გრ. — 30 კაპ.
კარაქი 250 გრ. — 90 კაპ.
თეთრი პური 2 კგ. — 60 კაპ.
ყველი 500 გრ. — 1 მან.
კარტოფილი 1 კგ. — 20 კაპ.
ახალი ხორცი ბაზარზე 1 კგ. — 4 მან.
მწვანილი — 1 მან.
კიტრი — 1 მან.
პომიდორი — 1 მან.
ბოსტნეული — 1 მან.
ხილი — 3 მან.
რძის ნაწარმი — 1 მან. 50 კაპ.
საუზმე სამსახურში — 1 მან.
ტრანსპორტი — 1 მან.
სიგარეტი — 40 კაპ.
სხვა ხარჯები — 1 მან.

---

20 მან., თვიურად კი 600 მან.

რაც შეეხება კომუნალური მომსახურების ხარჯებს, ისინი **ორჯერ მეტია** მეცნიერ-მუშაკისათვის, ვიდრე მუშისათვის, რადგან მას უფრო დიდი საცხოვრებელი ფართობი გააჩნია, იგი იცვამს უკეთ, ყიდულობს იმპორტულ ტანისამოსს, რომელსაც შავ ბაზარზე შოულობს. ახლა გადავხედოთ საქართველოს სსრ-ში არაოფიციალური **შავი ბაზრის** ფასებსაც.

მამაკაცის კოსტიუმი — 200-300 მან.
მამაკაცის ფეხსაცმელი — 150-200-300 მან.
ქალის ფეხსაცმელი — 150-200-300-500 მან.
ქალის ჩექმები — 300-700 მან.
მამაკაცის ქურთუკი — 2 000-3 000 მან.
ქალის ქურთუკი — 1 500-2 000 მან.
ნატურალური ქურქი — 2 000-5 000-7 000 მან.
მამაკაცის პერანგი — 50-70-100 მან.
ჯინსები (კოსტიუმი) — 200 მან.
ქალის საცვალი — 70-100 მან.
სუნამო — 100 მან.
ჰალსტუხი — 10-20 მან.
წინდები — 10 მან.
მაღალყელიანი წინდები — 8 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსასხამი — 100 მან.
ხაზილალა 1 კგ. — 100 მან.
ზუთხი 1 კგ. — 12 მან.
ქალის ქუდი (სირაქლემა) — 150 მან.
ქუდი — (წავის) — 200 — 300 მან.
ქუდი (უბრალო ბეწვის) — 100 მან.
სასადილო — 5 000 — 7 000 მან.
საძინებელი — 3 000 — 4 000 — 6 000 მან.
სამზარეულო — 1 000 – 3 000 მან.
ავტომანქანები (მაღაზიაში):
„ზაპოროჟეცი“ — 3 500 მან.
„ჟიგული“ — 5 500 — 6 500 — 7 500 მან.
„ვოლგა“ (გაზ-24) — 9 200 მან.
„ვოლგა“ (გაზ-69), ძველი გამოშვება — 3 100 მან.
„ვოლგა“ (გაზ-69), ახალი გამოშვება — 7 000 მან.
შავ ბაზარზე:
„ზაპოროჟეცი“ — 6 000 მან.
„ჟიგული“ — 15 000 მან.
„ვოლგა“ (გაზ-24) — 24 000 მან.
„ვოლგა“ (გაზ-69), ძველი — 13 000 მან.
„ვოლგა“ (გაზ-69), ახალი — 23 000 მან.

დანარჩენი თავად მკითხველმა გამოიანგარიშოს ზემოთჩამოთვლილი ფასებისა და თბილისის შემდეგი საბაზრო ფასების მიხედვით:

ხორცი 1 კგ. — 4-7-8 მან.
წიწილა — 6-7 მან.
ქათამი — 10-13-15 მან.
ინდაური — 20-25-30-40 მან.
კარტოფილი — 30 კაპ. — 1 მან.
სტაფილო — 5 მან.
ჭარხალი — 5 მან.
ნიგოზი — 14 მან.
კიტრი — 1,5 — 2,5 მან.
პომიდორი — 5-7-8 მან.
ხახვი — 2 — 4 მან.
ლობიო — 2 მან.
ხენდრო — 1,5 — 3 მან.
ბალი — 1, 5 — 2,5 მან.
ყველი — 5-6 მან.
ფქვილი (სიმინდის) — 1 მან.
ვაშლი — 2-4 მან.
ტყემალი — 2 მან.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ საბჭოთა

კავშირში ვერავინ შეძლებს ხელფასით ცხოვრებას პრივილეგირებული პარტიული ფენის, ეგრეწოდებული ნომენკლატურის გარდა, რომელიც სარგებლობს სპეციალური დახურული, დაბალფასიანი და ყოველგვარი პროდუქტებით მდიდარი მაღაზიებით. აქედან ნათელი ხდება, თუ რად დგას ასე მწვავედ საკითხი რესპუბლიკაში კორუფციისა, შექრთამეობისა, გაფლანგვისა, დატაცებისა, შემოსავლის უკანონო გზებისა და ა.შ. ერთადერთი გზა ამგვარ მოვლენათა აღმოფხვრისა მხოლოდ და მხოლოდ ხელფასის მომატება და ფასების დაკლება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნაა.

გედეონ თვალთვაძე

ხანძრები და დივერსიები საქართველოში 1976 წელს

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ადგილებში გახშირდა ხანძრები და დივერსიები. დადგენილია წინასწარ განზრახული ხანძრები შემდეგ ობიექტებზე (მოგვყავს ყველაზე დამახასიათებელი შემთხვევები):

1. „საქქვანახშირის“ ტექნიკური მომარაგების კომბინატის ბაზა ქ. ტყიბულში. საკარაუდო ზარალი 300 მან (27 იანვარი).
2. კიროვის სახ. ჩარხთშენებელი ქარხანა თბილისში, დაიწვა 500 კვ. მ. გადახურვა (30 იანვარს).
3. საბავშვო ორსართულიანი უნივერმაღი თბილისში, ლენინის მოედანზე, 24 თებერვალს, XXI ყრილობის გახსნის დღეს! საკარაუდო ზარალი 1 მილიონი მან.
4. „კინოს სახლი“ თბილისში, დაიწვა სახურავის ნაწილი, საკარაუდო ზარალი ათასი მან.
5. კინოთეატრი „ამირანი“ თბილისში 30 თებერვალს, ხანძარი დროზე ჩააქრეს.
6. უნივერმაღი ქალაქ ბორჯომში (1 მარტი). საკარაუდო ზარალი 50 000 მან.
7. საყოველდღეო მოხმარების საქონლის მაღაზია №18 სოფელ ქვედა-საზანაში, ზესტაფონის რაიონში. მაღაზია მთლიანად დაიწვა. საკარაუდო ზარალი 40 000 მან. (5 აპრილს). დოკუმენტაცია გადარჩა, დაჭერილია რამდენიმე კაცი.
8. საფოსტო განყოფილების შენობა და აფთიაქი ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოქალაქევში, შენობა მთლიანად დაიწვა, ზარალი 4 500 მან.

9. ინკუბატორის სადგური N2 ზუგდიდში, შენობა ნაწილობრივ დაიწვა, საკარაულო ზარალი 603 მან. (5 აპრილს).

10. ხილის მიღების პუნქტი და საკოლმეურნეო კანტორა მაზარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთში. ორსართულიანი შენობა დაიწვა ნაწილობრივ მთელი დოკუმენტაციითურთ (8 აპრილს). ზარალი არ არის ცნობილი.

11. ცეკავშირის შენობა ქალაქ ბოლნისში (2 მაისი). ზარალი არ არის ცნობილი.

12. ჩაის ფაბრიკა ქალაქ მახარაძეში (17 მაისი). ზარალი არ არის ცნობილი.

13. ხე-ტყის ბაზა ქ. თბილისში. ზარალი უცნობია.

14. 16 აპრილს, თბილისში დღის 5 საათზე მინისტრთა საბჭოს შენობის წინ აფეთქდა ბომბი. დაიმსხვრა ფანჯრის მინები: მინისტრთა საბჭოს შენობაში, კინოთეატრ „რუსთაველში", პიონერთა სასახლეში; მსხვერპლი არ ყოფილა. მას შემდეგ მილიცია დამ-ღამობით მორიგეობს მთავრობის სახლის გარშემო.

15. აფეთქება ენგურჰესის ელექტროქარხნისა, სადაც განადგურდა კაბელების მთელი სისტემა (4 ივნისი). საერთოდ საქართველოში გაერცელებულია წყალსადენის რეზერვუარებზე კაბელების აფეთქება, რათა ხანძრის შემთხვევებში სახანძრო დაცვამ ვერ ისარგებლოს წყლით. ასე მოხდა მაგალითად ოპერის ხანძრის დროს, როდესაც რუსთავის წყალსაცავზე მოკლეს მილიციელი და დააზიანეს ტუმბო. ა.წ. 3 ოქტომბერს მოხდა აფეთქება სამგორის წყალსადენის სათავეზე, დაზიანდა კაბელი, წყალი შეწყდა რამდენიმე საათით ქალაქის მთელ რიგ უბნებში, სადაც გაჩნდა რამდენიმე ხანძარი (იმავე დღეს გაჩნდა ხანძარი ტელევიზიის ერთ-ერთ ლაბორატორიაში)

16. ჭრუ-მუნჯთა საზოგადოების კომბინატის დიდი საწყობი თბილისში, დოლაბაურზე, მიახლოებითი ზარალი 8 მილიონი მანეთი (7 სექტემბერს). ხანძრის დროს მოკლულია ერთი მილიციელი და ერთიც დარაჯი. დაპატიმრებულია საზოგადოების მთავარი ბუღალტერი ქალდანი, რომელსაც ბრალდება ეს ყოველივე (იხ. „კომუნისტი"). ორი დღით ადრე საწყობი დახურა „ობეზეესმა".

გაზშერებულ ხანძრებთან დაკავშირებით 12-დან 18 იანვრამდე დაჯარიმებულია 67 კაცი, აქედან 40 თანამდებობის პირი, მათ შორის: ახმეტის ხის დამმუშავებელი კომბინატის ცეხის უფროსი გ. ა. ბადურაშვილი, თბილისის საცხოვრებელი სახლის N4 კანტორის უფროსი შ. ო. კორინთელი, ხაშურის საავტოტრანსპორტო პარკის დირექტორი მ. ი. კაკაბაძე, კოჯრის N4 საბავშვო სახლის დირექტორი დ. მ. ჯიქია, ქუთაისის N2, N20, N27, N8, N22, N12 საშუალო სკოლების დირექტორები: დ. ვ. დევიძე, გ. ს. ფრუიძე, ს. დ. გოგიჩაიშვილი, რ. ი. ცინცაძე, თ. გ. თაბუკაშვილი, ე. გ. თავაძე და სხვები.

5-დან 11 ივლისამდე ხანძრებთან დაკავშირებით დაჯარიმებულია 8 კაცი, აქედან 5 თანამდებობის პირი: შუახვის რაიონის სოფ. ღღვანის ცეკავშირის მაღაზიის დირექტორი დ. ი. ფუტკარაძე, გუდაუთის რაიონის მიუსერის პიონერთა ბანაკის დირექტორი ბ. გ. ბულისკერია, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახლმმართველობის უფროსი გ. თ. კალანდაძე, ახმეტის რაიონის სოფ. ფირნხოვანის ცეკავშირის მაღაზიის გამგე ი. დ. ბაჩაური, ხელვაჩაურის რაიონის ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. მ. ჭელიძე და სხვანი.

ფეთქებადი ნივთიერებები და მოწყობილობანი ჩამოერთვას შემდეგ მოქალაქეებს 1. კ. ა. ცინცაძეს, 1927 წელს დაბადებული, თერჯოლის რაიონის სოფ. მუჯირეთის კოლმეურნეს ბინაზე აღმოუჩინეს ერთი კგ. ამონალი და 6 კაფსული დეტონატორი (12 აპრილს). 2. ი. მ. კარაევი, დაბ. 1919 წელს, საგარეჯოს რაიონის N2 საამშენებლო სამმართველოს მუშა, ჩამოერთვა 1,5 კგ. დინამიტი და ბიკფორდის ზონარი (20 აპრილს). 3. მ. მ. ჯამალოვი, დაბ. 1948 წელს, საქნავთის თელეთის უბნის N2 სეისმიური პარტიის მუშა-ამფეთქებელი, ჩამოერთვა ორი ელექტრო-ასაფეთქებელი მექანიზმი, 38 ცალი კაფსული დეტონატორი და 35 მეტრი ბიკფორდის ზონარი (20 აპრილს). 4. დ. ო. გაგუა, წალენჯიხის რაიონის სატყეო მეურნეობის მუშა, ჩამოერთვა 100 ცალი კაფსული დეტონატორი, 3 მ. ბიკფორდის ზონარი (20 აპრილს). 5. ა. ა. ბუყებიანი, დაბ. 1924 წელს, ლენტეხის N2 საამშენებლო უბნის ოსტატი. მას ჩამოერთვა ორი ცალი ამონალი, 15 ცალი კაფსული-დეტონატორი და 1 მ. ბიკფორდის ზონარი (21 აპრილს).

1976 წლის იანვარში თბილისის დიმიტროვის სახ. N31 სამხედრო-საავიაციო ქარხნის საცდელი აეროდრომიდან უცნობებმა გაიტაცეს სამხედრო თვითმფრინავი (მოკლულია გასამხედროებული დაცვის სამი წევრი).

26 მაისს ღამით, უცნობი პირები თავს დაესხნენ ამიერკავკასიის ჯარების ერთ-ერთი ნაწილის არსენალს საგარეჯოს რაიონის სოფ. უჯარმასთან. მოკლეს მცველები და გაიტაცეს დიდძალი რაოდენობით ავტომატები, ხელყუმბარები და ნალმები. ორი დღის შემდეგ არსენალის მახლობლად, გომბორის გადასასვლელზე მოხდა ასეთი ინცინდენტი: თელავის რაიკომის მდივანი კობაიძე მიდიოდა თბილისიდან თელავში თავისი ავტომანქანით. უეცრად მას გზა გადაუღობა ავტომატიანმა ჯარისკაცმა და გააჩერა მანქანა. ჯარისკაცმა ყველანი ჩამოსვა მანქანიდან, თავად ჩაუჯდა მძღოლს და უბრძანა თბილისის აეროპორტისაკენ სვლა დიდი სიჩქარით. რა მიუახლოვდნენ აეროპორტს, მან უბრძანა მძღოლს, მიეყვანა იგი პირველ შეხვედრილ თვითმფრინავთან, რომელზედაც ტრაპი იყო მიდგმული. შოფერმა ეშმაკობა იხმარა: მან ურჩია ჯარისკაცს, ჩაწოლილიყო საჯდომზე, რათა მილიციას არ დაენახა და ამ დროს გააჩერა მანქანა, გადმოხტა და იწყო ყვირილი მიშველეთო, მოგრივდა ხალხი, მილიცია, ჯარისკაცს წაართვეს ავტომატი და დააპატიმრეს. როგორც ჩანს, იგი თანამონაწილე იყო არსენალის გაძარცვისა და ლამობდა საზღვარგარეთ გაქცევას. ამ გაძარცვის ორგანიზატორები უმეტესწილად თავად ჭაში სამხედროები იყვნენ, რომელნიც მასიურად ვაჭრობენ ამჟამად იარაღითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში.

უკანასკნელ წელს ორგანიზებმა რამდენიმე ადგილზე აღმოაჩინეს და უვნებელყვეს ნალმები, მაგალითად ფუნიკულიორის სატელევიზიო კოშკზე, ქ. თბილისის მთავარ უნივერმაღში რუსთაველის გაშიერზე, ცენტრალური ტელევიზიის შენობაში და ა.შ. (1975 წელს მომხდარი დიდი ხანძრები და აფეთქებებია: გაჩიანის „სოფლტექნიკის ბაზაზე, ზარალი დაახლოებით 300 ათასი მანეთია, თბილისის ავტოსადგურის ახალ შენობაში, ზარალი დაახლოებით 40 ათასი მანეთია, რუბეროიდის ქარხანაში, ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში", N31 სამხედრო-საავიაციო ქარხანაში (აფეთქება) და ა.შ.).

ხანძრები და აფეთქებები შესაძლოა ორ კატეგორიად დავყოთ: პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ხანძრები, რომელთაც აწყობენ ამა თუ იმ დაწესებულების მუშაკები „ობეზეესის“ კლანჭებისაგან თავის დახსნის მიზნით, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ე. შევარდნაძე დანიშნა საქართველოს კომპარტიის კომიტეტის პირველ მდივნად. როდესაც წვავენ საწყობს და დოკუმენტაციას, რევიზიას და „ობეზეესს“ უჭირთ დამტკიცება გაფლანგვისა და დატაცებისა. ეს სახეობა დივერსიებისა უფრო მეტადაა გავრცელებული.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან საპროტესტო ხანძრები და აფეთქებები, როგორც მაგალითად აფეთქება დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის საცდელ აეროდრომზე, აფეთქება მთავრობის სასახლის წინ, ხანძარი აეტოსადგურზე, აფეთქებები ქარხნებში, ენგურჰესზე და ა.შ. ზშირია აგრეთვე შანტაჟი ამფეთქებლის მხრივ. ასე მაგალითად, როგორც ცნობილი გახდა, უცნობი პირები დაემუქრნენ აფეთქებით უნივერსიტეტის შენობას იმ შემთხვევაში, თუ იქ მოხდებოდა რუსიფიკაცია, როგორც ეს განზრახული ჰქონდა მთავრობას.

საკარაუდოა, რომ სანამ საქართველოში საგრძნობლად არ გაუჯობესდება მოსახლეობის ეკონომიური პირობები, არ გაიზრდება ხელფასები, არ შემცირდება ფასები, აგრეთვე სანამ არ შეწყდება დრაკონისეული ღონისძიებები „ეკონომიურ დანაშაულთა“ წინააღმდეგ, აგრეთვე სანამ არ შეწყდება რუსიფიკაციის პოლიტიკა, ხანძრები და აფეთქებები კვლავაც გაგრძელდება მომავალში. **ამ მოვლენებს უნდა ვუყუროთ, როგორც სისტემის მანკს და არა როგორც ცალკეულ დამნაშაე პირთაგან მომდინარე ანარქიულ გამოვლინებებს.**

ა. წ. ოქტომბერში რუსთავის ქიმიური ქარხნის ელექტროცეხის მუშათა პოლიტმეცადინეობის წრეს ატარებდა ლექტორი მუშა ვასილ ვასილის ძე ტარუნტაევი, რომელმაც განუცხადა თანადამსწრეებს შემდეგი: „დღევანდელ საქართველოში ინტელიგენციის ერთი ნაწილი დაუკავშირდა ქურდებს და ბანდიტებს და შექმნა დაჯგუფება, რომელიც აწყობს ხანძრებს, აფეთქებებს და სხვა დივერსიებს. რატომ გამოდის ქართველი ინტელიგენცია მთავრობის წინააღმდეგ? იმიტომ რომ, მათი აზრით, ხდება საქართველოს რუსიფიკაცია, ქართული ენა მიდის არენიდან“ (მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე). დღესავით ნათელია, მუშას თავისთავად ასეთი რამ არ მოუვიდოდა აზრად. ცხადია, ვიღაცამ დაავალა მას ამის თქმა. აი, რა ხრიკებს მიმართავს უშიშრობის კომიტეტი, რათა მიჩქმალოს საქმის რეალური ვითარება და ხალხს თავგზა აუბნიოს!

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მთავრობა ცდილობს ხალხს დაუმალოს, რომ ხანძრებს და დივერსიებს აწყობენ უმეტესწილად მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით და შევარდნაძისეული დრაკონული მეთოდებით, რეპრესიებითა და რუსიფიკაციით.

47. უკანასკნელი გამოთვლებით წინასწარ განზრახული ხანძრებისა და დივერსიების რიცხვმა თბილისში უკვე 60-ს გადააჭარბა, მთელს საქართველოში კი — 350-ს.

ა.წ. 14 ნოემბერს უნივერმაღ "თბილისში" გაჩენილმა ხანძარმა სახელმწიფოს მიაყენა 18 მილიონი მანეთის ზარალი (ახალი კურსით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული №1